ცოდნა



6 2017

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 59-ე წელი | ნოემბერი-დეკემბერი | №6 | 2017 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე

ცისანა ანთაძე

გენრი დოლიძე

შოთა ზოიძე

დავით თედორაძე

ლალი კონცელიძე

გუნა სამნიძე

რამაზ სურმანიძე

ჯემალ სურმანიძე

ბელა ქებურია

ვახტანგ ღლონტი

თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2017

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა კოლორში

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ჯ�, ჯოუზია

მერაბ აბაშიძე – იხრჩობოდნენ ჩემი ვნებები 3
ვაჟა ოთარაშვილი – ლექსები 13
ეკა კვანტალიანი – ლექსები 19
მაგდა კოტრიკაძე – მოთხრობები 26
ოთარ ჩოგაძე – ლექსები 47
დავით შალამბერიძე – ლექსები 54
ანანია ბროველი – დიკლაკის მალამო 59

თარგმანი

მიხეილ ლაკერბაი – აუა (რუსულიდან თარგმნა **გუნა სამნიძემ**) 63

ჯრიტიკა, ჯუნლიტერატურა

თამაზ აბულაძე – ისტორიული და გამონაგონი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ 66
ზურაბ ხაბაძე – უსათაუროდ და უმისამართოდ (გაგრძელება) 72

ისტორია

რევაზ უზუნაძე, მერაბ უზუნაძე – ბათუმის წარსულის ქრონიკები (XVII- XVIII ს.ს.) 80

წერილები

მიხეილ მახარაძე – ფრაგმენტები ქართულ ფილოსოფიაზე და ქართველ ფილოსოფოსთა ცხოვრებიდან (გაგრძელება) 93
რამაზ სურმანიძე – „ზღვის ცის“ ქვეშ შობილი გენია 100
თამაზ გენძეხაძე – ვერცხლის საუკუნის უკანასკნელი მუზა 106

ინტერვიუ

როინ აბუსელიძე – ინტერვიუ პოეტთან 109

წუალ ნაუოტი ნაკოჯოლა

ნანო შაინიძე – ლექსები 114
იზა ოსეფაიშვილი – ლექსები 117
ნონა ლატარია – ლექსები 119



ᲛᲔᲠᲐᲑ
ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ᲘᲮᲠᲩᲝᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘ

კვირაზე მეტი იყო, რაც არ მენახა. გამოცვლილი მეჩვენა; უხდებოდა გრძელი, მუხლს ქვემოთ გაჭრილი კაბა. ქუჩაში დიდხანს არ დავყოვნებულვართ. სახლისაკენ რომ მივდიოდით ლილი „მამაოს“ ახალ სამიჯნურო გამოხტომებს მიყვებოდა და სიცილით იგუდებოდა. მეზობელი – ხანშიშესული მღვდელი თავდავიწყებით იყო მასზე შეყვარებული.

– წუხელ მთხოვა, წირვაზე დაესწარიო, – მითხრა ლილიმ, – ეტყობა, ჰგონია, ძალიან ამაღელვებლად გამოიყურება ლოცვად დამდგარი.

– მერე, არ წახვედი?

– თუ გინდა, წავიდეთ, – გადაიკისკისა მან, – ჰოი, რა ელეთმელეთი მოუვა, ერთად რომ დაგვინახავს!

– არა, შვილო ჩემო, – ხმა დავიბოხე, – სჯობს ჩემს სენაკში წავიდეთ. თვითონ ვილოცებ შენი სულისათვის, მხოლოდ... უნდა გამანდო ცოდვანი, ამ ერთ კვირაში ჩადენილნი შენს უნებლიეთ.

– თუ დამნაშავე აღმოვჩნდი, მამაო? – ეშმაკურად მკითხა.

– მაშინ დაგაწვენ მოსანანიებელ სარეცელზე და განვდევნი სიბილწეს შენი ხორციდან.

– ასეთი სარეცელიც არსებობს?

– არსებობს, შვილო ჩემო.

კიბეებზე ესმა შეგვხვდა. მან მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა და თვალი ჩამიკრა.

– სდექ, ანტიქრისტევ, – განვაგრძე თამაში და ხელი ვტაცე, – სახლმმართველი იყო გუშინ თქვენთან... და განაცხადა მან – მოწამემან და იეზუიტმან, რომ თუ ზეგამდე არ გადაიხდით ბინის ქირას, გაძევებული იქნებით ანგელოსთა სამყოფელოდან.

– რა მეშველება! – შეიცხადა ესმამ. – სამ საათზე სადგურზე უნდა ვიყო, სოფელში მივდივარ. იქნებ, შენ შეიტანო, ჰა?

მხრები ავიჩეჩე.

ხელჩანთა მოჩხრიკა და ფული მომაწოდა.

– ბედნიერი მგზავრობა! – მივადევნე უკვე ჭიშკარში ქოთქოთით მიმავალს.

ესმა ჩემი გაჭირვების ტალკვესი იყო. ისეთი შეწუხებული სახით წამოიძახა, – „რა მეშველებაო“, ლილიც კი დააჯერა, რომ ბინის ქირა გადაუხდელი ჰქონდა. რა იცოდა ლილიმ, რომ ის ფული ჩემს გაფხეკილ ჯიბეში მიდიოდა.

კარი გავაღე და ლილი წინ გავატარე.

– აბა, დავიწყოთ დღევანდელი დღის გეგმა, – ვთქვი და დივანზე დავჯექი.

– შენ და შენი გეგმები! – ტუჩი აიბზუა მან, – ათას რამეს შემპირდები და მერე კი... ფაა-ფუ!

– თამრიკოსთან ავიდეთ.

– თამრიკოს ახლა ჩვენთვის არა სცალია, დღე და ღამე რეპეტიციებზეა.

– ესე იგი, არა?

– კი მაგრამ, – ჩაიცინა, – რა საკვირველი კაცი ხარ. სხვაგან თუ აპირებდი წასვლას, აქ რაღაზე მოგყავდი?

სწორი შეკითხვა იყო.

– აქ დავრჩეთ?

– აბა, რა...

„აბა, რა, აბა, რა“, – გავიფიქრე და გონება ისევ ამებნა. აბრა, აბრა, აბა რა... საწოლი, საყვარელი სახის ოვალი, შიშველი სხეული, აბაზანასთან დაყრილი სველი ქოშები, გათენებამდე ერთად... ასე ჯობია... აბა, რა!

ლილი ჩემს პიჟამოში გამოწყობილიყო.

– არ იკეტება, – ვუთხარი, როცა დავინახე, როგორ ჯახირობდა მაცივრის დახურვაზე.

მაცივარს თავი დაანება და ჩემ გვერდით მოიკალათა. ერთი გენახათ, რა ლამაზი იყო. შემცივნებულ ფეხებზე შავი შალის ძველი პლედი აეფარებინა და მონუსხულივით მიმზერდა.

– იცი, რაზე ვფიქრობ?

– ...

– საყვავილესთან როგორ იდექი, იმაზე...

– რა, ლექსის წაკითხვას ხომ არ აპირებ?

– ჯანდაბას ლექსები, – ვთქვი მე, – ლექსები იმ შენმა მღვდელმა გიკითხოს...

დილით ის იყო, ძილის გაგრძელებას ვაპირებდი, რომ კარზე საშინელი ბრახუნი ატყდა. შეშინებულმა ლილიმ კაბა წამოიცვა და კარადას მოეფარა.

– ნუ გეშინია, ანდრო იქნება, – ვუთხარი და კარი გავაღე.

ანდრო შეშლილივით შემოჯლიგინდა. მაგიდაზე დადგმულ კონიაკის ბოთლს ხელი წაავლო და ფსკერზე დარჩენილი სითხე წამში გადაყლაპა.

– ნუ იმალები, – გასძახა ლილის ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუცილებია.

– შენ აღარ უნდა დაჭკვიანდე? – ჰკითხა ფერზე მოსულმა ლილიმ და სიჩქარეში უკუღმა ჩაცმულ კაბაზე გაბრაზებით დაიხედა.

– ვინ მოგცა მაგის უფლება ან შესაძლებლობა, – მოწყენილი ხმით ჩაილაპარაკა „გიჟმა“, – მე კი არა, ჭკვიანები გიჟდებიან ამ ბოლო დროს. მართლა, – მომიბრუნდა მე, – ჩემი და თხოვდება...

– ვისზე? (თითქოს ძალიან მაინტერესებდა).

– გახსოვს... შარშან თეატრში პრემიერაზე გაგაცანი... ერთი სიტყვით, ერთი მუტრუკი ჯეელია: კრეტინი, უნიჭო, უბინაო, უფულო... მაგრამ ლამაზი ბიჭი.

ასეთი ამომწურავი ინფორმაციის შემდეგ სასომიხდილი მიესვენა სკამზე და ხელები თავზე შემოიჭირა: – ვაი, თავო!

– წუხელ სვი, ალბათ?

– რა თქმა უნდა?! – ისეთი გაკვირვებული სახით შემომხედა, თითქოს აქეთ მეკითხებოდა – ეს რა საკითხავიაო.

– დოღზე კიდევ დადიხარ? – მოუტრიალდა ახლა ლილის.

– ...

– ჰო თუ არა? ჰო! ქუმსიაშვილს იცნობდი? ჟოკეის? ჰა? იცნობდი! ჰოდა... გუშინ ცხენმა წიხლი ჰკრა და მოკლა. რა გაიკვირვე? მოკლა, ჰო, მოკლა! კიდევ: ჩემი ნახატები შეისყიდა ერთმა ბიბლიოთეკამ. ნატურმორტი და ორი პეიზაჟი. რა ჭირად უნდათ – ვერ გავიგე! ათასი მანეთი ჩავიჩხრიალე. ექვსასი მანეთი ვალი გავისტუმრე, ას ორმოცდაათი გუშინვე დავამღერე, შერჩენილი კაპიკებით გეპატიჟებით მარანში.

ისე სწრაფად ლაპარაკობდა, დინამომანქანა გეგონებოდა.

– კიდევ, – შემაჩერა მან, როცა დაინახა, რომ რაღაცის თქმას ვაპირებდი.

– არავითარი „კიდევ“, – ხელი მივაფარე პირზე, – წავიდეთ მარანში!

ფეხზე წამოიჭრა და მხედრულად გამეჭიმა;

– არის, რონსარის უმცროსო ძმაო! „ივან!“ – გადასძახა ფანჯრიდან „ვიღაცას“, – ეტლი სადარბაზოსთან! მის მაღალკეთილშობილებას რევმატიზმი აქვს. არ გაგვიცივდეს. წინ!

გამაყრუებელი სიცილ-ხარხარით დაეშვა კიბეებზე. ლილი თან ბრაზობდა, თან იღიმებოდა.

– ნუ შეყარე ქვეყანა, – ვუთხარი, როცა დავინახე, როგორ გვიმზერდა თორმეტი წლის შემკრთალი გოგონა მეზობლის კარის ღრიჭოდან.

დილის შვიდი საათი იყო. ოდნავ წინწკლავდა.

– ულამაზესი წვიმა ეწვია თბილისს, – წამოიწყო ანდრომ, – ქვითინებს ცა და მოგონებებით

მავსებს. მიწას ელვრება წყალი, ბროლივით გრილი, გალობენ წვეთნი სახურავების თავზე...

უცებ ადგილიდან მოწყდა, გაზონებში გადავიდა, რამდენიმე მიხაკი და ფურისულა მოწყვიტა და ლილის მიართვა.

– რომანტიზმს თავისი გააქვს, – მხრები აიჩეჩა მხატვარმა, – რაც არ უნდა პროზაულად გეჩვენოთ, მე მაინც პოეტი ვარ.

– ეგ ძალიან ბანალურად გამოგივიდა, – ქირდვით უთხრა ლილიმ, – თუმცა არც ეგაა მართალი, შენს პოეტურ საფარველქვეშ დამყაყებული პროზა იმალება...

გამეღიმა.

– მაინც... რატომ პროზა? – არ იტყობდა, თორემ, მგონი, მართლაც ეწყინა.

– ბრიყვებთან შედარებით შეიძლება პოეტი ხარ, – განუმარტა ლილიმ, – მაგრამ ბრიყვების პოეზია ხომ ფაქტიურად პროზაა!

– ვერ გავიგე!

– არც არის საჭირო!

– თქვენი „აბსტრაქტული აზროვნება“ ნერვებზე მშლის, ქალბატონო!

– შენ თუ კიდევ შეშლა გაკლია...

ასე ხუმრობა-ხუმრობით მივედით ტაქსის გაჩერებამდე. წვიმამ მოუხშირა, ცა უფრო გაშავდა. ანდრომ საწვიმარი გაიძრო და ლილის მოახურა.

მანქანაც გამოჩნდა, როგორც იქნა.

– მცხეთა! – იყვირა ანდრომ.

მძღოლი შეკრთა.

– ვა, გამარჯობა, ანდროჯან!

– გაგიმარჯოს, სურენ... მიდი, შაუბერე!

მძღოლმაც „შაუბერა“.

– ისევ იქ მუშაობ?

– ნუღარ გამახსენებ, – მიუგო ანდრომ, – იმ ადგილმა ჭირი მოგჭამა.

– რატომ?

– რატომ და... აღარ ვუნდოდი თეატრის დირექტორს. ცუდად აფორმებ დადგმებსო.

ანდრო ცრუობდა. ამისათვის როდი დაუთხოვიათ თეატრიდან. პირიქით, ყველაზე ნიჭიერ მხატვარ-დეკორატორად ითვლებოდა. უბრალოდ, როცა „ჰამლეტის“ პრემიერის შემდეგ მაყურებელმა მსახიობები „ბისზე“ გამოიძახა, ანდროც გამოვიდა, ხალხს მიმართა, – ეს იდიოტობა რამ მოგაწონათო და ყველას შეუკურთხა. ადგილი კი დაკარგა, მაგრამ ამ ამბავმა საკუთარი თავი მოანახვინა. თეატრიდან გაგდებულმა ვერსად იშოვა სამუშაო. დაჯდა სახლში და ხატვას მიყო ხელი. მის შემოქმედებაში პირველად აშკარად იგრძნობოდა სხვათა და სხვათა გავლენა, მერე თანდათან დაიხვეწა, დაიწმინდა და დღეს უკვე კარგ მხატვრად ითვლებოდა. ოცდაშვიდი წლის კაცისათვის ეს არ იყო მცირე რამ.

მარანში ღვინისა და ნესტის სუნი იდგა.

ცოტა რომ შევთვერით, ანდრომ ისევ ამოიდგა ენა:

– წუხელ საყვავილესთან დაგინახეთ. რა წყვილი იყავით!

– ახლა არ ვართ თუ? – გამომწვევად ჰკითხა ლილიმ.

– ახლაზე არ გეუბნები. გუშინდელზე მოგახსენებთ... ჰო, რას ვამბობდი... აი, გუშინ... ისე მომინდა თქვენი დახატვა, ისე, რომ...

– კი მაგრამ, ჩემში რა ნახე ასეთი მომხიბვლელი? – შევაწყვეტინე მე.

– შენში არაფერი, როგორც ყოველთვის, მაშინაც უშნო ჩანდი, მაგრამ... გამომეტყველებაში გქონდა რაღაც... (თავი მაღლა შეიქნია).

– რა რაღაც?

– საწყლური და ძლიერი. ჰო... შეშინებული, საცოდავი და თან ამაყი. რას იტყვით, მართლაც ხომ არ... – (ჰაერში ხელით მოძრაობა გააკეთა, თითქოს ფუნჯი ეჭირა).

– ჯერ ერთი, შენისთანა ნიჭიერი კაცი რატომ უნდა მოცდეს პორტრეტების ხატვაზე...

– ჰე... ხომ არ გგონიათ, რომ... არა, ბატონო! აი, მაშინ ნახავთ, ვარ თუ არა პოეტი. ავიღებ და სიგარეტის კოლოფს დავხატავ, და მხოლოდ ჩვენ, სამს, გვეცოდინება, რომ ეს თქვენა ხართ...

– რატომ მაინცდამაინც სიგარეტის კოლოფს?

– არ ვიცი, ისე ვთქვი... ყოველ შემთხვევაში, ამ კოლოფს სწორი კონტურები არ ექნება... ექნება თვალები და თითები.

– კვლავ ბანალურობის მორევში გადაეშვით, ღრმად პატივცემულო!

– რა აღარ არის თქვენი აზრით ბანალური და გულისამრევი?! – იფეთქა ანდრომ.

– დუ... მი... ლი...

– კი, მაგრამ დუმილის ცნება ხომ ყველაზე უფრო მოძველებული ცნებაა!

– ხელოვნებაში – კი, ცხოვრებაში – არა!

– მე ჩუმად ყოფნა არ შემიძლია, ესე იგი, რა, ტყვია ვიკრა პირში?

– ეს უკვე შენი საქმეა.

– დიდი მადლობა, მაგრამ მე ასეთ სიჩუმეს უნიჭო მედოლის დოლში ჯდომა მირჩევნია...

წარმოვიდგინე – დაპატარავებული, დოლში ჩამძვრალი ანდრო და ხმამაღლა გადავიხარხარე.

– მართლა პოეტი ხარ! – ვუთხარი გულიანად, – რას არ გამოიგონებ, შე წყეულო!

მხოლოდ ახლა, დიდი ხნის შემდეგ, შემიძლია ანალიზი გავუკეთო ანდროს მიერ ნათქვამ სიტყვას და მოქმედებას. მაგრამ ეს არაფერში მარგებს. არც მკითხველს სჭირდება ზედმეტი „ფსიქოლოგიური წვდომებით“ თავის გადატვირთვა. სისულელეა, „ანალიზი“ გაუკეთო მომხდარ ფაქტს, რომლის გამოსწორება უკვე შეუძლებელია.

ასეა თუ ისე, მე მაინც მოგიყვებით, რას წარმოადგენდა ლილი მაშინ ჩემთვის. ყოველ შემოქმედს, რომელიც მეტ-ნაკლებად მეტყველ და ცოცხალ სახეებს ქმნის, სჭირდება ბუნების წიაღში ყოფნა. იმჟამად შესაძლებლობა არ მქონდა ბუნებასთან ახლოს ვყოფილიყავი. ლილი იყო ჩემთვის სწორედ ის ბუნება, რომელიც მაკლდა. რა თქმა უნდა, იგი ისეთი სიმძაფრით ვერ აღძრავდა ჩემს სულში იმ პროცესებს, რომელიც ხელოვანის სულში შეიძლება გამოიწვიოს ბირკებით მოფენილმა ველმა, ბინდში ჩაძირულმა არყის ხეებმა, ან უღრანმა ტყეებმა, მაგრამ ჩემი ლექსისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მელანქოლიურ სინაზეს.

„გიყვარდაო“, – მეტყვით. შეიძლება ასეც იყო. არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მე იგი ჩემი პოეზიისათვის მიყვარდა, რადგან ვგრძნობდი, რომ ლექსების შინაარსი ის იყო, ფორმა კი – მე. ის – სული, მე – გონება. ვერ ვიტყვი, რომელი უფრო სრულფასოვანი კომპონენტი ვიყავით ამ ორეულიდან. ლექსები მარტო ჩემი შვილები როდი იყვნენ. მაგრამ სქესის ამბავი კი ირღვეოდა. ამ შემთხვევაში მე ლექსების დედა ვიყავი, ლილი კი – მამა.

მარნიდან რომ ამოვედით, ანდრომ აიტეხა – გივისთან წავიდეთო.

გივი ჯაზური მუსიკის გიჟი იყო.

საწოლში დაგვიხვდა.

– ისევ ავადმყოფობ? – ჰკითხა ლილიმ და პატარა ბავშვივით შუბლზე აკოცა.

(გივის ღვიძლი აწუხებდა).

– მაიკო! – გასძახა ცოლს, – სკამები შემოიტანე. შენ რა ქენი, გაყიდე ის სურათები?

– კი, – უპასუხა ანდრომ და ავეჯით გადატვირთული ოთახი უნდობლად შეათვალიერა. – „სტერეო“ რა უყავი?

– შენ „სტერეოს“ მოსასმენად მოხვედი თუ ავადმყოფის მოსანახულებლად?

– არა, მართლა რა უყავი?

– რა მესტერეოება ბიჭო, ვკვდები კაცი, – ამოიკვნესა გივიმ და მუცელზე დადებული სათბური შეისწორა, – რამდენი აიღე?

– ათი, სამივეში.

– აბა, მდიდარი კაცი ყოფილხარ, – გამოცოცხლდა ავადმყოფი.

– ვიყავი გუშინ, დღეს შენისთანა პროლეტარი ვარ.

– პროლეტარი კი არა, აფერისტი ხარ... ვალი მოიტა, თორე...

ოთახში მაიკო შემოვიდა და სკამები შემოიტანა. ყოველთვის მიკვირდა, როგორ მოიყვანა გივიმ ეს ქალი. უხვად პუდრწასმული სახე გალაქულივით უპრიალებდა. კოტიტა ფეხებზე ვეებერთელა ქოშები ეცვა.

– მადლობთ, – ვუთხარი და დავჯექი. ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

გივი გაურკვეველი პროფესიის ადამიანი გახლდათ – ხან რომელიღაც ლაბორატორიაში ეწყ-

ობოდა ლაბორანტად, ხან – მუსიკალურ ათწლედში ასწავლიდა, ხან – ყველაფერს თავს ანებებდა და დიდი ხნით უგზო-უკვლოდ იკარგებოდა. ერთხელ ლექსები მომიტანა და დარცხვენილმა მთხოვა, ნახეო. ერთი მათგანი აქამდე მახსოვს:

„მზე გატყდა...
ცხელი, წითელი ცილა
ჩამოიღვარა ვერცხლის სილაზე
აფრიალებულ ალის სინაზედ
განიბნა ყველგან ლალი და ლილა.
ჩამოკრა თითი ქალწულმა ლირას,
და აწკრიალდა ძველი საკრავი...
მწყემსავდა ფარას მდინარის პირას,
სილაში ძოვდა მისი ცხრა კრავი.
ო, მოჩრდილულთა თვალთა ალერსო,
შუქო თვრამეტი ცისფერი სანთლის,
მოდით, ეს დანა კარგად ავლესოთ,
სანამ უფალი სხივებად გაგვთლის.
სანამ ერთმანეთს შევეფანტებით
და ღრუბლებივით განვიფინებით...
მზის და სინათლის თეთრი ბარტყები –
დავიფარებით შავი ფილებით“.

თვითონ ლექსი, პროფესიონალის თვალსაზრისით, დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ მისი სინატიფე, მინორულობა და ლირიზმი ძალაუნებურად გხიბლავდა. როცა ეს ანდროს ვუთხარი, მან ჩაიცინა და გივის ნახატები მაჩვენა. სურათმა „ღამემ“ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს მუქ ფერთა ერთგვარი სიმფონია იყო, დიდი და ჯადოქრული სიმფონია.

ჯაზისადმი გივის დამოკიდებულება ავადმყოფურად მეჩვენებოდა. მისი ოთახი ფირფიტების მაღაზიას ჰგავდა. თან საშინელი ჩვეულება ჰქონდა: მუსიკას ისე ვერ უსმენდა, თუ ორივე დინამიკი ჩართული არ ჰქონდა. მეზობლები აღშფოთებულნი იყვნენ ამ „უმსგავსობით“. საუბედუროდ, გივი მათ აზრს არ იზიარებდა.

– ჯაზი ყველაფერია, – მეუბნებოდა იგი, – როცა კარგ, ნამდვილ ჯაზს ვისმენ, მგონია – ზღვაში ვარ, აუსრულებელ ოცნებათა და ზრახვათა ზღვაში. მერე ერთი რომელიმე ვეებერთელა ტალღა ცაში ამისვრის ხოლმე. ჩამოვიხედავ ტალღიდან და უამრავ სახეს ვხედავ: ათასი ჯურის ნაყარნუყარი ირევა ქვევით: ყველა, ყველა, ვინც პარნასზე აბღოტიალებას თავისი დინჯი, დიდაქტიკური ფილოსოფიით ცდილობს. მათი სახეების შემყურეს ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს შიშველი ვნება ვიყო და ვიხრჩობოდე... არ ვიცი, განგიცდია თუ არა ასეთი რამ... ეს ერთგვარი აღზევებაა ზესთასოფლამდე, ხორციელ ვნებათაგან სრული განწმენდა... ასე გგონია, აგონიაში ხარ, სისხლისაგან იწრიტები, მოითხოვ შველას... და მაინც... ამავე დროს გრძნობ, რომ იმათზე გაცილებით მაღლა დგახარ, ვისაც მშველელად მოუხმობ.

იმ საღამოს ანდრომ თავისი გაიტანა. მასპინძლებს „სტერეო“ ჩაართვევინა, მიუხედავად მაიკოს დიდი უარობისა – აქ ფილარმონია კი არ არისო. მაიკო ცოტათი მეცოდებოდა კიდეც: საიდან არ მოდიოდა ხალხი, რომ გივის ახლად შეძენილი ფირფიტები მოესმინა.

აღარ მახსოვს, რატომ არ მივაცილე იმ ღამით ლილი სახლში. ალბათ, იმიტომ, რომ მანქანაში, რომელიც დიღმისაკენ მიდიოდა, სამი კაცი იჯდა. ლილისა და ანდროს ერთი გზა ჰქონდათ, მე კი იქვე ვცხოვრობდი.

ბარბაცით დავყევი ღაღმართს. ციოდა. ქარი მეეზოვესავით აქუჩებდა ხიდან ჩამოცვენილ ფოთლებს, მერე კი სხვადასხვა მიმართულებით ფანტავდა. ქუჩა ცუდად იყო განათებული და გზას თითქმის სიბნელეში მივიკვლევდი. თავი საშინლად დაცარიელებული მეჩვენებოდა. „ნეტა, რომელი საათია“, – გავიფიქრე და საათზე დავიხედე. ციფერბლატმა უზარმაზარი თვალივით შემომანათა და „სულ ერთი არ არის განაო“, – შემომწიკწიკა. „რატომ არის სულერთი? – ვკითხე გაღიზიანებულმა, – შეიძლება შენთვის სულერთია, ქალბატონო, ჩემთვის კი არა!“ „ო, მე მეგონა, რომ ერთნაირად ვფიქრობთ“, – ისევ სევდიანად მითხრა, ჩემს ადგილას მყოფ რომელიმე რომანტიკულად განწყობილ ადამიანს ნამდვილად გულს აუჩუყებდა. მე კი

ვერ მომატყუებდა, რადგან ბავშვობიდან ვიცოდი, რა ფარისეველიც ბრძანდებოდა.

სახლში შესვლისთანავე ლოგინში ჩავწექი და ოთარ ჭილაძის „დევებით სავსე ქუდის“ კითხვა დავიწყე. ეს ჩემი საყვარელი პოემა იყო. მწყინდა, ავტორს რომ არ ვიცნობდი. „ეს პოემაც ჯაზია, – მითხრა ერთხელ გივიმ, – ერთგვარი ლიტერატურული ცივი ჯაზი“.

არ ვიცი, რამდენად მართალი იყო ჩემი მეგობარი. ყოველ შემთხვევაში, ამ პოემის შინაგანი ხმა ნამდვილად მაგონებდა ჩარლი პარკერის საქსაფონის გოდებას. აქ ადამიანური ვნებები მთლიანად შიშვლდებოდნენ მაყურებლის წინაშე და მათი სხეულები ისეთ დამაბრმავებელ, მტანჯველ შუქს აფრქვევდა, რომ ზოგი მკითხველი მხოლოდ სინათლეს ხედავდა, სხეულის ფაქიზი კონტურები კი შეუმჩნეველი რჩებოდა. გივი მიმტკიცებდა, არავითარი „დამაბრმავებელი სინათლე“ აქ არ არის, პირიქით, – კონტურები ჩანს, შუქი კი არაო. მაგრამ ის სხვა „შუქზე“ ლაპარაკობდა. ვგრძნობდი, ვერ ხვდებოდა, „შუქში“ რას ვგულისხმობდი.

ეს „შუქი“ ჩემს წარმოდგენაში უამრავი პატარა ციცინათელისაგან შემდგარ ნაკადს წარმოადგენდა. პოემის კითხვის ჟამს ეს ციცინათელები სულიერ სამყაროში იჭრებოდნენ და ნათელს ჰფენდნენ აქამდე ჩაბნელებულ ჩიხებსა და გაუვალ ლაბირინთებს.

ასეთი „შუქი“, რა თქმა უნდა, ყველა ჭეშმარიტ პოეტურ ნაწარმოებს ახლავს თან, მაგრამ ამ პოემის ავტორის ვნებათა სინათლე რატომღაც განსაკუთრებით ახლობელი იყო ჩემთვის.

როცა რომელიმე საკრებულოში საუბარი პოეზიაზე ჩამოვარდება, უმალ ვდუმდები, რადგან ვგრძნობ, რომ ამ თემაზე მსჯელობისას მე ჩემი პოეზიის გარკვეულ ნაწილს ვკარგავ. ეს კანონი ყველას მიმართ ვრცელდება (ორატორების გარდა). ლექსზე ან ხელოვნების რომელიმე დარგის ნიმუშზე მსჯელობის ჟამს ჩვენ ჩვენივე სულიერი სამყაროს იდუმალ სიმებს ვეხებით. სიმები ირხევიან და ბგერებს გამოსცემენ. ერთმხრივ კარგია, თუ მსმენელი ამ ბგერების დაჭერას შეძლებს, მაგრამ მეორე მხრივ – ეს ბგერები შენთვის უკვე სამუდამოდ დაკარგულნი არიან, ერთხელ გაიჟღერებენ ჰაერში და... მორჩა.

არ ვიცი, იქნებ, ამისი ბრალი იყო, რომ ანდრო ყოველთვის უკმაყოფილო იყო თავისი შემოქმედებით. უკმარისობის გრძნობა ხელოვანთათვის ნაცნობი რამაა, მაგრამ ანდროს უკმაყოფილება თავისი ნახატების მიმართ უკიდურესობამდე აღწევდა. მაგონდება მისი სიტყვები: სიჩუმეს დოლში ჯდომა მირჩევნიაო. მის ბობოქარ ნატურას მართლაც არ შეეძლო, საკუთარი იდეებისა და ვნებების ნიაღვარად არ დაღვრილიყო. ქვეცნობიერად შეიძლება გრძნობდა კიდევაც, რომ ამით მის ტილოს ვნების გარკვეული ულუფა აკლდებოდა, მაგრამ თავის შეკავება არ შეეძლო.

იქნებ, ისიც უშლიდა ხელს, რომ მეტად ლამაზი იყო. სილამაზე ხშირად დამღუპველია ხელოვანისთვის. მას სრულფასოვნების კომპლექსი უყალიბდება და ვერ ამჩნევს ადამიანის სულში აღძრულ მრავალ რთულ პროცესსა და გარდატეხებს.

მკითხველს არ ეგონოს, რომ წინააღმდეგობაში ჩავვარდით. ჩვენ ვთქვით, რომ ანდროს უკმარისობის გრძნობა ჰქონდა, მაგრამ მას უკმარისობის გრძნობა ჰქონდა დამთავრებული ნახატის მიმართ, თუმცა, მაინც ხვდებოდა, რაღაც რომ გამოეპარა ადამიანსა და ბუნებაში.

უნივერსიტეტთან შევხვდი, სრულიად მოულოდნელად. ეტყობა, ჩემი დანახვა არ ესიამოვნა, რადგან დასთან იდგა. თვალი მოვარიდე, მაგრამ თვითონ დამიქნია ხელი.

– სად დაიკარგე? – გამიღიმა ნაძალადევად.

ქეთინო ცივად მომესალმა.

– მე წავედი, – უთხრა ლილის, – სადილად გელოდები.

ისე უცებ გაგვეცალა, გეგონებოდა, კეთროვანები ვიყავით.

– სადიპლომო დაუბრუნეს, იმაზე ბრაზობს, – წაიბუტბუტა ლილიმ.

– სად დაიკარგე? – გამიმეორა შეკითხვა და ხელკავი გამიკეთა.

– ვწერდი რაღაცებს...

ვარაზის ხევისაკენ ჩავუხვიეთ. ბაღში შევედით. სკამები სველი იყო. როგორც იქნა, ვიპოვეთ შედარებით მშრალი სკამი და დავსხედით. ბაღში სიგრილე იდგა. აგურისფერი ქვიშა ლამაზ კონტრასტს ქმნიდა არყის ხეების შავ-თეთრ ფონთან. მიყვარდა აქ ჯდომა. საათობით შემეძლო თავაწეულს და სუნთქვაშეკრულს ხის კენწეროებით დაფლეთილი ცის ყურება. მეჩვენებოდა, თითქოს მეც არყის ხის ქერქის ნაფლეთი ვიყავი, ძირს ჩამოვარდნილი და მტვერში ამოგანგლული. თითქოს მე ვიყავი ის აბლაბუდა, ჩემი თვალთახედვის არეში რომ გაება ობობას. მეჩვენებოდა, თითქოს მე ვიყავი ეს ბაღი, მთელი თავისი შავ-თეთრი სიწმინდითა და აგურისფერი ბიწიერებით. ლილი რაღაცას მეკითხებოდა. შევხედე. „წავიდე?“ ჩამესმა ბურანში. „წავიდე?“ ჰკითხა მთლიანის ერთმა ნაწილმა მეორეს. მეორე ნაწილი მიხვდა, რომ პირველი მასავით აღარ ფიქრობდა... რაღაც მომხდარიყო. მთლიანობა ირღვეოდა. მაგრამ შეიძლება პირიქითაც იყო – შეიძლება მეორე ნაწილი ფიქრობდა ახლა სხვანაირად...

– შესაძლოა კი არა, ასეა, – აღრინდა უღრმეს უფსკრულში ქვეცნობიერება. რა არის აქ გაუგებარი: პირველი ნაწილის ადგილს იკავებს ბუნება. მეორე ნაწილი და ბუნება ქმნიან ერთგვარ მთლიანობას. ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან უნაზესი და უმტკიცესი კავშირით. პირველი ნაწილი... – აქ ქვეცნობიერება წაბორძიკდა, – ეშმაკმა დასწყევლოს. მაგრამ რა იქნა პირველი ნაწილი.

მიმოვიხედე, ლილი წასულიყო.

– შენი ბრალია, – დავუყვირე ქვეცნობიერებას გაშმაგებულმა, – შენ გააქციე ის მშვენიერი არსება.

– რა ჩემი ბრალია? – ჩაიბურდღუნა ქვეცნობიერებამ, – შენ მას მის თვალწინ ღალატობდი. ამას ვინ მოგითმენს? თანაც – ვისთან?.. ასეთ შეუხედავ ბაღთან...

– ის ვერ დაინახავდა ამას, შენ რომ არ გეთქვა...

– ეს ჩემი ვალი იყო, ხომ არ გავიწყდება, ვინ ვარ?

– კარგი. ასე იყოს. მაგრამ ახლა არც ბაღია ჩემთან და არც ლილი. მე მხოლოდ ერთი საწყალი მეორე ნაწილი ვარ. გააკეთე ისე, რომ კვლავ მთლიანობაში მოვექცე.

– როგორ? – წამოიძახა თვალთმაქცურად, – ნუთუ ფიქრობ, რომ მეგობარს განსაცდელში მივატოვებ? აბა, დახუჭე თვალები...

გამეცინა. ვიცოდი, რომ სულელად მთვლიდა, მაგრამ იმდენად რეგვენი თუ ვეგონე, რომ შემეძლო თვალდახუჭულს მეცადა, როდის მოვექცეოდი მთლიანობაში, არ მეგონა.

– მშვიდობით, ენაჭარტალა ოინბაზო, – ვუთხარი და ბაღიდან გავედი.

– ძალიან ცუდად არის, – კარებშივე შემომაგება მაიკომ, – შემოდი.

– ღვიძლი?

– არა, – ჩურჩულით მითხრა მან და თითი შუბლზე დაიკაკუნა.

ოთახში ფეხაკრეფით შევედი. გივი ისევ საწოლში იწვა. მიცვალებულს ჰგავდა. დამინახა თუ არა, ელდანაკრავივით წამოჯდა და უაზროდ მომაშტერდა. „მართლა აუფრენია“, გავიფიქრე შეძრწუნებულმა.

ერთხანს ასე მიმზერდა მერე მშვიდად გამიღიმა, საწოლთან მიდგმული მაგიდიდან ვეებერთელა საფერფლე აიღო და ისეთი ძალით გამომიქანა, განზე რომ არ გავმხტარიყავი, სულს გამაფრთხობინებდა. სამზარეულოში გავვარდი.

– დილას აქეთია, ამ დღეშია, – წამჩურჩულა მაიკომ და ცრემლი შეიმშრალა.

– მერე, რას უყურებ? – აღშფოთებით ვუთხარი, – ახლავე გამოვუძახოთ სასწრაფოს.

შიშით შემომხედა.

– იქ რომ დატოვონ? – წამოიკნავლა.

გავოცდი.

– აზროვნების უნარი აღარა აქვს, – რაც შემეძლო მშვიდად ვლაპარაკობდი, – იქ დააწყნა-

რებენ, წამლებს მისცემენ: აბა, აქ მარტოხელამ რა უნდა უშველო? თუ გინდა – წაგახრჩოს?!

– მარტო არა ვარ, – თქვა მაიკომ.

ახლაღა შევნიშნე, რომ შუა ოთახში უამრავ ხალხს მოეყარა თავი.

„და არქვა იესომ ლენონს – ისმოდა საწოლი ოთახიდან გივის ღრიალი – რად ისურვე შენის ჰანგით გატოლებოდი ჩემი სამოთხის ანგელოსებსო?! საპასუხოდ გაისმა მისი საგალობელი. და მაშინ ღმერთმა დაუტევა სასუფეველი თვისი და დაუთმო მას“. მერე სიმღერა წამოიწყო.

სამზარეულოში მაიკოს ბიძაშვილი შემოვიდა.

– უნდა წავიყვანოთ, სხვა გზა არ არის.

– მაგრამ თუ წაიყვანთ, მე თავს მოვიკლავ! – უპასუხა მაიკომ.

ბიძაშვილმა მხრები აიჩეჩა და გავიდა.

– თავადო! – გივის ხმა იყო. მივხვდი, მე მეძახოდა. თავი ფრთხილად შევყავი ღიად დატოვებულ კარში.

– რა მოგივიდა, გივი, გენაცვალე, – ვბუტბუტებდი და თან ყურადღებით ვაკვირდებოდი მის ირგვლივ მდებარე საგნებს. როცა დავრწმუნდი, რომ ყოველგვარი საჩხვლეტად, საჭრელად და თავში ჩასარტყმელად გამოსადეგი ნივთი გატანილი იყო, თავისუფლად ამოვისუნთქე და ლოგინთან მიახლოება გავბედე.

– მომიახლოვდი, საქართველოს დიდო სარდალო! – ჩუმად ჩაიხითხითა მან და თვალი ჩამიკრა. გაუბედავად გადავდგი კიდევ ერთი ნაბიჯი. მერე გასაოცარი რამ მოხდა: გივიმ ტუჩებზე თითი მიიდო და...

– როგორ მოგწონს სასჯელიო, – ძლივს გასაგონად მკითხა.

– რა სასჯელი? – შევუბრუნე კითხვა სახტად დარჩენილმა.

– გუშინ მაიკომ ფირფიტები დამიმსხვრია. დღეს ვსჯი...

– ...

ერთხანს გაკვირვებული ვუყურებდი. უცებ ისე გადავიხარხარე, რომ ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყეს.

– შორს არ შეტოპო, – წავჩურჩულე, როცა სიცილის ტალღამ გადამიარა.

– კი, მაგრამ... მაშინ... ის საფერფლე ისეთი ძალით რატომ მესროლე? – ვკითხე ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

– ვერ მოვზომე... – ჩაიცინა გივიმ, – შენ გენახა, დილით სიდედრს რომ დავდევდი... შენი ჩრდილი ვარ-მეთქი.

ისე აღგზნებულად მელაპარაკებოდა, შემეშინდა, მართლა არ გაგიჟებულიყო.

ჰოი, მოწამეო წმინდაო, მოხველ ჩემად ნახვად. ვწევარ სნეული, მღარავენ ცრემლნი... დამსხვრეულ ჰანგად ვიქეცი. დამლეწა უხილავმა ძალამ და დამფანტა, ზღვის სანაპიროზე ვით შევკოწიწდე?! – დაიწყო ისევ, როცა იგრძნო, რომ კარს ვიღაც უახლოვდებოდა. თავს კი იგიჟიანებდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამავე დროს საშინლად განიცდიდა წლობით ნაგროვები ფირფიტების დამსხვრევას. თავის მოგიჟიანება ერთგვარი იარაღი იყო მის ხელში. ახლა მას შეეძლო, რაც უნდოდა ეთქვა და გაეკეთებინა. სწორედ ამიტომ მეშინოდა, ეს როლი არ მოსწონებოდა და დიდხანს არ გაეგრძელებინა თამაში. ვიცოდი, ასეთ თამაშს, რა შედეგიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

– რომ იცოდე, როგორ მძულხარ, – უთხრა გივიმ „ვიღაცას“ და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

ეს უკვე ნამდვილი ცრემლები იყო.

აივანზე ვიჯექი და ვწერდი, უფრო სწორად, დაწერილს „ვაშალაშინებდი“. ნაწერი ურიგო არ იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რაღაც აკლდა. როცა მზე ჩავიდა, მივხვდი, რომ დღეს არაფრის გამკეთებელი აღარ ვიყავი და ტყუილად ვცოდვილობდი. ჩავიცვი და ლილის სახლისაკენ გავემართე. ქეთინო ფანჯრიდან იყურებოდა.

– ლილი არ არის, – მიპასუხა სალამზე.

– მალე მოვა?

– არ ვიცი... შენთან წამოვიდნენ და... – ქეთინო უცებ ჩაფიქრდა. მერე თავი გადაიქნია, თითქოს რაღაც აკვიატებულ ფიქრს იშორებსო.

– როდის გამოვიდნენ?

– ჰა... დილით... ამოდი თუ გინდა, დაუცადე...

– არა... წავალ, ჯობია.

ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილმა გავწიე ანდროს სახელოსნოსაკენ. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. კარგა ხანია, ასე არაფერს ავუღელვებივარ.

სახელოსნო დაკეტილი დამიხვდა. გადავწყვიტე, ანდროს დავლოდებოდი. იქ იძინებდა ხოლმე. „ფილმის მთავარი გმირები – ის, ის და იგი“, – ვფიქრობდი მე. „ფილმის სცენარისტები – ის, ის და იგი“. ვერაფრით მოვიშორე გონებიდან ეს – „ის, ის და იგი“.

„წადი სახლში“, – ვეუბნები ჩემს თავს, რადგან ვხედავ, როგორ მიცახცახებს ხელში ანთებული ასანთის ღერი, რომლის გამშრალ ბაგეებზე მიმხმარ სიგარეტთან მიტანას ვცდილობ.

სახელოსნოსთან ორი ლანდი აიტუზა. ვიცანი. უაზროდ მივბარბაცებდი.

– რატომ დამიმსხვრიე ფირფიტები? – ვკითხე მაღალ აჩრდილს და თავი ჩავქინდრე.

თითქმის ერთმა წელიწადმა ჩაიარა ამ ამბის შემდეგ. მთელი ამ ხნის განმავლობაში სახლში ვიჯექი. იშვიათად თუ გავიდოდი გარეთ. ფანჯრიდან ვაკვირდებოდი, როგორ ცვლიდნენ ერთმანეთს წელიწადის დროები. ეს ერთგვარად საინტერესო იყო და მომაბეზრებელიც. ჩემი ერთადერთი გამრთობი ესმა იყო. საღამოობით ჩუმად შემოიპარებოდა ჩემთან, – მშობლებს ვუთხარი, ისევ თეატრში მივდივართ, – ეშმაკურად მეტყოდა და იწყებდა გაუთავებელ ლაქლაქს – ვის ვინ მოსწონს, ვის ვინ ეჯავრება, ვინ გარდაიცვალა... და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით – ოთახიდან გაუსვლელად ვიტყობდი მთელი თბილისის ჭორებს. ჩვენ შორის და-ძმური განწყობილება სუფევდა. ეს შეიძლება ცოტა უჩვეულოდ მოგეჩვენოთ. როცა ოთახში ქალი და მამაკაცი ერთმანეთის პირისპირ რჩებიან, ძალაუნებურად... სხვა რამეზე იწყებენ ფიქრს.

ასეთი წუთები ჩვენ შორისაც დგებოდა. მაგრამ ამ დროს ან მე მოვიმიზეზებდი, – მეძინება-მეთქი, ან ის ადგებოდა და უსიტყვოდ გავიდოდა. როგორც კი ოთახიდან გავიდოდა, იმ წუთიდანვე მავიწყდებოდა მისი არსებობა და ისევ ანდროზე და ლილიზე ვიწყებდი ფიქრს, რომლებიც ახლა ერთად ცხოვრობდნენ. ესმასგან გავიგე, რომ მალე სამხატვრო სალონში ანდროს სურათების გამოფენა მოეწყობოდა.

სალონში მისვლისთანავე მივხვდი, რა სისულელესაც ჩავდიოდი.

დარბაზში მსხდომმა ხალხმა ერთბაშად ჩემკენ მოიხედა.

გივიმ ვერ შემამჩნია. ის გაფაციცებით უგდებდა ყურს მიკროფონთან მდგომი გერმანელი სტუმრის ლაპარაკს. ბოლო სკამზე დავჯექი. ყოველი მხრიდან მესმოდა გაცხარებული ჩურჩული. ფანჯრის მინაში ჩემს გამოსახულებას მოვკარი თვალი. ახლაღა შევნიშნე, რომ საშინლად ჭუჭყიანი, ძველი და გაცვეთილი კოსტიუმი მეცვა. წვერი საკმაოდ წამომზრდოდა, თმები ამბურდვოდა და გამზეთვოდა...

გერმანელის შემდეგ სიტყვა ქართველმა პროფესორმა აიღო.

ამ კაცის გემოვნებას ვენდობოდი. გადავწყვიტე, ყური დამეგდო. როცა მოხუცმა პროფესორმა განაცხადა, – სურათი „გაზაფხული“ – მოვლენაა ქართულ ფერწერაშიო, ანგარიშმიუცემლად წამოვდექი და ნელი ნაბიჯით გავემართე ხსენებული სურათისაკენ.

დარბაზს ყრუ დრტვინვამ გადაუარა. მერე ერთბაშად ყველაფერი დადუმდა და გაიყინა.

უხმოდ მივჩერებოდი სურათს. მხატვარს ნაკადულში ჩაყრილი მიხაკები დაეხატა. სისხლის წითელი ლაქებივით ჩანდნენ ყვავილები უჩვეულოდ გამჭვირვალე წყლის ზვირთებში. თემა თითქოს გაცვეთილი იყო, მაგრამ როცა დააკვირდებოდი – შეგზარავდა მისი სიცხადე. ნამდვილი ყვავილები ფეთქავდნენ ტილოზე, ითხოვდნენ შველას, სასოწარკვეთილნი ებღაუჭებოდნენ ერთმანეთს. მომეჩვენა, რომ ტალღები დაიძრნენ და ჩემსკენ წამოვიდნენ.

„ვიხრჩობით“, – უსიტყვოდ მეუბნებოდნენ მიხაკები, – „ვიხრჩობით გაზაფხულზე, ამ პატარა ნაკადულში“.

უეცრად მთელი ჩემი აღგზნება გააფთრებაში გადავიდა...

მივხვდი, რომ ეს ჩემი დახატული იყო. ანდრო ვერ შეძლებდა ამგვარად ხატვას. ზურგზე ვიღაცის ხელი ვიგრძენი. გველნაკბენივით შემოვბრუნდი. ჩემ წინ წვერებცანცარა გერმანელი იდგა და რაღაცას წარბშეკრული მეუბნებოდა.

ისევ ნახატს მივუტრიალდი. სიშმაგე თანდათან იმატებდა ჩემში. ვხვდებოდი, რომ ლილის გავეძარცვე. სწორედ ის ვნებები მოეპარა ჩემთვის, მხატვარს რომ მიხაკებად ექცია და უდიერად გადაეყარა ნაკადულში.

იხრჩობოდნენ ჩემი ვნებები!

მხატვარი ყველას თვალწინ დასაღუპად იმეტებდა მათ...

– მაშ, ჩემი ვნებების უმწეობით ტკბებით! – დავუყვირე დარბაზში მსხდომთ, – თქვენ მაინც არ გაყურებინებთ.

ახლაც ვერ მომისაზრებია, როგორ მივწვდი იმ სიმაღლეზე დაკიდულ ნახატს, რომელსაც ერთი წამის შემდეგ გაშმაგებით ვსერავდი მისივე საფარი მინის ნამტვრევებით, ვგლეჯდი კბილებით, ვხევდი, ვწეწავდი, ვანადგურებდი!

მერე მახსენდება ხელები... ასობით ხელი, რომლებიც დაუნდობლად მცემდნენ სახეში, გულმკერდში, ზურგში...

ამ ხელებს ეგონათ, რომ ჯალათს სცემდნენ...

მე კი ისინი მეჩვენებოდა ჯალათის ხელებად...

ვაჟა ოთარაშვილი

ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 200 წლისთავს

ციკლიდან: „ტატოს (ნიკოლოზ ბარათაშვილის) და ეკატერინე ჭავჭავაძის მიმოწერის პოეტური ჰიპერბოლები...“

წერილი 1
ტატოს წერილი განჯიდან კატინას... 1845 წ.

იცი, კატინა, ჩვენს სამშობლოს ყოველდღე კლავენ...
ვერც შენა გშველი, სანატრელო, ვერც – საქართველოს...
მტერს რომ შეეძლოს, მოგვკვეთავდა ორივე მკლავებს,
რომ უფრო უკეთ წაგვაქციოს, გვჯიჯგნოს, გაგვთელოს...
გაჯავრებული განჯაში ვარ... ჯანზე ვერა ვარ...
ჯილდო რად მინდა ან მეფის და ანდა ნაცვალის...
მიდის ზაფხულიც... მზემ მინდვრები გააქერავა...
და იბერია იყიდება მარცვალ-მარცვალად...
შენ ტფილისში ხარ, სიცხიანი, ვერაფერს გშველი...
ვერ დავეხსენი განჯასა და ჩინოვნიკობას...
არადა, როგორ მენატრება ჩურჩული შენი...
არაგვის პირი... მაწვნის ქილა... ხარი ნიკორა...

წერილი 2
ბარათები განჯიდან...

ო, სამეგრელოს დედოფალი სევდით აივსო –
თვალში ბრწყინავენ ცრემლისფერი ბრილიანტები...
თურმე მგოსნების ტრფობა არის მუდამ სარისკო,
რადგან ნაღველი ნისლებივით არ იფანტება...

რადგან პოეტის მარგალიტებს ბევრი ვერ იტანს...
ცოფიან ძაღლებს გააგიჟებს რითმების კონა...
დაუნდობელი ბრბო ჩაქოლავს კვლავაც მარიტას,
რადგანაც სულით ამაყია და არა მონა...
ჩემი კატინა დედოფალი აივსო სევდით...
მე კი განჯიდან მის მაგივრად ბარათებს გწერდით...

წერილი 3
ტატო ეკატერინეს...
(ხალხურ მოტივზე)

მკერდში მიპყრია ტრფობისგან პირგალესილი დანები...
რიყეზე ჩაველ, ვთევზაობ... ბადეს მე თვითონ გავები...
არც თავი მახსოვს, არც ბოლო და აღარც სახლის კარები...
სულ მელანდება კატინა... მწვავს მისი ცეცხლის ალები...
ქამარ-ხანჯალზე მკიდია – ნახიჭევანის ქალები...
ამინთე ერთი სანთელი – ავაზისა მაქვს თვალები...
არც ჩემებრ ვინმეს უყვარხარ... არც ჩემებრ შაეყვარები...

წერილი 4
ტატო ეკატერინეს სააკაძეზე
ანუ დაღამება დიდი მოურავისა...

შენ მეკითხები: სააკაძე რისთვის გაწირეს?
არადა, იყო უშიშარი, ქველი, უბრალო...
გოლგოთისაკენ მიდის მისი ტანჯვის გზაწვრილიც,
რომ შეჰღაღადოს: „მომიხსენე, ჩემო უფალო!...“
განჯა-ნახჭევანს გადუარა მისმა მერანმაც...
ფეხქვეშ გათელა ერევანიც, დელიც, ბაღდადიც...
მაგრამ მის დიდ გულს, მხოლოდ ქართლის ტრფობა სერავდა...
და გმირის თვალებს ალეპოში ამოაღამდა...
ეჰ, კატერინა... ქართველობას ბევრჯერ მოუვა
მსგავსი შეცდომა... რადგან შური ჩვენი დაღია...
განჯას ვიხსენებ შვილშეწირულ მამაც მოურავს
და რაც ახლა გვჭირს ივერიელთ – ჩვენზედ ახია...

წერილი 5

* * *

სულ მენატრება ბაზალეთის ტბის სარკე,
შენი დამფრთხალი, მაგრამ ბავშვური მზერა...
ახლა არ მძინავს და მერამდენედ ვარკვევ –
ჩემი ბედი ხარ, ნეტა, თუ ბედისწერა...
ვწევარ განჯაში... ოცნების კოშკებს ვაგებ...
ალბათ, ანანურს ჟინვალი არტყამს ალყას...
ვიცი, სიზმარში კვლავ დაგიკოცნი ბაგეს –
ხევსურებივით სიზმრებს უფროსი არ ჰყავს...

წერილი 6
პეტერბურგის რუხი კედლები... 1882 წ.

ცივია, კატინ, პეტერბურგის რუხი კედლები...
და გენატრება ორთაჭალის მწვანე ბაღები...
სამშობლოს მიწას ვერაფერი ვერ შეედრება –
იქ, მტკვრის ნაპირზე, ძველებურად გაილაღებდი...
აქ, ნევა ნელა იკბინება ნესტით და ნისლით...
მამულის ნისლი კავკასიონს სხვაგვარად ხატავს...
მე ზეცაში ვარ... ცრემლებს შენთან წვიმებად ვისვრი
და ჩვენი ცრემლით იმოსება დედოფლის ფატა...
როგორ დაგტანჯეს... დაგამცირეს... გაცრემლიანეს...
მაგრამ ამაყ სულს ვერ მოდრეკენ ავი ქარები...
მე შენთანა ვარ... და შენ გვერდით მუდამ ვხმიანობ –
ჰო, აქ ვარ... ოღონდ, გამოაღე გულის კარები...

წერილი 7
ტატოს წერილი ზეციდან კატინას... 1882 წ.

მიყვარხარ, კატინ... ჩემი სული შენ დაგტრიალებს
და პეტერბურგის თეთრ ღამეებს ერთად ვათენებთ...
რა არის მაინც ჩვენი ბედი – ოხერტიალი,
რატომ გვშურს ყველგან ერთმანეთის, ნეტა, ქართველებს...
ო, როგორ მინდა, ძველებურად მოგესალბუნოს
ჩემი ლექსები – ჩემი ტკბილი იადონები...

გახსოვს, სალონში რომ ვისწავლეთ ცეკვაც, ფრანგულიც...
საოცარია – აქ, სულეთშიც, შენ გემონები...
გძინავს, კატინა... გულნატკენი სიზმარშიც შფოთავ...
ისევ შენ უნდა ამოხვიდე სულეთში ჩემთან...
„ვეფხისტყაოსანს“ როცა წერდა დიადი შოთა –
ეჰ, თამარ მეფის როგორ სურდა, ნეტავი, შერთვა...

წერილი 8
წვიმა განჯაში... 1845 წ.

წვიმამ ამიწვა ხელისგულები,
რადგან მეგონა შენი ცრემლები...
აჰა, ყაყაჩოს თაიგულები –
მიყვარხარ, კატინ, შემოგევლები...
ჩემი ლექსები რომ მოგაბარე,
ეგ ჩემი სულის ნაპერწკლებია...
ნინო რასა იქმს? ანდა – ბარბარე?
ცას ვარსკვლავებად თუ აწვებიან...
ბარათაშვილი გიგზავნი ბარათს,
დამღალა განჯამ, სიშორის დარდმა...
.....
სიტყვა – დროსა და მანძილს დაფარავს,
რადგან მერანი არავის ჰგავდა...

წერილი 9
განჯის ციება... 1845 წ.

განჯაში ისევ ჩამოწვა ნისლი,
მტანჯავს ციება... გარეთ წვიმა ცრის...
ვწევარ დაჭრილი ნატვრების ისრით
და ღამეც ბოლო ტყვიას მიმაცლის...

წერილი 10
ექსპრომტი სამეგრელოს დედოფალს...

მეც ზღვა-ზღვა უნდა მეარა,
მაგრამ განჯის გზებს შევაცვდი...
შენც სხვა იპოვე, მე – არა,
თუმცა ერთმანეთს ვერ ავცდით...

წერილი 11

* * *

ისე წყნარად... უბრალოდ, მომენატრა შენი ხმა...
შენს ხატებას ვუგალობ – ღაწვზე ცრემლი შემიხმა...
განჯას ჩინოვნიკური საქმე აღარ მომცილდა...
თითქოს მანდ ვარ... გიყურებ, რომ ბრუნდები ლოცვიდან...
ჩემთვის აღარ გცალია სამეგრელოს მთავრის ცოლს...
ქმარი? მაინც ქმარია – მსურს დუელში გავიცნო...
მაპატიე, კატინა, ჩემი მკვახე ბარათი...
იქნებ, გული გატკინე – ტრფობა არის მარადი...

წერილი 12
ვარსკვლავ(თ)გოგონა

ბავშვი ვუშლიდი როცა ცას მკლავებს –
არა სწყდებოდა ზეცას ვარსკვლავი...
დღეს კი მოწყვეტილს ვითვლი ვარსკვლავებს,
შემიპყრობს სევდა ხან გულსაკლავი...
და ამღვრეული ღრუბლების იქით,
შენი ვარსკვლავი თურმე მიცდიდა...
განჯიდან მოვქრი ლამაზი ფიქრით,
გამოქცეული ცოდვილ მიწიდან...
შენა ხარ ჩემი ვარსკვლავ(თ)გოგონა
და შენს კულულებს შევეხო უნდა...
ეს ცრემლი – არა, ლექსი მოგორავს
და შეჩერდება მაგ ლამაზ გულთან...

წერილი 13
ორი მარტვილი... 1882 წ.

ბარათაშვილის სულის ჭრილობებს –
კურნავდა მხოლოდ ეკატერინე...
ტატოს ნუგეშისცემას ცდილობდა –
ოხრავდა: „ლექსებს მე ვაწერინებ...“
და მუდამ იყო ტატოს იმედი –
ეომებოდნენ ორნი ყორანებს...

როცა გაუწყდათ სულის სიმები კვნესდნენ:
„ძვირფასო... კარგო... mon ami...“
„ცარსკოე სელოს“ ყინვიან ღამეს,
ორი მარტვილის ვარსკვლავი ენთო...
მერე გაფრინდნენ სამშობლოს მხარეს
და მთაწმინდაზე ჩამოიღვენთენ...

14
მომაკვდავი ტატოს წერილი კატინას 1845 წ.

ვკვდები, კატინა...
ვაგლახ, რომ ვკვდები...
განჯის ქუჩებიც მიაქვთ ყაჩაღებს...
ორბელიანთა ლამაზი დების
ნაზ ღიმილს ვინღა შემომაჯახებს...
დამიტირებენ შენი თვალები,
თუ გამწირავენ ქმართან მალულად...
ეკა, გიკვდები... არ გებრალები?...
სიკვდილი უკვე შემოპარულა...
„შავი ყორანი გამითხრის საფლავს“ –
28 წლის ვარ... ჩემი ბედისა...
.....
პოეტის შუბლზე დაფენილ დაფნას
სამშობლოს მიწა გვიან ეღირსა...

ეკა კვანტაღიანი

ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 200 წლისთავს

ციკლიდან: „ტატოს (ნიკოლოზ ბარათაშვილის) და ეკატერინე ჭავჭავაძის მიმოწერის პოეტური ჰიპერბოლები...“

წერილი 1
ტატოს (განჯაში) ეკატერინესაგან... 1844 წ.

ჩინოვნიკობა შენი ვალია,
მამულის კალთებს მოგწყვიტეს ძალით
და ჩემი გული შეუვალია,
ვარ სამეგრელოს სამეფოს რძალი...
მიჯნურობა კი წმინდა, უმწიკვლო –
გულის სიღრმეში რომ მოვათავსე,
მხოლოდ ჩემია და ერთი მწიკვიც
სხვას არ ეკუთვნის... ავწიე თასი...
ამ ტრფობის სასმისს არ უჩანს ძირი...
შენი სიცოცხლე და დღეგრძელობა...
ძვირფასო, თუნდაც გეცვას მუნდირი,
პოეზიაა შენი ხელობა...

წერილი 2

* * *

ტაძარში ვარ და შენს ნახვას ვნატრობ...
მღვდელი ხატთან დგას... საკმეველს უკმევს...
მაგონდება შენი თბილი: „კატო“...
რაც წახვედი, წელი გადის უკვე...

დედოფლური უნდა მქონდეს მზერა...
ვინ კითხულობს, რა სიმძიმეს ვზიდავ...
რა ხანია, გული დაისერა –
შენს რითმებში გადმოვსახლდე, მინდა...

წერილი 3
ღვინო წითელი (ტატოს...)

წინანდლის ბაღი... სტუმრები... ლხინი...
რა მოუსვენრად ვიყავი ერთობ...
შენ მოხველ... და, ვით წითელი ღვინო –
სისხლი აჩქეფდა, გულს შემოენთო...
დამძიმებული ჩანდი ფიქრებით,
თან პოეზიის გდევდა სურნელი...
ოდესმე, ნეტა, შენი ვიქნები?...
ოცნების სიო ქროდა სულ ნელი...
შენი ხმის ტემბრით ივსება სმენა,
მოგონებების ალყა მარტყია...
ფურცლებს გადავშლი, ვკითხულობ „მერანს“
და გული შენი – ლექსებს ატყვია...

წერილი 4
ეკატერინე ტატოს...
(გულისტკივილით გიორგი სააკაძეზე...)

ჩემო პოეტო, აღნიშნე სწორედ,
როდის ყოფილა განა მარტივი,
მამულისათვის ცეცხლში იწვოდე
და საკადრისი გეზღოს პატივი...
გამოხდა ხანი და ისევ ტატო,
ვინც დაიტირე „ბედი ქართლისა“...
სააკაძეთა ვარამზე დარდობ,
ერმა სიმართლე რომ არ აღირსა...
იბრძოდა მუდამ ხმალაღმართული,
შვილიც სამშობლოს მსხვერპლად შესწირა...
გულში უჩქეფდა სისხლი ქართული,
ვით სვეტიცხოვლის ლოცვა და წირვა...
გადაგვიხვეწეს დიდმოურავი,

როგორც ქართველებს მუდამ სჩვევიათ
და თუ დროება დაგვიდგა ავი,
ჩვენივე შურის ანარჩევია...
ორგულობაა ჩვენი დამყოფი...
არ იშურებდა სულსაც, არადა...
რა იქნებოდა განა მარტყოფი –
უ-მოურავოდ... ანდა, – მარაბდა...
სამშობლოსათვის იწყვეტდა ილაჯს,
ხმლით სურდა ქვეყნის მტრისგან წამლობა,
ვალად გვედება მის ჯიშს და ჯილაგს –
სიმართლე ვუთხრათ შთამომავლობას...
სააკაძის გვარს დიდებას მატებს
დრო... გამოიტანს სანდო განაჩენს...
ვინ გმირი იყო... ვინ – მოღალატე...
ქართველი ერი იტყვის დანარჩენს...

წერილი 5
ჩემი საყურე...

აღარ გიხდება მანდ განჯის ჰავა,
მომნატრებიხარ, ჩემო პოეტო...
აქ უშენობით ეს წელიც გავა...
გულს ცეცხლის ალი ისევ მოედო...
იქნებ, უშველო დარდს გამოწვეულს,
უშენობით რომ არ მინელდება,
ან გვინახულე ზაფხულში... წლეულს...
თორემ ზამთარი გამიძნელდება...
თეთრი საფარი მთებს როგორ შვენის,
გზას განჯისაკენ ისევ გავყურებ...
ჩრდილივით კრთის და ირხევა შენი
თვალშენავლები – ჩემი საყურე...

წერილი 6
ეკატერინე ტატოს - ნიშნობის წინ...

ჩაუვლის ვიწრო გზა ტფილისში შაითან ბაზარს...
ხის აივნები, ჩუქურთმებით სავსე კარები
გადმოჰყურებენ ჭრელაჭრულა ნივთების ნაზავს...
ფარჩა-აბრეშუმს გადმოფენენ სოვდაგარები...

დილის ხმაური არა სწვდება მის გულის ჭმუნვას,
მეტეხთან შედგა... სიონისკენ გამოიხედა...
ჩამოუქროლა ფეხშიშველმა გვერდით ბიჭუნამ...
ქვა მოისროლა მტკვარზე, როცა დრო მოიხელთა...
მიუახლოვდა ჭავჭავაძის სასახლის ტალანს...
ეკატერინემ გაიფიქრა: „ტატომ გაიგო...“
იქვე, კუთხეში, რომანსებზე მღერის გიტარა...
სალონის კარი მძიმედ, მაგრამ ნელა გაიღო...
უფერული და ნაღვლიანი ამბობს პოეტი:
„მესმა ნიშნობა ჭავჭავაძის – დადიანებთან
და მოსალოცად ამ ამბისა თქვენთან მოვედი...
არ დავიჯერე, ჩემი კატო ნუთუ დანებდა...“
ჩამოუგორდა ვარდისფერ ღაწვს ცრემლის ნაკადი,
მოდიხარ ჩემთან გულში დარდის და ეჭვის სრბოლით...
ჩემს ნახვის სურვილს, ეჰ, პოეტო... ვერ გაუმკლავდი –
თუმცა შენსავით დავრჩენილვარ „სულით ობოლი...“

წერილი 7
პასუხი ტატოს...

მოვალეობამ მიმიყვანა საკურთხეველთან...
მამის ოჯახის მოვალე ვარ, თავს მიტომ ვუხრი...
ეკლესიაში მაგონდება წინანდლის ველთან –
მომართვი ლექსი და სანთლები ლოცვაზე მწუხრის...
დამაქვს შენდამი სიყვარულის გრძნობა მგზნებარე...
დილის მზის სხივი ეფინება ტაძარში ფასადს –
მერე დედოფლის მძიმე გვირგვინს ააელვარებს...
განა კი ღირდა ყოველივე ამ ტანჯვის ფასად?...

წერილი 8
ეკატერინე ტატოს... პეტერბურგიდან... 1882 წ.

ღმერთო, ოდესმე ტკივილი თუ გამინელდება,
გადასწოლია კავკასიონს ნისლის მკლავები...
გულს მწველი ცეცხლი სხივებივით ნელა ედება –
მზე ამოცურდა ჰორიზონტზე თავშეკავებით...

აქ, პეტერბურგში, ეს სასახლეც არის დილეგი...
ფერმკრთალდებიან ჩრდილები და სანთლების ალი...
დაქირქილებენ გზის გასაყარს ქარები შლეგი,
გადავიკითხე შენი ლექსი, როგორც მორალი...
მახსოვს, მივდივარ და მოძღვარი გვლოცავს – გვაკურთხებს,
თუმც პეტერბურგის გზა ძნელია და სანაწერო...
ეს მერამდენედ შევეხები რვეულის კუთხეს,
სადაც ვიპოვე შენი ხელით ამონაწერი...
ბედმა ტკივილი მარგუნა და რაა წამება...
მეც შენთან მოვალ... რჩება მხოლოდ შემოქმედება...
საქართველოსგან გული ვერვინ დაანაწევრა –
სისხლისფერ სხივებს აელვარებს თეთრი ქედები...

წერილი 9
ბარათი განჯაში...

– ეჭვიანობო... – მიბრაზდები, ვდარდობ როდესაც,
გულის ქარაფზე შემოდგება სევდის არჩვები...
და მაინც მიმქრალ მთვარის შუქის ფერი ცას ედო,
რადგან ბარათი მოდის განჯას... მე კი აქ ვრჩები...

წერილი 10
ჩემს მგოსანს... (დასავლეთის ზღვის სურნელება...)

ტალღა ნაპირზე დამდნარა...
ტალღებს გაურბის ნაპირი...
ხან საღამოა ნარნარი,
ხანაც კი წვიმას აპირებს...
ცრის... გადაიღო... ისევ ცრის...
გამოაშუქა მერე მზემ...
ვერ გამიგია მე ამ ცის...
ტალღა – მოცურავს ცერებზე...
პალიტრა ფუნჯით ვაჯერე –
ფერები გაგიზიარე...
შენამდე, ტატო, არ გჯერა?
ზღვა ფეხით გამოვიარე...

წერილი 11
შეკითხვა ტატოს განჯაში გამგზავრების წინ...

ვიგონებ სიტყვებს სითბოთი ულევს...
ვუმზერ შენს მოძღვნილ ყვავილის ღეროს
თვალები ცრემლით რად არის სველი –
თუ მზად მაქვს სული ტრფობით გიმღეროს?
გული დარდისგან ისევ ილევა,
ქარს მოაქვს ძველი სურნელის მტვერი...
მერმე ოცნების მწვერვალზედ აველ –
არგვისპირა გამოჩნდა ტევრი...
და დასასრული არა აქვს პასუხს...
გრძნობა შმაგდება, ეჭვები მკვნეტენ...
შემოდგომაა... გავუძლებ ამ სუსხს?
ვიცი, გიყვარვარ... ტატო, მიმეტებ?...
ნუ წახვალ!... გულში კრთება ზმანება
მსურს ბარათები ზედ გულზე ვწერო...
არ მინდა, შენი ეს გამგზავრება –
ჩვენთვის რომ გახდეს საბედისწერო...

წერილი 12

აქამდე ვიყავ დედოფალი სამეგრელოსი
და თურმე მხოლოდ ყაყაჩო ვარ მწვანე მდელოსი...
ტატომ მერანი გააქროლა განჯისკენ ახლა...
სასახლეში კი მგზავრობიდან ქმარი მეახლა.
ჩემს ბუდურში ლექსებია– ხელი არ ახლონ!...
დავდივარ სევდით... დადიანთა დგას სამოსახლო...

წერილი 13
სახელი ერთი... („ტატო...“)

მე უშენობით მარტო არა ვარ –
როცა მიდიხარ, სევდასთან მტოვებ...
გამომიგზავნი ლექსის ქარავანს
და გამოატან რითმათა რტოებს...

დამყვება გულში სახელი ერთი –
ამ ცენტრის ირგვლივ ბრუნავს ორბიტა...
გული ივსება სინათლით ერთობ,
რადგან სიყვარულს ლექსად მომიტან...

14
ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის გარდაცვალება განჯაში... 1845 წ...

საყდარში იყო ჩუმი გალობა,
განჯაში ქროდა ქარი, ძლიერი.
ესვენა... ტაძარს სთხოვდა წყალობას,
ნეშტი პოეტის და ღვთისნიერის...

ვერ დაიტირა სატრფომ ობოლი,
არ რეკდა ზარიც ქაშუეთს მწუხრის...
უერთდებოდა ცრემლები რბოლით,
სამშობლოს გარეთ ქართველთა წუხილს...

იწვა პოეტი... უკვე ციოდა,
ლექსი იწვოდა სანთლის ცვილებად...
წვიმას ცრემლები მიტომ ცვიოდა –
უცხო მიწაზე მიაცილებდა...

შორს, სასახლეში, ტიროდა ქალი...
პოეტის სული მზისფერ ალებად
ცაში მიჰქროდა თავისუფალი
და საქართველოს დასტრიალებდა...

მაგდა კოტრიკაძე

იყიდება იაფად!

დიდ საბარგო მანქანას ამშვენებს აბრა, „იყიდება ქართული მიწა იაფად!“ მიკიტანივით გასიებული კაცი დაჰფოფინებს მყიდველებს, თან ომახიანად გაიძახის: – აქეთ მოდით, აქეთ! იაფად-მეთქი, ზემლია იზ გრუზიი, იზ სოლნეჩნოი გრუზიი!

– პა ჩომ? – ეკითხება კურნოსა ქალბატონი გამყიდველს და უღიმის.

– დიოშევო. – გატეხილი რუსულით მიუგო მიკიტანმა.

მიაწოდა ქალბატონმა ხუთი მანეთი და ერთი ტომარა აავსებინა.

– დავოლნი? – ეკითხება მერუსულე ქალს.

ის გაოცებულია უადგილო ადგილას დასმული ინტონაციის მახვილით და ისევ ღიმილით შორდება იქაურობას.

ყველა ბედნიერია, მყიდველიცა და გამყიდველიც. გულიანად ხარხარებს მიკიტანი, მაყურებლები და მსურველებიც ბევრი აღმოჩნდა. მიწა სულ ცოტა დარჩა სატვირთო მანქანაში. გამყიდველი გადაღლილი ჩანს და არც მყიდველი ეტანება ორიოდ ტომარა მიწას. საყოველთაო ბაზრობა დამთავრდა, ირგვლივ ყველაფერი მიმოფანტულია ბინძური ქაღალდებით, გათანგული სახეები ილანდება სახტად, გამყიდველები ალაგებენ დღეისათვის დაწუნებულ საქონელს. მოულოდნელად მათხოვარი მიუახლოვდა სატვირთო მანქანას, მას გულზე ქაღალდი აქვს გაკრული წარწერით „პამაგიტე, ია გოლოდენ!“. იგი მიაჩერდა მიწის გამყიდველს და ცრემლიანი თვალები წარწერას მიაპყრო. „იყიდება ქართული მიწა იაფად!“ „იყიდება?“... ეს ბოლო სიტყვა ხმამაღლა წარმოსთქვა. მათხოვრის ხმამაღალმა ფიქრმა შეაწუხა გამყიდველი, რომელიც უღირს მყიდველს უტეხად უყურებს და საცაა ეცემა, რათა გააგდოს მისი ძვირად ღირებული სატვირთოს ტერიტორიიდან.

– რა ღირს მიწა?

– ყველა ქართველი მათხოვარი როგორ უნდა იყოს! მოდი სალათა და ყველი მაქვს, შეჭამე! შესთავაზა გულკეთილმა გამყიდველმა.

– რა ღირს მიწა? – დაჟინებით კითხულობს მათხოვარი.

– ტომარა ხუთი მანეთი, ყვავილებისთვის გინდა? – გადაიხარხარა გამყიდველმა.

მათხოვარმა ცრემლი მოპარული ნივთივით დამალა და მკაცრად შეხედა მევახშეს.

– რამდენი პარკი დაგრჩა?

– სამი! – მიუგო ჭამა-ჭამით.

მათხოვარმა ჯიბეები მოიქექა და მანეთიანების შეკვრა ამოიღო დაუფიქრებლად გაუწოდა გამძღარ ქართველს და თავდახრილმა შეიცადა.

გამყიდველმა კარგად გადაითვალა მანეთიანები, მათხოვარს მისთვის თვრამეტი მანეთი მიუცია. ეუხერხულა სამი მანეთის მითვისება და წესიერების დასამტკიცებლად უკან გაუბრუნა.

მათხოვარმა მზესავით შეხედა, მოიკიდა სამი ტომარა ქართული მიწა და შინისკენ წაიღო, ის ხიდის ქვეშ ცხოვრობს, მისი ავლადიდება: ძველისძველი პალტო, ცოტაოდენი საჭმელი და ლოცვანია სახლიდან რომ წამოუღია. წვალებით მიიტანა მიწით სავსე ტომრები შინ, ხიდის ქვეშ მიმოაპნია, ზედ გადააწვა შვილი განშორებულ

დედას, დაიცვაო, თითქოს, გათელვისაგან და ისეთი ცხელი ცრემლებით დანამა მშობლიური მიწა, რომ თუ არა ზამბახი, სარეველა ვერასდროს ამოვიდოდა იმ ხავსმოდებული რუსული ხიდის ქვეშ.

HAPPY AND...

– თვალებს რას აკვესებ, ლირა?

– მაშ, რა ვქნა, ბატონო ვანო?

– დახუჭე და არ იხმაურო, თორემ გაიგებენ.

– ჰო, ვანო, კარგი ვანო, დიახ ვანო, ვანო შე ყაჩაღო, ნაძირალა. ოთახის კარი საშინლად მიერტყა ჩარჩოს, შეზანზარდა ყველაფერი. ვანომ ფუმფულა ხელებზე ჩამოასვენა ყვრიმალები და ფიქრს მიეცა. რა მინდა ამ ქალთან, რას გადავეკიდე, მაგრამ...

გაირინდა დღე, რატომღაც ისევ დაივანა მწუხარებამ. ძნელია სიცოცხლე, ლაბირინთის ბოლო ისევ მეძახის ჩემთან მოდი, გთხოვ, ნუ უარობ. მე კი ისედაც მონდომებულს, მესურვილება გზაზე სიარული. ცა ტაძრის გუმბათმა შუაზე გააპო, მხრები დააბოძა და დააყრდნო ქვეყანა.

არ დაიღალო, ჯერ ძალიან ადრეა, მეუფეო, გაგვიძელი.

ლირა ჩიქჩიქით მიდის შინ, არავინ მისდევს. ხანგამოშვებით კი იხედება უკან მაგრამ, ამაო ხედვა ისევ წინ გაურბის. ახსენდება ჩასაფრებული მანქანა კუთხე-კუთხე ატუზული კაცი. ვედრება სიყვარულისა და ტკივილის. მალამოდ ქცევა და მუდმივი მწუხარება. ლოდინი, შიში საკუთარი ჩრდილის, სირცხვილის, გამაგდალინების, სიბერის, ღრმა სუნთქვისა და კვნესის.

– დავიღალე მეუფეო, მიშველე.

ბუტბუტი ტაძრის კედელთან, ლოცვა და გუგუნი, ხატებზე შემშრალი ამბორი. ლამაზი ქალი ისეთი თვალებით უყურებს მათ, რომ გეგონებათ, სანუკვარ საიდუმლოს უმხელს. გზად მამაო ხვდება.

– გამარჯობა, ლირა!

– სალამი, მამაო ლევან!

– როგორ გიკითხოთ, რატომ მაკლიხარ, შვილო, თვალს?

– რა ვიცი, – დაიმორცხვა ქალმა.

– იმიტომ! – წარმოსთქვა წვერულვაშა მღვდელმა.

– ჰო, მაპატიეთ!

– მან გაპატიოს, შვილო ჩემო, მან!

დაბნეული ტოვებს ტაძარს, უკვე ბნელა და რაღაცის შიში იპყრობს არაფრისკენ მიმავალს. რატომ? რატომ? უსვამს კითხვას საკუთარ თავს და პასუხსაც თავად სცემს: ალბათ, იმიტომ, რომ მიყვარდა, თუ იმიტომ, რომ ვერ გავუძელ გამოცდას და გავტყდი?

შემოდგომის დღე ძუძუებს საწნეხელში ყრის. ხმელი ფოთლების ფერადოვანი ზეწარი ეფინება ქვეყანას, ხრიოკი მიწა ეყრება შიშველ ჭადრებს და საშველად გამოწვდილ ხელებს თავქვეშ მალავენ. შეურაცხადი ქარი სილას გაანის, ეტყვის, რომ არ მოსწონს ასეთი უხამსი მამაკაცები.

სახლში შედის, ხედავს კარებთან ატუზულ ბავშვს.

– გიგო, აქ რა გინდა, პატარავ?

– მამამ დამსაჯა, დედიკო. – აუჩვილდა გული ბიჭუნას.

– რატომ? რა დააშავე?

– ეზოში ვერ მიპოვნა, ვთამაშობდი.

– ხომ გითხარი, არასოდეს წახვიდე შორს-მეთქი?!

– დედა, ბავშვები ნაბიჭვარს მეძახიან.

– ვინ? – აუკანკალდა ხმა ლირას.

– და მამაც... – დააყოლა სვენებ-სვენებით.

– კოტე, სად ხარ?

სწრაფად შეირბინა საძინებელში, დაინახა ტახტზე წამოწოლილი მეუღლე, რიგით მეორე.

– რეებს ბედავ?!

– მოხვედი, ძვირფასო?

– შენ თავი ვინ ggონია? ჩემი შვილი აბუჩად რატომ აიგდე? ვინ მოგცა უფლება, ნაბიჭვარი ეძახო?

– შენ! ის ხომ მართლა ნაბიჭვარია, ასე არ არის?

– გაეთრიე ჩემი სახლიდან, შე ლოთო!

კედელთან ჩაიკეცა, ცრემლები მუჭში მოაგროვა, წვეთები ღვარად ჩაიქცა მკლავში. ხელისგულებზე ოფლმა დაასხა. სახე აუწითლდა, ძარღვები დაეძაბა, მხრები ეტკინა დაღლილობისგან. ძნელია ხალხმრავალი სიმარტოვე.

happy and...

ეს სურვილი...

ასე იყო მაშინაც, როდესაც გაჩნდა სამყარო, მე და შენ... ზღვა და ანგელოზი...

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა.

მო-მე-ნა-ტრე... 6-ს აკლია 20 წუთი.

ციმციმებს ისარი და მეისრება გული. 20 წუთი და, ერთად ვიქნებით, არავინ შეგვიშლის ხელს, 20 წუთი და, ჩემი იქნები. გაივლის დღე და მოგვენატრება მოლოდინის 20 წუთი. ჰამაკში მარწევს ბედისწერა, გხედავ, ხელს გართმევ, სუნთქვა მიჭირს, სული მეხუთება, უშენოდ ჭიავდება მზერა. იქნებ ის, რაც გვგონია არსებობს, არც არსებულა და ვთხზავთ, ფანტაზიის შვილები. ვაი, ისარი დამიკოჭლდა და საათი ააკანკალა, ექვსისა?!

ის არ მოვიდა... უბრალდ, დააგვინდა, მერე რა...

გაწვიმდა, წვიმის მსხვილმა წვეთებმა მხრებს გადაურბინეს, მე დავრჩი სველი და მიუსაფარი, ჩემი ქვედაბოლო დაიკოპლა, მტევნები მკერდს ნალივით ამოვაკარი, მუცელში რაღაც ტკივილმა გამკრა და მალევე გადაიღო.

ჩიტები დაბლა დაფრინავენ, ალბათ, იწვიმებს... მაშინ ჯერ კიდევ არ ამოწვერილიყო მზე, არ დავუჯერე, წვიმა ვერაფერში შემიშლის ხელს, ვერც კედელი და ვერანაირი გარემოება, მე მას მაინც ვნახავ. ის არ მოვიდა... მინდოდა კი სართოდ მისი სტუმრობა? გულის სიღრმეში ჰო და თანაც – როგორ. ჩემი მეგობარი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ? აი, გამოჩნდა! რა ბედნიერებაა? მოდის, მაგრამ უკან ვიღაც მოჰყვება.

– სალამი, კესო!

– სალამი!

– ეს ჩემი მეგობარია, გაიცანი, სალომე!

– სასიამოვნოა. – გამებზარა ხმა და დავიმორცხვე.

– გელა სახლშია?

– ჰო! გელა! – ვეძახი ჩემს ძმას და გაქცევა მინდა, იქ, სადაც ვერავინ მომაგნებს, მარტო ვიქნები უხილავ და გამოუთქმელ ფიქრებთან, მოგონებას გავაქრობ.

– ცუდად ხარ, კესო?

– არა, არაფერია, ყავას მოგიდუღებ!

გაეღიმა და სახე ორ ტოლ ნაწილად გადაეხსნა, მერე მეგობარ გოგონას გადახედა და ნაზად გადაჰხვია ხელი, აი, სწორედ ისე, როგორც გელა გადაჰხვევს ხოლმე თავის მეუღლეს.

– მე ის საოცრად მტკენს გულს, უბრალოდ, ჩემი არ ესმის! ნამდვილად ასეა.

ისევ ვქანაობ ჰამაკში და კარაქის გუნდასავით მიმაგრდება გული. ისეთი პატარა ვარ, როგორც არასდროს და მინდა, ვიფიქრო, ეს ფარსი გამოცდაა, ბიძგია ცხოვრებისკენ, ნეტავ, თვალის ახელა ხომ არ უნდა გამოუცდელი გოგოსთვის?! ფინია მომეპარა და ფეხებს მილოკავს, ხან კოჭს ამლასნის. სველი და თბილი ენა იჭიმება საქალიშვილე წვივებზე, ტყე თავს სწევს და ცერად იღინღლება ბარძაყის ყურეში, მძიმედ დაკიდებული კუნთები იშხვართებიან უგუნებო პატრონის სხეულში, მკერდი ელამი თვალივით განი-განგაპრეხილა და კაბა დაუკოპლია უნებლიე სურვილით, მოუსვენრად მბრუნავი თავი მწყურვალივით აცქერდება სარკის ბურთს, გულისპირიდან წამოსული სიწითლე ფარკლავს ლოყებს.

ეს სურვილი აბრუნებს დედამიწას!

თეთრი ვალსი

სალამი ჩიტებს! მოდი ფრენაში შევეჯიბროთ. მაღლა, მაღლა, მაღლა... ხელების ნაზი რხევა, თითების სინაზე, წვივების ჰარმონიული ცახცახი, ტანსაცმლის შრიალი და ტერფების წინდახედული ხეტიალი, სიყვარულის ცეკვა თოვლში, ფიფქის გაყოფა და დანებება...

მე უკვე დიდი ვარ! მთები ძალიან ახლოს არიან და დრო იწვის ჩემი ხელისგულებიდან, ერბო კვერცხი ნახშირად ქცეულა, ისე ცხელა გულს. კოცნა მსურს და ამიტომ გნახავ, მეტი არაფერი, სულ არაფერი... ვიცი, მერე ისევ ღიმილიანი მწუხარება დამეუფლება, მაინც გნახავ და გაკოცებ, მერე მიგატოვებ და კმაყოფილებით გამთბარი სახე სულს ამიწიოკებს. მომწონს ჭორიკანა გაზაფხული.

მოდი, დღეს ერთად ვიყოთ, მოდი, ყველაფერი ახლიდან დავიწყოთ. ნუ მეტყვი, რომ დამაგვიანდა... ყველაფერი გაცივდაო, თითქოს, მე სრულიად მარტო ვარ ჩემს განცდასთან.

– სალამი, სად ხარ?

– ეჰ...

– უნდა დაგერეკა...

– .

– არა?!

– ...

– კარგი... – ღიმილიანი გაოცება გაჩნდა ლოყებზე.

– ...

– კარგი...

– ...

– კარგი...

სწრაფმვალი მიქრის. უცნაური ამინდი იწურება მკლავებში, თოვს და სახლები იფარებიან საუცხოო სითეთრით. ხეები ოცნებისფერ თოვლის კაბას იცვამენ, მერე კი, გახდისას, ჩვენ გავახსენდებით, როგორ ვიდექით გაოგნებული სახეებით, ნახევრად მტირალი თვალებით. გაციებული ხელებით, როგორ აყეფებდა ოცნება ჩვენს სულებს. მომენატრა მთვლემარე ღამე, ქუჩების გაელვება მინის სიშორიდან.

ხეები ყველაზე კარგი მოცეკვავეები ყოფილან, ნეტავ, ვინ მიანიჭა მათ ასეთი მშვენიერი სამოსი? არა, ლერწმისტანიანებო, თქვენსავით ვერავინ ცეკვავს ვალსს, ვერც შეყვარებული წყვილი, ვერც ღამე და ვერც ეს მოტყუებული ვარსკვლავები.

იცეკვეთ! გემუდარებით, დღეს ჩემთვის იცეკვეთ!

მიწაჯამია

გოგონა მიწას ჭამს, მას შია! ტანთ აცვია ბიძაშვილისშვილის, – გოგიას ნახმარი ზედა, მეზობლის ნაქონი ქვედაბოლო და თევზივით პირდაღებული, რამდენიმე ადგილას სხვადასხვა ფერის ძაფით, ხელით ამოკემსილი სანდლები. არადა, გარეთ ცივა, ჯერ კიდევ ადრიანი გაზაფხულია. მისი დასუსხული და შეციებული ხელები ლაპარაკობენ ცივ ზამთარზე, ყვებიან იმას, რომ გოგონას, – გირჩათვალებიანს, ზამთარშიც ისევე სციოდა, როგორც ახლა.

ხეები ძირს წვებიან, ქარი ხეების ბუჩქებს შიგ გულში უბერავს, ისინიც მორჩილად შლიან ხელებს და ჯარიდან დაბრუნებილი შვილივით იკრავენ ქარის მოტანილ მტვერსა და ქაღალდებს, სხვადასხვაგვარ ნაგავს, გუშინ ეზოში რომ დაიყარა. იქვე დიდი ურნები დგას, ეტყობა მათ არავინ მოაკითხა, რადგან კარგა ხანია ყარს. აი, ძროხაც მივიდა და თავი თითქმის ფსკერამდე ჩაყო, რაღაც გემრიელი აღმოაჩინა და პირი ჩაიგემრიელა. ტიტველა ხეები გაფარჩხულ მკლავებს უფრო მაღლა იზიდავენ, ყელმოღერილი ნარცისები თავწაცლილი ყრია, საგულდაგულოდ დაბარულ მიწას პირი დაუღია შოშიასავით, ალბათ, იწვიმებს.

შესრულდა თუ არა ათი საათი, ბავშვები არნახულ ეზოს მოეფინენ, გოგონა იშმუშნება, ხან სანდლებს მალავს, ხან – ხელებს; ხანაც ქარისგან გაწეწილ თმებს ისწორებს. ბავშვებს არ ანაღვლებს მისი ჩაცმულობა, მაგრამ მაინც დასცინიან და „გომბიოო“ გასძახიან, გოგონა მიწიან პირს მკლავით იწმენდს და ტირილ-ტირილით სახლისკენ გარბის. სახლი – პირველი სართულის მიწური, შემოტყავებული კედლებით, ნესტისა და სიბინძურის სუნით ყარს, დიდი ოთახის შუაგულში იხარშება, – პატივცემული ლობიო, უმცროსი ძმა ამ სურნელით ტკბება და ოცნებაში წარმოიდგენს, თუ როგორ ჩაიტკბარუნებს პირს ამ ნუგბარით. დედა იქვე ქოთქოთებს, საქმიანად დადის და გუშინ ღამით

გაჩაღებულ ომს აგრძელებს. თან მჭადი უნდა რომ მოზილოს, მჭადის ფქვილი ეს-ეს არის მეზობელმა უსახსოვრა, მასში პატარ-პატარა პეპლებიც დაფრინავს, მაგრამ დედა ვერ გაცრის, რადგან ცოტა დარჩება და ოჯახის წევრებს ვერ აყოფინებს. მიწურის ყველაზე მომცრო კაიუტაში ამ ოჯახის უფროსი დიასახლისი, – ქალბატონი ქეთო ცხოვრობს, ვინაიდან ოთახიდან გასვლა არ შეუძლია და ყველაფერს ამავე გარემოში აკეთებს, მისი ლოგინი და მიმდებარე ადგილები განსაკუთრებით სურნელოვანი და შემზარავია.

მიწაჭამია გოგონა ერთ ბავშვთან მეგობრობს, რომელსაც არ შია, მან ეს იცის და უნდა სახლში ესტუმროს. ერთხელაც მეგობრის დედა შეიპატიჟებს და სადილად დაიწვევს, გოგონა ცდილობს, ნელა მიირთვას საჭმელი, მაგრამ ვერ ახერხებს, ღეჭვაგადაჩვეულს ყელში ეჩრება დაუქუცმაცებელი საკვები. დანაყრებული ბავშვი ცეკვას იწყებს, ცდილობს, თავი მოაწონოს მეგობრის დედას, მოგვინებით ეზოში ჩარბის და მისთვის ლამაზ-ლამაზი ნარცისები ამოაქვს. კარს აღებს მისთვის ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალბატონი, ართმევს საგულდაგულოდ დაკრეფილ ყვავილებს და ლოყაზე კოცნის. ის გრძნობს ამ თბილ კოცნას, კოცნას, რომელსაც მისთვის გემრიელი და დაუყვედრებელი საკვები მოაქვს, გრძნობს და იმ წამს ის ბედნიერია.

ყველაზე მეტად ამ ოჯახობას წვიმის ეშინია, რადგანაც, როდესაც რამდენიმე დღე გადაუღებლად წვიმს, კანალიზაცია ამოხეთქავს ხოლმე ეზოში და საზარელი ლავა პირდაპირ სახლში შეაბიჯებს, ეს დაუპატიჟებელი სტუმარი საზარელ აჟიოტაჟს წარმოშობს, მაშინ ყველანი ერთსულოვნად ებრძვიან სტიქიას, ზოგს აქანდაზი მოაქვს, ზოგი ცოცხს მოარბენინებს. აი, მოგროვდა ყველა საჭირო ინვენტარი, ყველგან სამეფო სურნელი ტრიალებს.

ამას ჰქვია ცხოვრება – ხალვაშების ოჯახში!

მამასახლისი ოჯახს დაბეჯითებული, მთვრალი ნაბიჯებით უახლოვდება. დედა უმალ აგდებს ხელიდან ცოცხსა და აქანდაზს, ეცემა ბურჯი ხალვაშს და თმებს აგლეჯს. ბურჯი ამაოდ ცდილობს გაქცევას, ფეხი უცდება და იმ იატაკზე იშხლართება, რომლზედაც მოგროვილი ლავა ჯერკიდევ თუხთუხებს. კვნესის ოჯახის მამა და შველას ითხოვს, დედა ქაფქაფებს, ათასგვარ სისაძაგლეს ყვირის, მამას ბებია – ქეთო გამოესარჩლება, რომელსაც დედიკო – ანჟელიკა ლოგინიდან აგდებს. ახლა ბებიაც უერთდება საყოველთაო ყვირილს, ამ გამაყრუებელ განგაშზე მეზობლები შემორბიან.

– მშვიდობაა?

– რა ხდება?

– რაშია საქმე?

– ვინ მოკვდა?

ყველა კითხვას ეცემა პასუხი, ყოველი ოჯახის წევრი დამაგვირგვინებელ სიტყვას ამბობს, კონცერტი ბედნიერად სრულდება.

ამას წინათ მათი მატერიალური სიდუხჭირით მთავრობა დაინტერესდა. ტელევიზიიდან დარეკეს და შეატყობინეს, ბურჯი ფეხზე ადგომით ესაუბრა ტელევიზიის რიგით თანამშრომელს, ოჯახში იმედიანად დაბრუნებული მამა მოუწოდებს ყველას წესრიგისკენ. საგულდაგულოდ ალაგებენ სახლს, იბანენ ხელ-პირს და ელიან ტელევიზიას, მეზობლები იგებენ, რომ ამა და ამ დღეს ხალვაშებს ტელევიზია იღებს. მეზობლებიც იბანენ ხელ-პირს, იპრანჭებიან და მათ სახლთან იყრიან თავს, ზოგიც ქვემოთ ჩამოსვლას ვერ ბედავს და ფანჯრიდან ელის სეირის ყურებს.

ნანატრი ტელევიზიის თანამშრომელი მოდის, ის ისეთი წარმოსადეგი არ არის, როგორსაც დედ-მამა ელოდა, ჯერ თავმდაბლად, გამართულად ესაუბრებიან, მერე კი – ხელაღებით, შინაურულად. გადამღები ჯგუფი მიდის, სიუჟეტი წარმატებულია, იმიტომ, რომ გაშუქდა სოციალურად დაუცველი ფენა, დირექცია კმაყოფილია, საზოგადოება დამწუხრებული სხვათა დუხჭირი ყოფით...

ხვალიდან ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება, შფოთვა და განგაში აღარ არის მოსალოდნელი, მხოლოდ გოგონა, რომელსაც უბრალოდ შია, ისევ იგემებს მუჭაში მზესუმზირასავით ჩაყრილ მიწას.

პეპლისჭერის ასაკი

ლეილა დეიდა სარეცხს ფენს და თან ყველა გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებს, როგორ დაიზარდნენ ეს ცხვირმოუხოცავი ბავშვები, გუშინ რომ ასეირნებდნენ ეტლებით, მკლავებით, კისერზე რომ ისვამდნენ და სუფთა ჰაერს რომ აყლაპინებდნენ.

– წამოდი ჩემთან, მე უშენოდ ძალინ მიმძიმს, ქარმა დაქროლა, ქუდი ქოფაკს თან გავაყოლე.

პეპელავ, მიფრინდი ჩემს სატრფოსთან, ჩემო სველთვალავ, პე-პე-ლავ, ჩურჩულით მიხმობს შენი ფრთების ნაზი თვალთვალი.

მე ის მიყვარდა, უსასრულო სიყვარულით მიყვარდა, მასში ის, არარსებული. ასე იყო, ნამდვილად, გრძნეულებამ გამახელა, უმისობით დავრჩი ობოლი, მიმძიმს ცხოვრება, ტიტინა იებს მოაქვთ ჩემთან მთვარის სურნელი, მთვარეც ობოლია ჩემსავით, უ-მი-სო-ბით. ახლა ჩემი ჯერია, გამოვდივარ პატარა ოთახის ბნელი კუთხიდან, ვეცემი მუხლებზე, გული თიხთიხით მეძახის: ჩუ, ჩემო სიხარულო, ნუ გეშინია. ის მოდის და ჩემში სახლდება სულივით.

სიზმარი, ჩემი სიზმარი: ვდგები ლოგინიდან მხოლოდ სხეული და ვიღაც მისკენ მიკრავს, ცოტაც და სარკმლის მზე დამბანს პირს. აი, გადმოწვა ფრესკა და დამეკონა, ღვთისმშობელია! ნამდვილად ის არის! მე ვყლაპავ მის ხატს და ვკანკალებ, თრთის და ხტის ორგანიზმი, სულნაყლაპი, მერე მეც ოქროდ ვიქცევი და სხივებს ვაფრქვევ, მერე ყვლას ვუყვები ჩემს სიზმარს და სიზმარი სიზმრად იქცევა, წარმოსახვად, უბრალო ამბად.

რატომ ვუყვები ყველას ჩემს ოცნებებს? ზმანების ქალწულები ელავენ ჩემს გულსა და გონებაში, ეფემიები იხდიან თეთრ სამოსელს, ხატი და წყურვილი, რატომ ჰგავს ჩემი ხატება ხორციელ მამაკაცს, რატომ ვერ შევასხი უკვდავების ფერი, ისე მწყინს, ისე ძალინ მტკივა გული, რომ ახლა შეიძლება, ვიტირო კიდეც.

აი, შუქი აინთო, ალბათ, სახლში მოვიდა, ახლა გამოიცვლის ტანისამოსს, გადაფენს, აი, იმ ყავისფერ სკამზე, ვერ ხედავ? მოლისფერი ნაჭრით გაფორმებული სკამი რომ დგას კუთხეში, მერე სამზარეულოში მოიმზადებს ძეხვს, ან სოსისს, დაილაგებს ლამაზად, მიაყოლებს რაიმე წვენს, მისთვის სჯობს თუ ნატურალური იქნება, კარგია ჯანმრთელობისთვის. მიირთმევს და თან ტელევიზორის ყურებით გაერთობა, მანამ, სანამ ვინმე არ დაურეკავს.

– აუ, ნეტავ, ვინ არის? ნეტავ, რომელია? – ჩაიცინა ბადრიმ და ცალი თვალი ოდნავ მოჭუტა.

– ალო!

– გისმენთ, ვინ ბრძანდებით?

– ის, ვინც ასე ძალიან გიყვარს და ამის თქმაც კი გაშინებს!

– ოო, საინტერესოა, ა, შენ ხარ? სიგარეტს ეწევი?

– დიახ, და რა პრობლემაა?

– არა, ადრე არ ეწეოდი!

– შეიძლება.

– მომენატრე, მოდი, დღეს გნახავ!

– არ მცალია, თეატრში მივდივარ!

– ვისთან ერთად? დაგპატიჟებ, თუ გინდა, რა თქმა უნდა!

– გავიქეცი, ძალიან ვჩქარობ.

– მოიცა!

ტუ, ტუ... ისმის გაბმული ზარი. ღმერთო, გამახსენე, ვინ იყო, სასაცილოა, მას ეგონა, რომ მივხვდი. არა, ისე, მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო? ლენა? არა, ის პირდაპირ საქმეზე გადადის. თათია? არა, მას ჩემთვის ნამდვილად არ სცალია. ეჰ, ბედი უნდა, ძმაო, ყველაფერს, მაგრამ, რა იცი, ვინ არის, დარეკავს კიდევ? აბა, სად წავა, თუ არა და მაგის... ახლა ველარ ისვენებს, რეკავს, ვიღაცას ელაპარაკება და იცვამს, სადღაც მიდის, ესე იგი ძალიან ააღელვა უცნობის ზარმა, თანაც თავსაც არ უტყდება.

ვხედავ, როგორ ჩარბის კიბეებზე, სურვილიანი ნაბიჯებით, სამ კიბეს ერთად ახტება, სწრაფად ჯდება მანქანაში, ისიც ღრმად ჩაისუნთქავს და ადგილიდან შეშლილივით მოწყდება, საბურავები რეკენ პატარა კენჭებზე, ტრიალებენ და წრიალებენ, ორი დაბნეული ჯოხი თავს

აქიცინებს და მინას წმენდს, მანქანა უცებ ჩერდება. რაღაც გაუფუჭდა, გადმოხტა, ახადა საბარგული, საიდანაც ოხშივარი ამოვარდა.

– ფუ, შენი! – ყვირის პატრონი.

– გსურთ, დაგეხმაროთ?

– დიახ! – მის წინ მშვენიერი ქალბატონი დგას და უცინის.

– გამარჯობა, ქალიშვილო, – ეუბნება მაინტრიგებელი მზერით და ელის პასუხს

– გამარჯობა, გაგიმეოროთ კითხვა?

– დიახ, დამეხმარეთ!

გამოაბეს მანქანები ერთმანეთს და ის ღამე გაატარეს გადაბმულ ვნებიან სუნთქვაში.

– ო, როგორ მტკივა თავი, ის სად არის? სად?

ნახულობს წერილს:

„ნახვამდის, პატარა უფლისწულო, გკოცნი გაბრწყინებულ თვალებში“.

– ო, რა სისასტიკეა, რატომ არ დამელოდა?..

იცვამს ტანზე და გადის გარეთ, ეს დღე მისთვის რაღაც უცნაურია, თითქოს არაფერი მომხდარა, მაგრამ მას სახელიც არ უკითხავს აშარი ქალისთვის, ო, როგორ დაიმონებდა კიდევ ბევრჯერ, მაგრამ, ეჰ... დაბრუნდება, ნეტავ, როდესმე? აბა, სად წავა?

გადის დღეები, თვალის დახამხამებაში, ილევა მოთმინების ფიალა. რა ქნას არ იცის, არც მისამართი, არც სახელი, არც გვარი,

– იდიოტი ვარ, რაიმე მაინც მეკითხა. ვერ მოვასწარი, დრო არ მეყო.

უცნაურია, ასე რატომ მოვიქეცი, იქნებ, მე მინდოდა, ყველაფერი ასე აწყობილიყო და რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს ამგვარ ველურ გრძნობას, მხოლოდ ლტოლვა და ვნება, ცეცხლი და ექსტაზი.

– ტელეფონი რეკავს, ნეტავ, ის იყოს!

სწრაფად იღებს ტელეფონის ყურმილს, და მოუსვენრად ეკითხება

– და, ვინ ბრძანდებით?

– მე ვარ!

– გამარჯობა, როგორ ხარ? მოდი ახლავე ჩემთან!

– მე შენი მისამართი რომ არ ვიცი?

– რუსთაველის №9, III სართული, თუ გინდა, ქუჩაში დაგიცდი, ან გაჩერებასთან, მოდი, ტაქსის გამოყევი და მე გადაგიხდი, თან მარტო ვარ, კარგი?

ტუ... ... ტუ... – გაითიშა? გავაფრენ და ეგ არის, ამის დედა..!

გავიდა ათი წუთი, არ რეკავს? იქნებ, ვერ გამოდის, ნერვულად იღებს ტელეფონის ყურმილს და ამოწმებს, არა ზუმერი აქვს, აბა, რა ჯანდაბა დაემართა, ნეტავ?

უცდის. ის მას უცდის და ელოდება.

წამოდგა თაფლისფერთვალა გოგონა, ძალიან აღელვებული და განწირული სახით, როგორ მოიქცეს? რა ჩაიცვას? ის რას ეტყვის? რას გაუმხელს? მიხვდა, ვინც დაურეკა. მე მას ბავშვი აღარ ვგონივარ, აუცილებლად გულში ჩამიკრავს და მეტყვის, როგორ ძალიან ვუყვარვარ! წავალ ეხლავე, სანამ მიცდის.

გამოაღო ტუმბო, ჩაიცვა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, წითელი აბრეშუმის ქვედაბოლო, მოხდილი ზედა, საყურეებიც მიიბნია, ყელზე ნათლობის ძეწკვი შეიბა და გაინაზა, აზღუდი უფრო მჭიდროდ შეიკრა, თითებზე აიწია, კანჭები აასავსავა, ცოტა კი უჭირს ქუსლებიან ფეხსაცმელზე სიარული, მაგრამ რას იზამს, უნდა გაუძლოს.

გავიდა სადარბაზოდან, მხრებში გაიჯგიმა და გაიეშხა, თან ცალი თვალი მესამე სართულს შეავლო, იხედება, ი-ხე-დე-ბა, აირბინა კიბეებზე ბავშვის მიამიტობით და სასურველ სართულზე შეჩერდა. ზარს შეეხო ნერვულობიგან გაოფლილი თითით. ისიც აწკრიალდა, რა საყვარელი ხმა აქვს ამ ზარს, სწორედ ისეთი, ეკას რომ მოსწონს. ბადრი ეცა კარებს და ქალბატონის მაგიერ ხელში სასაცილო ქალიშვილი შერჩა.

– გამარჯობა, კაწი!

– გამარჯობა, – ფიქრობს ეკა და თან იწურება, სულ მთლად გაწითლდა და დაინამა ოფლის ციცქნა წვეთებით, ღაწვები დაჩრდილა თმების კუკულებმა, ის მას სახლში არ უშვებს, ესე იგი სხვას ელის, ნამდვილად ასეა.

– შემოდი, ეკა, – უხერხულად პატიჟებს მასპინძელი.

– არა! ბებიამ გამომგზვნა, ჰკითხე, პური ხომ არ სჭირდება ბადრისო!

– ნეტავ, ამოგეყოლებინა, მაგრამ არა უშავს, მაინც უნდა ჩავიდე და ამოვიტან.

– კარგად, – დაემშვიდობა ეკა.

– მადლობა გადაეცი ბებოს ზრუნვისთვის

– კი, კი, – მიყოლებით გაიმეორა ქალიშვილმა და მის მაჯაზე ამხედრებულ ბეწვებს ხელი შეავლო. ატირებული და შეურაცხყოფილი დაეშვა კიბეზე, გაიფიქრა: „რა რთულია ცხოვრება, რა საშინელი ტკივილია, აი, აქ, მარცხენა ძუძუსთან“.

ფიქრში წარმოთქვა ეს სიტყვა და ეუხეშა.

ლეილა დეიდა მიესალმა შეფარკლულლოყება გოგონას და მიხვდა თითქოს რაღაცასო, ისე ჩაიცინა. ალბათ, მასაც გაახსენდა პეპლისჭერის ასაკი.

წამოდი ჩემთან, მე უშენოდ ძალინ მიმძიმს, ქარმა დაქროლა, ქუდი ქოფაკს თან გავაყოლე.

პეპელავ მიფრინდი ჩემს სატრფოსთან, ჩემო სველთვალა, პე-პე-ლა, ჩურჩულით მიხმობს შენი ფრთების ნაზი თვალთვალი.

ქალი დახლთან

უცებ ქვას ფეხი წამოკრა, შეიშმუშნა... – უფ, ვერ დავინახე... – წამოიყვირა და დაიხედა მიწაზე, – „მერამდენედ უნდა მომივიდეს ასე, მერამდენედ?“

გვერდით მასავით მაწანწალა ბავშვი შენიშნა:

– რას მომჩერებიხარ?

– ჰა-ჰა! ფეხი წამოჰკარი?

გოგონას ტკენაზე მეტად წყენა ჩარჩა გულში.

– მარტია, გშია?

– ჰო!

– მოდი! – დაუძახა მეგობარმა და პური გაუწოდა.

ის იყო, მარტიას ხელიდან უნდა გამოეტაცა თეთრი პურის ნაჭერი, რომ კაპიკამ ხელიდან წაგლიჯა.

– რას შვრები, ბიჭო? დამიბრუნე! – ატეხა ღრიალი.

– მაკოცნინე და მოგცემ! – უთხრა ბიჭუნამ და გაწითლდა. სანამ გოგონა რაიმეს ეტყოდა, დაუბრუნა პურის ნაჭერი და გაიქცა.

ახლა ხელში უჭირავს სანოვაგე და ფიქრში იძირება, წარბები გაექცა თმებში, ხელები განზე დარჩა გაშლილი, მხრები აიჩეჩა, ცხვირი გვერდზე გადააწვინა ტანგოს ქალბატონივით, სახე ერთიანად დაცქვიტა და ოდნავ მოჭუტული თვალით გაიფიქრა:

– მგონი, კაპიკას ვუყვარვარ!

– ასეა, პატარა, როგორ მიხვდი? – პასუხობს ვიღაც მეორე.

– მე მისი ყველაფერი მჯერა, პურიც კი გამიყო.

– ალბათ, ძალიან გემრიელია, არა?

– ჰო, – პასუხობს გოგონა და პურის ნატეხს გამალებით იბუშტავს პირში.

– იცი, როგორ ხარობს პურის ხორბალი?

– კი. გაშლილი მდელოს ცხელ გულზე იწვის და ღვივის, მერე ფუვდება, შრება და მისი სიცოცხლის საფასურად ჩვენ გვკვებავს.

– ბევრი რამ გცოდნია, მარტია, შენ შეიძლება სიყვარულიც იცოდე, რა ხილია!

– ხილი? ალბათ, ზეთისხილს თუ შევადარებ, აი, ისეთს, მდიდრების სახლში რომ მინახავს. იმ დღეს მე და კაპიკა ვიყავით, იმ ქუჩაზე სახლის დალაგება უნდოდა მოხუც ქალბატონს, მერე ყვავილებიც მოვრწყეთ და იცი, სულ არ დავღლილვარ, იმდენი საჭმელი მოგვართვა, ზეთისხილიც.

– მერე შეჭამე, მარტია?

– ჰო, თანაც არავის უთქვამს ამდენს რატომ ჭამო, მომეჩვენა თითქოს მხოლოდ ჩემთვის იყო გაშლილი სუფრა.

– კიდევ მომიყევი რაიმე!

– არა, დღეს აღარ მინდა ფიქრი...

წვიმამ დაუსველა კაბა და ფეხსაცმელი, ყველაფერი ადრეულ გაზაფხულთან ერთად დაიწყო. გაიპარა გოგონა სახლიდან, დღეები მტერივით დაერივნენ მის ნატიფ სულს. აფორიაქდა გონება და გაინაბა.

კაპიკი აკაპიკებულა, საკაპიკეში ჩაკაპიკებულა, იქიდან ამოკაპკებულა და ისევ.. ლა ლა

ლა მღერის და თან იკარგება სადღაც ძალიან დაბურულ ტყეში. მის წინ მიდის ქალბატონი პატარა ბავშვით, თავზე მოეფერა, მერე შუბლზე აკოცა და რაღაც ვეებერთელა შენობაში შეიყვანა. მერე გამობრუნდა და გააგრძელა გზა. მარტია უკან მიყვება. ქალი დროდადრო უკან იხედება, ალბათ, ფიქრობს: „ნეტავ რა უნდაო“.

– არაფერი, დეიდა, მე დედა მომენატრა, იცი, რა მშვენიერია? ამქვეყნად ყველაზე ლამაზი, მასავით არავინ იღიმება, შენზე უკეთ იცის შუბლზე კოცნაც და ალერსიც. ქალბატონო, რა მოხდება, შენ რომ იყო ჩემი დედიკო?

უცნობმა ისევ მოუხედა უკან. „ვინ უნდა იყოსო“, გაიფიქრა, როგორი მშვენიერი პატარაა.

უკან ლეკვივით მისდევს ერთი ციდა, დაიხედავს ფეხებზე, მერე ქალის აშხვართულ ტანს შეათვალიერებს, ნაბიჯებს ამსგავსებს, უნდა რომ დაემგვანოს, მისნაირად უნდა სიარული. საოცარია, ბავშვობაში ყველანი დიდებს ვბაძავთ, მერე კი როდესაც სასურველს მივაღწევთ, ისევ ბავშვობას მივესწრაფვით.

თვალებზე ხელები ფარივით,
თვალებზე ხელები კრძალვით,
მიდიან დღეები ცახცახით,
დღეები მიდიან კრძალვით.

წვეთი წყლის და ცვარი მცენარის, ქრის ქარი და მიყვება ამბებს, წვეთი წყლის და ცვარი მცენარის.

ცას სამკაულად მიბნევიან ვარსკვლავები, ისიც ზღვასავით აღელდა და თითქოს ჩაიძირენ აჩირაღდნებული გემები, ღამის გუშაგები. მთვარე მგლოვიარე ქალივით ჩაიკეცა, ქვრივი მანათობელი ტირის, იმის გამო, რომ ღმერთმა გაყარა საყვარელ მეწყვილესთან.

მოლოდინი თვალებში იკლავს ცრემლებს, გუგებს უყინავს შემზარავი უნახაობა. უმისობა...

კარგია, როდესაც იცი, რომ სწორედ ის ადამიანია შენ გვერდით, რომელზედაც გიოცნებია, მერე დაღლილი მონატრებით, უხეშად ჩაგიხედავს ამღვრეულ ბაიებში, გითქვამს, რომ გიყვარს და გულზეც აუშვია გამთანგველ სიცხეს. სიო იჭერს ტოროლებს, ფრთებს უსწორებს და ამხნევებს: ხვალაც გათენდება, ჩემო ფრთებციმციმა ქალბატონო, ხვალ შენ უნდა დაუტოროლო, ყველას ეტყვი: დილა მშვიდობისა, ადამიანებო! რა უბრალოდ ჟღერს: დილა მშვიდობისა.

ყველა ერთგვარად ვერ შეიგრძნობს სინათლის სითბოს, ყველას მსგავსად არ უთენდება, ბევრია ისეთი, ვისაც საერთოდაც არ უნდა გაეღვიძოს, რა საწყენია, მათ რომ ის ერგოთ, თანდაყოლილი სატანჯველი.

ცხოვრება კოჭის ძაფს ჰგავს, დაბადებისას ხელში გვაქვს, დედა გვეხმარება ხელიდან არ გაგვივარდეს, მერე მამა ამ მშვენიერი ნივთის ხელში დაჭერას გვასწავლის, მერე კი მოდის დრო, როდესაც კოჭის ძაფი ჩვენით უნდა ვატაროთ, ოთახიდან ოთახში, სახლიდან სახლში, ქუჩიდან ქუჩაში, ქვეყნიდან ქვეყანაში, ისეც ხდება, რომ ძაფი გგონია გათავდება და უცებ სასწაული მოხდება ხოლმე, ალბათ, იმიტომ რომ შენი კოჭი სჭირდება სამყაროს, ან იმ ყუთის ნაწილი ხარ, რომელშიც ყველაზე საჭირო, შავი და თეთრი ფერის კოჭები ყრია.

გათენებას ელოდება მთვარე, შუქი მისი გადაჩრდილა დილამ, რატომ ტირის, ალბათ, მას არ უნდა გათენება.

ია, ია,
ია, ია,
ეს ცხოვრება ასეთია,
გადის ღამე,
მოდის დილა
ია, ია,
ია, ია...
– შენი სუნთქვა მაღვიძებს...
– შენი სუნთქვა მაგრილებს...
– შენი სუნთქვა მაცოცხლებს...
– შენთან მინდა...
ია, ია, ია... რა კარგია...
ეს ცხოვრება ასეთია...
შენ არა ხარ ჩემი,
შენ არა ხარ სხვისი,
აღარ ეძებ ჩემში იმას,
რაც არის ღირსი
შენი ერთი შემოხედვის,

.....
მძულხარ... მეზიზღები
ია, ია,
ია, ია,
ეს ცხოვრება ასეთია,
გადის ღამე,
მოდის დილა,
აღარ მინდა შენი ცქერა!
ია, ია,
ია, ია...

მდიდრული სასტუმრო, მაღალი ქალი, ფეხების თლილი ზომიერი რხევა უკანალს ტალღავს, სუნთქვისთვის მომზადებული კუნთები მკვახე პომიდვრებივით იჭიმებიან, იძარღვებიან და სხეულს ხატავენ. ცხვირი, სუნამოს სურნელოვანი სუნით დამტკბარი, აპრეხილი მდიდრული ფარდით დაფერილი, მეტყველებს მის ამაყ ხასიათზე, გაბედული პიროვნების ფეხსაცმელი, მოხდენილად ჩაუსვიათ სახლში, გეგონებათ, ზღვას ლაგამი ამოსდესო, ისე ჩაუჩრიათ მშვენიერება ვიწრო სადგომში, მაგრამ ისიც ისეთივე ხალისიანი ფერის არის შერჩეული, როგორც ტანსაცმელი. ხელზეც მყვირალა ლაქი წაუსვია, ალბათ, უნდა, რომ შეამჩნიონ მოქნილი თითების სხარტი მოძრაობა.

გაიცნეს ერთმანეთი, მოეწონათ, მოინდომეს ერთად ყოფნა... ამ ყველაფერს მოყვა ოჯახი, ოჯახს – ქალიშვილი, მერე – ვაჟიშვილი, შეიქმნა სახლ-კარი ბავშვებითა და სიყვარულით სავსე.

დრო სიყვარულის მკვლელი ჯალათია... ასეა?!

იქნებ, ასეც არის, მაგრამ, ნუთუ ეს ჩვენს გარეშე ხდება, ნუთუ ჩვენ მარტონი ვართ, სულ მარტონი, მიგვატოვა შემოქმედმა, ბუმერანგივით გადმოგვისროლა ციდან და იმისათვის, რომ რაღაც დროის შემდეგ ისევ ჩვენგან წამოსული ტალღა მიიღოს, რა თქმა უნდა, ბინძური.

ღმერთი თურმე ჩვენზე მეტად უვლის მის სამყოფელს და ცას არ დაგვალაქავებინებს არსებობით.

მარტის თვეა, ქარს კედელს ახეთქებს ეჭვიანი ქმარივით. მარტის თვეა ჩემში, გარდატეხა სუნთქვისა და ძილის, ეს თვე არ ჰგავს სხვებს, მას ეძახიან გიჟს, საოცარია, რა ლამაზად მოუგონეს სახელი.

მეუღლეთა სიყვარული ჰგავდა ცხელ ცეცხლოვან ზაფხულს, ხანგრძლივს და დაუსრულებელს. თითქოს ასეც იყო, მაგრამ. რა არის ეს მაგრამ, რას ნიშნავს ეს სიტყვა. მოყვები, როგორ უყვართ ადამიანებს, როგორ ცხოვრობენ, როგორ იწვიან და არსებობენ, როგორ ენატრებათ, როგორ უნდათ ერთად ყოფნა, მაგრამ, უცებ ჩნდება ეს სიტყვა და ყველაფერი ილეწება, ისე, როგორც მაგრამს შეჰფერის.

ყველაფერი აირ-დაირია.

გაქრა ქალის ვნება ისე, როგორც ქრება სიცხეში ჭამის სურვილი

საოცარია, მაგრამ რეალობა ისეთი რამ არის, რასაც ვერ დაემალები.

მარტია პირველ მეუღლეს უკვე გაშორებული იყო, როდესაც მირიან პირველი გაიცნო, ის არ იყო მის ცხოვრებაში პირველი და არც უკანასკნელი, იმიტომ, რომ ყველაფერი, ალბათ, ისე არ დაიწყო, როგორც ზღაპრულ ფილმებში და ალბათ, იმიტომაც არ დასრულდა ისე, როგორც ხალხურ ზღაპრებში ხდება. ასე იყო თუ ისე, თავდაპირველად მირიანს არავითარი გრძნობა არ ჰქონდა მარტიასადმი, მერე და მერე ქალის დაჟინებულმა სურვილმა მასთან ყოფნისა, გაახელა და მოანდომა ის, რაც არასდროს განუცდია, ეს იყო რაღაც ძალიან ველური, იმდენად ახლოს და იმდენად შორს სიყვარულისგან, რომ წარმოდგენაც შეუძლებელია, ვერავინ იგებდა, თუ რა ახელებდა ამ მამაკაცს, ერთი შეხედვით, სოფლური და გაუთლელი გოგონას მანერებში. მისი საუბარი, საქციელი, მიხვრა-მოხვრა, ღიმილიც კი მისთვის ყველაფერს ნიშნავდა და ამიტომაც სურდა, მუდმივად სურდა და ყველაფერს უსრულებდა ზედმიწევნით.

თავდაპირველად ძალიან უჭირდა მირიანს – მშობლები ჰყავდა, მაგრამ მაინც სიდუხჭირეში უწევდა არსებობა, მერე გადაწყვიტა, ისე ეცხოვრა, როგორც მშრომელ ახალგაზრდას შეჰფერის და მიაღწია საწადელს. გამდიდდრდა, მასზე

დიდად არ უმოქმედია ამ ცვლილებას, მაგრამ ცხოვრება თავისას ითხოვდა, მარტიას სურვილები თანდათან იხვეწებოდნენ, აჟიტირებული გოგონა დროდადრო ორგიებსაც კი აწყობდა თავის მეგობრებთან.

მირიანი ცდილობდა მისი ყველა სურვილის ასრულებას და ამას, რაღა თქმა უნდა, ბევრი დრო სჭირდებოდა, დრო ძალიან ცოტა ჰქონდა იმისთვის, რომ მისი სანუკვარი მეუღლე დაეკმაყოფილებინა.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მარტიას საშინელი უკმარისობა გაუჩნდა, ამას სხვაგვარად მეუღლის უყურადღებობა ჰქვია. მას თითქოს ყველაფერი ჰქონდა, არაფერს უჩიოდა, დაწყებული ფულიდან დამთავრებული ღრეობებსა და წვეულებებზე, უთვალავ ტანსაცმელზე, ხარჯვაზე და ბოლოს ხარჭვაზე, მისი დაუფარავი მრუშობა უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა, ყველა იგებდა, თუ როგორ ღალატობდა მარტია საყვარელ მეუღლეს, მას ხან ერთ მამაკაცთან ხედავდნენ, ხან მეორესთან, მესამესთან, მეოთხესთან და ასე იქამდე, სადამდეც შეიძლება დაითვალო და წარმოიდგინოთ. იწყებოდა ერთი გატაცება და მთავრდებოდა მეორე, ისევე როგორვ ხილის მოსავალი სამოთხის ბაღში, საოცარია, რას მიესწრაფვის ადამიანი, რა სურს მის გაუცნობიერებელს ისეთი, რასაც ვერაფერში პოულობს, უბრალოდ, ზოგიერთი უფრო მეტად ეძებს, ზოგიც ნაკლებად. ნაპოვნით ვერასდროს ვკმაყოფილდებით, ან იმას ვასწორებთ, რასაც თავადვე ვქმნით, ან კიდევ ვეძებთ, ვპოულობთ და ვკარგავთ ჩვენგან დამოუკიდებლად, იმიტომ რომ, რაც ჩვენთვის მიუღწეველია, ის არის სასურველი და რაც უკვე ჩვენია, ის არის შეუფერებელი იმ საზრდოსთან, ღვთაებრივ ნექტართან. არის შემთხვევები როდესაც გვგონია, რომ ყველაფერ იმას ვფლობთ რაზედაც გვიოცნებია და გვინარტრია, მაგრამ.

მაგრამ... ისევ ეს მაგრამ, რა სასაცილოა, ისევ ეს მაგრამ...

ია, ია

ია, ია

ეს ცხოვრება ასეთია,

გადის ღამე

მოდის დილა

ია, ია

ია, ია...

შეყვარებულის თვალები, ღიმილიანი ყვრიმალები, მიჯრით ჩაწყობილი თეთრი კბილები, მოვლილი თმა და ხელები, დაძაბული ყელი და გონება, ხიდად გადაბმული წარბები, რომაული ცხვირი, ყურები ტყვესავით მიკრული თავის კედელზე, ცხელი გული, თბილი, ერთგული გამოხედვა, ერთი სიტყვით მშვენიერი აღნაგობის, წარმოსადეგი ყმაწვილი. უსაზღვროდ შეყვარებული თავის ოჯახზე.

„ოჯახი კედელია“ – ამბობდა ხოლმე ბრძენი მამა, როდესაც სამსახურში, მის საწერ მაგიდაზე მოთავსებულ სურათს დააკვირდებოდა. ამ სურათიდან უცინოდა მარტია და ორი ოცნებისთვალება პირმშო. უხაროდა, რომ ასეთი მშვენიერი ჰარმონიის პატრონი იყო, რომ მის ქმნილებებს არაფერი უჭირდათ, ზაფხულობით ისვენებდნენ განსაკუთრებით მოდურ კურორტებზე, ზამთარში კი ისევ ტოვებდნენ სახლს და მიდიოდნენ იქ, სადაც ქალბატონს სურდა. ყველა ოჯახის ცხოვრება რაღაც ჩარჩოებით ერთმანეთს ჰგავს, ზოგჯერ უყურადღებობა ღუპავს ყველაფერს, არა და ზედმეტი ყურადღებაც მოსაწყენია, ვერ გაიგებ, როგორ უნდა მოერგო ოჯახს, ერთხელ თუ აირია ყველაფერი, მერე საეჭვოა, როდესმე შეიცვალოს სასიკეთოდ.

ასე იყო თუ ისე, მარტიას ცხოვრების წესი ღუპავდა მეუღლის კარიერას, სულს უფორიაქებდა და არ იცოდა, რა მოეხერხებინა ამ ყველაფრისთვის. მირიანის მშვიდი და აუღელვებელი გრძნობა ეწინააღმდეგებოდა მარტიას ვნებამოძალებულ სხეულს, აღმაფრენას და ლტოლვას სასურველისკენ.

მარტია ხშირად მიაკითხავდა ხოლმე მეუღლეს სამსახურში, ცოტას მოეფერებოდა, იმას ეტყოდა, რაც მისთვის სასიამოვნო მოსასმენი იყო, ისე გაუღიმებდა და მოეალერსებოდა, როგორც გაახარებდა და დაატკბობდა, ისედაც

ყურებამდე შეყვარებულ და დაბრმავებულ მამაკაცს, ეს მკურნალობას ჰგავდა, ოღონდ განკურვნას ვერაფრით ახერხებდა სიყვარულის პაციენტი, თანდათან უფრო კარგავდა გონებას და იღუპებოდა ყველაფერი ის, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

მიუხედავად ყველაფრისა მარტია არ იყო კამყოფილი თავის ბედისა და მიესწრაფვოდა არარსებულ სისავსეს. იქნებ, ეპოვნა კიდეც, ასე დაჟინებით რომ არ ცდილიყო... ბავშვები იზრდებოდნენ ბედის ანაბარა, მათაც საშინლად არ გაუმართლათ, მშობლების თავგზააბნეულობამ ისინი იმ უფსკრულთან მიიყვანა, რომელსაც ვერავინ გაურბის თუ გვერდში არ გრძნობ ძალას, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანების მხრიდან.

ქარი სახლებს ატყავებს, როგორც საქონელს ყასაბი. მარტია, ასეთი თვეა მარტი, ველური, ყველაზე ქალური და მარტოსული. მიუტოვებია მამა გაზაფხულს ასე მარტოსული და ეული. მერედა რატომ? არ არის დასაწყისი მნიშვნელოვანი? მარტი, ეს გიჟი მარტი, გააფთრებულა და დაუნდობლად დასწაფებია წყაროს წყალს, გაუჟღინთავს სხეული ცივი სასმისით, წვეთები ყინულებად ჩალაგებულან სულის საწმისში. კარგია მარტი, როცა კარგად ხარ, იმდენად კარგად, რომ ქარსაც ეფერები.

მარტია მუდმივად ფულს ითხოვდა სხვადასხვა რაოდენობით, ხან დიდი იყო ეს თანხა, ხან კიდევ – არც ისე. ყველაგან უამრავი ვალი ჰქონდა, მორიგი საყვარლის გულისთვის ოქროებიც კი გაუყიდია ქალბატონს.

– დასჭირდა და რა ექნა – ხომ უნდა დახმარებოდა, სატრფოს?

ია, ია
ია, ია
ეს ცხოვრება ასეთია,
გადის ღამე
მოდის დილა
ია, ია
ია, ია...

მე შენი სურნელი მაგონებს განთიადს, ო, ისეთს ლამაზს, მშვიდს და მაღვიძარას. მე შენი სურნელი იმდენად მაფხიზლებს, რატომ არ გიყვარვარ?

ამას ფიქრობდა მარტია, როდესაც რესტორნის ღია კარიდან თემო შემოვიდა. მისი მორიგი ღალატის მიზეზი.

– გამარჯობა, სიცოცხლე. – უთხრა და მწველი ბაგე საწოვარასავით დაიმარტოხელა. ქალიც ატაცებული წყურვილით დაეწაფა სასურველს. ტუჩები დაიბერნენ დასასკდომად გამზადებული კვირტებივით და დაწითლდნენ, ისე, ბუნებრივად. უცებ ახალგაზრდა ბიჭი მიუხლოვდა ოთახს, მერე რაღაცები შეეკითხა, თვალი მოავლო არემარეს და გავიდა.

მსმენელებს არაფერი გაუგიათ, უბრალოდ, ზრდილობის გამო ადევნებდნენ თვალყურს მისი ყბის უმანკო მოძრაობას.

– ჰა! ჰა! – გადაიხარხარა მარტიამ, – როგორ მივამგვანე მირიანს, რა მაგრად ჰგავს, არა? – და გაბნეული სიცილით დაიგესლა იქაურობა.

ვაჟი ცოტათი შეცბა და გაინაბა, ისე, თითქოს არ ესიამოვნა საყვარელი ქალის იაფფასიანი ხუმრობა, თავი მისი მეუღლის მაგიერ წარმოიდგინა. მალევე გაუარა ყველაფერმა, მაგრამ...

ბავშვები სულ მეგობრების გარემოცვაში ტრიალებდნენ, გათანგული დედა გვიანობით ბრუნდებოდა სახლში და ათას სისულელეს იგონებდა იმის დასაფარად, რაც ჭეშმარიტად ხდებოდა. თანდათან მეგობრებიც შემოეცალა, ყველა გადაიღალა...

– როდის გავა ეს საშინელი თვე, შემომახია ყველაფერი, ნეტავ, ქარბუქი მაინც ჩადგეს... – ინატრა ქალმა.

ახლა ის მაღაზიაში მუშაობს გამყიდველად.

„შეარჩიეთ, ძალიან მოდურია, აი ეს მოგიხდებათ, გეთაყვა, შეგიძლიათ, ჩაიზომოთ“, – ეუბნება მყიდველებს და თვალებში ჩასჩერებია, რომ არაფერი ეწყინოთ.

ია, ია
ია, ია
ეს ცხოვრება ასეთია,
გადის ღამე

მოდის დილა

ია, ია

ია, ია...

ძალიან მოენატრა ბავშვები, ნეტავ, როგორები არიან, აი, იმ გოგონას ტოლი იქნება ლურჯ ქვედაბოლოს რომ იზომებს. თედოც გაიზრდებოდა, უკვე ბიჭობს, ალბათ. სკოლაში დადიან, ნეტავ, ეხლა არდადეგები ხომ არა აქვთ, ან მირიანი, ის... მაგრამ

მე და შენ რომ ერთად ვიყოთ,

მე და შენ რომ ერთად ვიყოთ,

მე და შენ რომ ავიხდინოთ ზღაპარი... –

წაიღიღინა მირიანმა და მის მეუღლეს გადახედა, როგორ ჰგავს, საოცრებაა პირდაპირ. იგივე სახე, იგივე თვალები, იგივე გაუთლელი მოქმედება, მაგრამ...

წვიმამ დაუსველა კაბა და ფეხსაცმელი, ყველაფერი ადრეულ გაზაფხულთან ერთად დაიწყო. გაიპარა გოგონა სახლიდან, დღეები მტერივით დაერივნენ მის ნატიფ სულს. აფორიაქდა გონება და გაინაბა.

უცებ ქვას ფეხი წამოჰკრა, შეიშმუშნა... – უფ, ვერ დავინახე... – წამოიყვირა და დაიხედა მიწაზე, – „მერამდენედ უნდა მომივიდეს ასე, მერამდენედ?!“

ჩრდილობანა

ვერაფერს ვხედავ, იმ ძალიან მარტივი მიზეზის გამო, რომ ბრმა ვარ! გინდა, სულ შენ დაიმალე და მე ხმით მოგაგნებ. გიპოვნი, ყველგან გიპოვნი, მე შენი ჩრდილი ვიქნები.

– დაიმალე?

– დავიმალე!

– დაგემალო?

– დამემალე!

– მერე და რა? ვეღარ გპოულობ!

– მიპოვნე რა?

– მე რომ ბრმა ვარ, დაგავიწყდა?

– ჰო, მართალი ხარ! მე გიპოვნი და მოგიყვან ჩემთან.

– ძნელი ყოფილა შენთან თამაში, შუქურ!

– შენთან თამაში ძალიან სახალიოა, ჭუტალ. ჰა, ჰა, ჰა! რატომ წაიქეცი?

– მომეჩვენა, რომ ჩემ გვერდით ხარ? ჰა, ჰა, რა სასაცილოა, არა? მე არ მეწყინა, რა თბილი ხელები გაქვს, რა საყვარელი ხარ?

– შენ რა იცი? დამინახე?

– მე შენ გხედავ, შენ ყველაზე ლამაზი და კეთილი ადამიანი ხარ, შენ მე გიყვარვარ, დღეს გავიგე, რომ ერთად დავდივართ, მე მარჯვნივ, შენ – მარცხნივ, ჩვენ ორნი ვართ – შუქურა და ჭუტალა, შენ ყველაფერს ხედავ, მე – ვერაფერს, მაგრამ ვიცი, რომ უჩემოდაც ტკბები სამყაროს მშვენიერებით, უყურე ყველაფერს, დაიხსომე სამყარო და მომიყევი, მომიყევი, რა მშვენიერია. ერთხელაც ავახელ თვალს და დაგინახავ ისეთს, როგორიც წარმომიდგენიხარ ჩემს ყველაზე ფაქიზ სიზმრებში. ჩემო ცხადო ნეტარებავ, ხელი ჩამკიდე და ერთად ვიაროთ. ხომ არასდროს მიმატოვებ, მეგობარო?

– არა!

– დავიმალო?

– დაიმალე!

ცვილის თოჯინა

დახარბდნენ უტყუარ სიცარიელეს და დაიჩრდილენ. საშინელმა სიმშვიდემ დაისადგურა. ვიღაცამ თქვა, მალე დაღამდებაო.

– რატომ? – ვკითხე. მეგონა, მთვარე, ღრუბლის მძივებში გაიპარა... ო, როგორ შევცდი. ის სულ ახლოს არის და მეძახის.

– შენი ღამე ვარ, კარი გამიღე!

– რა მოხდება დამაცადე ცოტა ხანს, სულს ნუ წამართმევ!

ის კი მაინც ღამდება და მეც სულს დავკარგავ, მაგრამ სანამ ამას ვიზამ, ხომ მაქვს დრო, რომ ვიცოცხლო და ვიამაყო სუნთქვით? რა ლაღი გრძნობაა. ჰაერის თბილი და რბილი ნაკადი ჩანჩქერებად ედება ორგანიზმის სხვა-

დასხვა შრეს, დაივლის სხეულს, მერე უკან ამოხეთქავს ვულკანი – ბინძური და ცხელი. ჩვენს ცხოვრებაში არის რაღაც ისეთი, რაც ჰაერივით გვჭირდება, ეს ფიქრია. კარგი მარაგია ფიქრი, ის დადის და ღელავს, თრთის და ხტის, ეს პატარა ტივტივა, ხან სად შეგახსენებს თავს და ხან სად გადაგეღობება. კუნთები ყველაზე მეტად გრძნობენ მის მოახლოებას, აათამაშებენ გულს და აძგერდებიან.

ის ფიქრობს...

ძალიან გაერთო, სავარძელში ჩაიძირა, ჯაგარათმიანი, სახეში ჩაჭედილი ცხვირით, სპილოსყურება, ზომაზე გრძელი წარბებით, უსუსური ნიკაპით, ჩაცვენილი ყვრიმალებით, მხრებში ჩამხრჩვალი ყელით, დიდრონი, ლაყე ცისფერი თვალებით, ყინულის ზოდები, უიმედო გამომეტყველებით, გადმოკიდულიყვნენ გუგებიდან, ჩვილივით უმანკო გული ფეთქავდა საათის სიზუსტით. ნაზი ხელისგულები იოფლებიან და ითელებიან ერთმანეთის წვალებით, თხელი საბნის ქვეშ შეფენილი თითები მონატრებული საყვარლებივით სრესენ ერთმანეთს, და წვალობენ მოახლოებული დღის გამო.

მალე მისი ცხოვრება სხვა სახეს მიიღებს – ამ პატარა სახლში არ იქნება მარტო, მასთან ქალბატონი იცხოვრებს, რომელიც დილით ამბორით გააღვიძებს, ტანსაცმელს მოუწესრიგებს, საუზმეს მოუმზადებს, მერე ჭურჭელს დაურეცხავს, ყველაფერს დაგვის და დაალაგებს, კარადებიდან მტვერს აიღებს და სადილს შეუდგება, ღამაზ ჭურჭელზე დადებულ და გაფორმებულ სადილს მიართმევს, თან მოაყოლებს, ქალივით კეკლუცი ხელსახოცებს, იფუსფუსებს და მუდმივად მასზე იზრუნებს. ღამითაც არ დატოვებს მარტო.

ის ყოველთვის მის გვერდით იქნება... მისთვის ოცოცხლებს.

კარზე გაბმული კაკუნია...

– ვინ უნდა იყოს, ნეტავ? დღეს კარგ ხასიათზე ვარ, სულაც არ გავაღებ. ეს, ალბათ, კლარაა, გააჭირა საქმე, მოვა და მეტყვის:

– „პური მინდა, მასესხე ერთი ნაჭერი, ბავშვები მშიერი მყავსო“, ან კიდევ, „მომე ხუთი მანეთი, სულ ერთი კვირით, ბიძია ფარან!“ ეჰ, არა, არ გავაღებ. ახლა ჩემი ქალბატონი იყოს, მივიდოდა, გაუღებდა და ეტყოდა... არა, რა თქმა უნდა, ჩემს ნაშრომს ჩემდაუნებართოდ არავის მისცემდა და ისედაც... მე რა მაგათი ვირის მუშა ვარ? პური, ფული, კიდევ რა უნდათ..? ვერ მივართვი.

გაბმული კაკუნი შეწყდა და ვიღაც დაეშვა კიბეებზე, წინასწარ გათვლილი ნაბიჯების, ზომიერი სიზუსტით.

სიარულის მანერით ადვილად შეიძლება გამოიცნო ადამიანის ხასიათი, პროფესია და სხვა ბევრი რამ. თუ ადამიანი დადის გაბედული ნაბჯით, ეს იმის ნიშანია, რომ არ არის მსუბუქი ხასიათის. შეიძლება ძალიან უცნაურიც იყოს, იმიტომ, რომ უჭირს იმასთან გაშინაურება, რასთანაც ყველაზე ხშირადაა კონტაქტში, მიწასთან, რომლის ნაწილიც ნაწილობრივ უკვე არის შექმნიდან და ცვეთიდან, ბოლოს კვდომით დაჯილდოებული დედამიწის ღერძივით ატრიალებს მის ირგვლივ ყველას მთელი კვირის განმავლობაში. თუ კი ის მსუბუქად დადის: მეოცნებეთა რიგს ეკუთვნის, ან კიდევ შიშობს, რომ ქვეყანა არსებობით არ შეურაცხყოს. ქურდის სვლას იოლად გამოვარჩევთ, ის არასდროს დადის ბრახუნით, მისი ფეხის ხმა ხშირად თავადაც არ ესმის, ეს პროფესიული ნიშანია, ექიმები ჩქარი ნაბიჯით დადიან ყველგან, სახლშიც კი, მაშინაც როდესაც სულაც არ ეჩქარებათ. იურისტები მიდი-მოდიან, ხშირად იხედებიან საათზე და ღამაზად გამოიყურებიან ყოველთვის, მათი გაპრიალებული ფეხსაცმელები და დაკვირვებული, მოზომილი ნაბიჯები მეტყველებენ სიზუსტეზე, და იმაზე, რომ ეს სწორედ ის ადამიანია, ვისაც შეიძლება ბედი ანდო. მხატვრები, პოეტები და მეოცნებენი აუღელვებელი და სევდიანი ნაბიჯებით დადიან, რაც არ უნდა ეჩქარებოდეთ, მაინც არ აურევენ ნაბიჯს. ისინი მუდმივად არაერთგვაროვანი ზომის ნაბიჯებს ადგამენ და ხშირად იმ მიმართულებით, სადაც არავინ ელოდებათ. მაგრამ მაინც იქით ეშურებიან და მას მიესწრაფვიან, რაც სჭირდებათ და

ავსებთ. სხვათა აზრს არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ მათთვის, ხშირად ისეთ კითხვებს სვამენ, რომლის პასუხიც წინასწარ გაცნობიერებული აქვთ, ეს პასუხებიანი კითხვები ოცნებას სახავენ და ყოველი ადამიანი, როგორც მოსიარულე და მოლაპარაკე არსება კი, არ ესახებათ, არამედ როგორც ნატვრის, ფიქრის, ვნების და ემოციის სახესხვაობა.

მანდარინივით შემოატყავებს მკერდს, გააშიშვლებს და პირს არომატული ბანგით ჩაისველებს, უგემური ბადის მაგიერ დაძარღული, ჯანმრთელი, მკვრივი სხეული დახვდება. ზღვა სიამოვნება დაითავისებს. ღვთაებრივი ნექტარით მთვრალი იგრძნობს, თუ რა მშვენიერია ცხოვრება და რომ ამ წამისთვის ღირდა ცდა. მხრები იკუმშებიან, იხრებიან და ეფინებიან მის ბებერ ტანს, რომელსაც მხოლოდ სილამაზის აღქმა შეუძლია, მაგრამ ჰგონია, რომ მთებს აიტაცებს; რომ ოკეანეს აღვირს ააკრავს; რომ ნიაგარას ჭავლის ქვეშ დადგება; რომ ძუ ლომს დაკოდავს და მოახლედ დაიყენებს; რომ შედის დიდ დარბაზში, სადაც ყველანი ქედს უხრიან და ეუბნებიან: შენ ხარ პირველი! შენ ხარ უძლეველი! მაგრამ... წელი ეტლის ბორბალივით ტრიალებს, კუნთები ჭიპში იჭრებიან და ბურცავენ, პატარა მუცელი მეტყველებს უმანკოებაზე, მუხლები სოკოებივით ქუდავენ წვივებს.

ეს ცვილის თოჯინა მუდამ დგას ფარანას აჩირაღდნებული საძინებლის ერთ-ერთ კუთხეში, მაგრამ დღეს განსაკუთრებული მოეჩვენა., ეძახის:

– ფარან! მომე ცოტა ფარა... ჰა ჰა ჰა! ფარან, ფული მინდა; ფარან, კაბა მიყიდე, რა ხანია ძველი შემომაცვდა. ფარან, შე ბებერო მახინჯო!

ის წამოხტება და დაესხმება თავს, ერბოკვერცხივით მიახეთქებს კედელზე, თმებით იატაკს მოაწმენდინებს, ბოლოს ყელში წაუჭერს ხელს და ჩააშტერდება.

– ბებერო! – თვალები იღება და იცინიან.

– რა გინდა, ჯილდა, რატომ მაბრაზებ?

– მე შენთან მინდა, ბებერო ფარან! შენ უკვე მოკვდი! შენ აღარა ხარ!

დასივდა ფეხები და ძარღვები დაიბერა, დამძიმდა, სიარული გაჭირდა და გართულდა. კნუტივით კაცი წამოდგა და კარადიდან ქილა გამოიღო, შიგ წურბელებია, სხვადასხვა ზომის და ფორმის, ერთი სახეობის სლიპინა, ბინძური სისხლის მწოველი ტიკები. დაისვა, შეუდგნენ საქმეს, შეესივნენ მხცოვან კაპილარებს, დახეთქეს, დაიწყო ნადიმი, სასიამოვნო და ხანგრძლივი. დაიბერნენ ცხოველები, დატკბნენ ადამიანის ნაწიბურებით, პატრონი კი იღებს მათ მორიგეობით და ფრჩხილით ხეთქავს, კმაყოფილია, მადლიერების გრძნობა მხოლოდ მას შემდეგ ეუფლება, რაც გარდაცვლილი წურბელის ნეშტში მავნებელ სისხლს დაინახავს.

ნეტავ, შეიძლებოლეს ბოღმიანის გულზე მათი დასმა.

ქუჩებში ნათურები ქრებიან, ცივათ ხეებს, ტყუილებით დაუმძიმდათ გული, იმ სიცრუით, რომელსაც ქარის მოტანილი სიტყვები ამცნობთ. კარგია, რომ დუმან და ფიქრობენ. ჩვენზე მეტს ხედავენ და მაინც დუმან! ქუდის მაქმანები ირხევიან, ფერადი სიმწვანე ღელავს. აი, დაუბერა ქარმა, ისევ მოუყვა ჭადარს ვიღაცის მოტანილი ამბები, აემღვრა გული და თითქოს ქუდი უნდა მოიხადოსო, წაივლო ტოტი თავზე და რევერანსი გაუკეთა ადამიანებს. თმა სულ აერია და ბევრი დრო დასჭირდა ვარცხნილობის შესასწორებლად. თუმცა კი თმას ვინღა ჩივის, ისეთი ამბები შეიტყო...

ჭადარს რცხვენია სხვათა მაგივრად!

კაკტუსები ღვივიან და ფუვდებიან, მრგვალდებიან და ფეხმძიმდებიან, ჯაგარა თმით იბეწვებიან. ზოგჯერ ფულის ყულაბას ემსგავსებიან, მიეკარები, დაგკბენს, დაშორების წუთიდან კი ისევ მას მიესწრაფვი. ფარანას კაკტუსები ძალიან უყვარდა, ბევრი ჰქონდა, სხვადასხვა ფორმის და ასაკის, ზოგჯერ ისინი ყვავილსაც ისხამდნენ, მაგრამ იშვიათად.

აეროპორტის კარი, ფართე და გამჭვირვალე, მაღალი ყვითელი შენობა, წრიული ფორმების სიჭარბე, დიდი დარბაზი ავსებული ხალხით, მგზავრი და მასპინძელი, მრავალფეროვანი ტა-

ნსაცმელი, სიცხე, სიხარბე, მონატრება და განშორება, ან უბრალოდ გაქცევა ყველაფრისგან, მოედანი სავსეა რკინის კაცებით, რომლებიც თითქოს იწელებიან და იზმორებიან, როგორც პანტერები შუაგულ ტყეში. ჯავშნიან ალბატროსებს ცხვირი წაუშვიათ და გაბრაზებულან, ერთი სული აქვთ, როდის გააღწევენ ამ ზოოპარკიდან. აი, სულ რაღაც ოთხი წუთი და სოფლის დედალივით ჩასუქებული ფრინველი ცას დაატყვევებს და აახმაურებს, მოუყვება ღრუბლებს, თუ როგორი ბედნიერია ცაში; რა ლაღი და მსუბუქი ეჩვენება ირგვლივ ყველაფერი. ყეფენ ღრუბლები ქოფაკი ძაღლებივით და ყლაპავენ თვითმფრინავს. ძროხის ძუძუებივით დამძიმდნენ და შეივსენ, მერე კი სარეცხივით გადმოეკიდნენ ღრუბლები, ამინდი შეიცვალა. ალბატროსმა ერთმანეთს დააჭედა ორი მსხვილი, კუნთება ღრუბელი, დახეთქა, და დაწურა ჯიქანი. საშინელი არეულობაა თვითმფრინავში. ხალხი ერთმანეთს ამშვიდებს. მოხუცებს გული მისდით, პატარები ეკვრებიან სავარძლებს, თვითმფრინავი გაუბედავად მიფრინავს, ჯანჯღარებს და თითქოს ჰაერი არ ყოფნის, ხალხი ირწევა აკვანში და დამფრთხალ რკინის ჯარისკაცს უნანავებს ნიავი, ჭრილობებს უხვევს და ეფერება, აი, გულიდან წასკდა უკანასკნელი იმედი, საწვავის მარაგი, ახლა არაფერი გადაარჩენს მათ. ისინი განწირულნი არიან. ერთმანეთს აღგზნებული და დაჭაღარავებული თვალებით უყურებენ. მოწიფულმა ქალბატონმა მორიდებით დაიხედა ფეხსაცმელზე, რომელიც რაღაც უფერო სითხემ დაასველა, შეკრთა და ფეხი ფეხზე გადააცურა. საოცარი ნამდვილი ლედი სიკვდილის წინაც არ კარგავს მორიდების შეგრძნებას. მამაკაცები თრთიან და არ ეპუებიან შიშს, „რა გვეშველება“ ყვეირიან ქალები, გამცილებელი გოგონები ყინულის სახეებით დადიან ადამიანებს შორის და პროფესიის პროფესიონალური შესრულების ცდის წინაშე დგანან. მკაცრად ამშვიდებენ ხალხს. აფრთხილებენ დაიცვან სიმშვიდე და დასხდნენ სავარძლებში, რადგანაც წუთი წუთზე თვითმფრინავი უნდა დაჯდეს სათანადო ადგილას. ხორცები ერთმანეთს ეკვრის, თითები ჭიებივით იგრიხებიან და ფუვდებიან ძარღვების რიტმული ძგერით. გული მონასტრის ზარებს რეკავს. თვალებში მთელი ცხოვრების ნახატები ჩნდებიან, ამ დროს ადამიანი დავინჩია, ცხოვრებას ხატავს, ოღონდ მართალს და შეულამაზებელს, ეს ჩაუსწორებელი სურათები მორიგეობით იბადებიან და ლაგდებიან სიმძაფრის მიხედვით. ისინი მზად არიან სიკვდილისთვის, ზოგი ლოცულობს, ზოგი ყვირის, ზოგი ჩხუბობს, ზოგი წამალს იკეთებს, რომ ვერაფერი გაოგოს და ბოლოსდაბოლოს მიხვდეს, რა არის ნამდვილი კაიფი და ნეტარება, უნდა ექსტაზში სიკვდილი, ზოგი ჰარმონიაში მოდის სიკვდილთან და თვლის, რომ ეს ღვთის ნებაა და თავი თიხად წარმოუდგენია.

დიდი კუბო მიფრინავს თეთრი ფრთებით, კარგი დიზაინია!

ფარანა ფანჯრის რაფას დაეყრდნო და ყბები ხელისგულებზე ჩამოასვენა, ჩაფიქრებული კოტიტა კაცი, დამწუხრებული გამომეტყველებით ილანდებოდა ფანჯრის ჭრილში, კბილები ილესებოდნენ და ღრჭიალებდნენ დასაზეთი კარივით, შლიდა მთვარე ღამის პეიზაჟს, ცა ჩადრავდა მიწას, გლოვა იყო, კაცის და ბუნების, ნამდვილი სატირალი. ფეხისგულები დასიებული და გაუხეშებული კოცნიდნენ ნოტიო ფეხსაცმლებს. სიმთვრალით გალეშილებს არაფერი ესმოდათ, იგუდებოდნენ ნეტარი სურნელით გაბრუებულნი. დახორკლილი ფრჩხილები ამოწვერილიყვნენ და პატრონს ეხვეწებოდნენ: „წამაჭერი თავი, აიღე მოსავალიო“. მუცელი, ცომის წაქცეული ჯამივით იხედებოდა, მკლავები უსიცოცხლოდ ჩაკეცილიყვნენ იდაყვებში. ზურგს კუს სახლი მოუგდია და დააქვს, თმა ცალხაზა რვეულივით გადაუვარცხნია მარჯვნიდან მარცხნივ. ქვედა ყბა შეტენილა ზედა ყბის ნახევარმთვარეში, ტუჩები დაწვრილებულან და მილეულან, ყურები უნიავებენ უხასიათო პატრონს.

გამოაღო კარადა, შიგ ყველის პატარა ნაჭერია მომცრო ლამბაქზე, მწვანილი, ცოტა მოყვითალო ფერით, და პური მოობებული გვერდით.

მთელი ავლადიდება გამოიღო და სუფრაზე დაილაგა. მშვენიერი სადილია!

კარზე ზარია...

– ვინ უნდა იყოს, ნეტავ?

– მაწონი, მაწონი, არ გინდათ? მაწონი! – ყვირის ვიღაც.

– წადი, წადი, არ მინდა, ქალო, არა!

– უი, შენ კი დაგაყარე მიწა, რას მკრავ ხელს? არ გინდა და ნუ გინდა, ვინ გეხვეწება, ერთი ქილაც არ დამრჩება საღამომდე.

– ჰოდა, წაეთრიე, რას მაწუხებ? – ყვირის ფარანა. გიჟივით შემოვარდა სახლში, ეცა ყველს და პურს და ჭამას შეუდგა, თან ფიქრობს: მეყიდა ერთი ქილა, რა იქნებოდა, მეყიდა.

– საწყალო მშიერო, რატომ არ იყიდე, ფული არ გეყო? ჰაჰაჰა! – ჩაიცინა ცვილის თოჯინამ.

– ისევ შენ! დადუმდი, ჩაიგდე ხმა, ახლავე-მეთქი!

– ჰა ჰა ჰა! – იმის გაბმული ხარხარი, გიჟური სიცილიანი ხარხარი.

– ფარან, მომე ფარა, კაბა მინდა, რა ხანია ძველი შემომაცვდა, ფარან, ფარა მინდა, შე მახინჯო, შენა.

ფარანა ისევ მივარდება, წააფრინდება თმებში და მოაწმენდინებს იატაკს. ეს ცვილის თოჯინა დედის გარდაცვალების შემდეგ შეიძინა, ძალიან ამგვანებს მას. დედას ყოველთვის კარგი უნდოდა მისთვის, ის ყველაზე კეთილი იყო და ჭკვიანი, ფარანას დედიკო უყვარს, მან გაზარდა, ის უვლიდა და ეფერებოდა, მამა არც ახსოვს. ქალბატონმა დასჯაც იცოდა, თუ სასურველს ვერ მიაღწევდა და პირმშოს ვერ შეასმენდა ცოდნის მაქსიმუმს, მაშინ შედგებოდა ფეხებით, ცემდა და ალურჯებდა, მერე ჩაკეტავდა ბნელ ოთახში და ნიჭიერი პატარა, უკრავდა ვიოლინოზე, იქამდე, სანამ დედას არ ჩაეძინებოდა, თუ მას ჩასთვლემდა, ცივ წყალს შეასხამდა და სასწრაფოდ გააგრძელებდა მეცადინეობას, სკოლაშიც კარგად სწავლობდა ბიჭუნა, ყველას ჯობნიდა და ამას შიშის ქვეშ დიდი სიხარბით აკეთებდა, თუკი ვინმე მას აჯობებდა, საღამოს როზგი და წიხლები არ ასცდებოდა. რა ექნა? უნდა ესწავლა, უნდა დაეკრა და ეცხოვრა დედის აჩემებული კანონებით.

ფარანას ცუდად ესმოდა ყურში, ფაქტიურად ყრუ იყო, სწორედ ამიტომ მოიგონა დედამ ვიოლინო. საშინელი ინსტრუმენტი. ექიმებმა რომ იცოდნენ, რა ეფექტური საშუალებაა, აუცილებლად უმკურნალებდნენ პაციენტებს. ეს ორი შეუთავსებელი რამ: ვიოლინო და ყრუ, ყრუ და ვიოლინო... რა ცოდოა ამ დროს ცდის ობიექტი, საშინელებაა იცოდე, რომ, უბრალოდ, ყრუ ვიოლინისტი ხარ, ნაყიდი სცენიდან „ბისიც“ კი არ გესმის... სასაცილო კაცუნებო, შეიკარით შარვლები, თორემ შეიძლება მოულოდნელად ჩაგძვრეთ... ჰა ჰა ჰა.

კონცერტი კონცერტზე, გამოსვლა გამოსვლაზე, პასუხი, ბისი, შენიშვნა, უარყოფა, ჩვევა და სიმარტოვე – ეს იყო ფარანას უშუქნიშანო ცხოვრება, ცხოვრება, სადაც სულ წითელზე გადადის; სადაც ყრუთათვის უკრავენ; სადაც ექიმის ეშინიათ.

წყლის ჭიქა აავსო და გადაკრა, კარგია, გრილი წყლის არომატი, სურნელოვანი სიცივე.

კარზე კაკუნია.

ვინ უნდა იყოს, სვეტა, არ მაქვს შენი თავი, წაეთრიე. როდის მოვა ჩემი კონკია...

ცოტა დაიცადა, მერე წამოდგა გამოეწყო და გაუდგა გზას, უნდა საყვარელ ქალბატონს საჩუქარი გაუკეთოს. ბეჭედი, ეს აუცილებელი ინვენტარია ცოლის მოსაყვანად. შედის საიუველირო მაღაზიაში, ათვალიერებს სხვადასხვა ფასის და ზომის სამკაულს, თვლებს, ძეწკვებს და ფიქრობს, რომელი შეურჩიოს.

გამოდის საიუველირო მაღაზიიდან რატომღაც ხელცარიელი, ეტყობა, ვერაფერი შეარჩია...

წვიმა მოწანწკარებს, – მე შენ ამ წვიმას გაჩუქებ, თბილისის წვიმას, – ამოიოხრა ვითომ რომანტიკოსმა და მეოცნების ჟესტით გააქნია თავი.

პატარა მატყუარა...

ქურდულად დაზამთრდა, არაფერი შეიცვალა იმ წელს ქალაქში, ციოდა ძლიერ, ფანტელები ფარავდა დილას, მზიანი ნისლი აკვდებოდა რიჟ-

რაჟის სიოს, დიდი ფოლაქი ამშვენებდა ცას გადაჩითულს. მომაკვდავ დილას ვერავინ შველის, ავადმყოფ ქალწულს ქალწულობა ჩამიჩად ულირს. ობოლი მთვარე დაბრუნდება მალე და გვეტყვის, დაღამდა, მოვედი. ცა გამოკურკავს ციაგ მნათობს, როგორც ჯადოქარს და ამ ცივ ღამეს დაუბრუნებს ნანატრ სითბოს, კითხვის პასუხად.

შემოდგომის ოცნება გაქრა, გაყვა მოგონებას, ფარანი კი ცვილის თოჯინას აწვალებს.

– რატომ გამზარდე ასე ცუდად, მეც ვიყავი ბავშვი და დიდი.

– ჰა ჰა ჰა!

– რატომ მაწვალე ასე უღვთოდ, მეც მინდოდა სიყვარული.

– ჰა, ჰა!

– რატომ? დედა, რატომ ხარ ასეთი კარგი, ჩემო ლამაზო, რატომ მოკვდი, რატომ დამტოვე?

– იცი რა? დაუკარი, ჩემო მახინჯო, მიდი, დაუკარი!

ფარანა დგება, იღებს აპრიალებულ ვიოლინოს, დიდი ბაბუას ნახმარ ნივთს და თითები ათამაშდებიან გრძელ გრიფზე, ჯოხი დასრესს მის სიმებს, გააცურ-გამოაცურებს და ააწუილებს, არა, ეს ნამდვილი მელოდია არ არის, მას დედა აღარ ჰყავს, ამიტომ ვერ უკრავს, ვერავის ესმის მისი გასმული ჯოხის ხმა, მისი აზუზუნებული სიმების ხმაური, საოცარი ნოსტალგიაა.

– დედა, გესმის? დედა, კარგია?

– მიდი, შვილო, მიდი, და გამოგივა, აუცილებლად გამოგივა

– დედა, გესმის? ხომ კარგია, დედილო?

– ჩემო დაწუნებულო, შენი მელოდია მხოლოდ მე მესმის, მაგრამ ის კარგია, დამიჯერე, გრძნობით დაუკარი, შვილო და ყველა მიხვდება შენს ტალანტს.

– რა? რა მითხარი, დედა?

– არაფერი, მიდი, გააგრძელე და...

– ხომ გესმის?

– კი, პატარავ, კი

„იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანი ნაო,
დაიძინე ახლა ძილის დროა, ჩემო კარგო,
ფარან, ნუ დაგესიზმრება შენ ცუდი სიზმარი,
ფარან, ტკივილები შენი ჩემთან გამოუშვი,
ფარან, ნანა, ფარან იავ, იავ ნანი ნაო,
დაიძინე პაწაწინავ, დედის პარატარაო“.

წურბელები გულზე აზის მოხუცს, დაცუნცულებენ მწოვარა ცხოველები და მთელ სხეულზე მოედვნენ ფარანს, ჭამენ და სკდებიან, საუცხოო ნადიმია.

კლარა სასწრაფოს უძახებს, მოდიან და მიჰყავთ, გაგიჟებული მუსიკოსი, რაღაცას ამბობენ, ფუსფუსებენ, ბანკის დანაზოგს საგიჟეს ურიცხავენ, იმისთვის რომ ყოჩაღად იმუშაონ. ცქმუტავენ მეზობლები და მორიგეობით ეხმარებიან აღწერიდან მოსულ მუშაკს. უხდება პაციენტს თეთრი ფერი, მშვენიერია, ნეტავ, რატომ ამდენ ხანს არ მოიფიქრა, ჩაეცვა თეთრი საღამურები.

კონკია კი ამერიკაში ცხოვრობს, არავის არაფერს ატყობინებს იმის შესახებ, რომ ვიღაც მთხოვნელი ჰყავდა 39 წლის ასაკში, მაგრამ როდესაც გადაწყვიტა მასთან ყოფნა და ცხოვრების გაყოფა, არაფერი გამოუვიდა, კარი არ გაუღო. რცხვენია მას იმის გამო, რომ არავის სჭირდება, გარდა თვითმფრინავის გადარჩენილი მგზავრებისა, ის პროფესიით ფსიქიატრია, ლამაზი და დაღლილი ქალბატონი.

შემოჰყავთ პაციენტი.

– გამარჯობათ, შემობრძანდით.

– დედა!

– თქვენ, ალბათ, დიდი სტრესი შეგხვდათ, ასე არ არის? მიამბეთ ყველაფერ იმაზე, რაც გადარდებთ, გთხოვთ, მე გულდასმით მოგისმენთ.

– ჩუ, შენ რა გქვია, ქალბატონო?

– მე, – ფიქრია ექიმი ვარ, ბატონო

– გიყვართ ვიოლინო?

– დიახ. თქვენ, ალბათ მუსიკოსი ხართ.

– მე ყრუ მუსიკოსი ვარ, ქალბატონო.

– საინტერესოა, მომიყევით თქვენ შესახებ.

– ვცხოვრობდი თქვენი სახის მოლოდინში, რატომ დაიგვიანეთ? სურათი, აი, ის, სკამზე რომ დაგრჩათ, პარკში, გახსოვთ? მერე შევხვდით ერთმანეთს, თქვენ დამპირდით, რომ მუ-

დამ ჩემთან იქნებოდით, მე თქვენ ისე ძალინ შემაყვარეთ თავი, ჩემო კონკია.

– მე დიდი ხანია აღარა ვარ ვიოლინოს მოყვარული, თანაც თქვენი კონკია, მას შემდეგ ისეთი არაფერი შეცვლილა ჩემს ცხოვრებაში, უბრალოდ მოვედი და თქვენ კარი არ გამიღეთ, მუსიკოსო.

– მე შევცდი! – თქვა ფარანამ და თვალები მოიწურა. – გამიყვანეთ, ახლავე გამიყვანეთ! – დაიყვირა პაციენტმა.

ცვილის თოჯინას დაათრევენ პატარა ბავშვები, ხან წკიპურტს წამოარტყამენ თავში, ხან გასცინებენ ფარანას და ჩაკოცნიან ვნებიან ტუჩებში, მოიკიდებენ ზურგზე და გააქანებენ ეზოს კუთხეში, მერე თმას დავარცხნიან გოგონები, მოსწონთ მასთან დედაშვილობანას თამაში.

შეიპარა სამზარეულოში, ფრთხილად გადმოალაგა ჭურჭელი, მოიძია ბაწარი, უკან დააბრუნა ყველაფერი და გაეშურა თავის სამყოფელისკენ.

უამრავი ხალხი შეგროვილა:

კუბიკი-რუბიკი, კუბიკი-რუბიკი, აბა წარმოთქვით – კუბიკი-რუბიკი, კუბიკი-რუბიკი

შეუერთდა მასას და იმეორებს: კუბიკი-რუბიკი, კუბიკი-რუბიკი.

გვიან ღამით წამოდგა. ბაწარი პატარა სარკმელში გააძვრინა წინასწარ მორყეული ბადე მოხსნა და გამოიპარა, თევზივით ჩაცურდა ბაწარზე და გაიქცა, მირბის უკუნეთ ღამეში, წინ არაფერი მოჩანს გარდა მიწისფერი სიბნელისა, ღამე, ცრუთა და ქურდთა თავშესაფარი, ღამე ცბიერთა და შაოსანთა, კოჭლთა და ბრმათა, ყრუ მუსიკოსთა. უცებ აღმოჩნადა მისი სახლის წინ, დაქოლილი კარები, გიჟურად შეგლიჯა, ეცა ვიოლინოს, გატეხა და ფულის დიდი შეკვრა ამოაძრო.

– ჩემი ვიოლინო, ჰა ჰა, ჩემი ვიოლინო ჰა ჰა, – გადაიხარხარა სიხარულით გულამღვრეულმა.

მალევე მივიდა ხიდთან, მდინარე ჩივის:

– დავიღალე, ფარან, ძლიერ.

– მეც, ჩემო მეგობარო!

– მოდი, ერთი გარიგება გავაკეთოთ.

– მოდი.

– მე ამ ფულს მოგცემ, ხომ ხედავ, რამდენია, შენ კი ყველა კარი გამიღე, იმ დღეინდელი, 21 აპრილის, გახსოვს თვითმფრინავი რომ დაიღუპა.

ეს თქვა და პასუხს აღარ დაელოდა, გახსნა ფულის შეკვრა და გადაუშვა მდინარეში.

– ფარან, რას შვრები, ძმაო, ფული ყველაფერს ვერ იყიდის, ვერ დააბრუნებ, სად არის შენი ვიოლინო, ფარან? რას იტყვის დედა?

– ვიოლინო აღარ არის, ფულია, ფულიც აღარ მაქვს, შენ მოგეცი, დამიბრუნე ჩემი ღია კარები, მდინარე, გევედრები არ დამაღალატო.

– დაგაგვიანდა.

– ფული, ფული, – ყვიროდა გაველურებით, ფული და ვიოლინო, ასწია მაღლა ხელები, დაკუჭა კუს სახლი და გადაეშვა მდინარის მიმართულებით.

ფარანა მდინარეში შობილ ქვას დაასკდა და ხერხემალში გასწორდა, დაასრულა ზედმეტად ხანგრძლივი სიცოცხლე.

დაღამდა, დღეს რაღაც უცნაურად, მაგრამ ისე როგორც გუშინ, გუშინ წინ, იმის წინ და ადრე, სულ ადრე.

– რატომ? – ვკითხე. მეგონა, მთვარე, ღრუბლის მძივებში გაიპარა, ო, როგორ შევცდი. ის სულ ახლოს არის და მეძახის.

– შენი ღამე ვარ, კარი გამიღეო.

ცხვირას გაქცევა

დაივანა ვალმოხდილმა შემოდგომამ. ახლა მინდა დავლიო და ისე გავილეშო, რომ ხელები და ფეხები თავისით მიაბიჯებდნენ. ფიქრებში, ტაატით მივლასლასებ ნაცნობი ქუჩების ბილიკებზე, მაწვალებს შენი სახე და თვალები, მენატრება შენი ნახვა და მაშინებს შენთან სიახლოვე. ყველაში და ყველაფერში გეძებ, მაგრამ ვერასდროს ვიქნებით ერთად, იმიტომ რომ შორსა ვართ ერთმანეთისგან ასეთია წესი! უფლება არ

გვაქვს, არ ვიყოთ მარიონეტები. ის უხილავი ძაფები, რომელზედაც ჩემი მხრებია დაკიდული, მატარებს, ყველგან მატარებს, მაგრამ შენი კარები ჩემთვის მიუწვდომელია, რადგანაც ძაფი წყდება და ძირს ვეცემი, ისეთი უსუსური ვარ ახლა, როდესაც შენ უკანასკნელ წერილს გწერ. მე შევეცდები შენკენ წამოსვლას, ავიწყვეტ ხელებს და საბოლოოდ დავენარცხები იმ მიწაზე, რომელმაც მე არ მშვა, მაგრამ დროთა განმავლობაში თუკი მეთოჯინე, არ მომაგნებს, აუცილებლად დავიკარგები, ვეღარავინ იხილავს ჩემს სპექტაკლს. ეს გმირიც, რომელიც ამ სცენას ასე უხდებოდა, ყველას დაავიწყდება, აღარ გაივსება მხიარული ბავშვებით დარბაზი ჩემს საცქერლად, რადგანაც მე აღარ ვიარსებებ. იცოდე, რომ მუდამ შენი თოჯინა ვიყავი, გრძელცხვირა, სევდიანი თვალებით, იცოდე, რომ ყოველთვის მიყვარდი, მე კი ვიოცნებებ, როდესმე ხელებგანთავისუფლებულმა განახო და გულში ადამიანივით ჩაგიკრა, თუნდაც ეს საბოლოო ალერსი იყოს. მე უშნო თოჯინა ვარ, რომელშიც სილამაზეს მხოლოდ შენ შეამჩნევდი, ნეტავ, მალე ავიწყვიტო ძაფები, ნეტავ, ვერავინ მი...

– ბაბუა, ნახე, აქ თოჯინა აგდია!

– დამანახე!

– უი, რა კარგია, გენაცვალე, მოდი, ამ ცხვირა თოჯინისგან ახალი, ლამაზი გოგონა გავაკეთოთ! ხომ გინდა?

ხაფანგი

გაიქცა, წკაპ და ფეხი ჩაკრა რკინის მარყუჟში.

– ხაფანგი...

– გაები, ჩიტო?

– ფეხი! – ყვირის შემზარავი ხმით, – ო, როგორ მტკივა ღმერთო ჩემო.

– ოჰ, ეს ხაფანგი, ყველგან და ყოველთვის, გზადაგზა ნაყარი. ხა-ფან-გი.

– ტყეში ხშირად სეირნობთ?

– დიახ, ბუნება მიყვარს გველივით, მასთან სიახლოვე მამშვიდებს, უმისობა მთრგუნავს, ხორცით მინდა, შევიგრძნო მისი არსებობა.

– ნუ ჭამთ ხორცს! გუშინ გამოაცხადეს ტელევიზიით სერიოზული არგუმენტები და იცით რა არის აქ მთავარი, იცით, ვინ იყვნენ ცნობილი ვეგეტარიანელები? ახლავე გამცნობთ: პლატონი, სოკრატე, ოვიდიუსი, სენეკა, პლუტარქე, დიდი პითაგორა, ლეონარდო და ვინჩი, ნიუტონი, ჩემო ბატონო, ვაშლზე ხომ გახსოვთ? რუსო, ვოლტერი, დარვინი, მაიმუნებზე რომ გვიყვებოდა, ბერნარდ შოუ, ჩარლი ჩაპლინი, პოლ მაკარტნი და რა ვიცი, კიდევ ვინ აღარ. ნუ ჭამთ ხორცს, მეგობრებო, თუ გსურთ რაიმე კარგი შექმნათ, რაიმე საჭირო და აუცილებელი გააკეთოთ.

– და ვინ გითხრათ რომ ვჭამ? ცხელი პური, ლობიო და მაკარონი, აი, ჩემი მენიუ, სერ. – ღიმილი გაფატრა პირის ღონიერმა ნახევმა. უცებ ტკივილი გაუმწვავდა და გამოფხიზლდა. მიშველით?

– თქვენ ხომ გიყვართ ბუნება, შეიყვარეთ ეს ხაფანგიც.

ჰოუ და ვერა

ვერა ძალიან კარგი ქალია! ის სხვებს არ ჰგავს! მაგრამ მისი ქმარი ჰოუ, ამას ვერაფრით მიმხვდარა. ვერა დილით განგაშით არ იღვიძებს, მშვიდი და აუღელვებელია, ბევრს ფიქრობს და თავის სატკივარს არავის ახვევს თავს. მზეს უღიმის და მთვარეს საღამოობით ისე ემშვიდობება, თითქოს ხვალ არ უნდა დაუღამდეს, ყველას თავისებურად ეფერება და უვლის, მაგრამ ის მაინც ყველასთვის ზედმეტია. სხვისი ცხოვრებით ცხოვრება როდია იოლი. მაგრამ ჩვენი ბედი იქ იწერება ზენაარსში, სადღაც გადასაკარგავში და მერე ვეღარავინ ასწორებს. მოდიან და მიდიან კაცნი და ქალნი, მწვანეები, ყვითლები, ლურჯები და ცისფრები, თეთრები და შიშველნი, წითელნი და მებრძოლნი. ის იისფერია და იები ძალიან უყვარს. დღეს ვალენტინობის წმინდა

დღესასწაულია. ვერა ჰოუსგან რაღაცას ელის. ჰოუ დილით ადრიანად დგება, განგაშით იღვიძებს, ბავშვებს მზრუნველ ხელს შეავლებს და კარისკენ გაეშურება. ვერა მას გაედევნება, კარამდე მიჰყვება იმ იმედით, რომ მეუღლე, რომლისთვისაც სულსაც არ დაიშურებს, მოეფერება და პატარა ბავშვივით შუბლს დაუკოცნის, მაგრამ ამაოდ, მას არ ახსოვს დღევანდელი დღე, თუმცა ვერამ გუშინ განგებ შეახსენა.

– მიდიხარ? – ეკითხება ვერა.

– ჰო, კარი დაკეტე! არ დაგავიწყდეს! – პასუხობს პედაგოგიური ტონით მეუღლე

– ჰოუ, ჰოუ შენ რა გითხარი. საღამოს სიურპრიზს გამიკეთებს აუცილებლად! მერე და რა მოხდა? მართალია, რომ ამბობს უცნაური ხარო. მთელი დღე სახლში ვზივარ და უსაქმურობისგან რაღაცებს ვიგონებ. ჩემი პატარები – ერთი სასწრაფოდ უნდა ვამეცადინო, მეორეს უნდა ვაჭამო, სახლის დალაგებაც უნდა მოვასწრო და მერე თავს მივხედავ.

ვერა ბავშვებს ჩაეხვია, რაღაც უცნაური გულისმიერი ხმა აღმოხდა, სულიანად ჩაეკრა მათ და დღის საქმეებს შეუდგა. დღე კი თითქოს ჩვეულებრივი იყო, არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, მაგრამ მას რაღაც უხაროდა, უფრო სწორად, უნდოდა, რომ გახარებოდა. მთელი დღე სიმღერ-სიმღერით აკეთებდა საქმეს. ჰოუმ მანქანით გამოუარა. მოწესრიგებული, ზედმიწევნით გაპრიალებული ფეხსაცმელებით, გადავარცხნილი თმით, სწორი გაუთოებული შტრიხებით, თავად მათემატიკა მანქანაში ელოდა ვერასა. ვერამ ვერა და ვერ მოახერხა თავის ჯეროვნად მოწესრიგება; ვერა და ვერ გაიწმინდა ფეხსაცმელები ისე, რომ ლაპალაპი გაუდიოდეს, მას ეჩქარება, სადღაც ეჩქარება და ის შინაგანად გარბის. ტოვებს ჩვილს, ტოვებს უფროს ბავშვსაც და სიხარულის შესაგებებლად გარბის. ის ზედიზედ რამდენიმე საყვედურს იღებს, მაგრამ ამას სრულიად არ აქცევს ყურადღებას, სურს დღეს კუთვნილი ბედნიერება მიიგოს, მაგრამ ვერა და ვერა, ვერა და ვერა... ვერა უკვე დაიღალა სურვილით, უმარილოდ ხუმრობს, მაგრამ მაინც ხუმრობს, მას კი გულიანი ტირილი უნდა. შედის ბანკში, იღებს საფულეს და რაღაცის გადახდას ცდილობს, მოულოდნელად ბანკის თანამშრომელს ვაჟი უახლოვდება, რომელიც დიდ იისფერ თაიგულს ჩუქნის. ვერა იყინება, მიშტერებია შეყვარებულ წყვილს და ცალ თვალს იისფრად აფერადებულ გაზაფხულისფერ ყვავილებს აპარებს. მოდის ოდნავ დაღონებული, ჰოუ მანქანაში ელოდება. ისინი შინ უხასიათოდ ბრუნდებიან. ვერა ფიქრობს: არა უშავს, ხვალაც მოვა ახალი დღე და მე აუცილებლად ბედნიერი ვიქნები იმიტომ, რომ მიყვარს! ვერა ძალიან კარგი ქალია! ის სხვებს არ ჰგავს! მაგრამ მისი ქმარი, ჰოუ, ამას ვერაფრით მიმხვდარა.



ოთარ ჩოგაძე

მთაზე

წვეთი. წვეთი. წვეთი. წვეთი.
წვეთავს. წვეთავს. წვეთავს. წვეთავს.
არც ნაკლები და არც მეტი,
არის ნერვთა ჩემთა წყვეტა.
სანამ ისევ მოვა ქარი, სანამ ქარი გაგიტაცებს,
გაიხურე მშვიდად კარი, შენი ფეხით ადი მთაზე.
ნახავ, არის უფრო მეტი,
იქ ნერვების გლეჯა, წყვეტა,
იქაც არის ოფლიც, წვეთიც,
იქაც ცრის და იქაც წვეთავს.

* * *

ვერ ვწერ... უკვე მერამდენე
დღეა მშვიდი, დღეა ნაზი
და ცას უფრო ელანდება
დღე ერთი და ტყე ათასი.
მიდის, მიქრის,
მიდის, მიქრის,
დღე მშვიდი და რაც დღეს ვანდე,
გამოიხმობს შენზე ფიქრი
უსაშველოდ საშიშ ლანდებს.
ვერ იძინებ, კარავს არ შლი,
აღარც ცივა, აღარც ნამავს,
არც თენდება და მზე მარშით,
არ გიბრუნებს დევგმირ მამას.

* * *

ივლისის თვეა, მე ვწერ ზამთარზე,
თვალს ვერ ვაშორებ კატას და ჰამაკს,
მერე ცარიელ ყუთში ვათავსებ
მზეს და ცარიელ სარდაფში ჩამაქვს.
მაშინვე იწყებს თოვას და ქარი,
აწვალებს ღიად დარჩენილ ფანჯრებს
და პალმა, როგორც დაღლილი ქალი,
ფიფქების გარდა ვერაფერს ამჩნევს.

* * *

როცა თოვლი კი არა, თოვს ალუჩის ყვავილი,
როცა არის საღამო, როცა შენც ხარ ასეთი,
თუკი დააგვიანე ტრამვაი არ ჩაივლის
და ვერ ნახავ სტუდენტებს წიგნებით, ან გაზეთით.
თუკი ათასმეერთედ გითხრეს უკვე უარი,
თუკი ამჩნევ ღამის ცას მთვარე როგორ აკლია,
როცა შენი სიკვდილიც არის გარდაუვალი,
და მამლების ყივილი ქალაქს თავზე აყრია,
თუკი გენატრებოდა ტირილი და ღრიალი,
და გინდოდა, ქალაქში დევები რომ გენახა,
არის გადასარევად... ყველაფერი ტრიალებს
და ამ ფერად ქალაქში ცუდად მხოლოდ შენა ხარ.
როცა თოვლი კი არა, თოვს ალუჩის ყვავილი,
როცა არის საღამო, როცა შენც ხარ ასეთი,
როცა დგახარ ბაქანზე, ფიქრობ, როდის ჩაივლის,
ვერცხლისფერი ტრამვაი წიგნებით და გაზეთით.

* * *

უნდა მოვასწრო მოყოლა ამბის,
ან შენ გარეშე, ანდა – თანხლებით,
წვეთი ეცემა მინას და ჩარბის
და უსარგებლოდ ყეფენ ძაღლები.
აკაციებიც ახლოს არიან –
ჩემი და შენი ღამის ლანდები,
არეული ვარ და სიზმარია
და ჩვენ სიზმარეთს გვიან ვბარდებით.

და სანამ შევალთ იმ მღვრიე რძეში,
ვიდრე გაქრება სული და ხორცი,
მანამდე აქვე, ჩვენთან, ან ჩვენში
გადაიხდიან დევები ქორწილს.
მერე ვერასდროს აქ ვეღარ მოხვალ,
ვერც ავსულები შავი თავშლებით...
მხოლოდ საბავშვო ფილმებში მოყავთ,
წეროებს თოვლზე თეთრი ბავშვები.

აქედან

აქედან ახლოა პლაჟი, აქვეა ფანჯრის, მინაზე,
ფიქრი უღრუბლო ცაზე, ცაზე, პლაჟზე და სილაზე.
აქედან ახლოა ღმერთიც, უფრო ახლოს კი შენ ხარ,
მიყევი მზისფერ ბილიკს და ბოლოს მასთან შეხვალ.

* * *

არ ვიცი, როდემდე, რა დრომდე ენთები,
ძილს ებრძვი, სიზმარეთს და მერე ნებდები.
იღვიძებ, მაშინვე ბრუნდები ენაში,
სრულიად მარტო ვართ, სრულებით მე და შენ.
რადგანაც ზედმეტად გვიტაცებს ორივეს,
შევცქერით ცის თაღზე გამოსულ მორიელს.
და როცა ნელ-ნელა გადადის კიდემდე,
არ მინდა, იდგე და ცას ფარდას კიდებდე.

პოეზია

ჩვენ ტკბილი პოეზია გვიყვარს,
თაფლზეც ტკბილი და
სულზეც უტკბესი,
მისგან მოგვრილ სიამოვნებას ვერაფერი შეედრება,
ვერც ცათა შინა და ვერც ქვეყანასა ზედა.
კითხულობ, გეღვრება სხეულში თაფლიან რძესავით
და თვალები გებინდება, გეხუჭება,
გაჟრჟოლებს,

გაჟრჟოლებს და გცვივა ცრემლები თვალებიდან,
ოფლი – შუბლიდან,
თმა – თავიდან, სანამ არ გამელოტდები,
მერე კი, როგორც ნამდვილ პოეტს შეჰფერის,
დაიხურავ თავზე ცილინდრს,
ჩამოიკიდებ კისერზე კაშნეს
და ასე ნელ-ნელა დაემსგავსები,
შენ – პეტრეს,
პეტრე – პავლეს,
პავლე კი – იმ ახალგაზრდა და პერსპექტიულს,
ვისაც ორმოცდაათი ლექსი მაინც აქვს დაწერილი ძვირფას დედაზე,
ამდენივე, თუ მეტი არა, სამშობლოზე,
საცოლესა და მერე ცოლზე...
ჩვენ მარიხუანას მსგავსი პოეზია გვიყვარს,
კითხვებს ფეხზე რომ გვაკიდებინებს ისეთი...

კიბე

ძალიან მაღალი კიბე რომ მქონდეს,
ავიტან მტირალას მთაზე,
მივადგამ დალაქავებულ ნახევარმთვარეს,
შევიხედავ სხვენში და მერე მოგიყვებით:
სძინავს თუ არა ჩვენს ზემოთ ვინმეს,
თუ მაინც სძინავს, ხომ არ უბერავს ორპირი ქარი,
ხომ არ აწუხებს ჩვენი ხმაური,
გამუდმებული „გაუმარჯოს“ ძახილი დროშებთან ერთად,
ხომ არ აწუხებს როკი და ტექნო,
ან ჩვენი როკვა დახურულ კლუბში,
ან მე და ჩემი მაღალი კიბე ხომ არ ვაწუხებთ.
მერე დავბრუნდები ქალაქში,
რომელიც სავსეა
მრავალსართულიანი დრაკონებითა და დინოზავრებით,
მერე, ალბათ, ამხედრდება ვინმე ჩემს კიბეზე,
დააყრევინებს თავებს ამ ურჩხულებს და მათი მუცლიდან
გამოუშვებს მთელ ქალაქს...
მეც გავხდები უფრო სანტიმენტალური,
დავკრეფ გვირილებს რუსთაველის ქუჩაზე
და უთუოდ შენ მოგართმევ,
სხვას – არავის...

* * *

წარმოიდგინე ერთი წუთით,
თუ გიჭირს,
შეგიძლია, თვალები დახუჭო,
თვალდახუჭული უფრო იოლია ცხოვრებაც და რაღაცების წარმოდგენაც,
შეგიძლია სავარძელში ქვევით ჩაიწიო, ჩაწვე,
აი, ასე, კარგია!
წარმოიდგინე, არაფერი აღარ გვაქვს ვითომ,
არც სახლი, არც მიწა, ძველისძველი ქოხი გვაქვს მხოლოდ,
ისიც სოფლის განაპირას, მწვანეში კი არ გვიდგას,
არამედ აქვე, რომელიმე მიყრუებულ უბანში.
დაკარგული გვაქვს სამსახური,
არა გვაქვს ფული, არც ოქრო- ვერცხლის სამკაულები,
არც – ფაიფური, არ გვაქვს არც ერთი ბრენდის ყავა,
მაგრამ გვაქვს კარგად დაჭრილი და მწარე თუთუნი,
გვაქვს უამრავი ქოთნის ყვავილი
და უთვალავი მერცხლის ბუდე
სახლის კედლებზე.
საღამოობით ვერ დავდივართ ვერც ერთ სპექტაკლზე
და ვერ ვესწრებით პრემიერებს კინოთეატრში,
ვცხოვრობთ უბრალოდ
და ვფიქრობთ: როდემდე ვეყოფით ერთმანეთს,
როდემდე შეავსებს ცარიელ ოთახებს,
როდემდე გაგვათბობს ზამთარში,
როდემდე დაგვაპურებს და მოგვიკლავს წყურვილს,
როდემდე გვეყოფა ერთმანეთის გასაბედნიერებლად
ეს თითივით გალოკილი სიყვარული...

* * *

იქნებ, გამათავისუფლო შენგან,
გამათავისუფლო შენი სიყვარულისგანაც,
ყოველდღიური გადაკოცნებისგან,
ღიმილისგან, რომელსაც მე თვალს ვარიდებ
და მაკიაჟით დაფარული სახისგან,
რომელიც
მეშინია, რომ ერთ დღესაც ნიღაბივით ჩამოგეხდება.

იქნებ, გამათავისუფლო,
გამათავისუფლო უსიყვარულო და რიგითი სქესობრივი აქტისგან,
გამათავისუფლო უღლისგან, რომელიც თანდათან გვექცა ტვირთად.

გამათავისუფლო საუკეთესო წყვილის როლის თამაშისგან
და ყველაფრისგან,
სანამ ერთმანეთისთვის გვიღალატია,
სანამ გვიღალატია სოციალურ ქსელში ვირტუალურად,
სანამ გვიღალატია ფიზიკურადაც
იქნებ, დავშორდეთ...

კითხვები, რომლებიც დამიგროვდა, სოციალური ქსელების მომ-ხმარებლებისა და სხვების მიმართ

რატომ გვასწავლიან ისტორიას ჟურნალისტები,
რატომ გვარიგებენ ჭკუას,
რატომ ვაწებებთ იარლიყებს ადამიანებს,
რატომ ჰგონიათ, რომ არ ვიცით, რამდენჯერ გვქონდეს სექსი,
რატომ ჰგონია მოსახლეობა ბნელი მავანს,
რატომ ჰგონია მოსახლეობას გიორგი გაბუნია ეტალონი...
რატომ ვაზიარებთ მუხლჩაუხრელად უცნობის ფარისევლობას,
რატომ არის სოფო ნიჟარაძე მომღერალი,
რატომ ვუყურებდი მხოლოდ მე გიორგი გვახარიას „წითელ ზონას“,
რატომ აქვს ლია ლიქოკელის ვიდეოებს ასე ცოტა ნახვა
და ზურა სალუქვაძისას – პირიქით,
რატომ არ ვამბობთ, რომ გორგილაძის ლექსი, „იქნებ“, ცუდი ლექსია,
რატომ არ გვესმის დავით გურამიშვილის,
რატომ არასდროს ვამბობთ ცუდზე – ცუდს და კარგზე – კარგს,
და ბოლოს, რატომ არ ალაიქებთ ამ ლექსს?

გალაკტიონის მოსვლამდე
(ტავტოლოგია)

შენ თუ გინდა, იყავი გალაკტიონი
გალაკტიონის მოსვლამდე.
იყავი ანა კალანდაძე
გალაკტიონის მოსვლამდე,
იყავი ირაკლი აბაშიძე,
გოგლა ლეონიძე,
იყავი, ვინც გინდა...
მერე, მაინც არავის ემახსოვრება,
ვინ იყავი
გალაკტიონის მოსვლამდე.

* * *

ხომ შეიძლება, მოვკვდე ახლა,
ან გვიან ღამით,
ასეთ გრიგალში, ან თოვაში,
ანდა – სეტყვისას.
მეცვას ძვირფასი სამოსელი,
ან – ჯვალოს ხამი,
ან ტყავი მეცვას და ის ტყავიც
იყოს ვეფხვისა.
ხომ შეიძლება, მყვარებოდი
შენც უფრო მეტად,
და უფრო მეტად მყვარებოდა
ყოველი დილა,
მე ახლა წავალ, საკმარისად
ვიყავით ერთად,
იძინე ტკბილად!..

* * *

ეს ლექსი,
ახლა რომ ვწერ,
უბრალო ლექსი არ გეგონოთ,
ეს ლექსი არის ყველაფერზე,
ოღონდ
არ არის ნისლიან მთებზე,
არ არის არც მთვარიან ღამეზე,
არც მამულზე, რომელსაც აწმყო არ სწყალობს,
არც პლატონურ და არც სხვაგვარ სიყვარულზე.
ეს ლექსი არ არის არც საცობებიან ქალაქზე,
არც იმაზე, საცობის ხსენებაზე არყიანი ბოთლი რომ ახსენდებათ.
არ არის არც ჯვარცმულ ღმერთზე,
არც მთისკენ მიმავალ მუჰამედზე...
ზოგისთვის,
ახლა რასაც ვწერ,
ლექსი არ არის საერთოდ,
მე კი, მთელი დღე მეგონა, დავწერე ლექსი,
რომელიც არ არის უბრალო,
მაგრამ არის ყველაფერზე...



დავით შადამგერიძე

შენ ჩემი ხსნა ხარ

შენ ჩემი ხსნა ხარ, იმედად გსახავ,
როგორც ტალახში ნაგდებ იარას,
ღამით ქუჩაში სიკვდილი გამყვა
და დღისით ისევ შემომიარა.

კორტნიდა თვალებს, სისხლიან ფრჩხილებს,
მთიშავს, ვიღვიძებ... გადამიარა...
ფიქრებს მაჭმევდა დაღლილს და მშიერს,
თუმც სიმაძღრეში არა ყრია რა.

და მისი ყულფი არეულია
ძველ ჩხირკედელა იარაღებში,
ოთახის კარი შენგრეულია,
ვწევარ ჭაობში, ვწევარ ნაღმებში.

და თან მკარნახობს საუცაბედოდ,
რადგან არ ვიცი, რა გავაკეთო!
და ახალ ძონძებს იცვამს უკუნი:
შენი გარსი და ბნელი ჩურჩული.

დადუღებული უანგარობით
ვდგავარ და მეტი არ მაქვს მიზანი!..
როგორც კომპასის თეთრი ისარი
შავ წრეზე ვბრუნავ დამწუხრებული.

ყავისფერის და ლურჯის ნაზავი
მთავრდება ეს დღე მომაკვდავივით,
ვეღარ აეწყო და ჩვენ დავზავდით,
ასე დავჭკნებით ან გადავივლით...

და გთხოვ, გამოჩნდი და გამომყევი,
სანამდე განცდა გადამივიდა,
ერთად გამოვალთ მხოლოდ ჩრდილიდან,
შენ ჩემი ხსნა ხარ შეუცნობელი.

სინათლე წვეთავს და თითქოს არც ხარ,
ლოცულობ სადღაც, სამყაროს იქით...
შენ ჩემი ხსნა ხარ, იმედად გსახავ,
თან, შეიძლება, იყოს პირიქით.

როცა მოკვდები

თავს არ განებებს შენ ამ ბოლო დროს
კითხვა, რომელიც გაცდენს და გხიბლავს –
როდის გადაჭრის ღმერთი სამყარო-
-სა და შენ შორის არსებულ ჭიპლარს?

გაიფანტება თუ არა სივრცე?
დღეს, ხვალ, ზეგ... მაზეგ... ადრე თუ გვიან?
წყალს ვერ გაატან იდუმალ სიზმრებს,
ღრუბლებს გაყვები თუ შავ-ბნელ გვირაბს?

რადგანაც ეჭვი ჯერ არ გამქრალა,
უაზრო კვირას მიყვება კვირა...
სად შეჩერდება შენი ამქარი?
რწმენა არ კმარა, შენ გინდა ხილვა.

როცა დრო მოვა, იქ ვინ შეგხვდება?
ან რას გეტყვიან? სად მიგიჩენენ
ადგილს? თუ იგრძნობ წუხილს, შეხებას?
ყველაფერ ამას ბოლო გვიჩვენებს.

ვინ გიპასუხებს დაღლილს, უმეცარს?
ამოცანაა უკაცრიელი, –
გადაგეშლება თვალწინ უეცრად
კითხვებით სავსე ქვეცნობიერი.

შენ დამარხულ წლებს ეძებ იმედით
დამწვარ სანთლებით სავსე მღვიმეში,
უსინანულოდ ვერ გაიხსენებ
და ხარ ფიქრების საპყრობილეში.

რისი ბრალია? განა ხელი გკრეს?
ეს სამკუთხედი გამრუდებული.
თავს იმართლებ და თანაც წყევლი ხვედრს,
რადგან გაგხადეს იძულებული.

იქ რომ მოხვდები, მერე რა გელის?
ვისღა აუგებ იქ სიტყვას ბანზე?
თეთრი მანტია გერგება წილად,
თუ, რაც სიკვდილის წინ გეცვა ტანზე?

შენი ცხოვრება ხათაბალაა,
წითელ ბალახზე ნაჯირითები.
როცა შენ სხეულს მიწა ჩაყლაპავს,
სულ სხვანაირად აჭიკჭიკდები.

* * *

ცაცხვთან რიონი უმღერის წყვილებს,
ხიდზე მალიმალ ნიაღვრებს გაშლის
და სიჭაბუკეს შენატრის ძლიერ
დაბერებული, უდედო ბავშვი.

არეულია წლების დავთარი,
ფეხის ძირებზე აშრება წუმპე,
პატარა ბიჭი, ცისკრით დამთვრალი,
იჯდა თავისთვის, ითვლიდა ლუკმებს.

ღამის სიმკრთალე გულში ჩაგიკრავს,
გიდევს ჯიბეში ოცნების ფუნჯი.
ალბათ, დროებამ მიტომ გაგრიყა,
უნდა გაგევლო შენ ნემსის ყუნწში!

ის არ იმეტებს რამე საქებარს,
ბაღში მაისი დგება სავარდო.
მის ნაბიჯებზე ძაღლი აყეფდა,
გზა არის ბედი და უსამართლო.

და აგროვებდა ვაზნებს არეულს,
ფეხისწვერებზე შიმშილი კლავდა,
სარკეს შეხედა, თვალებამღვრეულს,
სულ მარტოდმარტო, არავის ჰგავდა.

გავლენა

წმინდა მაგალითი ჯვარცმაა ქრისტესი...
ცოტაც და შეხედავ ხელებზე სტიგმატებს.
ეს არის გავლენა თუ რამე მიზეზი?
თუ ჩვენ გავლენით ვესწრაფით სიმართლეს?

გულებში ირყევა ღმერთის საფუძველი,
გაბნეულია მტვერში სასოება,
არავინ არაა სხვებთან გულწრფელი,
აზრებს გვიკარნახებს ჩვენ გარემოება!...

ბევრი გვანიშნებს კედლის საათივით,
როცა გვიკაკუნებს საფრთხე კარიკარ.
გადამდებია სიახლე მარტივი,
როგორც განწირულ გემზე პანიკა!

იმედს კი არა, ვეძებთ ილუზიებს
და ვიმორჩილებთ სანგრებით ავდრებს.
საკუთარ სიმწრის მწარე იმპულსია
მზერა, რომელიც უსიტყვოდ გაბნევს!..

გინდა, არ გინდა, და უფრო გიწევს
მტრებთან გამოძებნო ენა საერთო...
შენ გარყვნილების განკითხვას იწყებ,
რომ არ შეგიძლია, მათთან გაერთო!

მარცხმა გაგხადა უხასიათო,
ყველამ დაახვიოს ზოგადი განხრებით!..
გულში როგორი ხმით არ ბაითობ,
ორატორს ისტუმრებ თავის დაქნევით!

შემზარავია, აზრებდასაწყვეტი,
გზა უაზრობის ტყვეებით ღელავს...
ხარ მარტოობის ერთი ნაწყვეტი
და შეიძულებ გარშემო ყველას!

ზეცამდე აყავხარ უდიდეს სიხარულს,
მიტომაც ასეთი მომენტები:
ირგვლივ ასხივებ წარმოქმნილ სიყვარულს
და რაღაცას მიედ-მოედები!

ზმანებებისგან იდეალს ძერწავ,
მელანქოლია იმატებს, იმატებს...
მხოლოდ ხიბლსა და გავლენას ხედავ
და მაინც ეძებ სხეულზე სტიგმატებს!

ოქტომბერი

ისევ ოქტომბრის ხიბლით დავთვერი,
წვიმს და ფოთლებში წვიმა ირხევა,
არასდროს არ ვარ მე უდარდელი,
მაგრამ მამხნევებს ეს ჩაფიქრება.

რომ წარუშლელი დღით და ადათით
ადუღდებიან საწნახელები,
ვებრძვი სიცივეს ღვინის ღაღადით,
ხეტიალითა და დამღერებით.

წვეთავს ასფალტზე მზისფერი შუქი
მღვრიე ქალაქის შუქურებიდან,
ღამდება მალე, ტრამალებს მწუხრი
უახლოვდება უკუნეთიდან.

სველდება სივრცე, გაქრება ლიბრი,
მე შემოდგომის სუსხი მაფხიზლებს,
გავყვები აღმართს დატბორილ კიბით
და შევჩერდები ერთხანს ნაპირზე.

დილა იღვიძებს თვალებზე ნამით,
საღამო ორთქლით მესაუბრება.
არხევს ტირიფებს ქარის ალამი,
იშლება ზეცა და იღრუბლება.

ანანია ჯროველი

დიკლაკის მალამო

– დამშვიდდი ბოლოს და ბოლოს! – ვთქვი ნამძინარევი, თუმცა უკვე გაბრაზებული ხმით, – რას გადამეკიდე ამ დილაუთენია, ასეთი რა ბოროტი ჩაგისახლდა არსებაში, შაბათ დღეს გამოძინების უფლებას რომ არ მაძლევ?!

– უკვე რამდენი დღეა, გეხვეწები, ბიჭო, ამ ნოხების წაღებას, განა შორს არის, ხომ იცი, რომ აქვეა, ქუჩის გადაღმა, – მითხრა შეტევით შეცბუნებულმა ცოლმა.

– ახლოს რომ არის, ამიტომაც არ უნდა გაგეღვიძებინე ასე ადრე, ერთი ან ორი საათის დაგვიანებით რომ გეთქვა, რა მოხდებოდა, დაგძრახავდა ვინმე!? – ვუთხარი გულმოსულმა.

– განა ვინმე დამძრახავდა, ადრიდანვე შევუდექი საქმეს, დროზე მინდა მივალაგ-მოვალაგო აქაურობა და დავისვენო, მეც ხომ ადამიანი ვარ?!

– ჰო, შენ ადამიანი ხარ და გინდა დღის ბოლოს, დალაგებულ, მოწესრიგებულ ბინაში დივანზე მოიკალათო, ფეხი ფეხს გადადებულმა გადახვეული ფილმების ცქერით დატკბე, მე კი ახლა მსურს მოსვენება, გამოძინება, მთელი დღე უნიათოდ და უხასიათოდ რომ არ დავიარებოდე!

აღარაფერი უპასუხია. თუმცა მივხვდი, პაუზა აიღო და რომ სულ მალე განაახლებდა შეტევას.

საწოლში რაღა გამაჩერებდა. ავდექი და საძინებლიდან მისაღებში საცვლების ამარა გამოვლასლასდი. სამეულის პირველივე სავარძელში ჩავეშვი. წამოწოლის სურვილი მალე მეწვია და დივანზე გადავინაცვლე. ვიფიქრე, ძილდამფრთხალი გამოღვიძება-გამოფხიზლების პროცესს დავასრულებ და დამშვიდება-დაწყნარების საქმესაც მივხედავ-მეთქი. უღონობის და ქანცგამოცლილობის შეგრძნებებიც მიფუჭებდა განწყობას. გულაღმა მწოლმა ერთხანს თეთრი ჭერი ვათვალიერე, მერე კი თვალები მივლულე. ხელ-ფეხი და ტანი მოვადუნე. ვიფიქრე, იქნებ, ძალ-ღონე ვიგრძნო მკვლავსა და მუხლში და ხასიათიც გამომიკეთდეს-მეთქი.

იდეით შეპყრობილ ქალს, მით უფრო მისი განხორციელების პროცესში მყოფს, ვინ შეაჩერებს. დამინახა თუ არა წამოწოლილი, ისევ შემომიტია, ისევ გამაგონა ერთმანეთში შეზავებული თხოვნა-მოთხოვნა – სასწრაფოდ წამეღო მისაღები ოთახის დიდი ნოხი და საძინებლების პატარებიც ზედ მიმეყოლებინა. აშკარა იყო, გეგმა ჰქონდა და შესაბამისად მოქმედებდა, თუმცა მისი განხორციელების მექანიზმზე არა ეფიქრა რა. ახლა, ამ დილაუთენია, ამ მექანიზმის ერთი მთავარი, თუმცა გაუპოხავი ნაწილი ვიყავი. ჩემი ცოლი უმოქმედობით ჩაჟანგული მექანიზმის ხელით ამტრიალებელს ჰგავდა.

იგი არ ცხრებოდა.

ვცდილობდი, თავი როგორღაც დამეცვა, ყველა მოსაზრება და სათქმელი რამდენჯერმე, თუმცა უშედეგოდ გავუხმოვანე, მათი გამეორების საჭიროებას კი უკვე ვეღარ ვხედავდი. ბოლოს ასე ვიფიქრე, – ილაპარაკოს რამდენიც უნდა, დაიღლება, მოსაზრებები და არგუმენტები გამოელევა და დაწყნარდება-მეთქი. მოვტყუვდი.

– კარგი, – ვუთხარი ბედს შერიგებულმა, – გაგიკეთებ ყველაფერს, ოღონდ ცოტა მადროვე, გამოვიღვიძო, სული მოვითქვა და ძალ-ღონე მოვიკრიბო-მეთქი.

– დილით მოსვენება ვის გაუგია? – მითხრა უკვე მოთმინებადაკარგულმა, – საღამო ხომ არ არის, მთელი დღის ნაჯაფარს მოსვენება გჭირდებოდეს?

– მართალი ხარ, – ვუთხარი მშვიდად, – იცი რა, უღონობის და ქანცმიხდილობის შეგრძნებები მაქვს, იქნებ, სახსრების გამო.

მეგონა, გადაირეოდა. ალბათ, იფიქრა, საქმეს თავს ვარიდებდი და რომ გეგმა-ჩანაფიქრი საბოლოოდ ეყრებოდა წყალში. ისევ წამოიწყო მისთვის სასურველ კალაპოტში ჩემი მოქცევის ჩხუბი. ვეღარ გავუძელი, გავაწყვეტინე და თითქმის მუდარით მივმართე: – მითხარი, რაც გინდა, თუნდაც მაგინე, ოღონდ გთხოვ, ხმადაბლა მელაპარაკე-მეთქი.

გაეღიმა.

გამიხარდა, ამას რომ მივაღწიე. მისი განწყობის უმნიშვნელო ცვლილებით ვისარგებლე და ჩემი უღონობის და ქანცგამოლეულობის შესახებ კიდევ ერთხელ და ამჯერად უფრო დამაჯერებელი ინტონაციით ვამცნე.

– კარგი, კარგი! – მითხრა საქმიანი იერით, – „დიკლაკის“ მალამო მაქვს ჩანთაში, შენი სიმამრისთვის ვიყიდე, მოგცემ და წაისვი საჭირო ადგილებზე. თუ მოგიხდეს, დაიტოვე, იმას კი – სხვას ვუყიდი.

რაღას ვიზამდი, დავმორჩილდი. წავისვი, როგორც ამიხსნა და როგორც საჭირო იყო და ისევ მივიღე ჰორიზონტალური მდგომარეობა.

ნახევარი საათის შემდეგ, როგორც ეს საქმის წინამძღოლს შეეფერება, თავს წამომადგა და ადგომა მომთხოვა. უძლურების ნიშნად თავი აქეთ-იქით გადავაქნიე, ზანტად წამოვიწიე და წამოვჯექი. ვიგრძენი, – წინანდელი უღონობა და ქანცგამოლეულობა ნაწილობრივ გამქრალიყო. გამოღვიძების პროცესიც დასასრულს მიახლოებოდა.

არ ვიცი, როდის მოასწრო, მაგრამ საძინებლის პატარა ხალიჩები უკვე აეკეცა და ჰოლში, შემოსასვლელ კარებთან, დაეწყო. კარადიდან სკოჩი გამოვიღე და აკეცილი ხალიჩები იმ ვარაუდით შევკარი, სამრეცხაომდე რომ არ გახსნილიყო. მისაღების ნოხიც ავკეცე და იგივე ოპერაცია ჩავუტარე.

მთელ ამ მოძრაობა-საქმიანობაში ერთადერთი შეგრძნება მქონდა მხოლოდ – რაც უფრო მეტად ვირჯებოდი, მით უფრო მეტის გაკეთება მსურდა. ყველაფერს რომ მოვრჩი, ვიგრძენი, სხვა საქმის კეთების სურვილიც აღმძროდა. ენით აღუწერელი სიხარულის მოზღვავებას ვგრძნობდი. მიხაროდა, რომ ისევ მერჩოდა ძალი და ღონე, რომ ისევ გამიჩნდა მთების შეძვრის სურვილი-განცდა. ჩემს სხეულში სიცოცხლე ახლა სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე ამ ერთი საათის წინ.

ხალიჩები ორ ზვინად შევკარი. საზაფხულო მაისურსა და მოკლე შარვალში გამოვეწყვე, დიდ ხალიჩას მარჯვენა ხელით, პატარებს კი მარცხენათი ჩავეჭიდე და ცოლის მიერ გამოღებულ კარის ზღურბლს გადავაბიჯე.

სადარბაზოს კიბეები ისე ჩავიარე, არავინ შემხვედრია. არც ეზოში იყო ვინმე. შაბათი დილა უცნაურად მშვიდი იყო.

ჩვენი ეზო პირდაპირ ქუჩაზე გადის. გასასვლელის მარჯვენა მხარეს, სუპერმარკეტის შესასვლელ კარებთან, რომელიღაც სადისტრიბუციო მანქანა შეკვეთილ პროდუქციას ცლიდა, მარცხნივ კი, უნიფორმიან მეეზოვეს მონახვეტ-მონაგროვები აჰქონდა აქანდაზზე.

გზა პირდაპირ გადავკვეთე, ტროტუარზე გაშენებულ გაზონებს შორის ქვეითებისთვის დატოვებული ვიწრო საცალფეხოც გავიარე და მარჯვნივ შევუხვიე. აქედან სამრეცხაო ოცდაათიოდე ნაბიჯზე იყო. ჯერ ცალკე მდგომი საკანცელარიო მარკეტი შემოგხდებოდა, შემდეგ კი სამრეცხაოს მაღალი, რკინის გისოსებიანი ღობე იწყებოდა. მრეცხავებს გზისპირა ღობეზე გარეცხილი ნოხები გადმოეფინათ. მათი ბოლოები ღობის ძირს სწვდებოდნენ. ვერც ქუჩიდან გაიგებდი, რა ხდებოდა სამრეცხაოს ტერიტორიაზე და ვერც შიგნიდან დაინახავდი ქუჩას. შიგნიდან სარეცხი მოწყობილობების ხმაური და მრეცხავების ზღვარს გადასული ყაყანი მოისმოდა.

რკინისგისოსებიანი, ნოხებგადმოფენილი ღობე ათიოდე ნაბიჯზე რკინისავე სამანქანე ჭიშკართან მთავრდებოდა. ჭიშკარი ღია იყო. შევედი თუ არა, მაშინვე მარცხნივ ავიღე გეზი. ვიცოდი, შეკვეთებს აქ იღებდნენ. სამნი იყვნენ. ორი მათგანი ნარდს თამაშობდა, მესამე კი – ხან ერთი მონარდისკენ მიატრიალებდა თავს, ხან მეორისკენ. საერთო სალამი ვთქვი, გამორჩეულად გულკეთილებს რომ სჩვევიათ, ისეთი, რასაც სხვა დროს თითქმის არასდროს მივმართავდი. ახლა – ერთი რიგითი სამრეცხაოს ერთი რიგითი კლიენტი კი არა, ქალაქის უპირველესი და უგულკეთილესი მოქალაქე ვიყავი.

ნარდის თამაშისთვის თავი არ მიუნებებიათ, არც მისალმების პასუხად უთქვამთ რამე. მესამე წამოდგა, – ხელით მანიშნა, გამომყევიო. ხალიჩები საჭირო ადგილას დამაწყობინა, მომსახურების საფასური გამომართვა და წაღების რიცხვი და დრო დამისახელა.

გამოვემშვიდობე და გისოსებიანი ღობის გაყოლებით გასასვლელისაკენ წავედი. სახლში დაბრუნებას იმავე მარშრუტით ვაპირებდი. ტროტუარზე გასვლისთანავე რატომღაც მარცხენა, ქუჩის განაპირა მხარე ამოვირჩიე. თავაწეული, მხრებგაშლილი, უჩვეულოდ გალაღებული ნაბიჯებით მივაბიჯებდი. ისიც მიხაროდა, ცოლთან წაკამათება ასე კარგად რომ დასრულდა და ისიც, სურვილის ასრულებაში რომ დავეხმარე. უფრო დიდი სიხარული ახლა, ალბათ, მაღლა მზეს თუ ჰქონდა, ასე რომ აჭერდა ჩვენს ქალაქს ზემოდან.

უზომოდ გახარებულმა ვერც კი შევნიშნე, რომ ტროტუარის მარჯვენა მხარეს, ნოხებგადმოფენილი ღობის გასწვრივ, პენსნესმაგვარი სათვალის მქონე კაცი შემხვედრი მიმართულებით მოძრაობდა. ჩვენს შორის შვიდი თუ რვა ნაბიჯი იქნებოდა. პირველად რომ შევხედე, მერე თვალი ვეღარ მოვაშორე. მასაც იგივე მოუვიდა, – მოდიოდა და თვალებში შემომცქეროდა. ერთმანეთს ვუახლოვდებოდით.

– გამარჯობა, – ვუთხარი პირველმა და მარჯვენა ხელი საბოლოო მიახლოებამდე ორიოდე ნაბიჯით ადრე გავუწოდე.

– გაგიმარჯოს! – მიპასუხა და ხელჩამორთმეულები ერთმანეთის წინ დავდექით. გრძნობაგაცლილი გამომეტყველებით შევცქეროდით ერთურთს. მხოლოდ ჩემს სახეს აჩნდა რაღაც ღიმილისმაგვარი.

– როგორ ხარ? – ისევ პირველმა ამოვიღე ხმა.

– არა მიშავს, – მიპასუხა მშვიდად.

– ღმერთმა კარგად გამყოფოს, – ვუთხარი ნაკლები პათოსით, ვიდრე ამას სასურველ ადამიანებს ეუბნებიან ხოლმე შეხვედრისას და ხელი გავუშვი.

– შენც, – მომესმა მისი ხმა, როცა გაშორების პირველი ნაბიჯი გადავდგი.

რამ შემახვედრა. ამ გზაზე მისთვის სხვა დროს არასდროს მომიკრავს თვალი. ახლა, ამ შაბათ დილით, აქ რა განგებამ მომივლინა იგი. ანაზდად გამიელვა: ცხოვრება ზოგჯერ ისეთ პერიოდებს გვიძღვნის, ისეთ გამოცდებს გვიწყობს, სიხარულის შინაგანი განცდის შანსიც კი არ გვაქვს, რაც უცხო თვალისათვის სრულიად შეუმჩნეველია ხოლმე. ამ შეხვედრის განსჯა შემდგომშიც მრავალგზის ვცადე და ყოველ ჯერზე იმ დასკვნამდე მივდიოდი, რომ ყველა მოულოდნელი შემთხვევისათვის წინდაწინ ვერავინ მოემზადება, რადგან ასეთი შეხვედრა საჭირო განწყობის შექმნასაც გულისხმობს. რას ვიფიქრებდი, რომ ამ კაცს, ადამიანებთან ახლო ურთიერთობით მოსარგებლეს, ოდესმე ისევ მივესალმებოდი, მოვიკითხავდი, მერე კი დავლოცავდი და ასე გავშორდებოდი.

მზე უკვე ძლიერ აჭერდა. ქუჩაში ავტომობილები მომრავლებულიყვნენ. მუხლსა და მკვლავში ისევ ვგრძნობდი ძალ-ღონეს, ხოლო შინაგანად – ჯერ კიდევ შემორჩენილ სიხარულს. ეს უადგილო, მოულოდნელი შეხვედრა ჩემში უცხო სხეულივით შემოჭრილიყო და სულ ახლახან მოვლენილი დიდი სიხარულის გვერდით ადგილის დაკავების თუ განსჯა-გადამუშავების მოლოდინში განაბულიყო. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს კაცი კი არ შემომხვდა, არამედ სიხარულით სავსე ჩემს არსებაში თვითონ შევიყვანე, გავატარ-გამოვატარე და სიხარულბოძებული თავის გზაზე თავადვე გავაცილე.

შინ განწყობაშეცვლილი ვბრუნდებოდი. ამ ადამიანთან ურთიერთობის ყველაზე უფრო ძნელად აღსაქმელი კადრები ქაოტურად დარბოდნენ ჩემს გონებაში. ძნელად აღსაქმელობა იმ ახლო ურთიერთობიდან მოდიოდა, წლებს რომ ითვლიდა. ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი მაინც მისი ბოლო საქციელი იყო, როცა ურთიერთობიდან ცალმხრივად გავიდა. თვენახევრის შემდეგ ტელეეკრანიდან შევიტყვე, – ქალაქის საკრებულოში აერჩიათ. მხოლოდ მოგვიანებით გავაცნობიერე, – ურთიერთობიდან გასვლა დროში, სავარაუდოდ, იმ შეთავაზება-შეთანხმებას უნდა დამთხვეოდა, რომლის წყალობითაც საკრებულოში მოხვდა.

ქუჩა გადავჭერი, ჩვენი სახლის ეზო გავიარე და შინ დაბრუნებულმა, დღევანდელი დღის უფროსს დაწვრილებით ვუამბე ნოხების მიტანა-ჩაბარების და მათი უკან წამოღების ამბავი. მან ეს არ იკმარა და დამატებით გამომკითხა მისთვის საინტერესო ამბები.

გუნება-განწყობის შეცვლა რომ შემატყო, მიზეზი მკითხა. ბანზე აგდებული პასუხი ვახვედრე. არ დაიჯერა და ისევ მკითხა:

– სამრეცხაოში ხომ არ მოხდა რამე?

– არაფერი, – ვუპასუხე გულგრილად, თუმცა მივხვდი: ახალი ამბის გაგებისა და მისი გარჩევის ინტერესი გასჩენოდა, აღარ მომეშვებოდა, მსგავსი შეკითხვებით გულს გამიწვრილებდა და იქნებ, მწარედაც გამეჩუმებინა. ურთიერთობის კვლავ გართულებაზე უარი ვთქვი და ორიოდე სიტყვით უადგილო შეხვედრის თაობაზე ვუამბე. გაოცება ვერ დამალა.

– რამდენადაც მახსოვს, არ ესალმებოდი. ისიც მახსოვს, უნივერსიტეტში შენი არდაბრუნება მაგას რომ უკავშირდება, – რექტორი ხომ მაგან გადაარწმუნა? ახლა კი რა მოხდა?

– არაფერი. გახარებული ვიყავი, ძალიან გახარებული და ისე ამაღლებული, რომ იმ წამს, მიწიერის არა მეცხო რა, ყველაფერი ვაპატიე.

– იქნებ, ურთიერთობის აღდგენა გსურს, ენა კი სხვა რამეს გალაპარაკებს?

– არა! ეგ ჩემს ურთიერთობებში ვეღარ დაბრუნდება! ასეთებს სხვებთან ურთიერთობა იმიტომ აინტერესებთ, რომ მათთვის საჭირო დროს გარშემო მყოფები სათავისოდ გამოიყენონ – ან ფარად იფარონ, თავი რომ გადაირჩინონ ან თავზე ფეხით შედგნენ, მაღლა აძვრომა და, მათი გაგებით, უკეთეს სიტუაციაში აღმოჩენა რომ შეძლონ.

– ხვალ-ზეგ რომ შეგხვდეს, აღარ მიესალმები?

– არა!

– ეგ როგორ?

– ჩვეულებრივად. ყოველდღე მალამოს წასმას არ ვაპირებ და რომც წავისვა, არა მგონია, მსგავსი სიხარული კიდევ მეწვიოს.

ჩემმა პასუხმა დაუსრულებლის განცდა დამიტოვა, წამით ისევ დამაფიქრა და ცოტა ხნის შემდეგ ადრე გაჩენილი აზრი ცოლს დასკვნის სახით გავუხმოვანე: ისეთი სიხარული არ მსურს, რომლის განცდისას ამ ქალაქის ყოველი უზნეო ჩემში თუ უნდა შემოეხეტოს.

– იქნებ, მიუტევო? – მითხრა გულწრფელად.

– ქვა ვესროლე თუ თოფი, თუ სალანძღავი სიტყვები ვასმინე? გზები გაიყარა – სულ ეგ არის, – ვუპასუხე მშვიდად.

– საერთო ნაცნობ-მეგობრები გყავთ, მათი აზრი არ გაინტერესებს?

– ამბის გაგება გსურდა და მოგიყევი, განსჯა-ანალიზში დამეხმარე და სწორ გზაზე დამაყენე-მეთქი, არ მითხოვია. საქმეს მიხედე, არ დაგაღამდეს!

ვეღარაფერი მიპასუხა. ახლა უკვე თავად გადააქნია თავი აქეთ-იქით უძლურების ნიშნად, დიასახლისის ხელთათმანები თითებზე კარგად შეისწორა-მოირგო, სახეზე ალაგმულის ღიმილი გამოესახა და აბაზანისკენ ბეჯითი ნაბიჯებით გასწია.

მარტოდ დარჩენილს კმაყოფილების გრძნობა მეწვია: ზედმეტი კითხვებით მაინც აღარავინ შემაწუხებდა. თუმცა ვერც ის გამეგო, რა მეკეთებინა. საძინებელში შევედი, კარი მივიხურე, გავიხადე და შევწექი. ძილი არ მინდოდა, მაგრამ ვგრძნობდი, ვერც მის გარეშე დავაღწევდი თავს უსიამო განცდებს. ფიქრი ზოგადისკენ მივმართე და ჩათბობა-ჩაძინების მოლოდინში გავისუსე.

10.10.2016



მიხეილ ლაკერბაი

მიხეილ ლაკერბაი – აფხაზი მწერალი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1901-1965 წლებში. მისი ლექსები და ნოველები ქვეყნდებოდა პირველ აფხაზურენოვან გაზეთ „აპსნიში“, რომლის რედაქტორიც გახლდათ აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი – დიმიტრი გულია. თავად მიხეილ ლაკერბაი შემდგომ რედაქტორობდა გაზეთ „აპსნი კაპშის“. იგი ავტორია ლირიკული ლექსებისა: „სამშობლო“, „ციხეში“, „დიმიტრი გულიას“, „მერცხალი“ და სხვა; ასევე მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები და ნოველები, რომელიც მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა წიგნად სახელწოდებით – „ვინ მოკლა ფურირემი“. აღნიშნული მოთხრობები აფხაზური და ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებზეა აგებული და შექმნილია ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით. ბევრი მათგანის ფაბულა ჩვენთვის, ქართველთათვის, ძალიან ახლობელია, რამეთუ იგი აღებულია ამ ორი მოძმე, საერთო ტრადიციების მქონე, ხალხის წიაღიდან.

მთარგმნელი

ᲐᲣᲐ

(წიგნიდან „ვინ მოკლა ფურირემი“)

არცთუ დიდი ხნის წინ აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში მოსავლის აღების ზეიმს ვესწრებოდი, რომელიც აქ ყოველთვის ხმაურითა და მხიარულად ტარდებოდა. სუფრასთან ყველაზე პატივსაცემ და ღრმად მოხუცებულთა გარემოცვაში აღმოვჩნდი. რაღა თქმა უნდა, საუბარი წარსულის მოგონებებსაც შეეხო.

– ბევრი ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე და ბევრი გადავიტანე. იმ ცხოვრებას ცხოვრება ერქვა? იმ დუხჭირ ცხოვრებას? – თქვა აზამათ კოვემ.

– ასეااა... – გაგრძელებით წარმოსთქვა თანხმობის ნიშნად კერიმ ცვიჟბამ, რომელიც მაღალმიანი სოფლიდან, ამზარადან, ჩამოსულიყო ზეიმზე.

– დასანანია, რომ არ არსებობს გადამცვლელი პუნქტი, სადაც ძველ, განვლილ ცხოვრებას, ახალში გადავცვლიდი. – იხუმრა ერთმა.

– ასეთი პუნქტი რომ მართლა არსებობდეს, მე ჩემი წარსული ცხოვრების 10 წელს გადავცვლიდი ახლანდელში. – დაასრულა საუბარი ხანაშვ შოუამ.

ვერანდაზე გავედი, რომელიც დიდ, ლამაზ ეზოს გადასცქეროდა. ზაფხულის წყნარი საღამო იყო. ეზოში ასი წლის მოხუცის – უახაიდა სმირის გარშემო ცნობისმოყვარე ახალგაზრდები შემომსხდარიყვნენ. მეც ეზოში ჩავედი. მოხუცი მეგობრობასა და ძმობაზე საუბრობდა, ძველებურ აფხაზურ ტრადიციებზე, კერძოდ, აუას მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე. მეც მსმენოდა აუას შესახებ – ძველ აფხაზთა შორის იყვნენ ძმებად წოდებული ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს უანგაროდ ეხმარებოდნენ; აუა ნიშნავდა გულშემატკივარს, ავისა და კარგის

თანაზიარს, დარდისა და სიხარულის გამზიარებელს, ჭირისა და ლხინის თანამონაწილეს. აუად გახდომა და ყოფნა ადვილი არ იყო – ეს არ იყო უბრალოდ დანათესავება, ეს იყო მოვალეობა; ეს იყო ნამდვილი თავდადებული მეგობრობა. აუა ნებისმიერ წუთს მზად უნდა ყოფილიყო თავისი აუასთვის დახმარების აღმოსაჩენად.

– რევოლუციამდე, მართლაცდა, მძიმე ცხოვრება გვქონდა, მაგრამ ადამიანები ერთმანეთს გვერდში ედგნენ და გაჰქონდათ ცხოვრების ჭაპანი, – ჩემს დანახვაზე საუბარი არ შეუწვეტია მოხუცს, – მეფის ჩინოვნიკები და ჩვენი თავადაზნაურობაც ავიწროებდა უბრალო, ღარიბ ხალხს. იმ მძიმე დროში ერთადერთს, აუას, თუ შეეძლო, შეემსუბუქებინა მძიმე უღელი გვერდში დგომით. ზოჯერ აუას სიმდიდრის მიხედვითაც ირჩევდნენ, ზოჯერ – ფიზიკური ძალის მიხედვით და ასე ერთმანეთის თანადგომით გაჰქონდათ უსიხარულო დღეები.

რევოლუციამ სულზე მოგვისწრო. იგი, როგორც შვება, ისე მიიღო აფხაზმა ხალხმა და არა მარტო აფხაზებმა, მთელი კავკასიის ხალხებმა.

დაიწყო ახალი ცხოვრება.

მახსოვს, სოხუმში, გლეხთა ყრილობაზე, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო აფხაზეთის გაერთიანების საკითხი რომელიმე რესპუბლიკასთან, როგორც სასიძო მოიჩქარის ხოლმე ულამაზესი ქალის დასაწინდად, ისეთი ხალისითა და სურვილით ჩამოიჭრნენ უღელტეხილს მიღმიდან, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან – ჩეჩნეთიდან, ადიღეიდან, კარაჩაევოდან მოლაპარაკებათა მწარმოებლები. ჩამოვიდნენ ჩვენი კეთილი მეზობლები საქართველოდანაც. ყველა მათგანი გვთაზობდა მეგობრობასა და ძმობას. ჩვენში დიდი კამათი გაიმართა, ვისთან გავერთიანებულიყავით ერთ მოკავშირე რესპუბლიკაში. სიტყვა ითხოვა ბრძენმა მოხუცმა კიაგუა კიუტიმ. ხალხი გაინაბა.

„ჩემი პირადი მაგალითი აუასთან დაკავშირებული, იქნებ, დაგეხმაროთ ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაში. მე მოგივყებით, დასკვნა კი თავად გააკეთეთ!

მე და ჩემს მეზობელს, მასმირ გურჯუას, ფაცხები ერთმანეთთან ახლოს გვედგა, ირგვლივ ტყე და ჭაობი გვერტყა. შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით, მაგრამ ორივე ოჯახს ერთნაირად გვიჭირდა, ამიტომ გამუდმებით ვფიქრობდი, განსაკუთრებული გაჭირვებისას როგორ შემეშველებოდა მეზობელი, მაშინ, როცა თავისი გაჭირვებია-მეთქი. ამის გამო გადავწყვიტე, ვინმე ისეთი შემერჩია აუად, განსაცდელის ჟამს რომ მიშველიდა. ჰოდა, ჩემს შორეულ ნათესავზე, შეძლებულ და ცნობილ სიდა ჩაჩბაზე შევჯერდი. სიდა შორს, მთებს იქით, ცხოვრობდა. გავემგზავრე მასთან. სიდამ სიხარულით მიიღო ჩემი წინადადება და ხმამაღლა იქ დამსწრე საზოგადოების წინაშე რიხით გამომაცხადა თავის ახალ აუად და ნაბდით დამასაჩუქრა, მეც ჩემი ერადერთი ცხენი ვუფეშქაშე. სიხარულით ცაში დავფრინავდი, რომ ძლიერი, შეძლებული და კეთილი აუა გავიჩინე. ამიერიდან ხომ ველარავინ დამჩაგრავდა, ვერ მაწყენინებდა?! აბუჩად აგდებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ხალხიც მილოცავდა. ამოვისუნთქე, უბედურების აღარ მეშინოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ბედი ყოველთვის არ სწყალობს ადამიანს და წარმატებაც მუდმივ არ ემგზავრება. ერთ უკუნ ღამეს ბოსლიდან ერთადერთი მეწველი ძროხა – ოჯახის მარჩენალი, მომპარეს! დარჩნენ ბავშვები რძის გარეშე. დავღონდი. გავიფიქრე, ახლა ჩემი აუა უეჭველი დამეხმარებოდა, მაგრამ ის ხომ შორსაა, მთებს იქით, გაგრასთან-მეთქი. ჩემი მეზობელი მამსირი შემომეშველა – მასაც ერთი მარჩენალი ძროხა ჰყავდა, მაგრამ რძე ჩემს შვილებსაც უწილადა. მადლობა მამსირს! მიხსნა!

ცხოვრებით ნაცადია, რომ უბედურება და განსაცდელი დიდი ხნით არ ტოვებს ადამიანს. ერთხელაც ცოლი გამიხდა ძლიერ ავად, საჭირო შეიქნა ექიმთან მიყვანა, მაგრამ როგორ წამეყვანა, როცა მხოლოდ ერთი ხარი მყავდა და ურემიც არ გამაჩნდა.ისევ აუა დამიდგა თვალწინ – მან რომ იცოდეს ჩემი გასაჭირი, ურემსაც გამომიგზავნის და ფაეტონსაც, მაგრამ ის ხომ

შორს, მთებს იქით, გაგრასთან ცხოვრობდა და ხმას როგორ მივაწვდენდი? დრო არ ითმენდა. მაშინვე დატრიალდა მამსირი, გადმოიყვანა თავისი ხარიც, ურემიც მოაყოლა, შევაბით ხარები უღელში, დავაწვინეთ ურემზე ავადმყოფი და დროულად მივადექით ექიმს. სწორედ დროულად მიყვანამ გადაწყვიტა ავადმყოფის ბედი. მადლობა მეზობელს, კვლავ მიხსნა!

ერთხელაც, როცა ჩემი ცოლი ჯერ კიდევ სუსტად იყო და საავადმოფოში იწვა, მოულოდნელად ძვირფასი, პატივსაცემი სტუმრები მეწვივნენ თავად სიდა ჩაჩბას თავკაცობით. მოგეხსენებათ, ჩვენი წესის თანახმად, სტუმარს საკლავი უნდა დაუკლა, ღირსეულად რომ გავმასპინძლებოდი აუასა და მის სტუმრებს და სირცხვილი რომ არ მეჭამა, მეც ასე უნდა მოვქცეულიყავი – ცხვარი მაინც უნდა დამეკლა, მაგრამ როგორ? მე ხომ პირუტყვი არ მყავდა? ჩემმა მეზობელმა მამსირმა გაიმეტა თავისი ერთადერთი ცხვარი, მოარბენინა, დაკლა, ჩამოატყავა, გაასუფთავა, თავადვე მოხარშა, თავისი ცოლ-შვილიც დაიხმარა; როცა შეხედა, რომ, ღვინოც არ იყო საკმარისი, თავისი მარნიდან შემოამატა და ნამდვილი აფხაზური სუფრა გაიშალა. კარგად მოვულხინეთ იმ ღამეს. ძალზედ ნასიამოვნები სტუმრები ჩემსა და მამსირის ფაცხებში გადანაწილდნენ დასაძინებლად. ასე რომ, ღირსეულად ვუმასპინძლე ჩემს აუასა და მის მხლებლებს. აუაც ფრიად გახარებული და კმაყოფილი იყო, – მხლებლებთან გაწითლება რომ არ მოუწია. მადლობა მეზობელს – ამჯერადაც მიხსნა!

ერთხელ მთავრობაში გამომიძახეს. გავწიე სოხუმისკენ. ჩემმა ცოლმაც გადაწყვიტა თავის დას სტუმრებოდა ტამიშში*. ბავშვებიც თან წაიყვანა. წასვლისას დაავიწყდა, ბუხართან გასაშრობად დაფენილი, უკვე გამშრალი შალის აღება, ცეცხლი ჯერ კიდევ ენთო ბუხარში. როგორც ჩანს, ნაპერწკალი გადმოვარდა, დაეცა გამშრალ შალს, ცეცხლი გაღვივდა, აალდა და მთელ ფაცხას მოედო, რაც დროზე შენიშნა მამსირის ოჯახმა და ხანძარი ჩააქრო – გადაარჩინა ფაცხაცა და საოჯახო ნივთებიც დაწვას. აი, ჩემი აუა მთებს იქიდან ვერ დაინახავდა ხანძარს, თორემ, თქმა არ უნდა, მომეშველებოდა. ისევ და ისევ ჩემმა მეზობელმა მიშველა. მადლობა მამსირს – კვლავ მიხსნა!

მე ასე ვიტყოდი: ახლოს მყოფი მეგობარი ნამდვილი აუაა, შორს მყოფი მეგობარი კი – სულის მამშვიდებელი! ამიტომ გაერიანებისთვის ჩვენ უნდა შევარჩიოთ აუა არა მთებს იქით, არამედ ახლო მეზობლები – ქართველები.

დღეს თუ ჩვენ დავეხმარებით მათ ძმურად, ხვალ ისინი დაგვეხმარებიან. ასე იყო ოდითგან!"

– და ხალხი ჩასწვდა ბრძენი კოაუას ნაამბობს და მიიღო გადაწყვეტილება, გაერთიანებულივნენ მოძმე და თან ახლოს მყოფ ქართველებთან, რომლებთან გვერდიგვერდ მეგობრულად საუკუნეებია ცხოვრობენ და ტრადიციები და სისხლი აკავშირებთ; გაერთიანებულიყვნენ, რომ ერთად ეშენებინათ ახალი ცხოვრება, – დაასრულა თხრობა უახაიდა სმირმა.

რუსულიდან თარგმნა **გუნა სამნიძემ**

* ტამიში – სოფელია აფხაზეთში (მთარგმნ.)



თამაზ აბულაძე

ისტორიული და გამონაგონი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“

სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილი მხატვრული პროდუქციის ნაწილი ისტორიასთან არის კავშირში, – ისტორიული მოვლენები და ფაქტები არის საფუძველი ცალკეული ნაწარმოებების, ზოგჯერ ისტორიულ მასალას ძირითადი მიმართულებები ეყრდნობა და ისეთი ნაწარმოებებიც არსებობს, რომელთა მთლიანი სიუჟეტია დაფუძნებული ისტორიაზე.

ქართულ ლიტერატურაში ჰაგიოგრაფიული ძეგლები თავად გახდა ისტორიის წყარო, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ უამრავ ისტორიულ ფაქტს ეხმაურება, სულხან-საბას, დავით გურამიშვილის და რომანტიკოსების არაერთი ქმნილება ისტორიული ვითარების გამოძახილია, თერგდალეულებმა თავად მიმართეს ისტორიულ თემებს და უამრავი საინტერესო თხზულება შექმნეს: ილია ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებული“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“, “ნათელა“, „პატარა კახი“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ ისტორიული მასალებიდან იღებენ სათავეს.

ისტორიისადმი ინტერესი XX საუკუნის მწერლობასაც გაჰყვება. ამის საუკეთესო მაგალითია ლ. გოთუას „გმირთა ვარამი“, მაგრამ წარსულისადმი ისეთი ორიგინალური და თავისებური კავშირი, როგორიც კ.გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაშია“ სხვა არც ერთ თხზულებაში არ დასტურდება. ამ რომანში ორი დიდი ისტორიული თემაა მთავარი, პირველი, გიორგი პირველის მეფობა და მეორე, სვეტიცხოველის მშენებლობის აპოლოგია.

მოვუსმინოთ თავად მწერალს: „ბალღობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აბხაზთ მეფე გიორგი პირველი... ორ კუროპალატს შორის გამოსრესილი მეფე (აქ იგულისხმება მამა გიორგისა, ბაგრატ მესამე კუროპალატი და ძე გიორგისა, ბაგრატ მეოთხე კუროპალატი).

ვინც დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, თუ რა მხეცი იყო ბასილ მეორე, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა და ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატიანე უწოდებს, „უშიშარს, ვითარცა უხორცოს“, ქართულ ქრონიკაში მხოლოდ ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მდუღარება ჩემი სულისა“.

ახლა მეორე თემით დაინტერესების შესახებ გავეცნოთ მწერლის მოსაზრებას: „ხომ უცილოდ დიდია რუსთაველი და თანავარსკვლავედი

მისი, მაგრამ არანაკლებად საამაყოა ჩვენთვის ბოლნისის, ჯვარის, სვეტიცხოვლის, წრომის, ბედიას, მარტვილის, თიღვას და გელათის დიდოსტატები. მე ვწუხდი, რომ ასეთი შედევრების ხუროთმოძღვრებს დავიწყების ჩრდილი მოჰფენოდათ სახეზე, ამიტომაც წავატანე ხელი კონსტანტინე არსაკიძისთვის მკლავის მოკვეთის მშვენიერ ლეგენდას“.

პირველ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ მწირი ცნობები ჰქონდა მწერალს საფუძვლად და მეორე შემთხვევაში მხოლოდ ლეგენდა, მაგრამ მათი ხორცშესხმით მივიღეთ ბრწყინვალე რომანი, რომელშიც ღრმად ჩანს დიდოსტატი მწერალი და ისტორიკოსი, რომელმაც კარგად იცის ქვეყნის ისტორია და ნებისმიერ დროს შეუძლია სასურველი დეტალები გამოიხმოს დასახული მიზნის წარმოსაჩენად.

უფრო მეტიც, მწერალმა ისე ლოგიკურად და საგნობრივად შექმნა საკუთარი ფანტაზიით გასხივოსნებული დეტალები, ძნელია დაჯერება იმისა, რომ ისინი ისტორიიდან არაა ამოღებული.

კარგად გავეცანი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის მასალას გიორგი პირველის შესახებ, საფუძვლიანად წავიკითხე ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ და ვერაფერს მივაგენ ფეოდალების ამბოხების შესახებ, რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს რომანში. საქართველოს მხატვრული ისტორია შექმნა ლ. სანიკიძემ თავისი „უქარქაშო ხმლებით“, რომელშიც არაერთი სხვა მხატვრული ნაწარმოები აქვს გამოყენებული, მაგრამ გიორგი პირველის დროის ამბოხებებზე არც კი მიანიშნებს.

მაშასადამე, ასეთი ამბოხებები გიორგი პირველის დროს არ მომხდარა. არადა, ვინმეს, ვინაც გიორგი პირველის დრო ამ რომანით იცის, ვერ დააჯერებ რომ ასეთი შინაომები არ ყოფილა.

1970 წელს გამოიცა მკვლევარ ეთერ შუშანიას წიგნი „კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლო გზა“, რომელშიც ავტორი ვრცლად მიმოიხილავს „დიდოსტატის მარჯვენას“. მისი წაკითხვისთანავე იქმნება აზრი, რომ მკვლევარი დარწმუნებულია ამბოხების ისტორიულობაში. ვნახოთ, როგორ წერს იგი: „რომანის სიუჟეტს საფუძვლად დაედო სწორედ ის ისტორიული კონფლიქტი, ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის, ისტორიულ ქრონიკებში მოცემულმა ძუნწმა ფაქტებმა სული ჩაიდგეს ამ პოეტურ ქმნილებაში და იქცნენ მძაფრ დრამატულ სცენებად“ (გვ. 126).

არადა, გიორგი პირველის დროში შინაურ ომებზე ასეთი ძუნწი ცნობები არ არსებობს. ისტორია ბევრს გვიყვება ბაგრატ მესამის ბრძოლაზე დიდგვარიან აზნაურებთან, ბაგრატ მეოთხესაც მრავალი შინაწინააღმდეგობა დაუძლევია, მაგრამ გიორგი პირველზე არაფერია ნათქვამი. უფრო მეტიც, ისტორიიდან ირკვევა, რომ მაშინ არც კვეტარის საერისთავო არსებულა და არც მამამზე ერისთავის სამფლობელო. მინიშნებულ რეგიონებში საერისთავოები მოგვიანებით შექმნილა.

საქართველოს ენციკლოპედიიდან ჩანს, რომ ფშავი და ხევსურეთი მეთხუთმეტე საუკუნემდე გვაროვნულ თემებად ცხოვრობდნენ და ერქვათ ფხოვი. შუა საუკუნეებში კვეტარის საერისთავოში შედიოდნენ (ქსე, ტ. 10. გვ. 346). „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ჩართულ რუკაზე კვეტერა აღნუსხულია კახეთის საქორეპისკოპოსოს შემადგენლობაში, მაშასადამე, ის გიორგი პირველის იურისდიქციაში არ შედიოდა, რადგან კახეთ-ჰერეთი მის გამეფებამდე გავიდნენ გაერთიანებული საქართველოდან.

თავად კ. გამსახურდია რომანის ბოლოსიტყვაობაში წერდა: „ზოგს უკვირდა, რად არ ავსახე გარეპოლიტიკური ომები... ან რად დავუთმე მომეტებული ყურადღება შინაურ ამბოხებათა ჩაქროობის მომენტებს?... ეგ შეგნებულად მაქვს ჩადენილი, შინაპოლიტიკური ვითარებანი წყვეტენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს“.

მწერალი არაფერს ამბობს, რომ „ამბოხებები“ თავად მოიგონა, მაგრამ რაც მთავარია, კარგად მოიგონა. რაც აღწერილია ქრონიკებში, – ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ, დეტალური ანალიზის გარეშე გადმოსცა, რაც თავად შეთხზა,

სწორედ ის წარმოაჩინა მძაფრად და იმდენად სრულყოფილად. რომ მკითხველს ნამდვილი ისტორია ჰგონია.

ასეა: დიდი მწერლების შეთხზული, სწორედაც რომ რეალობას ემსგავსება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მკვლევარი ე. შუშანია რომანში ასახულ მთიელთა ამბოხებებს რეალურად მიიჩნევს. დავინტერესდი სხვა კრიტიკოსების დამოკიდებულებებით და ვნახე, რომ ბ. ჟღენტი სწორად მიანიშნებს ისტორიული რომანის თავისებურებებზე, მაგრამ „დიდოსტატის მარჯვენაში“ ისტორიულის შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა მთიელთა ამბოხებებზე ისე წერს, თითქოს ისინი ნამდვილად მოხდა.

ასეა ეს წიგნში „მწერლობა და თანამედროვეობა“ (თბ., 1976, წიგნი I). მსგავსი მიდგომა ჩანს შ. რადიანთანაც („რჩეული წერილები“, წიგნი 2, თბ. 1972).

ბ. ჟღენტი წერდა: „კ. გამსახურდია თავის ისტორიულ რომანებში დიდ თავისუფლებასა და ფართო გასაქანს აძლევს საკუთარ პოეტურ ფანტაზიას, უხვად შეაქვს თხრობაში გამონაგონი სიტუაციები, მაგრამ ეს ფანტაზიისმიერი ელემენტი არა თუ არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს, ეპოქის სულის, მისი შინაარსის გადმოცემის ამოცანას, პირიქით, სწორედ ისტორიული სიმართლის უფრო ღრმად და სრულად გახსნასა და წარმოსახვას ემსახურება“ (დასახ. წიგნი, გვ. 257-258). უფრო მეტიც, მის მიერ გამონაგონი „ისე ორგანულად და იმგვარის ხელოვნებით არის ჩართული რომანში წარმოსახული ისტორიული მოვლენების განვითარებაში, რომ არავითარი ეჭვი არ გვეპარება ამ პასაჟების სიმართლეში“ (გვ. 258).

შ. რადიანის ნააზრევით, კ. გამსახურდია ადრეულ ეტაპზე თურმე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ისტორიულ რომანს. „ისტორიული რომანი, როგორც მხატვრული შემოქმედების თავისებური ჟანრი, საერთოდ არ არსებობსო“ (დასახ. წიგნი, გვ. 274), „ისტორიულ რომანში, პრედიკატი ისტორიული სრულიად ზედმეტიაო“ (იქვე). მოგვიანებით, როცა დაუწყია ამ ტიპის რომანების წერა, უთქვამს: რომ მისი ოცნება იყო რომანების სერიის შექმნა, რომელსაც უწოდებდა „ქართლის ცხოვრებას“ (გვ. 277).

ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ კ. გამსახურდიას საინტერესო მოსაზრებებია: 1. „მომხდარის ზუსტად აღმნუსხველნი იყვნენ ჟამთაღმწერლები. ფაქტების დადგენის, მათი აღწერის და მათ შორის არსებული კაუზალური ურთიერთობის დადგენა ეკისრება ისტორიკოსებს, ხოლო ეპოქის სულის გამოჩინება, ეს გახლავთ მწერლისა და პოეტი კაცის მოვალეობა“. 2. „რომანისტი მეისტორიე არაა, მაგრამ ისტორიულ მასალაზე მწერალს უცილოდ ევალება ისტორიულ მოვლენათა ასახვისას მისი ნაშრომი არ ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ ფაქტოლოგიას, რათა თვით უაღრესად განსწავლულ მკითხველს, ისტორიკოსს ღიმი არ მოჰგვაროს მისმა ნაშრომმა“ (იქვე).

ახლა თავად შ. რადიანის აზრს მოვიტან: „არაა სავალდებულო ისტორიული რომანის ავტორი ყველაფერში აბსოლუტურად დაემორჩილოს ისტორიულ დოკუმენტებს, მაგრამ როგორი თავისუფლებაც არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული მწერლის ფანტაზიას, მისთვის მაინც სავალდებულოა სწორი, მართებული, ობიექტური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიული და მხატვრული ჭეშმარიტება ორგანულ მთლიანობაში უნდა იყოს მოცემული“ (გვ. 278).

ამ მოსაზრებებიდან უფრო საგულისხმო ჩანს აზრი იმის შესახებ, რომ მწერალმა ანგარიში უნდა გაუწიოს ისტორიულ სინამდვილეს.

არავის შეუქმნია ისტორიული რომანის წერის კანონები და ასეთი რამ არც შეიძლება არსებობდეს, რადგან მხატვრულ ნაწარმოებში მთავარი ავტორისეული გააზრებაა, მაგრამ მაინც მოვიტან კიდევ ერთი ლიტერატორის შეხედულებას. თენგიზ წოწონავა წერს: „ისტორიული რომანის ცნობისწადილს ნამდვილად მომხდარი ამბების შეკრება და სისტემატიზება ვერ ამოწურავს. ისტორიულ რომანში მთავარია... არა იმდენად ის, რაც მოხდა, რამდენადაც ის, რაც შეიძლებო-

და მომხდარიყო“ (ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში, 2010 წ., გვ. 18).

სავსებით მისაღები აზრია და ჩემთვის საინტერესო საკითხის ანალიზისას მეც მას დავეყრდნობი.

მეთორმეტე კლასის მოქმედ სახელმძღვანელოში, რომლის ავტორები არიან ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ვკითხულობთ: „კონსტანტინე გამსახურდია ხშირად იყენებს ისტორიული გადანაცვლების ხერხს, ანუ არ მისდევს მოვლენათა ზუსტ აღწერა-ქრონოლოგიას“. ავტორები ამის მაგალითად ასახელებენ იმას, რომ გიორგი პირველის დროს არ მომხდარა მთიელთა ტომების აჯანყება.

ავტორები ასახელებენ თალაგვა კოლონკელიძის მიმართ დავით აღმაშენებლის მემატიანის სიტყვების გამოყენების მაგალითს, რომლითაც დავით აღმაშენებელი ლიპარიტ ბაღვაშის შესახებ ამბობდა: „კუდი ძაღლისა არ განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“. მათ დასახელებული აქვთ, აგრეთვე, თამარის ისტორიკოსის გამოთქმა მოღალატე მოხელის მიმართ: „სახითა ბარბაროსს და სჯულითა ტარტაროზს“ ჰგავსო. ამ სიტყვებით კ. გამსახურდია ახასიათებს ფარსმანს. მწერალი შორენას არაერთგზის ადარებს ყინწვისის ანგელოზს. ეს ფრესკა კი რომანში აღწერილი ეპოქიდან ორი საუკუნის შემდეგ შეიქმნა (გამომცემლობა „სწავლანი“, 2012 წ., გვ. 287).

აქედან ჩანს, რომ კ. გამსახურდია სხვადასხვა დროის ისტორიულ გამოთქმებს იყენებს საკუთარ მსჯელობაში და ამით რომანში პრობლემები არ იქმნება.

ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ მწერალი მკითხველში იწვევს უსაზღვრო ნდობას. ასეთი ნდობა რომანის მიხედვით შექმნილი ფილმის შემდეგ უფრო განმტკიცდა მთიელთა ამბოხების შესახებ.

ახლა სხვა საკითხებზე მოგახსენებთ. ჯერ კონსტანტინეს ხუროთმოძღვარზე და სვეტიცხოველზე შევჩერდები. მწერლისთვის, როგორც ვთქვით, მხოლოდ ლეგენდა იყო ცნობილი და ის რომ სვეტიცხოვლის ამშენებელი არსაკიძეა (ტაძრის ფასადის წარწერით არსუკიძე). ცნობილი იყო ისიც, რომ არსაკიძე ტაძრის დასრულების დროისათვის გარდაცვლილი ყოფილა. ტაძრის კედელზე შემონახულია წარწერა: „ღმერთმან განუსუენე სულსა მისა“. რომანიდან კი ვიგებთ, რომ მას მწერალმა საკუთარი სახელი დაარქვა, რომ ამ პერსონაჟის გარშემო იშლება ნაწარმოების მთავარი სათქმელი და ეს ყველაფერი ავტორის შემოქმედების ნაყოფია.

სვეტიცხოველის შესახებ ქართულ ენციკლოპედიაში წერია, რომ: „მეთერთმეტე საუკუნეში დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე ქართლის კათალიკოსმა მელქისედეკმა ახალი ტაძარი ააგო. მან ხუროთმოძღვრად არსუკის ძე მოიწვია, მშენებლობა დაიწყო 1010 წელს და 1029 წელს დამთავრდა“ (ქსე. ტ. 9, თბ., 1985 წ., გვ. 315). ამ ცნობის მიხედვით ტაძრის მშენებლობა გიორგი პირველის გამეფებამდე 4 წლით ადრე დაიწყო და მისი გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ დასრულდა.

აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ტაძრის მშენებლობა დაწყებულა ბაგრატ მესამის დროს და დასრულებულა ბაგრატ მეოთხის მეფობისას. რომანში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, პირიქით იქიდან კარგად ჩანს, რომ მშენებლობა მეფე გიორგიმ ბასილის წინააღმდეგ ომის შემდეგ დაგეგმა, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ის წარმართულიყო ქართული არქიტექტურის პრინციპებით, რომ მან შეარჩია ხუროთმოძღვარიც.

აქ, როგორც ვხედავთ, არაერთი ფაქტია შეცვლილი, მაგრამ მწერლის მიერ შეტანილი ცვლილებები უფრო ამძაფრებს სიუჟეტის განვითარებას და ამდენად მისაღებია.

ისტორია ახალი სვეტიცხოვლის იდეის ავტორად და ამშენებლად არა რომელიმე მეფეს, არამედ მელქისედეკ კათალიკოსს წარმოგვიდგენს. ქართული ენციკლოპედიის მიხედვით ხაზგასმით ჩანს კათალიკოსის ღვაწლი, რასაც ადასტურებს მეთერთმეტე საუკუნის მცხეთური საბუთი. ამავე საბუთის მიხედვით კათალიკოს-პატრიარქს ტაძრის მშენებლობაში არა რომე-

ლიმე ქართველი მეფე, არამედ ბიზანტიის იმპერატორი ბასილი დაეხმარა. ამის შესახებ აღნიშნავს ჩემს მიერ ზემოთ დასახელებული ლიტერატორი თ. წოწონავაც.

ამ ფაქტების შეჯერებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბაგრატ მესამის დროს დაწყებული მშენებლობა გაჭიანურდა გიორგი პირველის ანტიბიზანტიური პოლიტიკის გამო. ალბათ, ამიტომ ისტორია არაფერს ამბობს გიორგი პირველის როლზე ტაძრის მშენებლობაში. წარმოდგენილი ისტორიული რეალობის მიმართ კ. გამსახურდია, როგორც რომანში ჩანს, სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას იძლევა: ნაწარმოების მიხედვით, თავად გიორგი მეთაურობს ტაძრის მშენებლობის იდეის ჩამოყალიბება-განვითარებას, თვითონ არჩევს მშენებელს, თვითონ მიჰყავს მშენებლობა ბოლომდე და თვითონ სჯის ხუროთმოძღვარსაც. ამ სიუჟეტური ქარგის გარეშე რომანი ძალიან ბევრს დაკარგავდა, ამიტომ მწერლის მიერ რეალობაში შეტანილი „ცვლილებები“ თხზულებას უფრო საინტერესოს ხდის. ამ ცვლილებებს მოჰყვა ხაზგასმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის თემისა, რაც, ასევე, ძალიან საინტერესოდაა ჩამოყალიბებული.

ისტორიისადმი კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანია დედაქალაქის საკითხი. ყველამ ვიცით, რომ მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან ქვეყნის დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადავიდა, გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი კი დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლებამდე იყო ქუთაისი. რომანში ქუთაისი მხოლოდ ერთხელაა დასახელებული, რომ იქ გარდაცვლილი მეფე ბაგრატ მესამე დაკრძალეს. მთელ რომანში დედაქალაქი არის მცხეთა მაშინ, როცა მცხეთა იმ დროს იყო საეკლესიო ცენტრი. ძნელი ასახსნელია, რატომ დააკისრა მას მწერალმა დედაქალაქის ფუნქცია, იქნებ იმიტომ რომ ამით მეფის, კათალიკოსისა და ხუროთმოძღვრის ფიზიკურ სიახლოვეზე გაესვა ხაზი, მეფისა და კათალიკოსის სიახლოვე ხომ უფრო მძაფრ ხასიათს სძენს სამეფო კარის და საეკლესიო ცენტრის ინტრიგებს, რომანში განვითარებულ დაპირისპირებას ხუროთმოძღვარსა და მეფეს შორის და ა. შ.

კ. გამსახურდიას დამოკიდებულება ისტორიისადმი ვლინდება პერსონაჟების მაგალითშიც, ამ მხრივ უპირველესი გიორგი პირველია, რომელიც ჩემს მიერ დასახელებული ისტორიული წიგნების მიხედვით დაბადებულა 1002 წელს, გამეფებულა 1014 წელს და გარდაცვლილა 1027 წელს. მწერლის აზრით, ის 30 წლის ასაკში გარდაცვლილა, როგორც ჩანს, მწერალს მეფის უფრო რეალურ დაბადების თარიღად 998 წელი მიაჩნდა.

გიორგი პირველის სახის დახატვისას მწერალმა გაითვალისწინა ისტორიის შეფასება: „უშიშარი, ვითარცა უხორცო“ და მართლაც ასეთი პერსონაჟი გამოაქანდაკა, მაგრამ მისი სახე ამავე დროს შეავსო სხვა უამრავი მნიშვნელოვანი დეტალით, რითაც ის დიდ მეფეთა გვერდით დააყენა.

ისტორიული პერსონაჟია მელქისედეკ პირველიც, რომელიც ყოფილა სვეტიცხოვლის მთავარი სულისჩამდგმელი და მშენებლობის ორგანიზატორი. გარდაცვლილა 1033 წელს. იგი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული.

რაც შეეხება არსაკიძეს, მის მხატვრულ სახეში ყველაფერი მწერლისეულია. დიდ ხუროთმოძღვარს მწერალმა, მართლაც, განუმეორებელი, გასაოცარი თავისებურებები დაანათლა და დიდ გმირად წარმოაჩინა მკითხველის წინაშე.

ისტორიულია მარიამ დედოფალიც, სომეხთა მეფის ასული და ეკლესიათა მშენებლობით გატაცებული პირი. ისტორიულად ცნობილი და მნიშვნელოვანი პიროვნება რომანში შორენას სახის შექმნით უფრო მეორეხარისხოვან პერსონაჟადაა წარმოჩენილი.

ისტორიულია რომანის კიდევ ერთი პერსონაჟი – ზვიად სპასალარი, რომელიც მეფეს ბასილის წინააღმდეგ ბრძოლაში ახლდა. მწერალმა მას უფრო დიდი ფუნქცია დააკისრა. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირია ქვეყნის ცხოვრებაში.

რაც შეეხება სხვა პერსონაჟებს, ძნელია იმის წარმოდგენა რომ ისტორიული პირი არაა ფარსმან სპარსი. მწერლის ფანტაზიით შექმნილნი არიან მამამზე ერისთავი, თალაგვა კოლონკელიძე, ჭიაბერი, შორენა. სიმართლეა რომ მათ შესახებ ისტორიაში არაფერია მინიშნებული. ეს პირები გამოგონილნი არიან, მაგრამ იმგვარად დახატულნი, რომ მკითხველს რეალური პირები ჰგონია. ამაშია მწერლის დიდოსტატური ძალა.

როგორც ვთქვით, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ მე-12 კლასში ისწავლება. ამ ასაკის ბავშვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, იცოდნენ მწერლის დამოკიდებულების შესახებ ისტორიისადმი. საერთო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტანტინე გამსახურდია არ იცავს ფაქტების სიზუსტეს და ცვლის მათ თავისი შეხედულებისამებრ. ყველა მიდგომის ახსნა შეუძლებელი ხდება, საიდანაც ხაზგასმით ჩანს მწერლის თავისუფლება.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ მწერალს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი და წარმოჩენილი ფეოდალური სახელმწიფოს ისტორიული ბუნება, ქრისტიანობისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულება, ნაწარმოებში ბრწყინვალედ არის გააზრებული ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში; რომანი 1938 წელს გამოქვეყნდა და ამ დროის სუნთქვასაც გადაუხადა მწერალმა ხარკი.

ამგვარად შეიძლება ვთქვათ, რომ მთავარი ისტორია სწორედ გამონაგონშია, რომელზეც არც ჟამთააღმწერლები და არც ისტორიკოსები არ წერენ არაფერს, რაც, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგიერთი ფაქტის შეცვლა და გადასხვაფერებულად წარმოჩენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა, თბ.,1969 წ.
2. ე. შუშანია, კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლო გზა, თბ., 1970 წ.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეული, ტ. 2, თბ., 1973 წ.
4. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, თბ., 2012 წ.
5. ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, ტ. 1, თბ., 1976 წ.
6. ქსე, ტ. 9, ტ. 10, თბ., 1985 წ.; 1986 წ.
7. ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ქართული ენა-ლიტერატურა, მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2012 წ.
8. ბ. ჟღენტი, მწერლობა და თანამედროვეობა, წიგნი პირველი, თბ., 1972 წ.
9. შ. რადიანი, რჩეული წერილები, წიგნი მეორე, თბ., 1972 წ.
10. თ. წოწონავა, ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში, თბ., 2010 წ.



ზურაბ ხაბაძე

უსათაურად და უმისამართოდ*

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“

შოთა რუსთაველი

ეს იყო 1966 წელი. საქართველოს ცისფერ გალერეაში შოთა რუსთაველის ირგვლივ გამოფენა მოეწყო. მაშინ პირველი კურსის სტუდენტი გახლდით.

მე მოზღვავებულ შთაბეჭდილებებს, ჩვეულებისამებრ, ბატონ შოთა დედაბრიშვილს ვუზიარებდი. დღეს შევჩერდები რუსთაველის ზოგიერთი საკითხის, კერძოდ, რელიგიურობის გაგებასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, რუსთველოლოგები პოეტის რელიგიურობას მართლმადიდებლური კუთხით უდგებიან. ისეთი დიდი რუსთველოლოგი, როგორიც იუსტინე აბულაძე იყო, თავის ნაშრომში („რუსთველოლოგიური ნარკვევები“) წერს – რუსთაველი „დასცინოდა ისლამის რელიგიას“. ვთვლი, რომ ეს არ არის საღი მეცნიერული შეფასება.

რუსთაველი არც ერთ რელიგიას არ დასცინოდა. თუ პოეტ-გენიას „ვეფხისტყაოსანში“ ისლამი ქება-დიდებით არ მოუხსენებია, ამ რელიგიური მიმდინარეობისადმი კრძალვა პოემაში მრავალგზის იკითხება. ამასთან დაკავშირებით ციტატების მოყვანა შემიძლია: „მიზგითას მივა ავთანდილ, გამარჯვებისა მთხოვნელი“; „ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავრაზობასა“; „მათ ხელთა ჰქონდეს მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან“ და ა. შ. მუსაფი, ხომ ყურანის შესატყვისია!

სულ სხვა საქმეა გაორება, რომელიც თითქმის ყველა დიდი შემოქმედის თანამდევი მახასიათებელია.

თუ ჩემზე შემოქმედი ითქმის, დასამალი რა მაქვს – რელიგიის სფეროში ნამდვილად გაორებული ვარ და საერთოდ, საქართველოში, ფაუსტურმა გაორებამ დიდი ხანია ჰპოვა არქეტიპი. ფაუსტური ტრაგედიის თავი და თავი ორეულის ტრაგედიაა. ასეთივე ორეულია მინდიასათვის თხისრქიანი ოჩოპინტრე. თხა ხომ დიონისეს ცხოველია. არ ვიცი რატომ, მაგრამ გაორების ტრაგედია, გენიოსთა შემოქმედებაში თანამდევი მოვლენაა.

ზოგი მეცნიერი, რუსთაველის არაქრისტიანობის დასამტკიცებლად ამოსავალ წერტილს იმაში ხედავს, რომ პოემაში ნახსენები არაა არც უფალი იესო ქრისტე და არც ღვთისმშობელი მარიამი.

ზოგსაც ავიწყდება, რომ საკრალური სახელისადმი კრძალვა, გაცილებით მეტი რწმენისა

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 2, 3, 5, 6, 2015 წ.; № 3, 4, 2017 წ.

და სიყვარულის გამომხატველია, ვიდრე მისი წარა-მარა მოხსენიება – „არა მოიხსენიო სახელი ღვთისა ამაოსა ზედა“ (ბიბლია). ზოგჯერ ავიწყდებათ (ან შეგნებით უვლიან გვერდს) ის გარემოება, რომ რეალურ სამყაროში ცოცხალი გმირები არსებობენ თავიანთი წილი ღირსებებითაც და ნაკლოვანებებითაც. აბსოლუტურად იდეალური, სრულქმნილი გმირები არ არსებობენ – „არავინ არს სახიერ, თვინიერ ღვთისა“ (მათეს სახარება). თვით ქრისტიანული რელიგიური ლიტერატურა არ ფარავს მოციქულთა ნაკლოვან მხარეებს თუ სისუსტეებს (პეტრეს განდგომა, ზებედეს ძეთა ამპარტავნობა... ძველ აღთქმაში – დავითისა და სოლომონის დანაშაულებები) და ა. შ. სწორედ ბიბლიის ცხოვრებისეულ სიმართლეშია მისი დამაჯერებლობა.

ის, რომ ავთანდილმა მკვლელობა ჩაიდინა და ფატმანთან იმრუშა, ტარიელმა ხვარაზმშაჰი მოკლა, სულაც არ ადასტურებს იმას, რომ ისინი არაქართველები არიან. არადა, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ მკვლევარს, თავისი ვერსიფიკაციული ძიება სწორედ ამ კუთხით მიჰყავს. შესაბამისად გამოდის, რომ ყოველივე კარგის მქმნელნი და შემოქმედნი მხოლოდ ქრისტიანები არიან, ცოდვილ საქმეთა მოთავენი და ჩამდენნი სხვა კონფესიათა წარმომადგენლები.

განა ქრისტიანებმა არ დაღვარეს სისხლი ჰავაის კუნძულებზე? ჯვაროსნებიც გავიხსენოთ და ბართლომეს ღამეც. სუნიტებისა და შიიტების მსგავსად ჩადენილი დინასტიური ცოდვებიც გავიხსენოთ და დასკვნების გამოტანაც არ იქნება რთული.

შეიძლება ზოგიერთ მკითხველს დაებადოს აზრი, რომ მე არასწორი წარმოდგენა მაქვს ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებით. ამ აზრის გასაბათილებლად მოგახსენებთ შემდეგს:ვინც რელიგიას კარგად იცნობს, ანუ უღრმავდება მის წიაღს, მისთვის ცნობილია რელიგიურ აღმსარებელთა ორი კატეგორია. ერთნი მიეკუთვნებიან რჩეულთა –ფილოსოფოსთა, სულიერ არისტოკრატთა ფენას, მეორენი ჩვეულებრივი აღმსარებლები არიან, შეიძლება ითქვას – რელიგიური დოგმების უფრო მკაცრი დამცველნი. რაც შეეხება ფილოფოსთა, პოეტ-შემოქმედთა, ვირტუოზ ხელოვანთა მიდგომას რელიგიური საკითხებისადმი იგი უფრო ზეაღმატებულია, შემოქმედებით ქურაში გატარებული და „გაკეთილშობილებული“.

დიონისე არეოპაგელისა და მაისტერ ეკპარტის გაგებით, რელიგიის მიზანია თეოზისი, ადამიანის განღმრთობა, რაც მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ, რადგან, „მრავალ არიან წოდებული, მხოლოდ მცირედნი რჩეული“ (სახარება). ასეთია დიონისეს, ეკპარტისეული, გოეთესეული და რუსთაველისეული გაგება რელიგიისა.

განღმრთობა შემოქმედი პიროვნების ხვედრია და განსხვავდება მარტოოდენ ღვთისწყალობის მომლოდინე, პასიურ, უმოქმედო სულთაგან.

რიგითი აღმსარებელი, ისევე როგორც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, მთელი ცხოვრება ღმერთის ძიებაშია, მაგრამ მისი ძიების გზებია სხვადასხვაგვარი.

შემოქმედის სულში (პოეტი, მხატვარი...) შემოქმედებითი ძალა თვით უფალმა ჩაასახლა – ზეციდან მისცა ხელდასმა და გაღვივებისთვის „მიკროკლიმატიც“ შეუქმნა. ამიტომ, შემოქმედი ღვთის ძალას მიქელანჯელოს დარად საკუთარ თავში ხედავს. ჩვეულებრივი მოკვდავი ვერასოდეს იტყვის მიქელანჯელოს დარად – „ო, ღმერთო, რა ძლიერი ხარ ჩემში“. მისთვის ღმერთი შორსაა და ამიტომაც შეიძლება სათუოც იყოს მისი არსებობა.

ჩვენს მეფეთა შორის უდიდეს ქრისტიანს, დავით აღმაშენებელსაც კი ჰქონდა პერიოდი, როდესაც ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებაში ეჭვი შეჰქონდა. მის ისტორიკოსთან ვხვდებით დავითის გამონათქვამს სვეტიცხოველთან დაკავშირებით: – „ჰოი, რად უწყი, რად არს კონცხსა მას და რასა თაყვანს ვცემდე?“ და ბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ რელიგიური შემეცნების გზა არ არის სწორხაზოვანი. ვისაც სკეპტიციზმის გესლი არ უგრძნია, არასოდეს შესულა რელიგიური შემეცნების სიღრმეებში. დოსტოევსკი ამადაც ამბობდა თავისი ათეისტი ოპონენტების

მიმართ – „ეს საცოდავები თვით ღვთის უარყოფის ძალითაც ვერ მჯობნიანო“. ღვთის უარყოფა ჩანს ეშენბახის „პარსიფალშიც“.

ბიბლიური ლექსიკონით რომ ვთქვათ, ამგვარია გზა უძღები შვილისა.

რაც შეეხება რუსთაველს, იგი თავისი პანთეისტური ფილოსოფიით მაჰმადიანობასაც მოიცავს, ქრისტიანობასაც და იუდაიზმსაც. იგი ისე აშუქებს მოვლენებს თავისი პოეტური ოპტიკური სპექტრით, რომ მომავლის მკითხველთაც და ლიტერატურათმცოდნეთაც საგონებელში აგდებს.

მოხუცს, ამის შესახებ ვესაუბრე გამოფენიდან დაბრუნებულმა. ყურადღებით მისმენდა და ბოლოს მკითხა: – ეგ შენი აზრებია თუ ელგუჯამ წარმოთქვაო?

– არა, შოთა ძია, გამოფენას უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ. ისინი მსჯელობდნენ და მეც ვეთანხმები მათ აზრს. თუმცა ამას მხატვრობასთან ძალიან ცოტა საერთო აქვს. ამას წინათ ჩვენ ვმსჯელობდით უნგრელ მხატვარზე, რუსთაველის ილუსტრატორზე. ვფიქრობ, რომ არცთუ ისე დიდი ხელოვანია. ზოგიერთ ილუსტრაციას არა უშავს, მაგრამ ყველაზე ამას ვერ ვიტყვი. – მაგალითად, – მეკითხება ბატონი შოთა, – რომელია მათ შორის ისეთი, რომელთა შესახებაც შეგიძლია თქვა – „არა უშავს“?

ვპასუხობ: – „სიმღერა ავთანდილისა“, „ფატმანისა და ავთანდილის გამიჯნურება“.

– ჰო, იგი იყო იტალიელი მხატვრის, მაროსტანის მოწაფე და დიდი რამე, თუ ორი-სამი ილუსტრაცია გამოუვიდა ამდენ ზღვა ნამუშევარში.

– ბატონო შოთა, მიხაი ზიჩს ბუდაპეშტის უნივერსიტეტში იურიდიული განათლება მიუღია. შემდეგ სწავლა ვენის სამხატვრო აკადემიაში გაუგრძელებია ვალდმიულერთან.

– მერე რა, მართალია, როგორც ტექნიკური შესრულების ოსტატი საინტერესოა, მაგრამ ამავდროულად ზერელე იმპროვიზაციების შთაბეჭდილებას ტოვებს მისი ილუსტრაციები ალეგორია იქნება ეს თუ ჟანრული სცენა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ეტაპზე ყალიბდება ზიჩი, როგორც ილუსტრატორი... და სწორედ ესაა მისი შემოქმედების ძირითადი განმსაზღვრელი მომენტი. ერთ-ერთ თავის წერილში ზიჩი თავად წერდა: „Как бы не хвалили мою способность воображения, она не настолько велика,чтобы я мог в верной форме передать не видение мною, если только ети земные события“. ხომ ხედავ, „მოი მალჩიკ“ სიმართლის მომცველია მისი აზრი.

– ზიჩის ილუსტრაციებს ზოგჯერ აკლია სათანადო იდეური სიღრმე, ხასიათების გახსნის მხრივაც მოიკოჭლებენ, მაგრამ მეტწილად არ არიან მოკლებულნი ერთგვარ თეატრალურ აფექტაციას. სწორედ ამაშია მისი, როგორც მხატვარ-ილუსტრატორის ღირსება.

ცნობილია, რომ მხატვარს უხდებოდა ცხოვრება არანორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებში, მაგრამ მან შეძლო ამაღლებულიყო ყოფითობაზე და შექმნა ილუსტრაციები შექსპირის „ფალსტაფისათვის“. სწორედ აქ გამოჩნდა, რომ მასში ყოველთვის ცოცხლობდა მიდრეკილება ამაღლებული და პირუთვნელი ხელოვნებისკენ.

მე ძალიან ვაფასებ ბატონ იუსტინე აბულაძეს. სტუდენტობის დროს მის ლექციებს ვესწრებოდი და იქიდან ყოველთვის სულიერად აღვსილი გამოვდიოდი. ერთხელ მას ასეთი რამ წამოსცდა: პოემის, თუ გნებავთ, ამგვარი ქართული საქრისტიანო ცხოვრებისათვის შეუფერებლობისა და წმინდა არაბულ-სპარსულ-მაჰმადიანური სულისა და მიმართულების მიუხედავად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ნამდვილი ქრისტიანის და არა მაჰმადიანის ლიტერატურულ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე.

ბატონო შოთა, ხომ ხედავთ, რას უსვამს ხაზს დიდი რუსთველოლოგი – ქალ-ვაჟის სიყვარულის ქრისტიანულ იდეალიზაციას და ამით ჩვენ წინ იშლება ნეოპლატონიზმის ძლიერი გავლენა.

მიმაჩნია, რომ იუსტინე აბულაძე მართალია. იგი ამით როდი აკნინებს „ლეილ-მაჯნუნიანს“, არც „ბაჰრამგულიჯანიანს“, არც „ვისრამიანს“ და არც სხვა ქმნილებებს, მაგრამ სიყვარულთან

მსოფლიო გენიოსების დამოკიდებულების განსაზღვრისას, რუსთაველის სასარგებლოდ ხდება ირონიული ხაზგასმა. მე ასე მგონია და რა ვიცი?

იუსტინე აბულაძეს მოჰყავს მაგალითი, რომლის მიხედვითაც ალაპარაკებს „ბააქიანის“ გამლექსავ მეფის მდივანს – მამუკას: „საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის ძველი“-ო. მეორე მხრივ, ეს ამბები გამსჭვალულია წმინდა ისლამური მოძღვრების სულითა და სარწმუნოებრივი ტენდენციებით. ეს კი საგრძნობლად განასხვავებს მათ, ჩვენ მიერ დასახელებული წმინდა ძველირანული სადევგმირო და სამიჯნურო ამბებისაგან“.

დედაბრიშვილმა პაპიროსს მოუკიდა და ამავე დროს სევდიან-სარკასტული ირონიით მითხრა: – რა სისულელეა, განა სხვა ეროვნების ადამიანებისთვის უცხოა დიდი სიყვარული? ჩვენ მთავარ სათქმელს გადავუხვიეთ, მოი მალჩიკ.

– რას გულისხმობთ, ბატონო შოთა?

– რას და იმას, რომ დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეულ იმ 34 ილუსტრაციას, რომელიც 1885 წელს გამოუგზავნა მხატვარმა „ვეფხისტყაოსნის“ საგამოფენო კომისიას.

1888 წელს, მათგან მხოლოდ 27 დაიბეჭდა ქართველიშვილის გამოცემაში. ამას მოჰყვა შეფასებებიც: „ზიჩი მაინც ვერ ამაღლდა პოემის იდეური შინაარსის სრულ გაგებამდე. „ვეფხისტყაოსნის“ არაჩვეულებრივად საინტერესო სათავგადასავლო შინაარსმა, მისმა ფაბულამ დაატყვევა მხატვრის ფანტაზია“. იგი გაიტაცა პოემაში მოყვანილმა ამბავმა, გაჰყვა მას, დაასურათა ამ ამბის განვითარების საფუძველი, რაც, რასაკვირველია, ზიჩის მხატვრულ ინდივიდუალობაში უნდა ვეძებოთ. პოემის წამყვანი იდეა – მეგობრობა და სიყვარული, არაჩვეულებრივად თავისებური და რთული ხასიათები, ადამიანთა ვნებები და განცდები – ყველაფერი ეს ზიჩს ყურადღების მიღმა დარჩა.

– ბატონო შოთა, ზიჩთან დაკავშირებით ერთი შორეული მოგონება მაქვს. ბათუმის მე-13 საშუალო სკოლის მეოთხე კლასში ვსწავლობდი. ერთი მეგობარი მყავდა – თეიმურაზ რუხაძე. ყოველ შესვენებაზე, ზარის დარეკვისთანავე, თანაკლასელებს გვაჩვენებდა სკოლაში გამოფენილ ზიჩის ილუსტრაციებს. ჩვენც ყურადღებით ვათვალიერებდით. განსაკუთრებით ის ილუსტრაცია მომწონდა, რუსთაველი, რომ მიართმევს თამარს „ვეფხისტყაოსანს“. შემდეგ ჩემს ცნობიერებაში გადაიჩოჩა ტიპაჟების ხასიათებმა ქართული ტიპისგან და დარჩნენ მხოლოდ ნიჭიერი მხატვრის მიერ შესრულებული კომპოზიციები.

– მართალია, ჩემო კარგო. აკი, ზიჩის ილუსტრაციებში გამომჟღავნდა ტენდენცია „სიჯიუტისადმი ზერელე დამოკიდებულებისა“, – წერდა ვ.ვ. სტრასოვი. ვინმე საბჭოთა კრიტიკოსიც ამავეს მიუთითებდა: „В лучших своих илустрациях Зичи умело фиксирует созданное им образы героев и находит для них выразительние и естественние положения. Эти рисунки повышают интерес зрителя к эпизодам рассказанным поемом, одноко художник только илузионически фиксирует описанные листок – момент“.

– ბატონო შოთა, ზიჩის ილუსტრაციებში გარკვევით მჟღავნდება მხატვრის ნატურალისტური მიდგომა ლიტერატურული ნაწარმოების დასურათებისადმი. იგი საბავშვო ზღაპრებს უფრო მიესადაგება, ვიდრე რუსთაველის მაღალმხატვრულ იდეებს. თუმცა ზღაპარი არ არის უცხო „ვეფხისტყაოსნისთვისაც“, რომელშიც რუსთაველი იყენებს ქაჯებთან და დევებთან ბრძოლის მომენტებს.

საინტერესო აზრი წამოაყენა ი. აბულაძემ: „ვეფხისტყაოსანში“ პოეტის მიერ „ქაჯი“ წარმოდგენილია ხორციელ არსებად,თუმცა მათი აღწერილობიდან და თვისებებიდან ცხადდება, რომ ისინი... ზღაპრული არსებანი უნდა ყოფილიყვნენ“. ამას ამართლებს მოსე ხონელის მოწმობაც. მოსე ხონელი გვამცნობს სახალხო ეპოსს, რომელშიაც სომეხთა მეფე არტავაზდ VI (120 წ.) საყვედურით მიმართავს გარდაცვლილი მამის აჩრდილს: „შენ მიიცვალე და წარიღე თან ყველაფერი და ყოველნი, რა გვარ ვიმეფო აწ მე ნანგრევებზეო“.

ამგვარი საყვედურისთვის მამა წყევლის სამარითგან უმადურ შვილს შემდეგი სიტყვებით: „უკეთუ წახვიდე შენ სანადიროდ, შენ დაგიჭერენ ქაჯები და წარგიტაცებენ თავისუფალ მასისზე, იქ დარჩები და ამიერიდან ნათელს ვეღარ იხილავო!“ აქედან ჩანს, რომ „ქაჯი“ წარმართ სომეხთა წარმოდგენით, ნიშნავდა სულს, უსახელო არსებას, რასაც მოწმობს აზრი: „წარგიტაცებენ შენ თავისუფალ მასისზე, იქ დარჩები და სინათლეს ვეღარ იხილავო!“

ბატონო შოთა, ამგვარი ლეგენდა ქაჯების შესახებ საერთო უნდა ყოფილიყო ძველ სომხეთსა და საქართველოში. რუსთაველის ნაწარმოებში, როგორც ვიცით „ქაჯი“ წარმოდგენილია ხორციელ არსებად, მაგრამ ამავე დროს პოეტი ფატმანის პირით გვარწმუნებს, რომ ისინი საკვირველნი არიან თავიანთი გრძნეულებითა და მოხერხებით. ამას გარდა ქართული თქმულება სომხურისგან იმით განსხვავდება, რომ ქართული წყაროს მიხედვით ქაჯებს მაგარი ციხე-ქალაქი აქვთ, „გზა გვირაბითა შემოდის“, კოშკები კი ისე მაღალია, რომ „თვალნი ვერ გადასწვდებიან“.

დედაბრიშვილი კარგა ხანს მიცქერდა და ასეთი რამ წარმოთქვა:

– რაღა მარტო ზიჩის ილუსტრაციებზე ვსაუბრობთ, განა გუდიაშვილი არ იმსახურებს მაღალ ყურადღებას? მე შემხვედრია ისეთი ინტელექტები, რომელთაც ძალიან მოსწონთ გუდიაშვილისეული ილუსტრაციები. მართალია, ზოგნი მათ ტიკინა თოჯინების მსგავს პერსონაჟებად მიიჩნევენ, მაგრამ იცი რას გეტყვი, „მოი მალჩიკ“, „კარგ მთქმელს კარგი გამგონი ესაჭიროება“. გუდიაშვილს უნდა შეხედო სხვა კუთხიდან. მისი ნამუშევრები მოჰგავს ირანულ მინიატიურებს, მაგრამ თავის ქურაში გამოვლილი და ქართულია. ზოგიერთი მოგვაგონებს ზღაპარს, მაგრამ, ვიმეორებ, ქართულია, თავისებური. ამავე დროს იგი დეკორია მთლიანად რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“, მნახველს თავისი ფანტაზიის ტყვეობაში აქცევს. მართალია, ვეფხვთან მებრძოლი ტარიელი მეტად მშვიდია და ფანტასტიკური, მაგრამ მაინც გამორჩეულია.

– ბატონო შოთა, მე ეს ნახატები ვნახე ორიგინალში და განმაცვიფრა მათმა პლასტიკურმა ხაზებმა, ისინი ხელის გულისოდენა არიან თავიანთი ზომით (დაახლოებით 15x10 სანტიმეტრისა), მაგრამ მათში ძალიან მაღალი ოსტატობა ჩანს. ამავე დროს დიდ ყურადღებას იპყრობს, როგორც არქიტექტურული სტილით, ასევე, პერსონაჟთა აქსესუარებით. მართალია, ზოგიერთი ნამეტანად გადახვეულია, რასაც ქართული ჰქვია, მაგრამ მაინც ქართული ბეჭედი აზის მის თითოეულ გრაფიკულ ნამუშევარს.

– ოსტატის ხელით გაკეთებულ უცაბედ ჩანახატსა თუ მონახაზში მუდამ არის რაღაც საიდუმლო, რომელიც წინ უსწრებს აღმოჩენას. დასრულებული ქმნილება კი ზოგჯერ უკმარისობის გრძნობას ბადებს.

– ბატონო შოთა – მრავალნი ფიქრობენ ასე. ადამიანთა უმრავლესობას უფრო მოსწონთ ლეონადო და ვინჩის ქმნილებებში ჩანახატები, ვიდრე მისი მადონები. ეს გასაგებიცაა. უფრო ცოცხალიაო – ამბობენ, მაგრამ მე პირადად – ასე არ ვფიქრობ. დროზე შეჩერდე, არ დაასრულო სათქმელი – ეს ოსტატობის პირობაა. ნახატში დაუმთავრებელი ხაზები უფრო მაღელვებს, მაგრამ ეს ეხება ნახატს და არა დამთავრებულ კომპოზიციებს.

– ეს სხვა საკითხია, რატომ ვისწრაფვით, ბუნების ქმნილებაში ხელოვნების იდეალიზებული ნიმუში დავინახოთ, ხელოვნებაში კი ბუნების სრულყოფილებას ვეძებთ. ჩემი აზრით, ეს აღქმის ფსიქოლოგიის რუდიმენტია, მსგავსობის თავდაპირველი პრინციპის დიქტატურა.

გუდიაშვილის სტილი „რაციონალურად კი არ არის კონსტრუირებული, არამედ სტიქიურად ჩამოყალიბდა“ – ამბობდა მ. კოგანი. მაგალითად პიკასოს, მატისის, რერიხის, კაკაბაძის შემოქმედებაში აღქმა პირველადია. ჩვენთვის, დამთვალიერებლისა თუ შემფასებლისათვის, მთავარია არა საშუალებების, არამედ სულის დანახარჯი.

ის, რაც ძიების გარჯით იშვა, ჩვენ წინაშე უნდა წარმოდგეს, როგორც ერთიანი და მომნუსხველი სტიქია. წარმოდგეს არა ქმნის ხელო-

ვნებად, არამედ ხელოვნების ქმნად. მხატვარი რასაც უნდა ასახავდეს, მასში ყოველთვის საკუთარ თავს უნდა გამოხატავდეს, – მითხრა დედაბრიშვილმა.

– ბატონო შოთა, ეს, არა მგონია, მთლად მართალი იყოს, იცით, რატომ? რუბენსი იმას წარმოადგენდა, რასაც ხატავდა, ანდა, ბურდელი რასაც ძერწავდა? პირიქით, ადამიანი იმას ხატავს ან ძერწავს, რაშიც სუსტია და ცდილობს ის სისუსტე დაფაროს თავისი მოქმედებითა და აზრებით.

– შეიძლება, ასეც ვიფიქროთ, მაგრამ მე უფრო მგონია, რომ ღმერთი ერევა ყოველი ხელოვანის მოქმედებაში და აძლევს მას თავისებური მოქმედების უნარს.

– ბატონო შოთა, მართალი ბრძანდებით, ამის დასტურად მინდა, გავიხსენო ევგენი ევტუშენკოს სიტყვები: „მკაცრ დოგმებში ვერდატეული დგას ჩემ წინაშე – წმინდანებით და ანგელოზებით მოხატული ტაძრის კედელი. და მე მესმის კრძალვით ატანილს, ჯერაც მთვლემარე ველური გულით – კედელხატული კი არ არის ტაძრის ნაწილი, ტაძარია მისი დეტალი.

„მხატვარ ლადო გუდიაშვილს გამოუსახავს ამ კედელზე განა წმინდანნი, ზეცად ოდესღაც ამაღლებულნი, არამედ ჩვენი, მიწიერი ადამიანნი, მიწიერი ცოდვის მტვირთველნი... ის არ კიცხავს, არ დასცინის არავის, რადგან თვითონ არის იმავე საჭრეთლით გამოყვანილი... ვინ არის იგი? ღმერთი, ცოდვილი, ანგელოზი თუ ეშმაური?“

ჩვენ გარდასახვის შემოქმედნი – ფერით მწერალნიც და პოეტებიც – კედლებსა ვღებავთ ქაშუეთის მაღალი თაღივით. ვიღებთ შეკვეთებს ბატონებისგან, მაგრამ ვახერხებთ, ხატებს ვწერთ თუ სახეებს ვძერწავთ, ის დავხატოთ, რაც გულით გვინდა. თუმცა მტერი გვიტევდა, არ ვუკრთოდით მის შემოტევას. ღმერთებს მუდამ ადამიანის სახით ვხატავდით, ადამიანებს – ღმერთების იერით!

– მე ვეთანხმები ე. ევტუშენკოს აზრს, მაგრამ იცი რა მინდა ვთქვა? არანაკლები აზრები გამოუთქვამთ ლადოს მიმართ სხვადასხვა შემოქმედთ თუ უბრალო ადამიანებს. მე მაგალითად სომეხი მხატვრის, ერვანდ კოჩარის, გამონათქვამს მოვიშველიებდი: „არსებობენ ისეთი ადამიანები, ვისი ბიოგრაფიაც შეუძლებელია დაიწეროს ჩვეულებრივი სიტყვებით, ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღთა ჩვეულებრივი ჩამონათვალით. ისინი განუყრელნი არიან თავიანთი ქვეყნისგან.ისინი არიან მისი ისტორიისა და თვით გეოგრაფიის ნაწილი, ისინი ერწყმიან თავიანთ სამშობლოს. ერწყმიან სამშობლოს ბუნებას, მის მთასა და მიწა-წყალს, მდინარეებსა და ტბებს, ყველაფერს, რაც ესოდენ ძვირფასია ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის“.

თბილისს აქვს თავისი მტკვარი, აქვს ავლაბარი, მეტეხი და მთაწმინდა. ეს თბილისის გეოგრაფიაა. და კიდევ თბილისს ჰყავს ლადო გუდიაშვილი. თბილისი უმისოდ თბილისი აღარ იქნებოდა. გავა წლები დაიხურება მხატვრის სიცოცხლის წიგნი და წარმოიშობა ლეგენდა. გაჩნდება თქმულებები მის პიროვნებაზე, მის შემოქმედებაზე. ლადო გუდიაშვილის ქმნილებები ისეთივე დიდებით შემოსავენ თბილისს, როგორითაც დანტეს – „ღვთაებრივმა კომედიამ“ შემოსა ფლორენცია და ჯოტოს ტილოებმა – პადუა.

ლადო გუდიაშვილისნაირი მხატვრები მხატვრული კრიტიკის მიღმა დგანან. მის შემოქმედებას შეუძლებელია კრიტიკულად მიუდგე, ისე როგორც შეუძლებელია გააკრიტიკო მთა ან ზღვა – მითხრა დედაბრიშვილმა.

– ბატონო შოთა, მე კი მინდა, ამასთან დაკავშირებით, გავიხსენო მე-17 საუკუნის ფრანგული მორალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის გამონათქვამი – „კრიტიკა ზოგჯერ მეცნიერება კი არა, ხელობაა, რაც გამძლეობას უფრო მოითხოვს, ვიდრე გონიერებას; უფრო სიბეჯითეს, ვიდრე ნიჭს; უფრო ჩვევას, ვიდრე ტალანტს. თუ მას ეუფლება გამჭრიახი კი არა, ნაკითხი ადამიანი და ნაწარმოებებს თავისი გემოვნების მიხედვით არჩევს, ასეთი კრიტიკა რყვნის მკითხველსაც და ავტორსაც“.

– ხელოვნებაში არსებობს სრულყოფის საზღვარი, რაც გუდიაშვილს არ გააჩნია. ვინც ამგვარ ხელოვნებას აფასებს, მას გუდიაშვილი

ნაკლებად მოსწონს, ვინც ვერ გრძნობს და მოსწონს ამაზე მაღალი ან დაბალი ხელოვნება, მანკიერი გემოვნების პატრონია. მაშასადამე, არსებობს კარგი და ცუდი გემოვნება და ადამიანები არ ცდებიან, როცა ამაზე დავობენ.

– ბატონო შოთა, მწერალი ნიჭიერია თუ შესწევს უნარი ზუსტი სიტყვები მოძებნოს გრძნობებისა თუ სათქმელის გადმოსაცემად. ასევეა მხატვარიც, თუ იგი ლაზათიანად ხატავს. მოსე, ჰომეროსი, პლატონი, ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ფირდოუსი და აღმოსავლეთის პოეტები თავიანთი გამონათქვამებითა და სახეებით სხვა მწერლებზე მაღლა დგანან. თუ გსურს ბუნებრივად, ძარღვიანად და დახვეწილად, წერო ან ხატო, ჭეშმარიტება უნდა გადმოსცე. ჭეშმარიტებას გუდიაშვილი მოკლებულია, მაგრამ „კინტოების გასეირნება“, რომ ნახო, აი, იქ, ამას არ გრძნობ. მათი, ესე იგი კინტოების, რჩეული მეძავი ქალი მართლაც მეძავია. იგი იმდენად გახსნილია თავისი ხასიათით, რომ მის ნატანჯ და შეპუდრულ სახეს საცხის სუნიც კი ასდის. ესე იგი, რეალიზმიდან გადახვევა ზოგჯერ უფრო რეალიზმია, ვიდრე კოპირება ბუნებისა. და მაინც, მისი ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისთვის“, ასე თუ ისე, შესანიშნავია თავისი სტილისტიკით, გნებავთ კოლორიტითაც.

გავიხსენოთ, როგორ უწერია ბარიატინსკის: – „უბადრუკია ჩემი ნიჭი, ჩემი ხმა – სუსტი, მაგრამ ვარსებობ. ამქვეყნად არის სხვა ვიღაც, ვისაც ჩემი ყოფნა სჭირდება“.

– რასაკვირველია, ჩემო კარგო, – მითხრა ბატონმა შოთამ. ჩვენ ამდენს ვსაუბრობთ გენიალური რუსთველის ილუსტრაციებზე. მე რომ მკითხოს კაცმა ქალის მხატვრობისა რა მოგახსენო, მაგრამ თამარ აბაკელიას ილუსტრაციები უფრო ქართული მგონია. ისინი ნახატის მხრივ, დიდებული სერგო ქობულაძის ილუსტრაციებთან შედარებით, სუსტია. მაგრამ, მისი ტიპაჟები უფრო ქართულია. აი, ისინი უნდა შეურიო ერთმანეთში და, ალბათ, გამოვა უფრო ახლოს მდგომი რუსთაველის პოეზიასთან. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მე ასე მგონია.

– ბატონო შოთა, ძალიან უყურადღებოდ მოეკიდა ბატონი სერგო ქობულაძე ფატმანის ტიპაჟს, როგორც ვიცით პოემით იგი იმდენად უფროსია ნესტან-დარეჯანზე, რომ ნესტანი მას „დედას“ უწოდებს. სერგო ქობულაძის ილუსტრაციაში კი ფატმანი ნესტანის ტოლად გამოიყურება.

– ეგ თოიძესთანაც ეგრეა. ასაკობრივი ბარიერი სხვებთანაც თითქმის დარღვეულია, – ჩაერთო საუბარში ბატონი შოთა. – ამ შემთხვევაში თოიძეს, უდავოდ, საერთო ბევრი აქვს ზიჩთან. იგი ცდილობს, არ დაუკარგოს ნახატების ციკლს იმ თხრობის უწყვეტობა და მთლიანობა, რომელიც ახასიათებს „ვეფხისტყაოსანს“. ამ ამოცანას მხატვარი წარმატებით აგვირგვინებს. სამაგიეროდ, გმირთა ხასიათების შექმნის მაღალმხატვრულობის გამოვლინებაში განიცდის მარცხს. სწორედ ამან ათქმევინა კრიტიკოს ა. ტარასენკოს სამართლიანი საყვედური, რომ თავის ილუსტრაციებში პოემის ჰუმანისტური შინაარსის გამოვლინებების ნაცვლად ი. თოიძე – „увлекся воспроизведением внешного блеска феодального дворца“. მართლაც ამგვარ შთაბეჭდილებას ტოვებენ თოიძის ციკლში გამოყვანილი სანახაობითი სცენები.

– ბატონო შოთა, როდესაც საქმე ეხება თოიძეს, მაგონდება ჩემი მეზობელი ღოღობერიძეები. მათ ჰქონდათ თოიძის დასურათებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1937 წელს გამომცემული, „ვეფხისტყაოსანი“, ხორბლისფერ მაგარ ყდაში ჩასმული, სხვა კაზმულობასთან ერთად, თავსართებითა და ბოლოსართებით. ის წიგნი დღეს ამ ოჯახს აღარ გააჩნია. არ ვიცი, სად გაქრა. რამდენჯერ გადამიხატავს მისგან ტარიელის ბრძოლა ლომ-ვეფხვთან. რატომღაც უფრო მაინტერესებდა წიგნში შავ-თეთრებით შექმნილი ილუსტრაციების კოპირება. ბავშვობიდან მიზიდავდა რაინდების ბრძოლისა თუ სიყვარულის მოტივები.

ახლა კი ხელმეორედ მინდა მივუბრუნდე იმ საკითხს, რაც რუსთაველის რელიგიურობას ეხება. ყველაზე მეტად ვიზიარებ ბატონ პავლე

ინგოროყვას კონცეფციას: – „შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა შეიცავს პანთეისტურ მატერიალიზმს. შოთა ქადაგებს სინათლის ერთგვარ მატერიალიზმს. შოთას პოემაში ღვთაება წარმოდგენილია, როგორც კოსმიური ნათელი, რომლის სრულყოფილი გამოვლინებაა მზე. „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ გვაქვს პოეტური რელიგია ღვთაებრივი მზისა, რომელიც აღიარებულია კოსმიური წყობის დასაბამად“.

– იცი, რას გეტყვი ჩემო კარგო? – მითხრა ბატონმა შოთამ. – რუსთაველის შემდეგ ასტრონომია განვითარდა. კიდევ რამდენ ახალ პლანეტებს აღმოაჩენენ მეცნიერები, ღმერთმა უწყის, მაგრამ, ამით ჩრდილი არ ადგება რუსთაველის გენიას. ღვთაებრივ მზესთან მიმართებით მინდა გავიხსენო ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი:

„სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ
ნუთუ ფრთენი“.
.....
„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას
სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივჰხვდე მას
ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა
ელვათა კრთომასა“.

მეორე ადგილი პოემისა, ჩემო კარგო, სადაც ჩვენ ვეცნობით შოთას ამ ფილოსოფიურ კონცეფციას ღვთაება – მზის შესახებ, ეგ არის მნათობთა ლოცვა ავთანდილისა, „სადაც რუსთაველი, ლეგენდარული ორფეოსის მსგავსად, გააცოცხლებს მთელ ბუნებას“.

– დიახ ბატონო შოთა, ავთანდილის მნათობთა ლოცვაში, რომელიც ნესტანის წერილთან ერთად, მსოფლიო პოეზიის უდიდეს შედევრთა რიცხვს ეკუთვნის, და სადაც რუსთაველის საზეიმო ლექსი მოისმის, როგორც ნამდვილი სიმფონია – წარმოდგენილია კოსმიური კრებული შვიდთა მნათობთა, რომლის სათავეშიაც რუსთაველი ათავსებს მზეს, როგორც თავკიდურს მსოფლიო ჰარმონიისა. რუსთაველი იწყებს მნათობთა ლოცვას – მზისადმი მიმართვით:

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის, მზესა:
აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“.

ამრიგად, ირკვევა, რომ რუსთაველი დაშორებული ყოფილა ქრისტიანული ეკლესიის იდეოლოგიას. იგი უარყოფითად უცქეროდა გაბატონებულ ოფიციალურ რელიგიებს – როგორც ქრისტიანობას, ისე მუსულმანობას და ამ მხრივ ისეთ თავისუფალ მოსაზრებებს გვთავაზობდა, რაც უჩვეულო იყო შუა საუკუნეებისთვის.

– მართლაც ასეა, „მოი მალჩიკ“, – მეუბნება ბატონი შოთა, – რუსთაველმა დაარღვია შუასაუკუნეობრივი აზროვნების არტახები, იგი გასცილდა ვიწრო რელიგიურ განკერძოებას, მისი პოემა გამსჭვალულია ნამდვილი ჰუმანიტარული სულით.

რევაზ უზუნაძე
მერაბ უზუნაძე

ბათუმის წარსულის ქრონიკები
(XVII- XVIII ს.ს.)

XVI საუკუნიდან მძიმე პერიოდი დაუდგა საქართველოს. სამხრეთიდან ქვეყანას მოადგა ოტომანთა იმპერია დიდძალი ჯარით. ოსმალებმა, სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად, XVI საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დაიკავეს ბათუმი. **დაიწყო ბათუმის ისტორიის ოსმალთა ბატონობის პერიოდი.**

ოსმალებმა დაკავებულ ციხეებში ჩააყენეს გარნიზონები. ამ პერიოდისათვის ბათუმის ერთადერთ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა ბათუმის (თამარის) ციხე. XIX ს-ის მეორე ნახევარში ძველი ბათუმის სამხრეთით, ასევე, მისი ყურეს ჩრდილოეთ ნაწილში ოსმალებმა ააგეს სარისუს და ბურუნთაბიეს ფორტები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ბათუმის (თამარის) ციხის ისტორია XVII- XVIII საუკუნეებში, რაც დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის ობიექტი.

ბათუმის ციხე მდებარეობს მდ. ყოროლისწყლის შესართავთან აღმართულ ბუნებრივ გორაკზე. იგი იცავდა ძვ. ბათუმს და მის შემოგარენს – მდ. ყოროლოსწყლის შესართავიდან სამხრეთ სანაპირო ზოლს ბათუმის ყურეს ჩათვლით. საკვლევ პრობლემაში წვდომისთვის მოკლედ მიმოვიხილავთ მის წინა პერიოდს. ციხე აგებულია VI ს-ში (Леквинадзе В., 1973:171-172. დ. ხახუტაიშვილი, 1997:335: ნ. ინაიშვილი, 2009:155). ფეოდალური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში. იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას, რომელსაც საუცხოო ციტადელი ჰქონდა (ვ. ჯაოშვილი, ი. სიხარულიძე, 1997:329: რ. უზუნაძე, 2013). საკვლევი ობიექტის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა: „ციხე კარგი“ (ვ. ბატონიშვილი, 1973:176 გვ.). ასევე, ძვ. ბათუმის დასახლებას უნდა ჰქონოდა ფეოდალური ხანის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქებისათვის დამახასიათებელი **„ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე, – ქალაქის კედელი** ანუ „გალავანი ქალაქისა“ (შ. მესხია, 1983:612)[1]. ვფიქრობთ, გალავნით შემოსაზღვრული იქნებოდა ქალაქის ცენტრალური ნაწილი, ძირითადად ხმელეთიდან, ხოლო, ზღვისა და ყოროლისწყლის შესართავის მონაკვეთი ბათუმისათვის ასრულებდა გარკვეულად მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმაგრის ფუნქციას[2]. გვიან პერიოდამდე ყოფილა შემორჩენილი ქალაქის კედლის ნაშთები. დ. ბაქრაძე, რომელმაც 1873 წ. იმოგზაურა ბათუ-

მში, წერდა: წარსულში ბათუმი მდებარეობდა დიდ მოვაკებულზე, ყოროლისწყლის მარცხნივ. ამ ადგილზე დღემდე შემორჩენილია დიდი კედლის ნაშთები (დ. ბაქრაძე, 1987:27). იგი, აგრეთვე, მიუთითებს: მდ. ყოროლისწყლის შესართავთან აღმართულ გორაკზე მდებარე ბეჟანოღლის (ბეჟანიძის) სახლიდან თვალი გავადევნე მასიური კედლის ნაშთებს, რომელიც ალაგ-ალაგ წყდებოდა (დ. ბაქრაძე, 1987:28). ბათუმის ციხის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XIII-XVI ს.ს.-ის ძველ ევროპულ საზღვაო რუკებზე (პორტოლანტები). მათზე ბათუმი გამოსახულია დიდი ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი ტოპოგრაფიული ნიშნით[3] (რ. უზუნაძე, 2013:23,25). საყურადღებოა, აგრეთვე, XV ს-ის ევროპელ მოგზაურთა თუ დიპლომატთა ჩანაწერები. ჰანს შილტბერგერი მიუთითებს: „მინგრელის მთავარი ქალაქი ბათუმი“ (ელ. მამისთვალისშვილი, 1980:108).[4] იტალიელი დიპლომატი და მოგზაური იოსიფატ ბარბარო 1472 წ. ჩამოსულა ბათუმში. მისი დახასიათებით ბათუმი წარმოადგენდა საქართველოს ზღვისპირეთის მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს. ამდენად, ბათუმისა და მისი ციხე-სიმაგრის სახით, ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, კარგი საფორტიფიკაციო ნაგებობა. ფაქტობრივად XIX ს-ის მეორე ნახევრამდე იგი წარმოადგენდა ბათუმის ერთადერთ თავდაცვით სიმაგრეს.

როგორც ირკვევა, გარკვეულ დრომდე ოსმალთა ბატონობა ბათუმში ატარებდა ნომინალურ ხასიათს. 1614 წ. ბათუმს ეწვია ფრანგი მისიონერი ლუი გრანჟე. იგი შენიშნავს: „ბათუმი საქართველოს ნავსადგურია“ (Полиевктов М., 1935:51). რაც მიუთითებს, რომ ამ პერიოდისათვის ბათუმი გარკვეულად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას.[5] ძირითადად შემოიფარგლებოდა ოსმალეთისათვის ხარკის გადახდით.[6] მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ზოგჯერ გადასახადის აკრეფაც ჭირდა (რ. უზუნაძე, 2013:29). ოსმალური წყაროების მიხედვით, ბათუმის ციხეში XVII ს-ის 90-იან წლებამდე, არ ჩანს დამპყრობთა მუდმივი გარნიზონი (ნ. შენგელია, 2009:236-237). ამავე წყაროების ცნობით, ბათუმში ოსმალო მეციხოვნეები გამოჩნდნენ XVII ს-ის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან (რ. უზუნაძე, 2013:29-30), რაც უკავშირდებოდა ოტომანთა იმპერიის დაძაბულ საგარეო ვითარებას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა ისარგებლეს იმპერიის შიგნით არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და XVII- XVIII ს.ს.-ის მიჯნაზე შეეცადნენ გამოსულიყვნენ სულთანის ხელქვეითობიდან. უარი თქვეს მის მორჩილებაზე. ოსმალეთს შეუწყვიტეს ხარკის გადახდა. აფხაზები თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ოსმალთა სავაჭრო გემებს. ამას ემატებოდა XVII ს-ის 90-იანი წლებიდან რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის აქტიური მზადება შავ ზღვაზე გაენადგურებინა ოსმალთა ფლოტი. ამ ბრძოლაში პეტრე I-ს ეიმედებოდა ქართველთა მხარდაჭერის. ბრწყინვალე პორტას კარზე დაინახეს მოსალოდნელი საფრთხე. გადაწყვიტეს დაესწროთ რუსებისათვის და დაეპყროთ საქართველო (ქ. ჩხატარაიშვილი, 1973:456-457). თავისი პოზიციების გასამტკიცებლად მიიღეს ზომები. შეუდგნენ, თითქოსდა მანამდე უყურადღებოდ დატოვებული, ბათუმის ციხის გამაგრებას (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:80; ნ. შენგელია 2009:237). 1702-1703 წლებში ციხეს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დააშენეს ახალი სიმაგრე. კედლები ნაშენებია რიყის ქვით (ი. სიხარულიძე, 1962:27). განახლებული ციხე-ციტადელი 1703-1704 წლების ოსმალთა წყაროებში მოხსენიებულია ტერმინებით: „განახლებული ბათუმის ციხე“, „ბათუმის ყურეში განახლებული ბათუმის ციხე“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:79-82...). 1703 წ. ოსმალებმა განახლებულ ბათუმის ციხეში ჩააყენეს მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული გარნიზონი. დაიკავეს ბათუმის მხარე და ჩაქვის მხარის ნაწილი (ნ. შენგელია 1982:22-23: მისივე 2009: 237), 1703-1705 წლებში ბათუმის მეციხოვნეთა რაოდენობა შეადგენდა დაახლ. 500-დან 600 ჯარისკაცს. ციხე გამაგრებული იყო ზარბაზნებით. საქართველოს

ზღვისპირეთში პოზიციების გასამტკიცებლად სულთანის კარმა 1703 წ. გამოგზავნა 45 დიდი და პატარა გემისაგან შემდგარი სამხედრო ფლოტი (ნ. ჯაველიძე, 1985:160). მათმა ნაწილმა ღუზა ჩაუშვა ბათუმის ყურეში. 1703 წ. ზაფხულში ოსმალებმა დალაშქრეს დასავლეთ საქართველო (ქ. ჩხატარაიშვილი, 1973:456-458). ოსმალური წყაროების ცნობით, სულთანის ხელისუფლებას „ბათუმის ციხის შესაკეთებლად" სამუშაოები ჩაუტარებია, აგრეთვე, 1723-1724 წწ-ში, რაც უკავშირდება 1723 წ. ოსმალთა ლაშქრობას საქართველოში, რათა მათი გავლენა კიდევ უფრო გაძლიერებულიყო დასავლეთ საქართველოში. 1723 წ. ზაფხულში ოსმალებმა დაიკავეს აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველო ზღვას მოსწყვიტეს[7] (ქ. ჩხატარაიშვილი, 1973:402). გარნიზონები ჩააყენეს დაკავებულ ციხეებში. ხოლო ადრე მათ ხელში მყოფი ციხეები, მათ შორის ბათუმის ციხე გაამაგრეს (ქ. ჩხატარაიშვილი, 1973:402; ნ. შენგელია, 2009-238). აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით ოსმალური წყარო გვაცნობს: ბათუმის ციხის შესაკეთებლად მნიშვნელოვანი თანხა გაიგზავნა. 1723 წ. დაიხარჯა 2500 ყურუში ესედი[8]. 1724 წ. დამატებით გამოიყო 2635 ყურუში ესედი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:136-137). ბათუმის ციხის გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობდა, აგრეთვე, შემდგომ წლებშიც, რაც წყაროებთან ერთად დასტურდება ციხის არქეოლოგიური მასალებით (ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989:49).

განმარტებისათვის, აქვე მოკლედ მინდა შევეხო საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს. გამოთქმულია მოსაზრებები რომ: „1703 წ. ოსმალეთმა ააგო ბათუმის ციხე", „1703 წ. ოსმალებმა ბათუმის ახალი სიმაგრე ააგეს" (ქ. ჩხატარაიშვილი, 1972:11; მისივე 1972:58; მისივე 1973:458; მისივე 1976:273; ი. ბექირიშვილი, 1991:86). როგორც საკითხის საფუძვლიანმა შესწავლამ გვიჩვენა ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ოსმალების მიერ ბათუმის ციხეზე განხორციელებულ სამშენებლო-განახლებით სამუშაოებთან. აზრთა სხვადასხვაობა მომდინარეობს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან: ოსმალებმა ბათუმში დაიწყეს „შენება ციხისა" (ვ. ბატონიშვილი, 1973:814). აშკარაა, რომ აქ საუბარია საკვლევი საფორტიფიკაციო ნაგებობის მიმართ ზემოთ მითითებულ სამუშაოებზე (ლ. ურუშაძე, 1989:69; დ. კომახიძე, 1977:16)[9]. ზედაპირზე დღემდე შემორჩენილია XVIII საუკუნის ციხის კედელთა ნაშთები (ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989:29,49). ოსმალეთის სულთან აჰმედ III-ის მიერ 1712 წ. გაცემულ ფირმანში მითითებულია „ძველი ციხე ბათუმი" და „ახალი ციხე ბათუმი" (ქ. ჩხატარაიშვილი, 1976:276). პროფესორ ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრებით: დოკუმენტში მოხსენებული „ძველი ციხე ბათუმი" უნდა იყოს „თამარის ციხე" მდ.ყოროლისწყლის შესართავთან, ხოლო „ახალი ციხე ბათუმი" ის სიმაგრეა, რომელსაც საფუძველი 1703 წ. ჩაეყარა და რომელთანაც თანდათან ქალაქი გაშენდა" (ქ. ჩხატარაიშვილი, 1976:273). საკითხის საფუძვლიანი შესწავლიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ძველ ციხესთან მიმართებით ოსმალურ წყაროში საუბარია, სწორედ, ბათუმის (თამარის) ციხე-სიმაგრეზე. როგორც ითქვა, იგი აკონტროლებდა მდ.ყოროლისწყლიდან ყურეს ჩათვლით მონაკვეთს. ვინაიდან ოსმალეთის გემები ღუზას უშვებდნენ ბათუმის ყურეში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალურ წყაროებში იგი მოხსენიებულია „ბათუმის ყურეში განახლებულ ბათუმის ციხედ". წყაროების ანალიზი გვაძლევს საფუძველს მივუთითოთ, რომ „ახალ ციხედ" ოსმალები მიიჩნევდნენ მათ მიერ განახლებულ ბათუმის ციხე-ციტადელს. რაც შეეხება „ბათუმის ძველ ციხეს", ვფიქრობთ, მასში, კონკრეტულად, მოიაზრებოდა ძველი ბათუმის ქალაქის გალავანი, რომელიც იცავდა იმდროინდელი ბათუმის საქალაქო დასახლებას და გარკვეულად ასრულებდა სასამაგრო ნაგებობის ფუნქციას.[10] ასე, რომ აღნიშნულ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ძველი ბათუმის საფორტიფიკაციო ნაგებობასთან, – თავისი ციხე-ციტალელითა და გალავნით.[11]

საინტერესოა საკვლევ პერიოდში ბათუმის გამგებლობის წესი, ციხეში ჩაყენებული ოსმალთა გარნიზონის სტრუქტურა, შემადგენლობა, მათი რაოდენობა, შეიარაღება, გარნიზონში არსებული მდგომარეობა.

ციხეს ჰყავდა დიზდარი (ციხისთავი), იგივე „ციხის ანუ ბათუმის ბეგი". ინიშნებოდა სულთანის უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96,263). დიზდარის მოვალეობას შეადგენდა ხსნებული ციხისა და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფა. ექვემდებარებოდა ციხის გარნიზონი. მისი წარდგინებით ინიშნებოდა გარნიზონის სამხედრო ნაწილთა მეთაურები. სულთანის კარს წარუდგენდა მოხსენებებს, არზას (თხოვნა) ციხეში არსებული მდგომარეობის და გარნიზონთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:93). 1709 წ. სულთანის უმაღლესი ხელისუფლების მიერ გაცემული ბერათით (ბარათი) ბათუმის ციხის დიზდარი ყოფილა მეჰმედი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:83-84). 1716 წ. წყაროს ცნობით, იგი ინარჩუნებს დიზდარის (ციხისთავი) თანამდებობას (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:83-85). მეჰმედი წარმოშობით ყოფილა გამუსლიმანებული ქართველი[12]. 1721 წლისათვის ბათუმის ციხის დიზდარის (ციხისთავი) თანამდებობაზე ჩანს ვინმე აბულ კასიმი (შენგელია, 1987:93). იგი ყოფილა გედიქი (წარჩინებული პირი), რომელიც სამხედრო სამსახურისათვის იყო თიმარის თუ ზიამეთის კატეგორიის მიწის მფლობელი. (იხ. XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:262).

იმ პერიოდის ბათუმის მხარეში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამისი მასალების ანალიზიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ 1744 წლამდე ბათუმის ციხისთავები (ბეგები) უნდა ყოფილიყვნენ თავდგირიძეთა გვარიდან. მათ ეკავათ ძველი ბათუმი და ბათუმის მხარე (Д. Бакрадзе, 1889:13: ო. სოსელია, 1981:179; ლ. ურუშაძე, 1989:73; ო. თურმანიძე, 1981:44; რ. სურმანიძე, 2007:91). ატარებდნენ გედიქის წოდებას.

XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან ბათუმის ციხისთავის თანამდებობას (ბეგის ტიტულით) იკავებენ შერვაშიძეთა გვარის წარმომადგენლები. 1744 წელს სულთანმა მაჰმუდ I (1730-1754) ბათუმის ციხისთავად (ბეგად) დასვა ოსმალეთს გადასახლებული, აფხაზთა სამთავრო გვარის წარმომადგენელი, მანუჩარ (სულეიმან) შერვაშიძე (კ. კვაშილავა, 2015:113; რ. შერვაშიძე, 2016 :45). შერვაშიძეები ამ თანამდებობას ინარჩუნებდნენ XIX ს-ის 20-იან წლებამდე,[13] ვიდრე ციხე ფუნქციონირებდა (რ. უზუნაძე 2013:33).

აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის სიტუაციიდან გამომდინარე, ციხის გარნიზონის ჯარისკაცთა რაოდენობა ცვალებადი იყო. XVIII ს-ში, წლების მიხედვით, გარნიზონის ჯარისკაცები შეადგენდნენ: 1703-1705 წწ.-ში – 600: 1706-1607 წ.წ.-ში – 378: 1708-1709 წ.წ. – 334; 1727-1728 წ.წ. – 157: 1731 წ. – 187; 1732-1733 – 184; 1745 წ. – 250 (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:69-70, 75, 78, 178, 186, 221, 229-230, 251). მსგავსი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო XVIII ს-ის მეორე ნახევარში. გასათვალისწინებელია ამ პერიოდის რუსეთ-თურქეთის ომები და ქართველ მეფე-მთავართა ანტიოსმალური პოზიციები.

XIX ს-ის დამდეგიდან ვითარება იცვლება. კერძოდ, ბათუმის საქალაქო დასახლების ყურეს მიმართულებით გადანაცვლება ასუსტებს ბათუმის ციხის პოზიციებს. 1804 წ. მონაცემით, ბათუმის ციხეში იდგა ოსმალთა 121 კაციანი გარნიზონი (Акты, 1868:876: რ. უზუნაძე, 1997:8). 1820-იანი წლებიდან ციხემ დაკარგა საფორტიფიკაციო ნაგებობის ფუნქცია.

ბათუმის ციხის გარნიზონს შეადგენდნენ ოსმალური ჯარის შემდეგი ნაწილები: ბეშლუიანები, აზაბები, მუსთაფაზები, ჯებეჯიები, თოფჩიები. შემდეგში მათ დაემატა იერლუიანების რაზმი.

ბათუმის ციხეში გამწესებულ ბეშლუიანებს ევალებოდათ ზრუნვა ციხის „წესრიგსა და თავდაცვისუნარიანობაზე", ლაშქრობის დროს ჯარისათვის გზის გაწმენდა, მეგზურობის გაწევა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:260). ბეშლუიანები იყვნენ დაქირავებული ჯარისკაცები. მათი

დღიური ანაზღაურება შეადგენდა 5 ახჩა ულუფას. ბეშლუიანთა ნაწილი შედგებოდა გამუსლიმანებული ადგილობრივი ჯარისკაცებისაგან (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:198). მათ მეთაურობდა ბეშლუიანების აღა. ნაწილს ჰყავდა, აგრეთვე, ბოლუქბაში (რაზმის მეთაური) და ალამდარი (მედროშე). სამივე თანამდებობა ეკავათ გარნიზონში მომსახურე ადგილობრივებს. ბეშლუიანების აღას დღიური ანაზღაურება უდრიდა 30 ახჩა ულუფას, ბოლუქბაშის – 8 ახჩას, ალამდარის კი – 12 ახჩას. ცნობილია ზოგიერთი „ჩინოსნის“ ვინაობა. 1719 წ. ცნობით, ბეშლუიანების აღა ყოფილა ვინმე საბა ომერი, წარმოშობით ადგილობრივი, კერძოდ სოფ. მაღარიდან (ნიგალის ხეობა).[14] წყაროს ცნობით ომერი არ ასრულებდა თავის მოვალეობას. „ციხის შიგნით არ ცხოვრობდა. ძირითადად დროს ატარებდა სოფელში თავის სახლში, მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცთა დისციპლინა დაკანონებული იყო“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:89). ბრალად მას ისიც ედებოდა, რომ მიუთვისებია ჯარისკაცებისათვის განკუთვნილი სარგოები[15]. ამიტომ ომერი[16] თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ. 1719 წ. 22 ივლისს ბეშლუიანების აღად დაინიშნა ვინმე სულეიმან იბნი. 1731 წ. ცნობით, ბეშლუიანების ნაწილის აღა ყოფილა მეჰმედ-აღა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:89,216).

ბეშლუიანების ნაწილში უმცროს ჩინოსანს წარმოადგენდა სერბოლუქი, იგივე ბოლუქბაში (რაზმის მეთაური), 8 ახჩა ულუფით. საჭიროების შემთხვევაში ასრულებდა ბეშლუიანების აღას მოვალეობას. ზოგიერთ ბოლუქბაშს ენიშნებოდა 10 ახჩა ულუფა.

1726 წ. წყაროს ცნობით, ბათუმის ციხის ბეშლუიანების სერბოლუქი ყოფილა ვინმე ისმაილო ბენ იუსუფი. რომელსაც ციხე მიუტოვებია და სხვაგან დასახლებულა. თვითნებობის გამო იგი გაუნთავისუფლებიათ სამსახურიდან. შემდგომში ბეშლუიანთა ნაწილიდან თანამდებობა ებოძა ომერ აბდულაჰს (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:197). დანიშვნის თაობაზე სულთანის კარზე არზა წარუდგენია „ბათუმის სანჯაყის მფლობელს მეჰმედ-ბეგს“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:197). 1731 წ. აგვისტოდან ბეშლუიანების სერბოლუქი 8 ახჩა ულუფით ყოფილა ვინმე აბდულლაჰი. წყაროს ცნობით, იგი ბოლო პერიოდში თვითნებობდა „დაუტოვებია ციხე, სავალდებულო სამსახურს არ ასრულებდა“. ურჩობის გამო გაუნთავისუფლებიათ სამსახურიდან. მის ნაცვლად დაუნიშნავთ ვინმე იბრაჰიმ აჰმედი. ამის შესახებ სულთანის კარზე არზა წარუდგენია ბეშლუიანების ნაწილის მეთაურს მეჰმედ აღას (ნ. შენგელია, 1987:216-218). თუ გავითვალისწინებთ ბეშლუიანების დაკომპლექტების წესს და ეროვნულ შემადგენლობას, მემედ-აღა იყო ადგილობრივი წარმოშობის. ზემოთ ნახსენები ბოლუქბაშებიც უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივები.

ბეშლუიანთა ნაწილში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ბაირაქთარი (ალამდარი, იგივე, მედროშე). ბათუმის ციხის ბეშლუიანთა პირველი ალამდარი ყოფილა ვინმე ჰაჯი ასანი. შემდეგ მის ადგილს იკავებს ჰასან იუსუფი, გასამრჯელოდ დღეში 12 ახჩა ულუფით. 1720 წ. ცნობით, იგი „ბათუმის ციხეში არ ცხოვრობდა, საჭირო სამსახურს არ ასრულებდა“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:198). საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო გაუნთავისუფლებიათ თანამდებობიდან. ალამდარად კვლავ ჰაჯი ჰასანი დაუნიშნავთ. ამის შესახებ სულთანის კარზე არზა წარუდგენია ბათუმისა და გონიოს მირლივას (სანჯაყბეგი) აჰმედ ბეგს (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:198). ჩანს, ბაირაქთარი ყოფილა ადგილობრივი წარმოშობის.

ბათუმის ციხეში ჩაყენებული აზაბთა ნაწილი შედგებოდა ცხენოსანი მოლაშქრეებისაგან. ისინი იყვნენ დაქირავებული მებრძოლები.[17] მათ ფუნქციას შეადგენდა ციხის მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვა. ციხეში აზაბთა გამწესება ხდებოდა სულთანის უმაღლესი კარის ბრძანებით. დასტურად გაიცემოდა ბერათი (ბარათი). რიგითი აზაბის ანაზღაურება შეადგენდა დღიურად 5 ახჩა ულუფას. 1704 წ. მონაცემებით, აზაბთა ნაწილი შედგებოდა სამი რაზმისაგან (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:79-81).

თითოეულ რაზმს ჰყავდა უფროსი (რაზმის სერბოლუქი). მათი დღიური ანაზღაურება შეადგენდა 8 ახჩა ულუფას.

აზაბთა ნაწილს მეთაურობდა აზაბთა აღა. მისი დღიური ანაზღაურება უდრიდა 45 ახჩას. გარნიზონში ციხისთავის (დიზდარი) შემდეგ, „აზაბთა აღა“ იყო ერთ-ერთ წამყვანი ფიგურა. იგი ზოგჯერ დიზდართან ერთად აწერდა ხელს ბათუმის გარნიზონის არზას. 1716-1721 წლებში ბათუმის გარნიზონის აზაბთა აღა ყოფილა ვინმე მუსტაფა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987: 85,135).

აზაბთა ნაწილს ჰყავდა, ასევე, ქედხუდი (მოურავი). ასრულებდა აზაბთა აღას დავალებებს, უძღვებოდა აზაბთა ნაწილის სამეურნეო საქმიანობას. მისი დღიური ანაზღაურება იყო 18 ახჩა ულუფა. 1729 წ. ცნობით, ბათუმის ციხეში აზაბთა მოურავი (ქედხუდი) ყოფილა ვინმე ომერი. მას ჰქონდა გედიქის წოდება[18]. წყაროს ცნობით „ომერი არც მოსახლეობას, არც სამართალს არ დაექვემდებარა და საჭირო სამსახური არ შეასრულა“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ.,1987:99). იგი გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან. ქედხუდობა ებოძა ბათუმის ციხეში მცხოვრებ ვინმე მუსტაფა ბენ მეჰმედს. საინტერესოა, რომ ამ საკითხზე უმაღლესი ხელისუფლების კარზე არზა წარუდგენია ბათუმის სანჯაყბეგს აჰმედს.[19]

ბათუმის ციხის მუსთაფაზების ნაწილი მნიშვნელოვნად კომპლექტებოდა ადგილობრივი მოლაშქრეებისაგან, რომლებიც თიმარის წესით ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს. ევალებოდათ ციხის დაცვა. რიგითი მუსთაფაზის დღიური ანაზღაურება შეადგენდა 5 ახჩას. მუსთაფაზებს ჰყავდათ რაზმის უფროსი (მუსთაფაზების აღა), მეციხოვნე და ალამდარი.

მუსთაფაზების აღა ფლობდა მამულებს თიმარის წესით. გარნიზონში წარმოადგენდა გავლენიან პირს. ცნობილია ბათუმის ციხის მუსთაფაზების აღა მეჰმედი, რომელიც 1709 წ. დაინიშნა ბათუმის ციხისთავად (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:84). იგი იყო წარმოშობით ქართველი.

მუსთაფაზების მეციხოვნე ასრულებდა ხაზინადარის მოვალეობას. ცნობილია ბათუმის ციხის მუსთაფაზების მეციხოვნე **მურთაზი.** წყაროს ცნობით, 1706 წელს მას მიუთვისებია „აღნიშნული ციხის ჯარისკაცების სარგო 5-6 ქისა[20] ახჩა და გაქცეულა. ორ წელიწად-ნახევარი დაკარგული იყო. მას შემდეგ, რაც ხსენებულ ციხეში 30 დღის განმავლობაში დაბრუნების თაობაზე მტკიცე გაფრთხილება მიიღო, სამსახურში არ მოსულა“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:83). იგი თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ. სულთანის უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 1709 წ. 1 ნოემბრიდან გაუქმებულა ბათუმის ციხის მეციხოვნეობა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:84).

მუსთაფაზების ალამდარის დღიური ანაზღაურება უდრიდა 12 ახჩა ულუფას. ალამდარად ინიშნებოდნენ ქართული წარმოშობის ადგილობრივი მოლაშქრეები.[21] ყოფილა საკმაოდ ტიტულიანი თანამდებობა გედიქის წოდებით. მუსტაფაზების ალამდარი ყოფილა ვინმე ისმაილ აბდულაჰი. 1721 წ. წყაროში მის შესახებ ვკითხულობთ: ისმაილ აბულაჰმა დაკარგა ჭკუა, დატოვა ციხე, სამსახური და მუდამ შორიშორს დახეტიალობდა. ჯარისკაცებთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა, ციხეში არ ცხოვრობდა და არც კანონიერებას იცავდა“. იმავე ცნობით, „რადგანაც სამსახურში არ იმყოფებოდა და თავის საქმისადმი“ გულგრილობა გამოამჟღავნა, გადაყენებული იქნა თანამდებობიდან (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ.,1987:93).1721 წ. ნოემბერში მუსთაფაზების ალამდარის თანამდებობა ებოძა „ბათუმის ციხის შიგნით მცხოვრებ მურთაზს“. ამის შესახებ სულთანის სამეფო კარზე არზა წარადგინა ბათუმის ციხისთავმა (დიზდარი) აბულ კასიმმა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:93).

ჩანს, ისმაილ აბდულაჰის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ქართველის გულგრილ დამოკიდებულებას ოსმალებისადმი სამსახურის მიმართ. ვფიქრობთ, აღნიშნული ქმედება იყო პროტესტის ერთ-ერთი გამოხატულება ოსმალო დამპყრობლებისადმი.

ჯებეჯიების ჯარის ნაწილის (ოსმალთა ჯარის ერთ-ერთი სახეობა) მოვალეობას შეადგენდა ბათუმის ციხის გარნიზონის საბრძოლო

მასალისა და იარაღის დაცვა-განაწილება. იგი, ასევე, წყაროებში მოხსენიებულია „გარნიზონის დაცვის“ სახელწოდებით. რიგითი ჯებეჯის დღიური ანაზღაურება შეადგენდა 3 ახჩას (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96:191).

ჯებეჯიების მეთაურს წარმოადგენდა ჯებეჯი-აღა. 1723 წ. ბათუმის ციხის ჯებეჯიების მეთაური (აღა) ყოფილა ვინმე ომერი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96). ჯებეჯიების ნაწილი შედგებოდა დანაყოფებისაგან. მათ მეთაურობდა დანაყოფის უფროსი (სერბოლუქი), რომლის დღიური ანაზღაურება შეადგენდა 10 ახჩა ულუფას. ცნობილია დანაყოფის უფროსი ვინმე ჰუსეინ ჰასანი (1703-1712 წწ.). 1712 წ. ამ თანამდებობაზე დაუნიშნავთ ჰუსეინ აბდულაჰი. ამ უკანასკნელის აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის არზა სულთანის კარზე წარუდგენია ბათუმის მირლივა (სანჯაყბეგი) მუსტაფას (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:190-191).

ჯებეჯიების ნაწილს ჰყავდა მედროშე (ბაირაქთარი), დღიურად 12 ახჩა ულუფით. ბათუმის გარნიზონის ჯებეჯიების პირველი მედროშე ყოფილა ვინმე მუსტაფა აჰმედ სეფიდი. აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა 1703 წ. სულთან აჰმედ III ბრძანებით. სულთანის კარზე მისი დანიშვნის არზა წარუდგენია არზრუმის ფაშას (ნ. შენგელია, 1987:81). ყოველივე ეს მიუთითებს, რომ აღნიშნული ნაწილის მედროშეობა ყოფილა მნიშვნელოვანი თანამდებობა.

ჯებეჯიების ნაწილს ექვემდებარებოდა **სანაპირო დაცვის (იერლუიანების) რაზმი.** ამ უკანასკნელს ევალებოდა ზღვისპირა მონაკვეთის დაცვა, ბათუმის ციხიდან ყურეს ჩათვლით. მათ ჰყავდათ საერთო მეთაური (აღა), დღიურად 45 ახჩა ულუფით. 1723 წ. ცნობით, ბათუმის ციხეში ჯებეჯიების და იერლუიანების აღა ყოფილა ვინმე მუსა-ბეგი. იგი საინტერესო პიროვნება ჩანს.

ოსმალური წყარო მის შესახებ გვამცნობს: მუსა ბეგი წარმოშობით ქართველი იყო. უმეტეს დროს საქართველოში ატარებდა[22] და დაცვის სამსახურს არ ასრულებდა. ასევე, წყარო მოგვითხრობს: იმის გამო, რომ მუსა-ბეგი მოვალეობით ხსენებულ ციხესა და მის სანახებთან დაკავშირებული იყო, ისლამის სხვა მოსახლეობის (არაქართველების) ენის (ოსმალურის) ცოდნა მისთვის სასიცოცხლო გახლდათ“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96), თუმცა იგი მაინც ქართულ ენაზე ეწეოდა საქმიანობას. ყოველივე ამის გამო მუსა-ბეგი ჩამოუქვეითებიათ და დაუნიშნავთ დაცის ერთ-ერთ რაზმის უფროსად (კულ-აღა). იგი იმდენად დიდი გავლენით სარგებლობდა, რომ მისი შუამდგომლობით ჯებიჯიების და იერულიანების აღას თანამდებობა ებოძა ომერს, წარმოშობით ქართველს. მუსა-ბეგის შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობა მიუთითებს რამდენიმე საყურადღებო ფაქტზე: მიუხედავად ოსმალთა ძალდატანებისა, მოსახლეობა ცდილობდა შეენარჩუნებინა ქართული ენა და არ უშინდებოდა წინააღმდეგობის გაწევას.

მუსა-ბეგი ყოფილა ადგილობრივი გავლენიანი გვარის წარმომადგენელი. ინარჩუნებდა ქართველობას. თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის რეგიონსა და ბათუმში არსებულ მდგომარეობას, გარკვეულ პირთა დაწინაურება-წარჩინებულობას, მუსა-ბეგი უნდა ყოფილიყო თავდგირიძის თუ ბეჟანიძის გვარიდან. მისი დანიშვნის არზა სულთანის კარზე წარუდგენია ბათუმის სანჯაყბეგ მუსტაფას.

ბათუმის გარიზონის შეიარაღებაში შედიოდა არტილერია. ციხის სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ზარბაზნები ძირითადად მიმართული იყო ზღვის, ყურესა და ჩაქვი-ციხისძირის მიმართულებით. მას ემსახურებოდა მეზარბაზნეთა (თოფჩიების) ნაწილი. ნაწილს მეთაურობდა მეზარბაზნეთა უფროსი (თოფჩიბაში). მისი დღიური ანაზღაურება უდრიდა 45 ახჩა ულუფას (ე. ჩელები, 1973:141-142; XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:85). მეზარბაზნეთა ნაწილის მეთაურობა ბათუმის ციხეში ყოფილა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა გედიქის წოდებით. რაც ენიჭებოდათ წარჩინებულ, მაღალი თანამდებობის პირებს. სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ფლობდნენ თიმარისა და ზიამეთის კატეგორიის მიწის ნაკვეთებს.

1716 წ. მაისში ბათუმის ციხის მეზარბაზნეთა უფროსად დაინიშნა ვინმე მეჰმედი (ნ. შენგელია 1987:85). წყაროს ცნობით, იგი ყოფილა ადგილობრივი წარმოშობის მაღალი წრის წარმომადგენელი, რომელსაც ებოძა გედიქის წოდება. სულთანის კარზე მისი დანიშვნის არზა წარუდგენია ბათუმის ციხის უფროსს (დიზდარი) მეჰმედს (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ.,1987:85). მეზარბაზნეთა უფროსი მეჰმედი, მისი წარმომავლობისა და წოდებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე, უნდა ყოფილიყო თავდგირიძეთა ან ბეჟანიძეთა გვარიდან. საკვლევი პერიოდის ბათუმის მხარეში ბეჟანიძეები წარმოადგენდნენ გავლენიან გვარს. ფლობდნენ მამულებს ყოროლისწყლის ხეობასა და ჩაქვის მხარეში (ი. ბექირიშვილი, 1996:55; ო. თურმანიძე, 2001:16,55). მათ ბათუმის ციხის ტერიტორიაზე ჰქონდათ სასახლე (დ. ბაქრაძე, 1987:27-28)[23] . როგორც ჩანს, ბათუმის ციხეში წამყვანი თანამდებობები თავდგირიძეებთან ერთად ეკავათ ბეჟანიძეებს. შემდეგ მეზარბაზნეთა უფროსებად (თოფჩიბაში) ინიშნებიან – მუსა, სულეიმანი (წყაროს ცნობით, ადგილობრივი. გარდაიცვალა 1726 წ.) და მაჰმუდი[24] (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:193-198).

მეზარბაზნეთა ნაწილს ჰყავდა მოურავი (ქედხუდი). მისი ანაზღაურება იყო დღიურად 20 ახჩა ულუფა. მოურავის მოვალეობას შეადგენდა სამეურნეო საქმიანობის გაძღოლა, „ნაწილში დისციპლინის და სამოქმედო ტერიტორიაზე (რაიონში) წერიგის დაცვა“. 1716 წ. ცნობით, ბათუმის ციხის მეზარბაზნეთა მოურავი (ქედხუდი) ყოფილა ვინმე ომერ სამი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:84-85).

მეზარბაზნეთა ნაწილი რაზმებად იყოფოდა. რაზმს ჰყავდა უფროსი (თოფჩი ბოლუქ ბაში). მისი დღიური ანაზღაურება უდრიდა 10 ახჩა ულუფას (ნ. შენგელია, 1987:193).

ბათუმის ციხის გარნიზონს ემსახურებოდა ქათიბი (მდივანი). მის მოვალეობაში შედიოდა საჭირო დოკუმენტების წარმოება, გასაგზავნი არზას მომზადება. იგი იღებდა 25 ახჩა დღიურ ულუფას. 1718 წ. ცნობით, ბათუმის ციხის მდივანი (ქათიბი) ყოფილა ვინმე ოსმან ეფენდი (გონიოს ყოფილი ყადი). შემდეგ მდივნის თანამდებობას იკავებს ვინმე იბრაჰიმი. წყაროს ცნობით, იგი „სხვა მხარეში ცხოვრობდა.[25] დიდ მონდომებას არ იჩენდა და სამსახურს არ ასრულებდა“ (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:85,87,90), რისთვისაც გაუთავისუფლებიათ და ბათუმის ციხის მდივნად დაუნიშნავთ ვინმე ჰუსეინი. მისი დანიშვნის არზა სულთანის კარზე წარუდგენია გონიოსა და ბათუმის სანჯაყბეგ მეჰმედს (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:90-91).

შემორჩენილია ცნობები ბათუმის ციხის გარნიზონის შენახვაზე გაწეული ხარჯების შესახებ. ბათუმის სანჯაყში ამოღებული საადგილმამულო გადასახადებიდან ბათუმის ციხის გარნიზონი მარაგდებოდა სურსათით, ძირითადად ხორბლეულით და ხორცეულით (ო. თურმანიძე, 2001:12). ოსმალური წყაროს ცნობით, 1707 წლის 28 სექტემბრიდან 1708 წლის 22 მარტამდე პერიოდისათვის ბათუმის ციხის 378 მეციხოვნეზე გამოყოფილი ყოფილა: დღეში ხორცი – 75,5 ოყა,[26] თვეში ხორბალი – 189 ქილა.[27] 1708 წლის 22 მარტიდან – 1709 წლის 17 აგვისტომდე პერიოდში გარნიზონის 334 ჯარისკაცს გამოეყო: ხორცი – დღეში 66,5 ოყა, თვეში ხორბლეული – 167 ქილა (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:186-187). საომარი მდგომარეობის შესაბამისად, ბათუმის ციხის გარნიზონი, ასევე, მარაგდებოდა ტყვიაწამლით, საჭირო საბრძოლო მასალებით. 1721 წ. 22 სექტემბერს სულთნის კარის გამოცემული ბრძანებით, ბათუმის ციხეში გაიგზავნა: შავი თოფის წამალი – 15 ყანთარი[28] , ტყვია – 8 ყანთარი, ტყავის ძირი – 1ცალი, მოსასხამი ქეჩა – 15 ცალი, ტყავის ქისა – 15 ცალი, შემოსახვევი 2 თოფი[29] იალქნის ბიაზი, ეგვიპტის პატრუქი – 1,5 ყანთარი (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:134-135).

საკვლევი პერიოდის თემასთან დაკავშირებით საინტერესოა სანჯაყბეგის ინსტიტუტი. სანჯაყი წარმოადგენდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს. მას სათავეში ედგა სანჯაყბეგი. იგი იყო სანჯაყის სამხედრო-ადმინისტრაციული გამგებელი (ნ. შენგელია, 1987:280). თა-

ვისი სტატუსიდან გამომდინარე ბათუმის, იგივე გონიოს, სანჯაყბეგი ჩართული იყო ბათუმის ციხის გარნიზონის საკითხების გადაწყვეტაში, სულთანის კარზე წარადგენდა არზას თანამდებობებზე დანიშვნა-განთავისუფლების, გარნიზონის მომარაგების შესახებ. იგი ოსმალურ წყაროებში გვხვდება ბათუმის, გონიოს, ხან კიდევ ბათუმისა და გონიოს სანჯაყბეგის სახელწოდებით (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:90, 96, 99, 109-110, 134-135, 137).

სანჯაყი მოიცავდა ბათუმისა და გონიოს მხარეს. XIX ს-ის 20 წლებამდე სანჯაყის ცენტრი იყო გონიოში. აქ იმყოფებოდა სანჯაყბეგი და ადმინისტრაციის სხვა მოხელეები. აქვე იყო სასაზღვრო საბაჟო (ქ. ჩხატარაიშვილი, 1976:273). XIX ს-ის 30-იან წლებში, ყურეს სამხრეთ-დასავლეთით საქალაქო დასახლების გადანაცვლების შემდეგ, ბათუმი გახდა სანჯაყის ცენტრი.

საინტერესოა, ასევე, საკვლევი პერიოდის ბათუმის ანუ გონიოს სანჯაყბეგების ვინაობა. როგორც ირკვევა, სანჯაყბეგები ყოფილან აბაშიძის გვარიდან (სცსსა, ფ. 231, ანაწ. I, ს. 99, ფურც. 7; ო.სოსელია, 1973:208-209; ო. თურმანიძე, 2001:44; ნ. შენგელია, 2009:242). აბაშიძეები ბათუმის მხარეში ჩამოსახლებულან XVII-XVIII სს-ის მიჯნაზე. ისინი ოსმალეთის მთავრობის სამსახურში ჩადგნენ და სანჯაყბეგის წოდებაც მიიღეს, ბათუმელი აბაშიძეები ზღვისპირა მიდამოებში ფლობდნენ დიდ მამულებს, – გონიოდან დაწყებული ჩაქვამდე (ო. თურმანიძე, 2001:44,58). ბათუმის ანუ გონიოს პირველი სანჯაყბეგები იყვნენ: აჰმედი[30], მეჰმედი (XVI- XVIII სს.-ოდწ., 1987:90,109-110), მუსტაფა[31]. 1729 წლის ცნობით, სანჯაყბეგი ყოფილა აჰმედი (XVI- XVIII სს. – ოდწ., 1987:99).

საკვლევი პრობლემატიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

– ბათუმის ერთადერთ საფორტიფიკაციო ნაგებობას XIX ს-ის 20-იან წლებამდე წარმოადგენდა ბათუმის (თამარის) ციხე.

– სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე ოსმალები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ ბათუმის ციხის გამაგრებას და დაცვის უზრუნველყოფას.

– ბათუმის ციხის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ოსმალებმა ჩაატარეს 1702-1703, 1723-1724 წლებში. 1703 წლიდან ბათუმის ციხეში ჩაყენებული იქნა გარნიზონი. მისი რაოდენობა იცვლებოდა სიტუაციის შესაბამისად.

– გარნიზონი შედგებოდა ოსმალთა ჯარის ხუთი ნაწილის (ბეშლუიანები, აზაბები, მუსთაფაზები, ჯებეჯიები, თოფჩიები) და სანაპირო დაცვის (იერლუიანები) რაზმისაგან.

– გარნიზონის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ბათუმის სანჯაყის გამუსლიმანებული მოსახლეობა. ეკავათ წამყვანი თანამდებობები.

– ნაშრომში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ გარნიზონის ქართველი მომსახურე პერსონალი გულგრილად ეკიდებოდა მოვალეობის შესრულებას. რაც, მათი მხრივ, უნდა ჩაითვალოს ოსმალო დამპყრობთა მიმართ პროტესტის გამოხატულებად.[32]

– 1709 წლიდან – 1744 წლამდე ბათუმის ციხისთავები (დიზდარი/ბეგი) იყვნენ თავდგირიძეები. 1744 წლიდან მათ ადგილს იკავებენ შერვაშიძეები.

– საკვლევ პერიოდში ბათუმის/გონიოს სანჯაყბეგები იყვნენ აბაშიძეები. XIX ს-ის 20-იან წლებამდე სანჯაყბეგის რეზიდენცია მდებარეობდა გონიოში.

შენიშვნები:

1. ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფ. შ. მესხია, ასევე, მიუთითებდა: ქალაქის ციხე-ციტადელი, ქალაქის კედლები ფეოდალური ხანის ქალაქების გარეგანი სახისათვის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს (შ. მესხია, 1983:610,667).

2. პროფ. შ. მესხიას გამოკვლევით: საქართველოს ქალაქები მდინარეთა ნაპირებზე ან კიდევ

მდინარეთა შესართავებზე იყო გაშენებული. ისინი ქალაქებს წყლით ამარაგებდნენ და რაც მთავარია ფეოდალური ქალაქებისათვის მდინარეები მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ“ (შ. მესხია, 1983:607).

3. პორტოლანტებზე მსგავსი ტოპოგრაფიული ნიშნითაა გამოსახული საქართველოს ციხე-ქალაქები: ქუთაისი, ახალციხე, სებასტოპოლისი (სოხუმი).

4. XV ს-ის 20-30-იანი წლების სამეგრელოს სამთავრო მოიცავდა საქართველოს თითქმის მთელ შავიზღვისპირეთს (ივ. ჯავახიშვილი, 1982:435-436). თავისთავად ბათუმის მოხსენიება საქართველოს შავიზღვისპირეთის მთავარ ქალაქად, მიუთითებს მის დაწინაურებულ მდგომარეობაზე. ასევე, – ბათუმს ჰქონდა მთავარი ქალაქისათვის დამახასიათებელი ციხე-ციტადელი, „გალავანი ქალაქისა“.

5. აჭარის მოსახლეობის მამაცობისა და შეუპოვარი წინააღმდეგობის წყალობით XVIII ს-ში „ბათუმი და მთელი სამუსლიმანო საქართველო ოსმალთაგან იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი“ (ზ. ჭიჭინაძე, 1918:11).

6. 1610-1611 წლებში ოსმალებს მოუხდენიათ ბათუმის ლივას აღწერა. შესაბამისად შეუდგენიათ 1610-1611 წლების ბათუმის ლივას აღწერის დავთარი (ნ. შენგელია, 1974:174).

7. ოსმალური წყაროს მიხედვით, ლაშქრობაში ჩართული იყო საზღვაო ფლოტი. „შავი ზღვის მხარეში გონიოსა და ბათუმის რაიონებში დაცვის სამსახურის პირობით გამოიგზავნა 5 სამხედრო გემისაგან შემდგარი ფლოტი “ (ნ. შენგელია, 1987:200).

8. ესედი ყურუში – ოსმალური მონეტის ერთ-ერთი სახეობა. შეადგენდა 70 ახჩას. ახჩა – ოსმალური წვრილი ვერცხლის ფული.

9. ვ. ბატონიშვილის ცნობას არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ, ასევე, ლუკა ისარლიშვილი (Исарлов Л., 1899:251); ვლადიმერ ლისოვსკი (Лисовский В., 1886:30); ჟან მურიე (ჟ. მურიე, 1962:32). ამიტომ ისინი ოსმალებს მიიჩნევდნენ ბათუმის ციხის ამგებლებად.

10. ოსმალთა ბატონობის პერიოდში ქალაქის გალავანმა დაკარგა ფუნქცია და დროთა ვითარებაში დაინგრა. ძვ. ბათუმის მოსახლეობა დიდად შემცირდა. ვინც დარჩა დასახლდნენ ციხის ტერიტორიაზე.

11. რაც შეეხება ქ. ჩხატარაიშვილის მიერ ბათუმის ყურეში მითითებულ სიმაგრეს, რომელსაც, – როგორც თავად მიუთითებს, საფუძველი 1703 წ. ჩაეყარა (ქ. ჩხატარაიშვილი, 1976:273). უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება როგორც ოსმალური თუ სხვა წერილობითი წყაროებით, ასევე საკითხთან დაკავშირებით მატერიალური და არქეოლოგიური მონაცემებით. ღვაწლმოსილი მეცნიერის მიერ ბათუმის ყურეში მინიშნებული სასამაგრო ნაგებობა ოსმალებმა აააგეს XIX ს-ის მეორე ნახევარში.

12. ციხის უფროსად დანიშვნამდე მეჰმედს ეკავა გარნიზონში მუსთაფაზების რაზმის მეთაურის თანამდებობა. გასათვალისწინებელია, რომ მუსთაფაზები იყვნენ თიმარის კატეგორიის მიწის მფლობელი მეომრები, ძირითადად ადგილობრივი გამუსლიმანებული მაღალი წრის წარმომადგენლები, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მეჰმედი ყოფილა ადგილობრივი წარმოშობის.

13. XIX ს-ის დამდეგის უცხოურ წყაროებში შერვაშიძეები მოიხსენიებიან ბათუმის კომენდანტებად (ჟ. ფ. გამბა, 1993:263; რ. უზუნაძე, 2001:70).

14. სახელწოდება ოსმალურია და ნიშნავს გამოქვაბულს. მისი ქართული სახელწოდებაა „ორჯოხი“ (მიეკუთვნება ზანურ ტოპონიმთა რიგს).

15. ოსმალური წესით გვარი არ იწერებოდა. იხსენიებოდნენ სახელით და მამის სახელით. ამიტომ უცნობი რჩება საკვლევ ციხესა და რეგიონთან დაკავშირებით ოსმალურ წყაროებში მოხსენიებული ქართული წარმოშობის პირთა გვარები.

16. საბა ომერის მამა ალი ყოფილა სერდენგჩის (ოსმალთა ლაშქრის ერთ-ერთი კატეგორია) რაზმის მეთაური (აღა). მათ თავზეხელაღებულთ უწოდებდნენ. ალი წყაროში მოხსენიებულია „უსამართლო კაცის“ სახელით (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:89,281).

17. აზაბები ძირითადად თავმოყრილი იყვნენ ოსმალთა მიერ დაპყრობილ ამა თუ იმ ციხე-სიმაგრეში, განსაკუთრებით ზღვისპირა ადგილებში (ნ. შენგელია, 1987:255).

18. გედიქები ხდებოდნენ წარჩინებული მაღალი თანამდებობის პირები. მათ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდათ თიმარები.

19. აჰმედ ბეგი იყო ადგილობრივი წარჩინებული.

20. ქისა – ფულის საზომი ერთეული. ერთი ქისა უდრიდა 400 ათას ახჩას

21. აჭარაში, განსაკუთრებით ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე, ფიქსირდება გვარები, რომელთა წინაპრები იყვნენ მედროშეები. ოსმალობის დროს მათი შთამომავლები იწოდებოდნენ ბაირაქტაროღლებად, ბეირაქტაროღლებად (ხ. ახვლედიანი, 1944:242-243; რ. უზუნაძე, 2011:46).

22. უნდა იყოს, რომ მუსა-ბეგი უმეტეს დროს თავის საცხოვრებელ ადგილზე, ოჯახში ატარებდა.

23. XIX ს-ის 30-იან წლების შუა ხანებამდე, ბეჟანიძეები თავიანთ გავლენას ინარჩუნებდნენ ასევე, ახლად გადმონაცვლებულ, თანამედროვე ბათუმ-ქალაქის ტერიტორიაზე (მ. კასაბი, 2014:45)

24. ამ უკანასკნელის დანიშვნის შესახებ სულთნის კარზე არზა წარუდგენია ფოთის ციხის უფროსს, ვეზირ მირზა მეჰმედ ფაშას (ნ. შენგელია, 1987:98).

25. იბრაჰიმი უნდა ყოფილიყო ბათუმის გონიოს სანჯაყის მაცხოვრებელი.

26. ერთი ოყა = 1283 გრ.

27. ერთი ქილა = დაახლ. 25 კგ.

28. ყანთარი – წონის ერთეული, დაახლ. 56,4 კგ.

29. თოფი – ქსოვილის საზომი ერთეული. უდრიდა 8-10 მ.

30. იგი ფიქსირდება 1712 წ. ოსმალურ დოკუმენტებში (ქ. ჩხატარაიშვილი, 1976:272). 1715 წ. ცნობით, სანჯაყბეგ აჰმედის წლიური გასამრჯელო შეადგენდა დაახლ. 190 ათას ახჩას (ო. თურმანიძე, 2001:44).

31. მუსტაფა ოსმალურ წყაროში მოხსენიებულია ფაშას ტიტულით (XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:96, 137). 1723 წლის ცნობით, სანჯაყბეგის თანამდებობაზე, მისი წლიური გასამრჯელო შეადგენდა 3,200 ათას ახჩას (ო. თურმანიძე, 2001:38). მუსტაფა ფაშა საინტერესო პიროვნება ჩანს. ეკავა ქართული ორიენტაცია. მხარი დაუჭირა ზემოხსენებულ მუსა ბეგის კანდიდატურას, რათა ჯეგბეჯიების და სანაპირო დაცვის (იერლუიანები) აღად დანიშულიყო წარმოშობით ადგილობრივი ქართველი.

32. საკვლევი პერიოდის ბათუმის მხარეში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ინარჩუნებდა ქრისტიანობას. სარგებლობის წესით ქრისტიან ქართველებზე გაცემულ მიწის ნაკვეთებს ოსმალები ბაშთინებს უწოდებდნენ. როგორც გამოკვლეულია „ბაშთინებით იყო მოფენილი მთელი ბათუმის სანჯაყი“ (ნ. შენგელია, 2009:243). ეკისრებოდათ სხვადასხვა მძიმე გადასახადის გადახდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ხ. ახვლედიანი,1944. – ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16 – მე-19 ს.ს.-ები), ბათუმი 1944.

2. Акты, 1868. – Акты (собранные Кавказской археографической комиссией), т. 2, Тифлис, 1868.

3. დ. ბაქრაძე, 1987. – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი,1987.

4. Берадзе Т., – 1989. – Берадзе Т., Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.

5. ი. ბექირიშვილი,1991. – ბექირიშვილი ი., როდის დაიპყრეს ოსმალებმა აჭარა? – ჟურნ. „ჭოროხი, ბათ. 1991. №3.

6. ი. ბექირიშვილი,1996. – ბექირიშვილი ი., აჭარის ისტორია გვარსახელებში, ბათუმი, 1996.

7. ო. თურმანიძე, 2001. – თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში, ბათუმი, 2001.

8. ნ. ინაიშვილი, 2009. – ინაიშვილი ნ., ბათუმი ადრე ბიზანტიურ ხანაში. – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა) I, ბათუმი, 2009.

9. Исарлов Л., 1899. – Исарлов Л., Письма о Грузии, Тифлис,1899.

10. ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989 – კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი

ისტორიისათვის (წინა ანტიკური და ანტიკური ხანა). – სდსძ.., XVIII, თბ., 1989.

11. კ. კვაშილავა, 2015. – კვაშილავა კ., ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ. – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა) VI, ბათუმი, 2015.

12. მ. კასაბი, 2014. – კასაბი მ., XIX საუკუნეში ბათუმის ცენტრში რეკონსტრუქციული საქმიანობა და მოსახლეობა. ბათუმი, (წარსული და თანამედროვეობა), 2014.

13. დ. კომახიძე, 1977. – კომახიძე დ., ბათუმი გუშინ, დღეს და ხვალ, ბათუმი, 1977.

14. Леквинадзе В.А.1973. – Леквинадзе В.А. О постройках Юстиниана в западной Грузии. Византийский временник, 34,1973.

15. Лисовский В, 1886. – Лисовский В, Чорохский край, Тифлис, 1886.

16. ე. მამისთვალიშვილი, 1980. – მამისთვალიშვილი ე., საქართველი ჰანს შელტბერგერის „მოგზაურობის წიგნში“. – მაცნე (ისტორიის სერია), თბ., 1980, №2.

17. შ. მესხია, 1983. – მესხია შ., ქალაქები და საქალაქო წესწყობილება საქართველოში XVIII ს-ის დასასრულამდე. საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983.

18. XVI-XVIII ს.ს. ოდწ., – XVI-XVIII ს.ს. ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, ლექსიკონით და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, წ. I, თბ., 1987.

19. ჟ. მურიე 1962. – მურიე ჟან., ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962.

20. ოსმალური დოკუმეტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხების შესახებ (XVII-XVIII ს.ს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმნით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1982.

21. Полиевктов М., 1935. – Полиевктов М., Европейские путешественники XIII-XVIII в.в. по Кавказу, Тифлис, 1935.

22. სცსსა, ფ.231, ანაწ.I, ს.29, ფურც.7.

23. რ. სურმანიძე, 2007. სურმანიძე რ., თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წ., ბათუმი, 2007.

24. რ. სურმანიძე, – სურმანიძე რ., ყადირ შერვაშიძე, ბათუმი, 1998.

25. ი. სიხარულიძე, 1962. – სიხარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962.

26. ო. სოსელია, 1973. – სოსელია ო., ნარკვევი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ., 1973.

27. რ. უზუნაძე, 1997. – უზუნაძე რ., ბათუმის ისტორიიდან (XIX ს-ის დამდეგი – 70-იანი წლები), ბათუმი, 1997.

28. რ. უზუნაძე, 2001. – უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში. ბათუმი, 2001.

29. უზუნაძე რ.,სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბ., 2013.

30. ლ. ურუშაძე, 1982. – ურუშაძე ლ., ბათუმში ოსმალთა ბატონობის ისტორიისათვის. ჟურნ. „ჭოროხი“, 1982, №2

31. ვ. ბატონიშვილი, 1973. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ.1973.

32. ზ. შაშიკაძე, 2009. – შაშიკაძე ზ., ბათუმი XVI ს-ის მეორე ნახევარში. – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათუმი, 2009.

33. ნ. შენგელია, 1974. – შენგელია ნ., XV-XVIII ს.ს. საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

34. ნ. შენგელია, 2009. – შენგელია ნ., სამცხე-საათაბაგოს და აჭარის მიტაცება ოსმალეთის მიერ. – სდსინ (აჭარა), II ბათუმი, 2009.

35. ნ. შენგელია, 2009. – შენგელია ნ., ოსმალური მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში XVI-XVIII ს.ს-ში. სდსინ (აჭარა), II ბათუმი, 2009.

36. ე. ჩელები – 1973. – ჩელები ე., მოგზაურობის წიგნი (თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ), II, თბ., 1973.

37. ქ. ჩხატარაიშვილი, 1973. – ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს-ის პირველ ნახევარში. სინ, IV, თბ., 1973.

38. ქ. ჩხატარაიშვილი, 1972. – ჩხატარაიშვილი ქ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის პირველ მეოთხედში. – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972.

39. ქ. ჩხატარაიშვილი 1976. – ჩხატარაიშვილი ქ. საყურადღებო დოკუმენტი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიისათვის. კრ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

40. ივ. ჯავახიშვილი, 1982. – ჯავახიშვილი ივ., თხზ., ტ. III, თბ. 1982.

41. დ. ხახუტაიშვილი, 1997. – ხახუტაიშვილი დ., ბათუმის ციხე. – საქართველოს ენციკლოპედია, I, თბ., 1997.

42. ნ. ჯაველიძე, 1985. – ჯაველიძე ნ., ოსმალო ისტორიკოსი ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა დასავლეთ საქართველოს შესახებ. – თსუ შრომები (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია), ტ. 250, თბ., 1985.

43. ვ. ჯაოშვილი, ი. სიხარულიძე, ა. სურგულაძე, 2009 – ჯაოშვილი ვ, სიხარულიძე ი, სურგულაძე ა, ბათუმი, – საქართველოს ენციკლოპედია, თბ., 2009.

მიხეილ მახარაძე

ფრაგმენტები ქართულ ფილოსოფიაზე და ქართველ ფილოსოფოსთა ცხოვრებიდან*

ნუცუბიძიანა

აკად. შალვა ნუცუბიძე (1888-1969) გამოჩენილი მეცნიერი და მრავალმხრივი მოღვაწე იყო: ფილოსოფოსი, ლიტერატორი, მთარგმნელი და პოლიტიკოსი. ამავე დროს ის ცნობილი იყო იუმორით, მახვილგონივრულობითა და ენამოსწრებულობით. არცთუ იშვიათად ასეთ პერსონებს მიაწერენ ისეთ რამეებს, რასაც არაფერი ჰქონია საერთო სინამდვილესთან. მსგავს ვითარებებთან შეიძლება გვქონდეს საქმე ნუცუბიძის მიმართაც. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ეს „მიწერები“ რაღაცნაირად მაინც არის კავშირში მიწერის ობიექტთან. თუ მიაწერენ – მიაწერენ ისეთ რამეს, რაც მას არ უთქვამს, მაგრამ თავისუფლად შეეძლო ეთქვა.

ჩემს „ნუცუბიძიანაში“ ერთი გამონაკლისის გარდა, ან მომისმენია ან წამიკითხავს, თუმცა ასე ერთად მთლიანობაში არც არსად წამიკითხავს და არც მომისმენია.

* * *

შალვა ნუცუბიძე მკაცრი და დაუნდობელი იყო პოლემიკაში. ერთ, მორიგ დისკუსიაზე პასუხების გაცემისას მას ახალგაზრდა ოპონენტი იმ ყვინჩილასთვის შეუდარებია, რომელიც ყივილს ახლად იწყებს და შუა გზაზე ეკარგება ხმა.

ერთი მოპაექრის გამოსვლა კი ნუცუბიძეს სულაც უმწიფარი სიმინდის დაფქვით „გაწვალებული“ დოლაბისთვის შეუდარებია.

* * *

გენიალურ ნუცუბიძეს, ჩემი აზრით, ერთი ასეთი ნაკლი ჰქონდა: ის ზოგჯერ წარსულის მოაზროვნეებს თავისი პოზიციიდან „ალაპარაკებდა“, რასაც ხშირად დიდი ეფექტი ჰქონდა, მაგრამ ჭეშმარიტების პოზიციიდან, ვერ იყო მთლად გამართლებული.

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 4, 5, 2017 წ.

* * *

აკად. **შალვა ხიდაშელის** ნაამბობი: რუსთაველის გამზირზე ნუცუბიძესთან ერთად მივსეირნობდი. მოულოდნელად ბატონმა შალვამ (ნუცუბიძემ) მისთვის არადამახასიათებელი ჟესტი გაიკეთა, შლიაპა მოიხადა და გამზირის მეორე მხარეს ჩემთვის უცნობ პიროვნებას თავი დაუხარა რამდენიმეჯერ, რასაც უცნობისგან მსგავსი რეაქცია მოჰყოლია. ხიდაშელს გაკვირებია ნუცუბიძის ასეთი ჟესტი, მით უმეტეს, რომ დიდი ფილოსოფოსი საკმაოდ თავაწეული პერსონა იყო და რევერანსებს ასე ჰაიჰარად არ არიგებდა.

ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ხიდაშელს უკითხავს ნუცუბიძისთვის – ვინ იყო ის კაცი, ასე მოწიწებით რომ მიესალმეო.

„– ოო, ეს უწესიერესი კაცია, საქართველოს მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე. როცა მე ყველაფრიდან გამრიცხეს ან გამაგდეს, ეს იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც წევრობა არ შემიჩერაო“.

P.S. ეს ისტორია, ოღონდ სხვადასხვა აქცენტებით, სხვებისგანაც მომისმენია.

* * *

პროფესორ **სერგი ავალიანის** ნაამბობი: ზემელზე შალვა ნუცუბიძე და ცნობილი ფსიქოლოგი ვასო ფრანგიშვილი მისეირნობენ. ორივენი საშუალო სიმაღლისანი არიან, ზომაზე მეტად სრულები, უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ღიპიანები. შეხვდებათ ცნობილი პროფესორი სერგი დანელია, რომელიც მათგან განსხვავებით მაღალიც არის და გამხდარიც, მოკლედ ანტიკური ფილოსოფიის უბადლო მცოდნე, როგორც აჭარაში იტყვიან, „ანტიკასავით“ გამოიყურება.

ნუცუბიძე და დანელია ერთმანეთთან უბრად არიან და ამიტომაც მისალმებისა და ზრდილობის გულისთვის ურთიერთმოკითხვის შემდეგ, თავთავიანთ გზას აგრძელებენ სხვადასხვა მიმართულებით. ნუცუბიძე ფრანგიშვილს გადაულაპარაკებს: „ეს მამა... ნამდვილი მენშევიკია, თორემ ასე რამ გაახდუნა ამ საამურ ყოფაშიო“. ამ სიტყვებით ნუცუბიძემ დანელიაც გააქილიკა და საბჭოთა წყობაც.

* * *

პროფესორმა სერგი ავალიანმა გამოაქვეყნა ასეთი შემთხვევის შესახებ: ერთხელ ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტებთან მისულა სერგი დანელია და ჩართულა საუბარში. ცნობილმა მეცნიერმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სამტრედია და სამტრედიელები, აქ თავმოყრილია გურიისა და გურულების, იმერეთისა და იმერლების, სამეგრელოსა და მეგრელების ყველა უარყოფითი თვისებებიო. მორჩა თუ არა ლაპარაკს, სწრაფად გაშორდა ახალგაზრდებს. თუმცა, შორიახლოს შეჩერდა და უკან მოტრიალებულმა მიაძახა: „სხვათა შორის, ნუცუბიძე სამტრედიელიაო“.

არადა, სოფელი ფარცხანაყანები, სადაც დაიბადა შალვა ნუცუბიძე, ეკუთვნის წყალტუბოს რაიონს.

* * *

რომან შენგელიას ნაამბობი: გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში ფილოსოფიის ინსტიტუტში სკანდალი აგორებულა. ერთი თანამშრომელი მეორეს შრომის მოპარვას აბრალებდა. საქმე იქამდე მისულა, რომ ორივე თანამშრომელი ინსტიტუტიდან დაუთხოვიათ.

კრებაზე, სადაც ამ თანამშრომელთა საკითხი იხილებოდა, ყველა გამომსვლელი ამტყუნებდა მოჩივანს, რომელმაც ინსტიტუტი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ამ დროს სიტყვა ითხოვა შალვა ნუცუბიძემ. მან თანამშრომელთა აზრის საწინააღმდეგოდ მიმართა იმას, ვისაც უჩიოდნენ:

„– ეს კაცი მართალია, რომ გიჩივის. მას ბოსტანში ერთი კინკილა პრასი ერგო და ისიც ფესვებიანად ამოუთხარე, გიჩივლებდა, აბა, რას იზამდა? მოსულიყავი ჩემთან აბიბინებულ მდელოზე, გებალახა რამდენიც გინდოდა, დაეტყობოდა რამე თუ ვინმე პასუხს მოგთხოვდა ამისთვის“.

ასე დაუსვია წერტილი ნუცუბიძეს ამ არასერიოზული პაექრობისთვის.

* * *

ნუცუბიძე ტრიბუნასთანაა, მოხსენებას აკეთებს და თავის სტიქიაშია. მოხსენების თემა რუსთაველის შემოქმედებაა. მეტი სიზუსტისთვის „ვეფხისტყაოსანი“ უდევს წინ და საჭირო სტროფებს უშუალოდ წიგნიდან იმოწმებს. ერთ მომენტში რომელიღაც სასურველ სტროფს ვერ მიაგნო. წიგნი დახურა და ზეპირად ზუსტად წარმოთქვა დასამოწმებელი სტროფი. მორჩა თუ არა სტროფის წარმოთქმას, მისთვის დამახასიათებელი მზერა მიაპყრო ზევით, საჩვენებელი თითი მარჯვენა საფეთქელზე მიიდო და დასძინა:

„სადა მქონია და სად ვეძებ!“, – ხელი ჩამოუშვა და ახლა საჩვენებელი თითი წიგნისკენ გაიშვირა.

* * *

შალვა ხიდაშელი, როგორც კი სიტუაცია შეიქმნებოდა, იტყოდა ხოლმე: „დისკუსიების დროს ნუცუბიძე მდარე აზრებით იწყებდა. პირველი დებულება, მეორე, მესამე... აუდიტორიას ირონია ემატება გამომსვლელის აზრებზე და აი მეათეს, მეთორმეტეს, თუ სულაც მეთხუთმეტეს ისეთს იტყოდა, რომ მისი ადგილიდან ძვრა გამორიცხული იყო. ეს კი თავის მხრივ მოპაექრეებს კამათის ხალისს უკარგავდა“.

* * *

სხვათა შორის, როცა ერთ-ერთ გერმანულ გამოცემაში ნუცუბიძე რუს ფილოსოფოსად მოიხსენიეს, მან გააპროტესტა ეს ფაქტი და შემდეგ გამოცემაში ეს შეცდომა გაასწორეს. რაც მთავარია – ნუცუბიძე მუდამ ამაყად აცხადებდა იმის თაობაზე, რომ გერმანელებს ახალ გამოცემაში მის შესახებ შავით თეთრზე უწერიათ: „გებორენ ინ ფარცხანაყანევი“ (დაიბადა ფარცხანაყანევში).

* * *

ერთი ცნობილი ფილოსოფოსისგან მომისმენია: რომელიღაც წიგნის განხილვა ცხარე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობს. სიტყვა ნუცუბიძეს უთხოვია და ტრიბუნასთან მისულა. ვიდრე ნუცუბიძე დაიწყებდა, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილს ჩაულაპარაკებია: – „მკლავებს დავიჭრი, თუ ეს წიგნი ბატონ შალვას წაკითხული ჰქონდეს. აქ მოსმენილით გამოდის და ეჭვიც არ მეპარება მისი გამოსვლა საუკეთესო იქნებაო“.

* * *

ერთხელ ფილოსოფიის ინსტიტუტში მოსულ ნუცუბიძეს, ისე რომ არც მისალმებია დამხვდურთ, 20-25 სანტიმეტრზე აუწევია მარჯვენა ფეხი და ირონიულად უთქვამს, ამას და ამას ამ სისქის წიგნი დაუწერიაო. თანაც აწეული ფეხისკენ ჰქონია მზერა მიპყრობილი.

ნუცუბიძის ნახსენები პიროვნება გამოირჩეოდა სქელტანიანი წიგნების ინტენსიური ბეჭდვით. ამ წიგნების ამაზე უკეთესი შეფასება წარმოუდგენელია.

* * *

ვაჟა გოგობერიშვილისა და **ღვთისო გოგოჭურის** ნაამბობი: საბჭოთა წყობილების საწყისი ხანაა, გაჭედილია დარბაზი, სიტყვით გამოდის ნუცუბიძე და თავისი ორატორული ხელოვნების დემონსტრირებას ახდენს. ყვება ამ მთისა და იმ მთის, რევოლუციის პერიოდზე პეტროგრადში, როცა სმოლნში მას ლენინმა ნევის მეორე მხრიდან ჰკითხა, თუ როგორ იყო ქართველი ბოლშევიკების საქმე საქართველოში და ა.შ. მოულოდნელად დარბაზიდან რუსულად გაისმა ხმა: – რატომ არაფერს ამბობს ორატორი რევოლუციაში სომეხი რევოლუციონერების დამსახურებაზე.

კითხვა მოულოდნელი იყო, ნუცუბიძე, თითქოსდა, დაიბნა, დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა. თუმცა, ორატორი მალევე მოეგო გონს, აპრეხილი წარბი დაუშვა, დარბაზს თვალი მოავლო, ხელი გაიშვირა გამოკვეთილად არაქართული წარმომავლობის ერთ-ერთი დამსწრისკენ, რომელსაც ყველა მონაცემით არაფერი ჰქონდა საერთო კითხვასთან და მისთვის დამახასიათებელი პათოსით დაიწყო.

ნუცუბიძემ ჯერ „მოპასუხის“ კითხვა გაიმეორა და შემდეგ გამარჯვებულის იერით დასძინა: „დო ეტოგო, ია დუმალ, ჩტო – რუსსკაია რევოლუცია ბოლე ბლაგოროდნოგო პროისხოჟდენია!“.

* * *

ნუცუბიძე გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯას სასწაულებრივ გადაურჩა. იმასაც ამბობენ, რომ იგი სიკვდილს „ვეფხისტყაოსანმა“ გადაარჩინაო. დაპატიმრებამდე ნუცუბიძეს დაწყებული ჰქონდა პოემის თარგმნა რუსულ ენაზე. სტალინს ეს ამბავი რომ გაუგია, შეხვედრია მას და ციხიდან შინაპატიმრობაში გადაუყვანია, სამუშაო პირობებიც შეუქმნიათ. სტალინს ერთი სტროფი უთაგმნია პოემიდან რუსულად, რომელიც შესულია კიდეც ნუცუბიძისეულ თარგმანში.

ყველაფრის მიუხედავად, დამთავრდა თუ არა მეორე მსოფლიო ომი, გარკვეული დროის შემდეგ, საბჭოეთში რეპრესიებიის ახალი ტალღა აგორდა. ნუცუბიძეც ვერ ასცდა რეპრესიებს (ამ დროს სტალინი აღარ იყო ცოცხალი). ჩამოართვეს აკადემიკოსობა და პროფესორობა, აუკრძალეს ლექციების კითხვა. ნუცუბიძე დღედღეზე ელოდებოდა დაპატიმრებას, თუმცა, იუმორი არც ამ მძიმე წუთებში ტოვებდა მას.

როგორც თვითმხილველნი იხსენებენ, ამ კრიტიკულ ჟამს ნუცუბიძე შუბლზე მიიდებდა საჩვენებელ თითს და იტყოდა თურმე: „მე სულაც არ მეშინია, ამ შუბლს ტყვია ვერ შეეხება, მასზე ხომ ბელადს უკოცნია!“...

* * *

ერთ-ერთ პიროვნებას, ვისთვისაც ნუცუბიძეს სიკეთე ჰქონია გაკეთებული, დიდი მოაზროვნე საჯაროდ აუგად მოუხსენებია. როცა ამის თაობაზე ნუცუბიძეს უამბეს, ის ამ ფაქტს ჯერ მშვიდად შეხვედრია, თუმცა ცოტა მოგვიანებით ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „ია ბოგ ნასტაიშჩიი, იზ გრიაზა სდელალ ჩელოვეკა! ა ონ... (მე ნადვილი ღმერთი ვარ, ტალახიდან ადამიანი შევქმენი! მაგრამ მან...)“.

* * *

ნუცუბიძე მოხსენებას კითხულობს. თემა მწვავეა. ერთ სადავო საკითხთან მიმართებაში მან დარბაზში მყოფი ცნობილი მეცნიერის კორნელი კეკელიძის მისამართით აღნიშნა: „ეს რომ ასეა ამას თვით ბატონი კორნელიც დამიდასტურებსო“. თანაც კეკელიძე დადებითი ეპითეტებით შეამკო.

ამან არ გაჭრა და კეკელიძე ჩაერთო – სამწუხაროდ, ვერ დაგიდასტურებო. ნუცუბიძემ ამ გამოწვევას ასე უპასუხა:

„შენ ღმერთს უღალატე და ამასთან ჩემთვის ღალატი რა მოსატანია!“ რა თქმა უნდა, აქ „ღალატზე“ აქცენტირება პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნას გაგებული და უფრო ნუცუბიძის ენამოსწრებულობასთან გვაქვს საქმე, რითაც მისთვის უხერხული სიტუაცია განმუხტა.

აქ ნუცუბიძეს მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ კორნელი კეკელიძე ადრე მღვდელი იყო, შემდეგ ანაფორა გაიხადა და მეცნიერების სამსახურში ჩადგა. ისიც უნდა ითქვას, რომ დიდ ფილოლოგს კომუნისტებმა შვილი დაუხვრიტეს და მას შემდეგ ის ერთობ ფრთხილობდა.

* * *

ერთხელ შალვა ხიდაშელმა მიამბო, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტში გვესტუმრა სამწერლო არენაზე დიდი პერსპექტივით გამოჩენილი ახალგაზრდა პოეტი ანა კალანდაძეო. ბატონმ შალვა (ხიდაშელი) პოეტს იცნობდა და ამიტომაც მისთვის უთხოვია ნუცუბიძესთან შეხვედრის ორგანიზება. ბედზე იმ დროს ნუცუბიძეც ინსტიტუტში ყოფილა და, როცა გაუგია ანა კალანდაძის სურვილი, უკითხავს სად არის, ახლავე შევხდებიო.

წინა დღით რომელიღაც გაზეთში ანა კალანდაძის ახალი, მრავალ სტროფიანი ლექსი გამოქვეყნებულა. კარებში გამოჩენილა თუ არა პოეტი, ნუცუბიძე ფეხზე წამომდგარა, ეს ვრცელი ლექსი ზეპირად უთქვამს და შემდეგ გაცნობია სტუმარს.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში ისიც მომისმენია, რომ ნუცუბიძეს რუსთაველზე გაზეთის კიოსკთან წაუკითხავს რომელიღაც რუსი პოეტის ვრცელი ლექსი, მოსწონებია და ინსტიტუტში მოსულს თანამშრომელთა ერთი ჯგუფისთვის ზეპირად მოუყოლია.

* * *

ნუცუბიძეს შეხვედრია მასთან შედარებით ახალგაზრდა მეცნიერი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ მკვეთრად აკრიტიკებდა მის პოზიციას და უთქვამს, ამიერიდან თქვენი დამცველი ვიქნებიო.

„მაი შენდა იქნება კარგიო“, – დაუმშვიდებია ნუცუბიძეს.

ეს ამბავი მომიყვა ლოგიკოსმა და მრავალმხრივ განათლებულმა უფროსმა კოლეგამ კოტე სანაიამ.

* * *

ნუცუბიძესთან სტუმრად მისული ერთი ახლობელი ასეთი სცენის მოწმე გამხდარა: დიდ ტაფაზე მთლიანად ერთი კატლეტი იწვება. გაკვირვებულ სტუმარს მასპინძელმა აუხსნა, რომ ბატონ შალვას ძალიან უყვარს კატლეტი. მაგრამ მკურნალ ექიმს კატეგორიულად მოუთხოვია მისთვის დიეტის დაცვა და დღეში მხოლოდ ერთი ცალი კატლეტის მირთმევის ნება მიუცია. ამ გზით ნუცუბიძე ექიმის დანიშნულებასაც ასრულებდა და არც თავს აზარალებდა.

* * *

ფილოლოგი, პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე ასეთ რამეს მომიყვა ნუცუბიძეზე. „იმელის“ შენობაში ნუცუბიძის მოხსენების შემდეგ მწვავე დისკუსია გაიმართა. ნუცუბიძის კრიტიკა მოდაშია, მაგრამ არც ნუცუბიძე რჩება ვალში, ყველას სათანადოდ პასუხობს ერთის გარდა. ეს ერთი მან იმ

ყვინჩილას შეადარა, რომელიც ყივილს ახლა სწავლობს და ხმა ყივილის დასაწისშივე ეხშობა. ამით მორჩა კიდეც სათქმელს.

* * *

ნიკო კეცხოველი, როგორც ამბობენ, უნივერსიტეტის გამორჩეული რექტორი იყო. უყვარდა დისციპლინა, ზრუნავდა თანამშრომლებზე. როცა ცნობილ ფილოსოფოს კოტე ბაქრაძეს საფრთხე დაემუქრა, თბილისს განარიდა.

კეცხოველი მკაცრი იყო ლექციების გამცდენ თუ დაგვიანებული ლექტორების მიმართ. ერთხელაც, შესამოწმებლად გამოსულ რექტორს რომ გადაეყარა, დაგვიანებულმა ნუცუბიძემ კეცხოველს ასე მიმართა: „ნიკო, რას დამდევ ამ ჩემ დაარსებულ უნივერსიტეტშიო“.

* * *

დაგვიანებულ სტუდენტს კარებში თავი შემოუყვია და ლექტორ ნუცუბიძისთვის აუდიტორიაში შესვლის ნებართვა უთხოვია.

„შენი სხეულის ძირითადი ნაწილი უკვე აუდიტორიაშია და დანარჩენს რა მნიშვნელობა აქვსო“ და ლექცია გაუგრძელებია პროფესორს.

* * *

სხვადასხვა პირისგან ისიც გამიგონია, თუ რა უპასუხა ერთ ცნობილ პიროვნებას ნუცუბიძემ კითხვაზე – თუ რა მოსწონდა ყველაზე მეტად მისი შემოქმედებიდან.

„– თქვენი ქალიშვილიო!“

* * *

ასეთი ამბავიც გამიგონია ნუცუბიძეზე, რაც უფრო მითი მგონია. სახლში გვიან მისულ ნუცუბიძეს, როცა შარვალი გაუხდია, ქალის ტრუსი ემოსა. ამას ხედავს მეუღლე. ნუცუბიძე რის ნუცუბიძეა, რომ დაიბნეს და მეუღლეს მიმართავს: „– ქეთო, ჭკვიანი ქალი ხარ შენ და მოიფიქრე რამე, თორემ დაგვენგრა ოჯახი“.

არის ნუცუბიძის რეაქციის მეორე ვარიანტი: „ხო, ხო, რა დღეში იქნება ის ქალი ახლა, ჩემი ტრუსით მეუღლის წინაშე“. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს შეთხზული ამბავია, თუმცა მეორე ვარიანტი ნუცუბიძის იუმორში ჯდება თავისუფლად.

როგორც ერთი, ისე მეორე ვარიანტი ჩემი უფროსი კოლეგებისგან გავიგონე ფილოსოფიის ინსტიტუტში. პირველი ვოვა დეკანოზიშვილს ეკუთვნის, მეორე მის მეგობარს, დემურ ქერქაძეს.

სხვათა შორის, ამ ამბავს, და კიდევ სხვას, ისინი ერთმანეთს ხშირად უყვებოდნენ და ყოველ მოყოლაზე ისე უგდებდნენ ყურს ერთმანეთს, თითქოსდა, პირველად ისმენდნენ.

* * *

ასაკში შესულ ნუცუბიძეს ასეთი რამეც უთქვამს: „ახალგაზრდობაში ქალს რომ გავიცნობდი, გული მიფანცქალებდა, უარი არ მითხრასო. ახლაც ასეა... ვაითუ დამეთანხმოსო“.

* * *

უნივერსიტეტის საპროფესოროში შესვენებაზე ნუცუბიძე ყვება, რომ მოსკოვში ბალერინა გაიცნო და თავისთან დაპატიჟა. როცა საქმე საქმეზე მიდგა, რაღაც ისე ვერ აეწყო და კაცს თავი ეჭ-

რება. ვითარება ბალერინამ განმუხტა, ისე მოეფერა პარტნიორს, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

პროფესორები დიდი ყურადღებით ისმენდნენ ნუცუბიძის ნაამბობს. მათგან ერთ-ერთი, ცნობილი მეცნიერი სთხოვს ნუცუბიძეს, კიდევ ერთხელ გაიმეოროს ნათქვამი. ნუცუბიძემ, როგორც ეს ჩვეოდა, წარბი აპრიხა და ცოტა დაყოვნების შემდეგ უპასუხა: „– ბატონო... ამას (დაასახელა შემკითხველი პროფესორის მეუღლის სახელი) ვერ უშველის, ამისთვის ბალერინას ხელია საჭირო!“

* * *

ახლოვდებოდა ნუცუბიძის დაბადებიდან საიუბილეო 100 წლისთავი – 1988 წლის 14 დეკემბერი. მისდამი ყველა როდი იყო კეთილგანწყობილი, ზოგიერთი ქილიკობდა კიდეც. მე შალვა ხიდაშელთან ჩამოვყალიბდი და თავს ნუცუბიძის მემკვიდრეობის მომავალ გამგრძელებლად ვთლიდი.

იუბილეს მოახლოებასთან ერთად ვნერვულობდი, რადგანაც სათანადო ტანსაცმელი არ მქონდა. გულუბრყვილოდ განვიცდიდი, ასე პრეზიდიუმში როგორ დავმჯდარიყავი. თურმე სულ ტყუილად! ვის ახსოვხარ, ვის დაკარგვიხარ... სხვებთან, დამსახურებულ ადამიანებთან, ერთად, საიუბილეო საღამოს პრეზიდიუმში იყვნენ ისეთებიც ნუცუბიძის მოღვაწეობასთან არაფერი რომ ჰქონდათ საერთო, ზოგიერთი კი სულაც ქილიკობდა მასზე.

* * *

2009 წლის თებერვალში წყალტუბოში ტარდება ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის სტუმართა შორის არის ნამდვილი წყალტუბოელი ოტია იოსელიანი.

ბატონმა ოტიამ საინტერესო გამოსვლა დაამთავრა იმის ხაზგასმით, რომ სიცოცხლეში ნუცუბიძე სათანადოდ არ იყო დაფასებული ხელისუფლების მიერო.

ჩემს გამოსვლაში არ გავიზიარე ბატონი ოტიას წუხილი. ნუცუბიძე ხელისუფლებას აკრიტიკებდა და რატომ დააფასებდნენ. პირიქით, რომ დაეფასებინათ, მაშინ ნუცუბიძე აღარ იქნებოდა ასე ძვირფასი. სამაგიეროდ, ხალხმა დააფასა ის. როცა ნუცუბიძის სახელი ეწოდა ერთ-ერთ რიგით ქუჩას საბურთალოზე, ხალხმა ქუჩის მიმდებარე სამ ფერდობს – დიდ მასივებს, თვითონ უწოდა ნუცუბიძის ფერდობი და ახლა ის ცნობილია ნუცუბიძის პლატოების სახელით (სულ სამი).

იმ საღამოს ამ საკითხზე საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. თუმცა, ბანკეტზე, რომელსაც ბატონი ოტია თამადობდა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მან გაიზიარა ჩემი შენიშვნა, მაგრამ მთლიანობაში უკმაყოფილო იყო ამ შეპასუხებით.

* * *

როცა ნუცუბიძეს რომელიმე მეცნიერული ნაშრომი არ მოეწონებოდა, თურმე ასე შეაფასებდა წიგნს: „სულ წყალია!“

* * *

2004 წლის ზაფხულამდე, ვიდრე ბათუმში გადმოვიდოდი ჯერ – სამუშაოდ და შემდეგ – საცხოვრებლადაც, კითხვას – სად ცხოვრობთ, ასე ვპასუხობდი: ნუცუბიძის ფერდებზე. შემდეგ გაკვირვებულ შემკითხველს ასე ვუკონკრეტებდი ვითარებას: ერთი ფერდი ნუცუბიძის შემოქმედებაა, რომელსაც ვაგრძელებ, ხოლო მეორე ფერდი – ჩემი საცხოვრებელი ბინა ნუცუბიძის მეორე პლატოზე.



რამაზ სურმანიძე

„ზღვის ცის“ ქვეშ შობილი გენია

ძვირფასო მკითხველო! დასაწყისშივე გეტყვით, რომ ფრთიანი ფრაზა „ზღვის ცა“ პირველად თქვა სახელოვანმა და საამაყო მამულიშვილმა, დიდმა მეცნიერმა, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალურმა დირექტორმა, გენერალმა **ელგუჯა მეძმარიაშვილმა.** რატომ დავიწყე ჩემი წერილი სწორედ ამ ტერმინით? უბრალო მიზეზების გამო. ჯერ ერთი, თავის მშობლიურ ქალაქ ბათუმს და ზღვას იგი დიდი მადლიერებით იგონებს, მეორე თავის ბიოგრაფიულ მოგონებებს სათაურად შეურჩია „ზღვის ცა“ და მესამეც, იხსენებს: ბათუმის „ცა პირს რომ შეიკრავს, ასეთ დროს განმარტოებისა და წვიმაში სეირნობისას დიდი ოცნებები და ფიქრები გაგიტაცებს, ეს ის მოგონებებია, რომელიც პირვანდელი სახით შემომრჩა ბათუმიდან. ალბათ მაშინ გამოიკვეთა მომავლის საფუძვლები თუ არა, კონტურები მაინც, რაც შემდგომ მთელი ცხოვრება გამყვა...“

ეს სიტყვები ნათქვამია საკმაოდ დიდი მოცულობის 404-გვერდიან წიგნში, რომელიც პირველიდან ბოლო სიტყვამდე ერთი ადამიანის, ელგუჯა მეძმარიაშვილის, კალამს ეკუთვნის, თუმცა იგი თავისი გვარის წინ წამოწევისგან თავს იკავებს ისე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, გენიალური აღმოჩენები და მათზე ხორცშესხმა იყო გასაიდუმლოებული და ანონიმური. რას ვიზამთ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, უთქვამთ და ავტორმაც თავისი წიგნი, „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი“ (თბილისი, 2016), სახელ-გვარის მითითების გარეშე წარმოგვიდგინა.

ასეთი იდუმალი ცხოვრების გამო იყო, რომ არ ვიცნობდით მას. ვერც კი წარმოგვედგინა, რომ 1999 წლის 23 ივლისს 19 საათსა და 30 წუთზე შინაური და გარეშე მტრებისგან იავარქმნილ ქვეყანაში, რომელიც სახელმწიფოდ ჯერ არ მომწიფებულიყო, ცაში აიჭრებოდა აპარატი, რომლის ანალოგი ქვეყნიერებას არ ახსოვდა და რომლის სულისჩამდგმელი ქართველი კაცი, ელგუჯა მეძმარიაშვილი, იქნებოდა.

არ ვიცნობდით-მეთქი ვთქვი და ამასთან დაკავშირებით ერთი ქარაფშუტა ჟურნალისტის ნათქვამი გამახსენდა. ბატონი ელგუჯა თავისი დიდი საკაცობრიო მნიშვნელობის წარმატების მიღწევისთანავე, სრულიად დამსახურებულად, საქართველოს პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატად აირჩიეს. ბუნებრივია, ხშირად სიტყვითაც გამოდიოდა, თანაც ყოველთვის მაღალპროფესიულად და გააზრებულად. იმ ჟურნალისტმა თურმე „აღმოაჩინა,“ რომ ელგუჯა მეძმარიაშვილის ერთი გამოსვლა არაპროფესიული იყო და ამ საცოდავმა ეს ტვინის (თუ უტვინობის) პროდუქტი გაზეთშიც გამოაქვეყ-

ნა მაშინ, როცა მისი სტატიის მთავარი გმირის მეცნიერული ნახელავი გარს უვლიდა და სერავდა დედამიწას.

ბუზის ნაკბენი რას უზამდა, მაგრამ შეწუხდა ელგუჯა, თუმცა გვერდით მჯდომმა დეპუტატმა, დიდმა პოეტმა, **ჯანსუღ ჩარკვიანმა** იგი შემდეგი სიტყვებით დაამშვიდა: „ბიჭო, რას ჯავრობ... ჩვენ ხომ ქართველები ვართ და არ ვიცით ქართველი კაცის დაფასება... შენ რომ სხვა ერის კაცი ყოფილიყავი, თუნდაც ჩვენი ძმების წარმომადგენელი – სომეხი, აი მაშინ გენახა, როგორ დაგაფასებდნენ და გატარებდნენ ხელის გულზე“. – თქვა პოეტმა და ლექსიც მოაყოლა:

ყველაფერი გულს ეთქმის,
უნდა გულს უყვარდე,
მე არ ვამბობ რუსს-მეთქი,
შენ რომ სომეხს ჰყავდე,
დედამიწას დაშლიდა
სიყვარულით დღეთა,
აგიყვანდა ცაში და
დაგტოვებდა ღმერთთან....

ცაში სხვისი ხელით აყვანისა რა მოგახსენოთ, ელგუჯა თავისი დაუღალავი შრომით, ნიჭით, ფიქრით და მიღებული შედეგით, თვითონ აიჭრა ცაში, ჩვენ კი ვალდებულნი ვართ, თუ ციურ აღმაფრენაზე არ ვიოცნებებთ, მიწიერად ვიამაყოთ ჩვენი სასახელო შვილით, მისი არნახული მეცნიერული მიღწევებით.

ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ ვისაუბრო ელგუჯა მეძმარიაშვილის დიდ შემოქმედებით წარმატებებზე. ჩემგვარი უბრალო მოკვდავისთვის ეს მეცნიერება და მისი საიდუმლოებები მიუწვდომელია, ამიტომ მე მისი ცხოვრების ბათუმურ პერიოდს შევეხები, რომელიც მას საოცარი სიყვარულით, სიღრმით, და კეთილშობილებით აქვს მოთხრობილი.

ელგუჯას მამა **ვიქტორ მეძმარიაშვილი** 1941 წლის 22 ივნისს მოხალისედ გამოცხადდა ბათუმის სამხედრო კომისარიატში, ჩაიცვა ოფიცრის ტანსაცმელი, ხოლო სამოქალაქო სამოსი ახალშერთულ მეუღლეს **ალექსანდრა**

ელგუჯა მეძმარიაშვილის მშობლები

გიორგაძეს სახლში სხვისი ხელით გაუგზავნა. ვიქტორმა დრო, 1945 წლის 9 მაისამდე ბრძოლებში გაატარა, გამარჯვება ბერლინში იზეიმა. საომარ მოქმედებებში იმდენად დიდად გამოიჩინა თავი, რომ იგი ბერლინის ერთ-ერთი რაიონის კომენდანტად დანიშნეს. როგორც ჩანს, კარგი პირობებიც შეუქმნეს, ამიტომ იგი ბათუმში საგანგებოდ ჩამოვიდა, რათა მეუღლეც გერმანიაში წაეყვანა, თუმცა ქალბატონმა ალექსანდრამ იმარჯვა და არა თუ გაყვა, ქმარიც აიძულა ბათუმში დარჩენილიყო.

ამის შემდეგ ერთი წელიც არ გასულა, 1946 წლის 17 აგვისტოს ელგუჯა რომ გაჩნდა. თანდაყოლილ ნიჭს უნდა მივაწეროთ, რომ მის ხსოვნას შემორჩა ისეთი მოვლენები, რომელთაც მასზე ორი-სამი წლით უფროსი პატარები თუ დაიმახსოვრებენ. ბავშვურ ხსოვნაში კი მე დავინახე დიდი დაკვირვების, გარემოებათა სწორი შეფასების, კაცთმოყვარეობის, ზოგჯერ კეთილი ბავშვური მიამიტობის მაგალითები, რომლითაც გარემოსილი იყვნენ მისი ოჯახის წევრები, მეგობრები, მოყვარე-ნათესავები და ახლობლები.

აბა მითხარით, ვის შეუძლია, თუ არა კაცთმოყვარეს, თავისი ცხოვრების მოგონება დაიწყოს ოჯახის უცვლელი მეკვლეთი, ამ შემთხვევაში **რიჩარდ ჯაშით**, რომელიც, ალბათ, არაერთხელ სწვევია ახალი წლის ღამეს და გაუხარებია პატარა ბავშვის გული. დაკვირვებულობას უნდა მივაწეროთ, აგრეთვე, კედელზე

ჩამოკიდებული ფერწერული ტილოთი მიღებული შთაბეჭდილებები (ჩამწკრივებული გემები, ზღვის და ცის ერთიანი სივრცე, მოწმენდილი ცისა და მშვიდი ზღვის შეგრძნება), რაც დღემდე გამოჰყვა.

რაოდენ დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი ბავშვობის მეგობრების – თამაზ გიორგაძის, ალეკო გვარიშვილის, მზევინარ ქიქავას, მანანა კოპლატაძის, ირაკლი შენგელიას, გენო ქაცარავას, დემურ თოფურიას, თამაზ თხილაიშვილის, ჯემალ აბაშიძის, დემურ ლიპარტიას, ლეილა მამალაძის და სხვათა გახსენებისას. მათი არ ვიცი, მაგრამ მე რატომღაც ვიგრძენი, რომ ელგუჯა თავისი საქმიანობის თავისებურებების გამო ერთხანს ჩამოშორდა მათ და ამით დიდ სინანულს გამოხატავს.

პატარა ბიჭს კიდევ უფრო ღრმად შთაებეჭდა უფროსი ძმის, ზურაბის, სურათი, რომელიც 1938 წელს ორი წლისა გარდაცვლილა.

შემდეგ ელგუჯას ბავშვური მეხსიერება გურიაში, იმერეთსა და ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში გადაინაცვლებს. ჯიხეთის მონასტერი, დედის დეიდა მონაზონი **მარიამი**, ნათლობა... ფიჩხის შესაგროვებლად წასული მარიამი, რომელსაც გოდორში პატარა მგზავრი ელგუჯა ჰყავდა, ეკლესიის ეზოში დიდ ხეზე ზარი, რომელსაც ხელში აყვანილს არეკინებდა და ა. შ.

ელგუჯას პირველი მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ქეთევან მიქელაძე

ბათუმის პირველი სკოლის პირველი კლასიდანვე ჩვენს გმირს განსაკუთრებით დაამახსოვრდა დამრიგებელი **ქეთევან მიქელაძე**; მისმა „სახემ, დიდსულოვნებამ და კეთილშობილებამ, ჩემში არამარტო კეთილი მოგონება, არამედ მუდმივად განახლებადი ემოციური მუხტი შემოიტანა და როდესაც ცხოვრების ასპარეზზე რაღაც წარმატებას ვაღწევ, კვლავაც და კვლავაც ქალბატონი ქეთი მიქელაძე მახსენდება, რათა მისგან ვირტუალური შეფასება მივიღო“ – იგონებს იგი (გვ. 32).

ისე, როგორც ბუნებაში არ არსებობს უმშობლო არსება, ასევე, ვერ წარმოვიდგენთ ადამიანს აღმზრდელი-პედაგოგის გარეშე. რაკი ასეა, ყველას გვახსოვს ჩვენი პირველი მასწავლებელი, ყველა ვიხსენებთ მისგან ბოძებულს, მაგრამ ელგუჯას შეფასება იმდენად შთამაგონებელია, რომ ის შეიძლება მაგალითადაც გამოგვადგეს, თუ როგორი მოკრძალებით და პატივისცემით უნდა ვიხსენებდეთ მეორე მშობელს. ასეთ სენტენციებს ქვემოთაც მრავლად შეხვდებით.

13 წლის ბიჭმა ბინა შეიცვალა და აწ უკვე ყმაწვილი ქვეყნიერებას ენგელსის (ახლა მელიქიშვილის) ქუჩის №23 სახლიდან აკვირდება. აქაც სამყაროში მისი საოცარი წვდომა, კიდევ უფრო ფართო თვალსაწიერი დავინახე. მარტო ის რად ღირს, რომ აკვირდება უზარმაზარ მაგნოლიას, რომელიც 1888 წელს იმპერატორმა ალექსანდრე III-მ დარგო (ეს სხვათა შორის) და მის კენწეროებს შორის ხედავს ცას, რომლის კაბადონი ზღვას უერთდება. თუმცა უმჯობესია კვლავ მას მოვუსმინოთ: „ეს იყო ჩემი მყუდრო სავანე, სადაც აზრები და რომანტიზმი ერთადაა.... ჩემი ბინის ფანჯრებიდან პარკის მხარეს ალექსანდრე მეფის დარგული ხე და შესანიშნავი პეიზაჟი ჩანდა, სადაც ხის კერწეროების ზემოთ სულ ახლოს „ზღვის ცა“ მოჩანდა და თანაც თურქეთის საზღვარი ერთი ხელის გაწვდენაზე იყო“ (იქვე).

„ზღვის ცაზე“ ზემოთ რაც მოგახსენეთ, აღარ გავიმეორებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბავშვობის დროინდელი ყველა სახსოვარი, რომელსაც ზემოდან ამძიმებს მომდევნო ცხოვრების ურთულესი სათავგადასავლო ხსოვნის ფენები, მაინც რჩება ელგუჯას მოგონების მთავარ ქვა-

კუთხედად. მინდოდა მეთქვა, მეჩვენება-მეთქი, მაგრამ არა, სინამდვილეა, რომ მის მსოფლმხედველობას საფუძველი ბავშვობიდნავე ჩაეყარა და ეს მის გამონათქვამებშიც მკაფიოდ იგრძნობა. ამას იმიტომაც ვამბობ, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც გვეყოლება ასეთი უსაზღვრო ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები, რომლებიც ჩვენგან ძალზე გულდასმით დაკვირებას, მათი შესაძლებლობების გამოვლინებას და სწორ გზაზე დაყენებას საჭიროებენ. ელგუჯას მაგალითი კი მათ გამოადგებათ.

დიახ, ელგუჯას ბავშვობიდანვე იტაცებდა სივრცეები, უსასრულობა, რაც მოწიფულ ასაკში საკაცობრიო მნიშვნელობის კვლევა-ძიების საგნად იქცა და არნახული წარმატებით დაგვირგვინდა. ამ წარმატებას იგი მამას უმადლის, რომელიც „ვერ იტანდა შეფერხებას ან შეჩერებას, მით უმეტეს დასახული მიზნის მიღწევისკენ მიმავალ გზაზე... ეს თვისება მეც გამომყვაო“ (გვ. 36). ვეთანხმებით, თანდაყოლილი ნიჭი გენეტიკურია, მაგრამ მშობლების ცხოვრების წესის გავლენა შვილის მომავალზე არანაკლებ როლს ასრულებს მის განვითარებაში.

სკოლაში ელგუჯა მხოლოდ ერთი მიზნით დადიოდა – მიეღო ხუთიანები. ვერც კი წარმოედგინა, რომ ამაზე ნაკლები აკადემიური მაჩვენებლით შორს წავიდოდა. ამასაც თავისი საფუძველი გააჩნდა. მამის შეუვალი მოთხოვნა იყო მოემზადებინა ქართულში, მათემატიკაში, ფრანგულში, ფიზიკაში და ქიმიაში. ამითაც არ კმაყოფილდებოდა. მათემატიკაში, როგორც შედარებით რთულ საგანში, ორი ცნობილი პედაგოგი, დოცენტი **სილოვან დადუნაშვილი** და „ვირტუოზი“ მათემატიკოსი **მაკარ კილასონია** ამზადებდნენ.

ახლა დედას არ იკითხავთ? ქალბატონი ალექსანდრა ყოველ შაბათს ამოწმებდა მთელი კვირის განმავლობაში მიღებულ შედეგებს, გამოკითხავდა საგნებს, ათვალიერებდა ნაწერებს. უკმაყოფილო იყო მაშინც კი, როცა ხუთიანი ეწერა. დედაჩემის გავლენით გამომყვა „სიმძიმის“ გრძნობა, რომელიც დიდ განცდასთან და მოვალეობასთან იყო დაკავშირებულიო, – ამბობს ელგუჯა.

ამასაც მიეწერება, რომ ბათუმის პირველი სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, გამოსაშვებ საღამოზე კი სიმარტოვეს გრძნობდა, მოწყენილი იყო, „იმის გამო, რომ ბათუშმი გატარებული სიყმაწვილის ხანა დამთავრდა. წინ რთული ცხოვრების გზა იწყებოდა“ (გვ. 38).

ასეთი დატვირთვის პირობებში ყმაწვილს თავისუფალი დრო არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ შინაგანი მისწრაფება ხელოვნების, სპორტის მიმართ თავისას აკეთებდა და იგი ცეკვის ანსამბლში ამ დარგის დიდოსტატის **ენვერ ხაბაძის,** ხოლო ჩოგბურთში ცნობილი მწვრთნელის **გურამ თოხაძის** შეგირდი გახდა.

ცეკვაში ელგუჯას წარმატება განსაკუთრებული აღმოჩნდა. იგი ანსამბლში ჩარიცხეს. თბილისში გამართული კონცერტის დროს, მისმა ბავშვის სოლო-ნომერმა „განდაგანამ“ მაყურებელი ისე მოხიბლა, რომ ოვაციები დიდხანს არ ჩამცხრალა. კონცერტის დასრულების შემდეგ კი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვასილ მჟავანაძემ, რომელიც მთავრობის ლოჟიდან ადევნებდა თვალს, ბავშვი მასთან მიაყვანინა, მოეფერა და საჩუქრად პატარა მაჯის საათი გადასცა.

მთავარი სახსოვარი მაინც ელგუჯას „რაკეტმშენებლობაა,“ რომლის იდეაც, ასევე, სრულიად უმწიფარ ყმაწვილს ჩაესახა. მან ეს აზრი მეგობარს **გია კვაჭანტირაძეს** გაუზიარა, დიდი თავგადასავლების შემდეგ საჭირო მასალებიც მოიძია და სკოლის დირეტორს **დურსუნ მახარაძეს** ეახლა. მისგან მიიღო ნებართვა ხელგარჯილობის სახელოსნოში ემუშავათ. მალე რაკეტა მზად იყო და წრის ხელმძღვანელის შუამდგომლობით კონკურსგარეშე მონაწილეობდა თბილისის იპოდრომზე გამართულ მოდელების ფრენაში.

მექანიზმის არასწორად ჩართვის თუ სხვა მიზეზით რაკეტა ჟიურის მაგიდის წინ აფეთქდა, რის გამოც აჭარის გუნდი **ელგუჯა მეძმარიაშვილის, მიხეილ ჯანიკაშვილის, ვასილ ურუშაძის** და **ალეკო გვარიშვილის** შემადგენლობით, შეჯიბრებიდან მოხსნეს. ასე უშედეგოდ და

იმედგაცრუებით დასრულდა ელგუჯას პირველი „რაკეტმშენებლობის“ ცდა.

ასევე, უშედეგო აღმოჩნდა მოზარდთა მიერ აწყობილი და ზღვის პირას პარტიზანულად, ნებართვის გარეშე, გატანილი რაკეტის ბედი. იგი აფეთქდა და დიდი ხმაც გამოსცა. ახლო-მახლო თავშეფარებულმა ბიჭებმა იფიქრეს, გაფრინდაო, მაგრამ ადგილზე მისვლისას მისი ნაფლეთები დახვდათ. თითქოს მორიგი კრახი საკმარისი იყო, ასეთ საქმეზე ხელი აეღოთ, მაგრამ მოხდა პირიქით, ისინი არათუ ჩამოშორდნენ, არამედ კიდევ უფრო გაუღვივდათ მისკენ სწრაფვა და ინტერესი. კვლავ განაგრძეს ამაზე ფიქრი და ეს ელგუჯა მეძმარიაშვილმა რა დონემდეც აიყვანა, ცნობილია. საყურადღებოა, რომ მისი ერთი მეგობარი მიხეილ ჯანიკაშვილი კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, ხოლო ვასილ ურუშაძე საგურამოს სასტენდო კომპლექსის უფროსი.

ბორჯომ-ბაკურიანთან მიმართებაში საინტერესოა ელგუჯას მოგონებიდან ერთი ადგილი, რაც ხუთიოდე წლის ბავშვის დაკვირვების ნაყოფია: „ხაშურის ძველ სადგურში მერცხლების გუნდი ადამიანებთან სულ ახლოს დაფრინავდა... ვაგონის ფანჯარას არ მოვცილებივარ. რკინიგზა მდინარე მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან მიყვებოდა. ვაკვირდებოდი მდინარეს. იგი სრულიად განსხვავდებოდა ზღვისგან... მდინარეში ქვები, რომლებზეც წყალი ზემოდან გადადიოდა, დიდი თევზები მეგონა, დინების საწინააღმდეგოდ რომ მოცურავდნენ. წყალში ამოსული ხეები დავინახე და მატარებელიც ძალიან ახლოს მივიდა მდინარესთან. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს წყალში უნდა შესულიყო“ (გვ. 36).

რამდენი მოგონება და მემუარული ლიტერატურა წამიკითხავს, მაგრამ ბავშვს მისთვის უცხო გარემო ასე ოსტატურად და ხატოვნად დამახსოვრებოდეს, არ შემხვედრია. აქაც სულ ფრენა, სიჩქარე, წინსვლა, სწრაფვა დავინახე და არც გამკვირვებია. ეს ელგუჯას ხასიათში იყო ჩასახლებული და მან აკი თავისი ხორცშესხმაც ჰპოვა.

ახლა სხვა გატაცებებიც გავიხსენოთ. ბიძის, **გივი მეძმარიაშვილის** დახმარებით ისე კარგად დაეუფლა ფოტოხელოვნებას, რომ ამ დარგის განვითარების მაშინდელ დონეზე, ერთ დღეში ასწრებდნენ ფოტოწამლების, ფირებისა და ქაღალდის შეძენას, მათ მომზადებას, ფოტოსურათების გადაღებას, გამჟღავნებას და დაბეჭდვას.

ელგუჯას ბავშვობა დაემთხვა იმ დროს, როცა მთელ ქვეყანაში კინო ერთ-ერთ გასართობს წარმოადგენდა და ახალგაზრდობაც ამაში პოულობდა თავის სულიერ საზრდოს, თუმცა ეს არაა მთავარი. კინოს სიყვარულმა კინოპროექტორის საიდუმლოებებშიც ჩაახედა და ბორჯომში, სანატორიუმ „ფირუზას“ კინომექანიკოსმა მე-4 კლასის ბიჭი დროებით თავის „შემცვლელად“ დანიშნა, თავსითვის კი სხვა სამუშაო გამონახა.

საოცარია ელგუჯას მიზანში სროლაც. ტირში მოგებაზე თამაშობდნენ და მისი თითქმის ყველა გასროლა მეტირე **სიმონას** ძვირად უჯდებოდა. ბოლოს მან გამოსავალი იმაში ნახა, რომ ერთი კარგი პნევმოთოფი ელგუჯას აჩუქა იმ პირობით, რომ მოგებაზე აღარ ითამაშებდა.

ელგუჯა მეძმარიაშვილის მოგონებების ბათუმური პერიოდიდან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოხდინა გემის კაპიტნის ქუდმა, რომელსაც იგი ატარებდა სკოლამდელ ასაკში, სკოლაში, სტუდენტობის დროს და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც, თბილისსა და მოსკოვში.

ამას ერთგვარი საბაბიც ამაგრებდა. ნურიის ტბის მოკამკამე ტბაზე იგი საბავშვო გემის მეზღვაური იყო და მეტსახელად „კაპიტანი“ შეარქვეს.

ეს თავსაბურავი არა მხოლოდ კაპიტნის, „ზღვის ცისაცაა“. ქუდი კაცობის, სიმამაცის, ჰუმანურობის, თავმდაბლობის, უანგარობის, ნიჭიერების, სამშობლოს და საკუთარი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველი, რომლითაც მისმა მამულმა და მშობელმა ერმა უნდა იამაყოს.

ასეთია ელგუჯა მეძმარიაშვილის ცხოვრების ბათუმური პერიოდი. ამის შემდეგ იწყება „რთული ცხოვრების გზა,“ რომლის აღწერის უფლებას თავს ვერ მივცემ. დაე, იგი საქმის კარგად მცოდნე მემატიანეებმა გამოიტანონ მზის შუქზე.

9 სექტემბერი, 2017 წ.



თამაზ გენაძეხაძე

ვერცხლის საუკუნის უკანასკნელი მუზა

1982 წლის მაისში ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“ იუწყებოდა „8 მაისს ლონდონში, სიცოცხლის 94-ე წელს გარდაიცვალა სალომეა ნიკოლოზის ასული ანდრონიკოვა, უკანასკნელი იმ ბრწყინვალე ქალბატონებს შორის, რომლებსაც წილად ხვდათ ყოფილიყვნენ რუსული პოეზიის ვერცხლის საუკუნის აყვავების თანამედროვენი. სალომეა ანდრონიკოვა იყო ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლამაზმანი. იგი განთქმული იყო ინტელექტით, შარმით და მახვილგონიერებით...“

ქართველი თავადის ივანე (ნიკო) ზაქარიას ძე ანდრონიკოვის და პოეტ ა. პლეშჩეევის ნათესავის ლიდია ნიკოლოზის ასულ პლეშჩეევას ქალიშვილი 1888 წლის ოქტომბერში დაიბადა. ტყუილად არ ითვლებოდა საქართველო ლამაზებისა და მუზების ქვეყნად. „არაფერია აქაურ ქალებზე მშვენიერი, – წერდა ჯერ კიდევ 1768 წელს აბატი იოსებ დელაპორტი, ამ მიწას შეიძლება სილამაზის სამყოფელი უწოდო... ძნელია, წარმოიდგინო უფრო დახვეწილი ნაკვთები, უფრო ლამაზი აღნაგობა, ეს ლამაზი ქართველი ქალები, მგონი, მხოლოდ იმიტომ არიან შექმნილნი, რომ უყვარდეთ და სიყვარულით აავადებდნენ სხვებსაც“.

როცა სალომეას 18 წელი შეუსრულდა, იგი თავის ბიძაშვილ თინათინთან (კომპოზიტორის და პიანისტის სერგეი ტანეევის მეუღლესთან)

ერთად პეტერბურგში გაემგზავრა და მალევე დედაქალაქის მაღალი საზოგადოების ცენტრში აღმოჩნდა. ეს საზოგადოება არცთუ ცოტა ხარჯს მოითხოვდა ტანსაცმლისა და სამკაულების გამო. იქ სალომეამ დააფუძნა თავისი ლიტერატურული სალონი, სადაც იკრიბებოდნენ ნიჭიერი პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, მისი თაყვანისმცემლები. მაღალ საზოგადოებაში ცხოვრების საშუალებაც მალე გამოჩნდა. იგი ცოლად გაყვა მდიდარ ჩაით მოვაჭრეს პავლე ანდრეევს, რომელიც მასზე ორჯერ უფროსი და ქვრივი იყო. მაგრამ ოჯახური ცხოვრება არ შედგა, სალომეას მეუღლე ქალების დიდი მოტრფიალე აღმოჩნდა, მეუღლის დებსაც კი დასდევდა. სალომეამ მალევე შეიტანა განცხადება განქორწინების თაობაზე და ადვოკატ ლუარსაბ ანდრონიკოვის დახმარებით ქმრისგან განქორწინების შემდეგ დარჩა დიდი ბინა პეტერბურგში და იმდენი ფული, რომ

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე არაფერი გასჭირვებია. განქორწინების შემდეგ მას გაუჩნდა ქალიშვილი ირინა, შემდგომ უკვე ბარონესა ნოლდე, კომუნისტი, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე.

„სალომეა ბრწყინვალე იყო. ნუშისებრი თვალების შუქი, შავი გრძელი წამწამები, გრძელი კისერი, საოცრად ლამაზი ფიგურა. „ყოველთვის სხვებზე მოწესრიგებული, ვარდისფერი და ყველაზე მაღლა მდგომი“, – წერდა მასზე ანა ახმატოვა და მას ლექსების კრებული – „ჩეტკი“ აჩუქა წარწერით: „მეგობრობის იმედით“, ასევე – ლექსების კრებული „ბელაია სტაია“ სიყვარულით და სიმპათიით სავსე სიტყვებით, რომელიც მას ეძღვნებოდა. 30 წლის ასაკში სალომეას სილამაზემ პიკს მიაღწია, მის პორტრეტებს ცნობილი მხატვრები ხატავდნენ. სალომეას ხასიათი შესაბამისად მისი სილამაზისა გამოირჩეოდა არაორდინარულობით.

„მე მიპყრობს თქვენი თვითდარწმუნება, ნამდვილი და არა მხოლოდ გარეგნული, თქვენი ყურადღება ხალხისადმი, თქვენი ბიჭურობა... ძალიან გიხდებათ, თქვენ არც იმდენად ხართ ქალურობის და სიზარმაცის მიმდევარი, რომ უსაქმოდ და წყნარად იჯდეთ“, „მე მიზიდავს თქვენი ნატურის ერთგვარი ავანტიურიზმი. რა თქმა უნდა, თქვენ თავგადასავლების მაძებარი ბრძანდებით და სწორედ ამიტომ ხართ ჩემი მონათესავე“, – წერდა სალომეას მისი ერთგული თაყვანისმცემელი და მეგობარი, პოეტი ილია ზდანევიჩი. მასთან სალომეა მთელი ცხოვრება მეგობრობდა.

მასზე შეყვარებულმა მანდელშტამმა, „სალომინკას“ გარდა, რომელიც სალომეას „ღვთაებრივ მუსიკად“ ეჩვენებოდა, კიდევ მიუძღვნა ლექსი „მადრიგალი“ და „მე ნაზი კამეა დავკარგე“.

1917 წლის ზაფხულში ანდრონიკოვა თავის ქალიშვილთან და მეგობართან, სერგეი რაფალოვიჩთან ერთად ყირიმში გაემგზავრა, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ სამუდამოდ ემშვიდობებოდა პეტერბურგს და მისი, როგორც მუზის სახებას, რომელიც ვერცხლის საუკუნის ლეგენდად იქცა... იმ დროს არსებული ვითარება არაფერ კარგს არ უქადდა სუსტ, დახვეწილ ლამაზმანს. საყოველთაო თაყვანისცემის დრო დასრულდა. დაგროვდა საყოფაცხოვრებო სირთულეები. თვალწინ ერთი ცივი სიტყვა ედგა, რომელიც გაურკვევლობის შიშს ბადებდა – ემიგრაცია. ანდრონიკოვა გაემგზავრა, ჯერ – ბაქოში, შემდეგ – მშობლიურ თბილისში, ხოლო შემდეგ – პარიზში.

საფრანგეთში ის ქარაფშუტულად, თითქოს სასეირნოდ გაემგზავრა მის მორიგ თაყვანისმცემელ ზინოვი პეშკოვთან ერთად, რომელიც მაქსიმ გორკის შვილობილი და იაკობ სვერდლოვის ნახევარ ძმა იყო, გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლოებით მოცული პიროვნება. მან, ანდრონიკოვას თქმით, დაიყოლია იგი „პარიზულ ვოიაჟზე“, „გაურკვეველი დრო იდგა, შეშლილი, დათრგუნული ვიყავი, ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა ჩემ ირგვლივ, როგორც ჩვეულებრივ არისტოკრატ ქალს, არ მინდოდა, ღრმად ჩავფიქრებულიყავი და წავედი“, – იხსენებს ანდრონიკოვა. იგი უპასპორტოდ, პატარა ჩემოდნით გაემგზავრა ბათუმიდან ფრანგების დახმარებით. იმ დროისათვის ზინოვი საქართველოში საფრანგეთის წარმოამდგენლობაში მსახურობდა, მენშევიკების მთავრობის დროს. იგი სამუდამოდ დარჩა პარიზში, ბრიგადის გენერლის წოდებას მიაღწია და შარლ დე გოლის თანამებრძოლი გახდა, იგი იყო 50 სამთავრობო ჯილდოს კავალერი, ფლობდა შვიდ უცხო ენას, მათ შორის – არაბულს, ჩინურს და იაპონურს. სალომეა და ზინოვი მალე დაშორდნენ, თუმცა მათი მეგობრობა დიდხანს გაგრძელდა.

1925 წელს ანდრონიკოვა ცოლად გაყვა, თავის ძველ, ჯერ კიდევ პეტერბურგისდროინდელ თაყვანისმცემელს ადვოკატ ალექსანდრ გალპერნს. იგი ინგლისში ცხოვრობდა, ხოლო სალომეა პარიზიდან სტუმრობდა ხოლმე, სადაც ვოჟელის მოდების ჟურნალში მუშაობდა. პარიზში ანდრონიკოვამ მარინა ცვეტაევა გაიცნო. „ჩვენ ნამდვილი ინტელექტუალური მეგობრობა გვაკავშირებდა, – იხსენებს სალომეა, – მე ის მეუბნებოდა: „სალომეა, ჩვენ არ ვანათებთ, ჩვენ ვბრწყინავთ! მართლაც, ბრწყინვალე თანამოსა-

უბრე იყო. ურთიერთობაში იგი მიმნდობი იყო, არ იყო გულჩათხრობილი, მასთან ერთად ადვილი იყო. რა თქმა უნდა, შეეძლო ყოფილიყო უკმეხიც. ის იყო განსაზღვრული ადამიანი ნათელი შეხედულებებით და მკვეთრი აზრებით, ამას გარდა, იგი მახვილგონიერიც იყო". ანდრონიკოვა შეზარა იმ სიღარიბემ, რომელშიც ცვეტაევა ცხოვრობდა, როგორც შეეძლო, გვერდში ედგა, მოდების ჟურნალში ხელფასი 1000 ფრანკი ჰქონდა, ნაწილს მარინას აძლევდა, ავრცელებდა მისი პოეტური საღამოზე დასასწრებ ბილეთებს, მან ერთგვარი საქველმოქმედო კომიტეტი დააფუძნა, რომელიც ყოველთვიურად აგროვებდა მარინას ოჯახისთვის გარკვეულ თანხას მანამ, სანამ ცვეტაევა საბჭოთა რუსეთში არ გაემგზავრა. შენახულია სალომეას მარინასთვის 120 წერილი, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა. ცვეტაევა აფასებდა მის მხარდაჭერას და მთელი დროის განმავლობაში 125 წერილი მისწერა.

როგორღაც სალომეამ აღიარა, რომ „სისულელე ჩაიდინა, როცა სამშობლო მიატოვა რთულ დროს", თუმცა ეს ჭკვიანი და ამაყი ქალი, ქართველი თავადიშვილი, სიცოცხლის ბოლო დღემდე მშობლიურ საქართველოზე ფიქრობდა. იგი ძალიან იყო დაინტერესებული მისი ისტორიით; ფრანგულ ენაზე გამოსცა რამდენიმე წიგნი ქართული ხელოვნების განთქმული მოღვაწეების შესახებ. სალომეა ქართულმა სამზარეულომაც გაიტაცა, რის შესახებაც მისთვის დამახასიათებელი მახვილგონივრული მანერით ამბობდა: „მთელი ცხოვრება თავი მუზა მეგონა, თურმე მზარეული ვყოფილვარ".

სალომეა ბევრი არისტოკრატი ხელუკარებელ ქალისგან განსხვავებით არაჩვეულებრივად ამზადებდა. რითაც, სხვათა შორის, 1965 წელს, თავისი ძველი მეგობარი – ახმატოვა ძალიან გააკვირვა, რომელმაც ის დრო გაიხსენა, როცა მშვენიერმა სალომეამ ჩაის დაყენებაც კი არ იცოდა. ახმატოვას ბიოგრაფის – ამანდა ჰეიტის მოგონებების თანახმად, ამ ირონიულ გამოხტომას ანდრონიკოვამ შემდეგნაირად უპასუხა: „როცა მივხვდი რომ მამაკაცებისთვის როგორც ქალი ინტერესის საგანს აღარ წარმოვადგენ, მე მათი ყურადღების მიქცევა კულინარიული ხელოვნების მეშვეობით გადავწყვიტე".

სხვათა შორის, მამაკაცებში თავისი გასაოცარი პოპულარობის გამო სალომეას თავი არასოდეს მოჰქონდა, თითქოს ბოჰემამ, რომელიც ზომაზე მეტად ექცეოდა შთაბეჭდილების ქვეშ, ყველაფერი მოიგონა და არ არსებობდა გონებისდამკარგავი სილამაზე. აი, ეს იყო სალომეა. იგი იუმორით იხსენებდა წარსულს: „არამიშავდა, წარმატებაც მქონდა".

სისხლიანი მე-20 საუკუნის ქარტეხილებგამოვლილმა სალომეამ, დარჩენილი სიცოცხლე ნისლიანი ალბიონის სანაპიროზე, ჩელსი-პარკგარდენსის ქუჩაზე, მდიდრულ სახლში გაატარა. იგი ოცნებობდა 100 წლამდე ეცოცხლა, თუმცა, სამწუხაროდ, ცოტა დააკლდა.

მას წილად ხვდა გრძელი, რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო ცხოვრება. სადაც არ უნდა ყოფილიყო – თიფლისში თუ პეტერბურგში, პარიზსა თუ ლონდონში, იგი აუცილებლად ხვდებოდა კულტურული მოვლენების ეპიცენტრში და ურთიერთობდა ბოჰემის საინტერესო წარმომადგენლებთან. მისი ფერფლი ტრაფალგარის მოედანზე მიმოფანტეს, მაგრამ ვერცხლის საუკუნის ამ უდიდეს მუზაზე ხსოვნა დღესაც ცოცხლობს.

თანამედროვეთა მახსოვრობაში სალომეა ანდრონიკოვა დარჩა როგორც „მე-20 საუკუნის მუზა". „მეცამეტე წლის ლამაზმანი" უწოდა მას ანა ახმატოვამ, ხოლო ოსიპ მენდელშტამმა უკვდავყო თავისი შთაგონების წყარო ლექსში „სალომინკა". ომის, რევოლუციის, ემიგრაციის, მომავლის შიშის მიუხედავად, იგი პოეტებს განაწყობდა იმით, რომ იცოდა მოსმენა, და რაც მთავარია, ინარჩუნებდა ქალურობის ნიჭს – ყოველთვის, ყველგან, ნებისმიერ სიტუაციაში...

დიდი პოეტი და პროზაიკოსი, სალომეას თანამედროვე ავეტიკ ისააკიანმა მასზე თქვა: „მისნაირი ქალები ას წელიწადში ერთხელ იბადებიან", მართალიც იყო, ჯერჯერობით ასეთი, სხვა არ ყოფილა.

რეინ აბუსელიძე

ინტერვიუ პოეტთან

ნიკა ჩერქეზიშვილს მთელი საქართველო იცნობს, ინტერნეტ სივრცეშიც უამრავი მასალა მოიძიება ნიკას შესახებ, ლექსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არის ისტორიები, ამბები და ისეთი დეტალები, რომლებიც არასაჯაროა, ეს ინტერვიუც სწორედ იმ კუთხით მინდა შედგეს, რათა უფრო ახლოს, უფრო მყარად და მკაფიოდ გავაცნოთ მკითხველს პოეტი, რომელიც სხვა ქუჩაზე ცხოვრობს...

1. საიდან იწყება ნიკა ჩერქეზიშვილი? მოგვიყევი შენს ბავშვობაზე, როგორ იზრდებოდი და როგორ მოხვედი დღემდე?

ჩვენ, ყველა, ერთმანეთისგან ვიწყებით და ასეა სამყაროს შექმნის დღიდან. ასე იშვა ქრისტეც. ათასი წლის შემდეგ ვინც დაიბადება, ცნობილია მათი სახელებიც. საიდანაც მამაჩემი დაიწყო, მეც იქიდან ავითვლები და იქიდანაც, საიდანაც პაპაჩემი წამოვიდა და იმისი მამა და პაპა. სინამდვილეში, ყველანი მგზავრები ვართ, ზოგი წასულია, ზოგი აქ არის და ზოგიც მოდის. საბოლოოდ, ყველა გზა იკვრება და რჩება ერთი. სწორედ იქ შევხვდებით.

ბავშვობა მტკივნეული იყო, რადგან ზღაპრები ცუდად მთავრდებოდა იმ მოცემულობაში. მირზა გელოვანი წერს ერთგან, მე მაქვს უბავშვო ბიოგრაფიაო. რაღაც მსგავსი ხდებოდა ჩემი თაობის ბავშვებისთვისაც. ჩვენს მშობლებს უწევდათ არა მხოლოდ ერთი ბოთლი წყლის გადაღვრა, ან სალესავისა და სავარცხლის ზურგს უკან გადაგდება, არამედ საკუთარი სიცოცხლის გაწირვაც კი, რომ ჩვენ იმ მძიმე ბავშვობიდან გამოგვეღწია. გამოღწევა მარტო ფიზიკურ გადარჩენას არ ნიშნავს, ბევრს დაუმახინჯა ფსიქიკა 90-იანმა წლებმა.

ვფიქრობ, რომ მე წიგნები დამეხმარა გადარჩენაში. წიგნები იყო ის წიქარა ხარი, რომელმაც სამშვიდობოზე გამომიყვანა. ცნობისმოყვარე ბავშვი ვიყავი, მოუსვენარი, სულ რაღაცას ვეძებდი... ქალაქი კიდევ ახდილი ჭებით იყო სავსე, ნებისმიერში შეიძლებოდა ჩავვარდნილიყავი. მახსოვს, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ცხრასართულიანი კორპუსების შავ კარკასებს ანგრევდნენ კვალდებით, რომ რკინა-ბეტონის-

გან გამორჩეული არმატურა ჩაებარებინათ. სპილენძი და ალუმინი უკვე შეჭმული იყო. მეც ბევრს დავხეტიალობდი, მაგრამ წიგნებმა მაინც დამაბა რაღაც დოზით. მაშინ დავუმეგობრდი ტომ სოიერსა და ჰეკ ფინს, ლიონბერგელ ემილის და უამრავ სხვას. რეალობა ამაზრზენი იყო და გადავედი არარეალურ სამყაროში, რომელსაც დღემდე ვუბრუნდები ხოლმე.

2. ვეცდები სტანდარტულ კითხვებს თავი ავარიდო, მაგრამ ამ შეკითხვას ვერ გავექცევით, მაინტერესებს შენ და პოეზია როდის შეხვედით ურთიერთდამოკიდებულებაში და როდის აღმოაჩინე, რომ ხარ პოეტი?

პოეზია მამაჩემმა შემაყვარა. მამამ ზეპირად იცის აუარებელი ლექსი და პოემა. იმხელა გრძნობით კითხულობდა ხოლმე „ალუდა ქეთელაურს“ თუ „სტუმარ-მასპინძელს“, რომ გაყუჩებული ვუსმენდი და არ მინდოდა, დაემთავრებინა. ალენ გინზბერგის პეკინულ იმპროვიზაციაშია – მე ვწერ ლექსებს იმიტომ, რომ მამაჩემი ხმამაღლა კითხულობდა ინგლისელ პოეტ შელის და ამერიკელ პოეტ ვეიჩელ ლინდსეის და შთაგონებული სუნთქვის ქარიშხალს აყენებდაო. იგივე დამემართა მეც. ბუნებრივია, მხოლოდ ეს არ იყო, სხვაც ბევრი, მაგრამ პირველი იმპულსები აშკარად მამისგან წამოვიდა.

შეკითხვის მეორე ნაწილს ვინმე სხვამ უნდა გასცეს პასუხი და არა მე. სხვებმა, მომავლიდან... ვერ ავდგები და ვერ ვიტყვი, საკუთარ თავზე, პოეტი ვარ-მეთქი.

3. „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“, – გალაკტიონმა ბრძანა. – და მაინც რა არის მთავარი ნაწერში, რა სჭირდება პირველ რიგში ავტორს, კარგი ლექსი რომ დაიწეროს, როგორია შენი გადმოსახედი?

სიმართლე. სიმართლის გარეშე, არაფერია. ჩალაა ყველა სიტყვა, რომელიც სიმართლიდან არ არის ამოსული. მართალი უნდა იყო საკუთარ თავთან და მკითხველთან. როგორც ცხოვრობ, ისე უნდა წერდე, და როგორც წერ, ისე უნდა ცხოვრობდე. სხვანაირად სპეკულიანტი ხარ და არა შემოქმედი. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ნიჭი თავის თავში მოიცავს ამ სიმართლეს, მაგრამ მე მაინც მომინდა, ხაზი გამესვა. ფაორუყ ფაროხზადეს უწერია ამ ყველაფერზე მშვენივრად, მოვიყვან მთლიან ამონარიდს, თუ ძალიან არ გადავტვირთავ აქაურობას:

„მე ერთი რამეც მწამს და ესაა პოეტად ყოფნა ცხოვრების ყოველ წამსა და მომენტში. პოეტად ყოფნა, ესე იგი, ადამიანად ყოფნა. მე ვიცნობ მავანთა და მავანთ, რომელთა ყოველდღიური საქციელი არაფრით უკავშირდება მათივე პოეზიას... უკეთ რომ ვთქვათ, ეს ადამიანები პოეტები მხოლოდ ლექსის წერის მომენტში არიან. მერე იცვლებიან და ისევ ერთი ჩვეულებრივი, ხარბი, გაუმაძღარი, უსამართლო, გონებაჩლუნგი, შურიანი და საცოდავი კაცუნები ხდებიან. მე არ მჯერა მათი სიტყვების, რადგან ცხოვრებას ამაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ხოლო, როცა ეს ხალხი თავისი ლექსებისა და ნაწერების გულში მჯიღს იცემს და რაღაცას გაყვირის, ზიზღი მიპყრობს და არ მჯერა, რომ სიმართლეს ამბობენ. მაშინ ვფიქრობ, ნეტა, ასე მართლა ერთი თეფში ფლავის გულისთვის ხომ არ ირჯებიან-მეთქი? ჩემი აზრით, ხელოვანმა, პირველ რიგში, თავისივე თავი უნდა შექმნას და სრულყოს. მერე საკუთარი თავიდან გარეთ უნდა გამოვიდეს და მას, როგორც ყოფიერებისა და არსებობისაგან შემდგარ მთლიანობას, ისე შეხედოს, რომ მისმა ნააზრევმა, ფიქრებმა და გრძნობებმა ზოგადი ხასიათი შეიძინოს“.

4. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს შენს პოეზიას და ჩემი აზრითაც თხემით ტერფამდე პოეტი ხარ. სოციალურ ქსელშიც შენი კედელი 99% პოეზიას ეთმობა, მაგრამ არსებობს თუ არა შემთხვევები ნიკა ჩერქეზიშვილი პოეზიის გარეშე? და აქვე გკითხავ, რომ არ ყოფილიყო პოეზია, როგორ ფიქრობ, ვინ იქნებოდი და რამდენად გაგიცნობდა ხალხი?

ბუნებრივია, არსებობს. პოეზია პირველყოფილი სისუფთავეა და პოეტიც ის არის, ვინც სუფთაა. მე სავსე ვარ ათასი საძაგლობით. სულ ვიბრძვი და სულ ვცდილობ განწმენდას, მაგრამ ჯერჯერობით ბრძოლების უმეტესობა წაგებუ-

ლი მაქვს ამ ომში. დაკარგულია წლები, თუმცა შესაძლოა, ერთმა წამმაც იხსნას ადამიანი. შესაძლებელია, პირიქითაც ვთქვათ, მოპოვებულია წლები, მაგრამ დაკარგულია წამი და და ეს დანაკარგი აუტანელია. პოეტები სისუფთავის მოუხელთებლობას მიჰყავს თვითმკვლელობამდე. შეუძლებელია, რაიმე ღირებულს ქმნიდე და ჭუჭყსაც ატარებდე საკუთარ თავში. ან ერთია, ან მეორე, ან რაღაც სხვა, მაგრამ ეს არ არის ტერენტი გრანელის – „არამედ რაღაც სხვა“. ეს ანგარიშსწორებაა შენს თავთან, თვითგანადგურებაა.

5. როგორი მკითხველი ჰყავს დღეს პოეზიას და რას ურჩევდი ქართველ მკითხველს?

რჩევების მიცემა არ მიყვარს, მეტისმეტად უსარგებლო საქმე მგონია. ალბათ, ყველაზე რაციონალური ის იქნება, თუ ვიტყვი, რომ იკითხონ ის ავტორები, ვინც მათზე წერენ. უფრო სწორად, ვისი ნაწერების კითხვის დროსაც უჩნდებათ განცდა, რომ თითქოს ავტორი მათზე წერს და მათ სათქმელს ამბობს, მათ გრძნობებს გამოხატავს.

6. პოეტი დღეს უნდა ღებულობდეს თუ არა მონაწილეობას სატელევიზიო შოუებში, გადაცემებში და რატომ? ასევე პირადად შენ გქონია თუ არა შემოთავაზება, თუ მიუწვევიხარ?

კი, არაერთი შემოთავაზება მქონია და დღესაც მაქვს, თუმცა მე არსად დავდივარ. გული არ მიმიწევს. ალბათ, მნიშვნელოვანია არა ის, სად მიდიხარ, არამედ ის, იქ ვინ დაგხვდება. რამდენიმე დღის წინ ვიყავი სტუმრად გიორგი კეკელიძის საავტორო გადაცემა „ინტერპრეტაციაში“. გურამ რჩეულიშვილის ალავერდობაზე ვისაუბრეთ. გიორგისთან მომინდა მისვლა და მივედი. ეს იშვიათი შემთხვევაა. შენს კითხვებსაც იმიტომ ვპასუხობ ახლა, რომ ვფიქრობ, ეს არ არის მხოლოდ ინტერვიუ ინტერვიუსთვის, არ არის სულერთი შენთვის. გიყვარს, რასაც აკეთებ.

7. დრო მიდის, იცვლება სტილი, ლექსის სტრუქტურაც და თითქმის ყველაფერი, გასული საუკუნისა და წინა თაობის ძლიერი ავტორების პოეზიაში, პრიორიტეტი მუდამ საქართველო იყო, დღეს ნაკლებად თვალშისაცემია პატრიოტული მოტივი... როგორ ფიქრობ, სამშობლოზე კარგი ლექსები აღარ იწერება? ამოიწურა ეს თემა პოეზიაში?

შესაძლოა, სამშობლოზე ადრე ბევრი იწერებოდა, მაგრამ მაშინაც უმეტესობა ბალასტი იყო. მე ვიცი, რამდენიმე ძალიან კარგი ლექსი სამშობლოზე, თანამედროვე ავტორების დაწერილი.

8. შენი პოეზიიდან ყველაზე უფრო რომელი ლექსი ხარ?

„კაცი“, მაქვს ერთი ასე დასათაურებული ლექსი.

9. მახსოვს წლების წინ დაიწერა რამდენიმე ავტორის მანიფესტი „ანტიბიოტიკი“, სადაც ჩვენ, ორივემ, მივიღეთ მონაწილეობა, მკითხველს შევახსენებ, რომ მანიფესტი მიმართული იყო ვერლიბრის წინააღმდეგ (დღეს შენს პოეზიაში მრავლადაა ვერლიბრი) როგორ ფიქრობ, რა შედეგები მოიტანა იმ მანიფესტმა და ამ გონებით რომ უკან დაბრუნება შეგეძლოს, შეცვლიდი თუ არა მაგ კონკრეტულ მომენტს?

ეს არ იყო ვერლიბრის ან რომელიმე სხვა ვერსიფიკაციული ფორმის წინააღმდეგ მიმართული მანიფესტი. ეს იყო შეზღუდული აზროვნების საწინააღმდეგო ქმედება. მაშინ ავტორთა გარკვეული, პრივილეგირებული ჯგუფი თვლიდა, რომ თუ არ წერდი მათსავით, არ წერდი საერთოდ. ისინი აკნინებდნენ კონვენციურ ფორმას, აქილიკებდნენ რითმას და ა. შ. ამბობდნენ, რომ ეს იყო მოყირჭებული, ყელში ამოსული და დრომოჭმული სტილი. რა მნიშვნელობა აქვს, რომელ ვერსიფიკაციულ ფორმას იყენებ წერის დროს, თუ კარგად წერ? არანაირი. თავშესაფრის მძებნელები ყოველთვის ეცდებიან „დასცინონ“ იმ მდგომარეობას, რომელშიც თავს არაკომფორტულად გრძნობენ. დღეს რომ ვინმემ ვერლიბრი აიგდოს, აქაც ამოვიღებ ხმას და ვეტყვი, რომ ისუნთქოს თავისუფლად და სხვასაც მისცეს ამის საშუალება.

10. როგორია ნიკა ჩერქეზიშილის ერთ დღე? (ანუ ამ ეტაპზე, როგორ ცხოვრობ და ა.შ. ესენი რომ მოყვე).

ამ ეტაპზე ჩემი დროის ძირითადი ნაწილი სისტემასთან ბრძოლას ხმარდება, სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რომლებიც არის უსამართლო და არ აქვთ შეძლება, სიმართლე დაიცვან. სულ რამდენიმე დღეში ახალი სასამართლო მაქვს, უკვე მეორე ინსტანციაში, სააპელაციოში. ეს ყველაფერი, აგერ უკვე მესამე წელიწადია გრძელდება...

11. „451 ფარენჰაიტ“ – ანუ წიგნებს რომ წვავდნენ და მხოლოდ ერთადერთი წიგნის გადარჩენა შეგეძლოს, რომელ წიგნს გადაარჩენდი?

სახარებას.

12. ვის კითხულობ ხშირად და ვინ არიან შენი საყვარელი ავტორები?

აბსოლუტურად ყველაფერს ვკითხულობ, რაც იწერება. აქედან, ზოგი ეგრევე მავიწყდება, ზოგს სამუდამოდ ვიმახსოვრებ. მეხსიერების სულ ზედა თაროზე ვახტანგ ჯავახაძის ლექსია – ელეგია პირველი: ყელსაბამი.

13. შენი ხმა განსხვავებულია სხვა ავტორებისაგან, სევდის ფონი მუდამ გასდევს შენს ნაწერებს, როგორი იქნებოდა სამყარო სევდის გარეშე?

სამყარო სევდის გარეშე იგივეა, რაც სამყარო ღმერთის გარეშე. ქრისტე ხომ გახსოვს? „ჩემი მეუფება არა ამქვეყნისგან არსო“. განა შესაძლებელია ამ სიტყვების შემდეგ სევდის გარეშე ყოფნა? აღარ მახსოვს, ვისი სიტყვებია, ჩვენს დროში ქრისტეს გაცილებით ადრე მოკლავდნენო. შორს არ არის ის დრო, როცა მას დედის მუცელშივე მოაშთობდნენ. სამწუხაროდ, ამ გზას ადგას კაცობრიობა.

14. „ეს ქვეყანა არის ბუდე, მაგრამ არა მერცხლის“ – ანუ?

ანუ ის, რომ თუ სპობენ ერთს, საფრთხეშია ყველა და ამ ქვეყანაში არ არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც შეეძლება დაიცვას თავისი წევრი და ამით საკუთარი თავიც იმ პირებისგან თუ ორგანოებისგან, ვინც ძალაუფლებას ბოროტად იყენებს.

* * *

რკინის ორლარიანი ჯიბეში
და ათი ათასი ოცნება – გულში.

რა შეიძლება გამოდნეს დღევანდელი დღისგან?

ბოლო დროს
სულ უფრო ხშირად ვფიქრობ,
გავლოთდე.

სამწუხაროა,
რომ მთვრალიც,
მე – მე ვარ.

...

ეს ქვეყანა არის ბუდე,
მაგრამ – არა მერცხლის.

15. როგორი იქნებოდა ერთ დუბლად გადაღებული, ერთწუთიანი კადრი, რომელშიც ნიკა ჩერქეზიშვილი ამომწურავად გააცნობდა თავს საზოგადოებას?

თეკლას ჩავეხუტებოდი, ძალიან, ძალიან მაგრად.

16. კითხვა, რომელსაც საკუთარ თავს დაუსვამდი და, რა თქმა უნდა, თავადვე გასცემდი პასუხს.

არასოდეს მიფიქრია ამაზე. ალბათ, მხოლოდ ისეთ კითხვას დავსვამდი, რომელზეც პასუხი არ მაქვს და საძებარი მაქვს, საპოვნელი...

17. წავიდეთ დასასრულისკენ, თუ სწორად მახსოვს ერთი წიგნი გაქვს გამოცემული მხოლოდ, ისიც წლების წინ, მკითხველი კარგა ხანია ელოდება ახალ კრებულს, ამ კუთხით ხომ არ გაქვს რამე სიახლე, ხომ არ გეგმავ წიგნის გამოცემას უახლოეს მომავალში?

არა, არ ვგეგმავ. ერთ ლექსში მაქვს ასეთი სიტყვები: სისულელეა, თუ რასაც წერ შენზე მე-

ტია, თუ ერთ სტრიქონში დაეტევი მთელი ცხოვრებით. ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო, მაქვს განცდა, რომ არ ვჭირდები ჩემს ქვეყანას და თუ მე არ ვარ საჭირო, ე.ი. არც ჩემი წიგნი სჭირდება აქაურობას. თავს არავის ვამეტებ და ვაყვედრი, ჩემზე ბევრად მეტნი მიუგდიათ და გაუსრესიათ უმოწყალოდ. უბრალოდ, არ მაქვს ამ ყველაფრის გული. არ მინდა არაფერი. ჩემს საღამოებზე ხუთასამდე კაცი მოდიოდა და როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა მხარდაჭერა, როცა ღია ცის ქვეშ დეკემბრის ცივ ღამეებს ვათევდი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, 10-15 კაცი იდგა ჩემ გვერდით. თუ ვინმეს მართლა ვჭირდებოდი, იქნებოდა იქ. განუყოფელია ის, რასაც ვცხოვრობ, იმისგან, რასაც ვწერ. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გეტყვი შენ და იმ ბათუმელებს, ვინც ჩემი მისამართით თანადგომა გამოხატა იმ დღეებში. ძალიან ვაფასებ.

18. და ბოლოს, იმის გამო მიხარია გათენება რომ...

იმდენი რამ გამახსენა ამ ერთმა კითხვამ... ბესიკ ხარანაულს აქვს: „ვინც არ არიან, რა, არ უნდათ, ცოცხლები იყვნენ?“ სასაფლაოები გვამებს ვერ იტევენ. მარტივია. იმის გამო მიხარია გათენება, რომ ცოცხალი ვარ.

წელს ცვლილი ჩამოჰქონდა

ნანო შაინიძე

დასასრულის დასაწყისი

დღეს უმოწყალოდ მოწყალე ვარ,
ვთესავ ღიმილებს
და არ მადარდებს რა ამოვა – პური თუ შვრია,
წლებმა, რომლებმაც უშენობის ხარკად მიმიღეს,
შენი ლამაზი ნატერფალით ნათელი ჰქვია...
დღეს უმოწყალოდ მოწყალეა
ღმერთიც ჩემ მიმართ,
ცას საჭოგრიტოდ ააცალა ღრუბელთ ამალა,
ვხედავ ფრთებშესხმულ ანგელოზებს
და ყველა იმათ,
ვინც მიწამია და ისევ ვარ რწმენის ამარა...
ხვალ ნასიზმრალი სიზმრებითღა ისევ ავდგები
და ზღვას მოვიქცევ მჯიღში მისი ნების გარეშე,
ო, რა ხანია დამიხიეს თეთრი აფრები,
კაიპიტანი ვარ შტორმს მიმყოლი გემის გარეშე.
და მაგრამ მაინც, მოწყალე ვარ
საკუთარ ცოდვის,
ქარიც სარკმელზე ელეწება, მტკივა მინები,
ვინმემ ჩამოხსნას მთვარე ციდან, იქნება როდის,
იქნებ, შენ მაინც ამისრულო დანაპირები?!
დღეს, მე დღეს, მინდა ყველაფერი,
წყალობაც შენი,
თორემ ხვალ, იქნებ, უმოწყალოდ
გავხდე ბოროტი,
როცა მე და შენ ასე რიგად სიცოცხლე გვშვენის,
ხვალ, იქნებ, კიდეც გავემგზავრო
ლექსით ბოლოთი...
თუკი ოდნავ და ცოტა მეტად უფრო მიწამე,
ნუ აგვიანებ, დროა, უკვე კარი გამიღო,
შემომატკეპნეს მუხლებამდე შავი მიწა მე,
იჩქარე, თორემ ან მიწამ ან ქარმა წამიღო...
დღეს უმოწყალოდ მოწყალე ვარ,
ყველა სათქმელი –
გითხარი, უკვე ღიას ვტოვებ გულის დარაბებს,
მოხვალ, დაგხვდები – მზემღიმარა,
შუბლით ნათელი,
თუ არ მოხვალ და... ჩემო, ეგეც აღარ მადარდებს.
რადგანაც ვთქვი, რომ ის, რაც ვთქვი
და რაც არ გითხარი,
მოწყალებაა უმოწყალო – გარდა მაგისა,
ან სიზმარია, თუმცა ცხადი, უფრო იგავი
და დასასრული არდაწყებულ ტრფობის ამბისა!!!

ერთხელ არაღდგომით...

...აწონე, გაზომე, დათვალე, უფალო –
ცოდვები, უკლებლივ არ დაგრჩეს მისხალიც...
თუ გინდა, დღეიდან დაიწყე ათვლა და
ეს ერთი დღეც კმარა ცოდვისთვის, მითხარი –
თავშივე რომ მქმნიდი ან მაშინ, რა გქონდა-
მიზანი, სამყაროს საძერწად რა სახის
შემქმენ, და რარიგად დავეცი ხომ ხედავ,
იქიდან არ შემრჩა არცარა ნასახი!..
მე თვითონ არ ვიცი – ვინა ვარ, რატომ ვარ?!
კითხვები ცოდვისებრ ირევა ჰაერში...
ზენიტში რომ გყავდი ქათქათა ღრუბლებზე,
ხომ ხედავ მიწაზე რა მძიმედ დავეშვი!..
ახლა ვარ მედეა საწმისის ქურდიც და
მოჭრილი ძუძუიც წამებულ დედოფლის,
ქაჯეთის ციხე ვარ ნაშენი ქვითკირით
და შოთას ასმათიც ასე რომ მენდობი!

ნენეის ცრემლი ვარ მჭადზე ჯვარდასმული,
საღათას ძილი ვარ მე სარგის თმოგველის,
დიდება დავითის აწ უკვე წარსულის –
დღეს გამოღვიძებას ასე რომ მოელის!..
მე ძლიერება ვარ თამარის – სისუსტეც
ქალში რომ შინაგან ხმას ავეყოლიე...
დედა ვარ რძესავსე – შვილობის კერა და
სამ შვილზე მეტი რომ ვეღარ ვიყოლიე...
სელიმის სისხლი ვარ, ხირხათზე დაღვრილი,
ნახლეჩი ყავარის სიზუსტეც გახლავარ
და ქოჩახელასი ჭიბონზე შაირი –
წარსულშიც, ხვალეშიც, და ახლაც აქა ვარ!
ხედავ, რომ მე ისევ ვაგრძელებ ცხოვრებას
ათასჯერ გვემული, ერთხელ არაღდგომით...
გეტყვი, რომ აქ ვდგევარ სხვაგვარად
არ ძალმიძს,
მაგრამ რა გამოვა, არ ვიცი, აქ დგომით!..
დამსეტყვე, გამწირე, დამსაჯე, უფალო!
შენს ღირსად, შენს შვილად არა მაქვს უფლება –
ის მრევლი აღარ ვარ, სანთელს რომ გინთებდი
და ყოველ სასწაულს ღამეს რომ უთევდა...
შენგანვე ნაბოძებ ჭეშმარიტ სიყვარულს –
რომ კლავდი, ან მაშინ რატომ არ დამინდე?!
ხომ ხედავ, რარიგად შემიძვრა ეშმაკი,
რა არ ვთქვი, რამდენი ცოდვები დავიდე.
ახლა კი სასჯელებს მოველი, უფალო!
ვიცი, რომ არც ასე გაწირავ შენს შვილებს..
არც სული შემრჩა და გვამი ვარ უთავო,
მგონია, ეშმაკსაც ამიტომ ვეშვილე!!!

შემოდგომის წვიმები

...ახლა ისე ვუხდები ამ არეულ ამინდებს,
შემოჩვეულ წვიმებს და შემოჩვეულ ბეღურებს...
შენ მეტყვი, რომ: დაბრუნდი,
ნათქვამს ბანზე აგიგდებ
და გულიდან ამოვშლი ყველა შენს ნაფეხურებს...
ახლა ისე მიხდება შემოდგომის წვიმები,
უშენობაც ასეთი, არანაკლებ წვიმაა,
ჯარი ოცნებების და სველი ხეთა მწკრივები,
(რაც წარსულში იყო და ის, რაც აწი წინაა...)
მაინც ასე ვიჩემებ, მაინც ასე მგონია,
შემოდგომის წვიმებმა ამისხეულსისხლხორცეს,
ამიტომაც სულში მაქვს ახლა ეს აგონია,
ხატების წინ დამუხლულ გულში რომ აქვს
იმ მლოცველს –
სიყვარულზე მარადის არაფრის რომ არ სჯერა...
ეს წვიმებიც ამ გრძნობას ახლა ისე ამშვენებს,
ნუ გადამისხვაფერებ, ღმერთო, ამ გულისძგერას
და ნურასდროს მომირღვევ
უანგაროდ ნაშენებს...

ნოემბრის დარი

იყო მზიანი დარი ნოემბრის,
გადახვეტილი ეზო-ქუჩები...
ყველა საწილო წყალს რომ მოელის
და რიგი იდგა თუნგის ჭურჭლებით.
სოფლის შუკაში ისხდნენ ქალები,
ამბებს ყვებოდნენ მთელი მილეთის,
ზოგი მართალი, დანაბრალებიც
სოფლის რძლების და გოგო-ბიჭების.
მერე თავში მჯდომს დაუთმეს სიტყვა,
დინჯად დაიწყო ასაკოვანმა –
„ჩვენი ოჯახის აქ არა ითქვა“ –
სხვებს მაგალითი მისცა მხცოვანმა.
და ასე ერთხმად ალაპარაკდნენ,
თავიანთ ქმრებზე და საწუხარზე,
ლეგა დარდები აღარ დალაგდნენ,
ვიღაც ჩიოდა პაპას ბუხარზე.
ახლა შვილებზეც მიდგა ჯერი და
უმალ სატკივრებს შემოაღამდა
ყველა იქებდა თავის გენით და
დედების სითბო რაღაც ზღვას ჰგავდა.
სტუდენტი ჰყავდა ერთს, ქალიშვილი,
მეორეს ბიჭი საზღვრებს იცავდა,
ჩინეთში ჰყავდა ერთს თვისი შვილი,
„მომენატრაო“ – ტკბილად კიცხავდა.
იდგა თბილი დღე ნოემბრის დარის,
ისხდნენ ქალები სოფლის შუკაში,
ცრემლად ქცეული საბრალო მგზავრი
მივაბიჯებდი მდუმარ ქუჩაში...

და მე ვუსმენდი ჩემს გულის ღელვას,
ჩემი ტკივილი მე ხომ ვერ გავთქვი...
და, მე შემშურდა, როგორც ქალს – დედას,
ო, როგორ მშურდა იმ წუთას მათი.

* * *

...აგყევი, დავიწყე თამაში,
თუმცაღა ნაცნობი როლია,
ისევ ვარ იმ ცისფერ კაბაში,
ვოცნებობ, თუ გახსოვს – როდიდან...

შენ ჩვეულ პარტიას მთავაზობ,
მე ვიცი, ეს როლი დამკარგავს...
არ მინდა, სხვას ვუთმობ მთავარ როლს,
ვიცი, რომ ცხოვრებაც ჭადრაკს ჰგავს –
მეფეს რომ დედოფალს უკლავენ,
სანაცვლოდ პაიკებს გადიან,
მეც ასე ვთამაშობ უმთავრესს
ამჯერად ეს აღარ მწადიან...
და მაინც აგყევი თამაშში,
ჯანდაბას, გასწიეთ ფარდები...
სცენარში არაფერს აღარ ვშლი,
ამ ჯერზეც უთქმელად გბარდები...

იზა ოსეფაიშვილი

ლადო ასათიანს

მე შენი წიგნი მომპარეს, და იმის შემდეგ ვდარდობ,
ჩემი ოცნების პოეტო, ასათიანო ლადო!
დიდო მგოსნებო, ნუ მიწყენთ, ამით არ მოვა ზიანი,
გამორჩეულად თუ მიყვარს, ძვირფასი ასათიანი.
მისი ლექსებით მომინდა, რომ ამეჟღერა გიტარა,
არ მეგულება ქართველი, ვინც ლადო არ შეიყვარა.
ერთ ზამთარს, როცა თოვდა, ორ მეტრზე მეტი დადო,
შენი ლექსები ღუმელთან, დავიზეპირე ლადო.
სტრიქონებს რომ ვიმეორებ, გულში დღე მიდგას მზიანი,
უზომოდ მიყვარს პოეტი, ფერმკრთალი ასათიანი.
რატომ წაგვართვი უდროოდ, სნეულებავ და დარდო,
დიდი მომავლის პატრონი, ასათიანი ლადო.
ბუნებამ ნიჭი უბოძა, ნაღდი და გულუხვიანი,
მჯერა, უმდიდრეს ტომებსაც, დაწერდა ასათიანი.
ღირსეულთათვის მზადა ვარ, მსხვერპლად თავი რომ დავდო,
შენთვისაც ასე ვიზამდი, ასათიანო ლადო.
მის სულს ნათელი ეფინოს, ვინც გშობა ასე ჭკვიანი,
ძვირფასი განძი გვაჩუქა, უკვდავი ასათიანი.
მაინც ღმერთს მადლობას ვწირავ! დიდად პატივი დაგვდო,
ოცდაშვიდ წლამდე გაცოცხლა, ჭლექით შეჭმულო ლადო.
ნეტავი, კვლავ ამოიდგა, ენა ტკბილი და წყლიანი,
ქართველებს შეარიგებდა, მგოსანი ასათიანი.
ვაი, რომ თავს არ ანებებ, ივერთ სევდავ და დარდო,
ჯიშს სულ ვერ გადააშენებ, განმეორდება ლადო.
თუ შენი წიგნი მომპარეს, ალბათ, კაცია ფხიანი,
დაე, ქურდებმაც გაიგონ, ვინ არის ასათიანი.
ღირსეულთათვის მზადა ვარ, მსხვერპლად თავი რომ დავდო,
განა წიგნისთვის ვტირი, დავკარგე ჩემი ლადო.

1999 წ.

მონატრებულ მეუღლეს

ჩემს გულს ყინული ვერ გააციებს,
და გულთან ერთად თბილი მაქვს ხელი,
ალბათ, ხელებით მოგართმევ ნუგბარს,
რომ მოგილოცო ახალი წელი.
მე იშვიათად დავწერდი თოვლზე,
შენზე ფიქრებმა გამაბედვინა,
შენთან ზამთარიც გაზაფხულია,
კალამიც ამან ამაღებინა.
თოვლის ფანტელში შენს აჩრდილს ვხედავ
და მას ჩურჩულით ვეალერსები,
ასეთ შეკითხვებს დავუსვამ ხშირად,
ნეტავი, ნახვას თუ ვეღირსები.
ყინვის ლოლუებს ტუჩებზე ვისვამ,
რომ დამიწყნაროს ჭარბი ვნებები,
ყურში ჩამესმის ტკბილი სიტყვები,
ნუ დარდობ, ტურფავ, მალე შეგხვდები.
თბილი საბანი შემომახვიე,
მე მცივანა ვარ, სითბო მჭირდება,
ვის უნდა ჩემი გულის მოგება?
ალბათ, შენსავით ვერვინ მიხვდება.
თეთრი თოვლივით გაგიშლი გულმკერდს
და გაგორავებ აზვირთულ მთებში,
ხელები ნაზად მოგეფერება
მაგ შენს ჭაღარა ხუჭუჭა თმებში.

* * *

ნისლებმა მუქად დაბურა გზები,
თანდათან ძნელი ხდება სავალი,
რა ჩქარა გარბის დროის ისრები,
გულმაც დაიწყო შიშით კანკალი.
ექოს ხმა მესმის სადღაც ხევიდან,
ბანს აძლევს კლდიდან შმაგი ჩანჩქერი,
შუბლზე ვიკეთებ ხელებით ჩეროს
და უსასრულო ბილიკს გავცქერი.
ვერაგი სენი თავს არ მანებებს,
ჩემ წინ აღმართა ბარიკადები,
კერძო ხელწერა თუ არ დავტოვე,
ო, მაშინ სულაც მართლა გავქრები.

ნონა ლატარია

პატარა ქართველო

მამულის დიდებას თუ ვერ მოვესწარი,
შენ ხომ მოესწრები, პატარა ქართველო,
ჩვენს მტრებს, გაავებულს, ლაგამი ამოსდე,
ღვთისმშობლის წილხვედრი რომ არ გადათელონ.
შენა ხარ სამშობლოს მყოფადი პატრონი,
კვლავ გადაარჩინე, ათასჯერ გვემული,
იცოდე, არ გძლიოს ურჯულომ, უღმერთომ,
საზღვართან აოტე, თავზარდაცემული.
ივერთ ძლიერებას თუ ვერ მოვესწარი,
შენ ხომ ქართველი ხარ, პატარა ქართველო,
აისხი აბჯარი, ფარი მოიმარჯვე,
„ცხენს ზედ გადაევლე“, მარდად გააგელვო.
მტერი უკუაგდე, კერამდე მოსული,
ცხრარქიან ეშმაკებს ნუღარ გააცინებ,
ჩვენი სამაჩაბლო, ჩვენი აფხაზეთი,
ქართველო ვაჟკაცო, შენ გადაარჩინე.
რომ შენი სახელი წვდებოდეს სამყაროს,
დედასაქართველო ისე ასახელე,
გული გაუმთელდეს დაფლეთილ სამშობლოს,
ჩრდილი არ დაადგეს წინაპართ სახელებს...
გმირთა ქვეყანაში ნაშობო ვაჟკაცო,
ზღაპრული სამოთხე კვლავ განსაცდელშია,
ენა და მამული, თუ სარწმუნოება,
ისევ სავალალოდ ვამპირთა ხელშია.
შენი იმედი მაქვს,, პატარა ქართველო,
ღმერთმა დაგილოცოს საქმენი, საგმირო,
შენ წინ დიდი გზაა, ისევ გამარჯვების,
ისე გაიმარჯვე, მტრებიც გააკვირვო...

ზამთრის პრელუდია

თავგზააბნეულ ნოემბრის ქარებს,
ეს შემოდგომაც შემოელეწა,
ზამთრის ლოდინით შემცბარი მთვარე,
ტოტებს უკოცნის „განგმირულ“ ლერწამს...
იღვრება ფიქრად შეშლილი ველი,
დეკემბრის სევდას ხალიჩად იფენს
და გახუნებულ ფოთოლთა როკვა,
დარდად ადნება მისტიურ ნიმფებს...
ზამთარი, ხშირი პესიმუმებით,
თრგუნავს სიფითრით გრძნობათა აღქმას,
ცოტა ხნით, მაგრამ, ნელდება ვნება,
ტყვიისფერ კვამლებს მიაქვთ გადაღმა.
...სანამ აპრილი შემეფეთება,
ისევ იათა სილურჯით მთვრალი,
უნდა ვღრღნა ძვალი თოვლიან ღამის,
უსახო სიზმრის ფიფქით ჩამქრალი...
ვავედრებ მორფევსს, ზამთრის სახელით,
საღათას ძილი მომგვაროს – ვიდრე
კვლავ გამაგიჟებს „ცელქი აპრილი“,
რომ ეს სიგიჟე სიცოცხლედ ღირდეს...

სინანული

მარტო ხარ და... სიმარტოვე,
გიჟს გამსგავსებს, ყელში გიჭერს...
გაფრენილა სიყვარული,
სიბერეში რას დაიჭერ...
ვიცი, შეგშლის მარტოობა,
ეული რომ შერჩი სოფელს...
ყველას ასე ემართება,
თავის დროზე ბედის „მგმობელს“...
ზიხარ ახლა ბუხრის წინ და
სინანულით ქექავ ნაცარს...

ჰოდა, ქექე... ეს სიბერე,
გაგიმუქებს უფრო ამ ცას...
რომ დასრულდა ყველაფერი,
სავალალოდ გვიან მიხვდი...
ჩემი გულის ტკენისათვის,
„საყვარელო“, სასჯელს იხდი...

შენ აქ ხარ ისევ

შენ აქ ხარ ისევ, ოვაციებით
და ჯენტლმენურად ჩუმი ფიქრებით
დრო-ჟამს მიდენი ზამთრის ქარებით,
სარკასტულ დღეთა გადაფითრებით...
შენ აქ ხარ ისევ, სიბრძნით, „სიბეცით“.
„მჭევრმეტყველური ფანტაზიებით“,
დღე – დღეს მიყვება რიგში თანაბრად,
შეუცნობელი გრადაციებით...
შენ აქ ხარ ისევ და კვალს მიჰყვები...
ქარი და თოვლი სევდას ხატავდა,
ერთფეროვნებამ განუსაზღვრელად,
ზამთრის ჩეროში სული განაბა...
მეც აქ ვარ ისევ... რადგან აქა ვარ,
უფალს ქედს ვუხრი სიმდაბლით, წრფელით
და აღარც ვნაღვლობ, დავთრის სიაში,
პირველი ვარ თუ უკანასკნელი...
მეც აქ ვარ ისევ, ნიშნის მოგებით
ვამსხვრევ ყინვებით შეჭირხლულ სივრცეს
და სუქცესიურ თანაფარდობით
ვკიდებ ხეებზე გაყინულ გირჩებს...
რადგან ზამთარმა ყინვებით, თოვლით,
ყველა მოლოდინს გადააჭარბა.,
ვისუნთქო უნდა გიჟი ქარივით,
შენი გულიდან ჰაერი ხარბად...
მე აქ ვარ ისევ, შენ კი არ ჩანხარ,
ქარმა ზუზუნით აიკლო ღამე...
მე თუ არ მეტყვი არმოსვლის მიზეზს,
იქნებ, გაანდო გაბუტულ მთვარეს?!

ალმანახი 6

2017